ანთებული გულები

რვა ქალბატონი იატაკქვეშა
ეკლესიაში და
მათი სიცოცხლის
საფასური რწმენის
თავგადასავლები

გრაცია ბურნჰამის მიერ ჩაწერილი

Голос мучеников
OM EAST

26 Hearts of Fire Core 2011_03_30.indd 1 10/13/2011 10:55:27 AM

საავტორო უფლება ‘2003 წამებულთა ხმა. ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი მონაკვეთი არ შეიძლება იქნას გამოყენებული ან შენახული ელექტრონული, მექანიკური, ფოტო ან სხვა კოპირებისათვის-გარდა-სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით მოკლე ბეჭდური ციტირებისა, გამომცემლის ნებართვის გარეშე.
გამოიცა W Publishing Group, a division of Thomas Nelson, Inc., P.O. Box 141000, Nashville, TN 37214. USA

“რადგან ის ცოცხლობს” ტექსტი უილიამ ჯ. და გლორია გაიზერისა. მუსიკა უილიამ ჯ. გაიზერი. საავტორო უფლება 1971 უილიამ ჯ. გაიზერი, ყველა საავტორო უფლება კონტროლდება გაიზერის საავტორო უფლების მენეჯერის მიერ. გამოყენება ნებადართულია.

ამ წიგნში მოხსენიებული მრავალი სახელი და ადგილი შეცვლილია მოქმედი პირების დაცვის მიზნით. საჭირო იყო დეტალების გამოტოვება, რომელიც ხელს შეუშლიდა სამინისტროს იმ ქვეყანაში ამ ხალხის დაცვის მიზნით მუშაობის გაგრძელებას. სასამართლოს ზოგიერთი ჩანაწერი და ციტირებული მასალა მოტანილია ფაქტების სიცხადისათვის.

Originally published in English as
Hearts of Fire by W Publishing Group, a division of Thomas Nelson, Inc.,

© 2003 by Voice of the Martyrs, USA.
All rights reserved. No portion of this book may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted in any form or by any means—electronic, mechanical, photocopy, recording, or any other—except for brief quotation in printed reviews, without the prior permission of the publisher.

Georgian edition © 2011 by Voice of the Martyrs, USA. All rights reserved.

ეძღვნება
საბინა უირმბრანდს
ხმა წამებულთათვის

წინასიტყვაობა

პატივი მხვდა წილად დამეწერა ისეთი წიგნის წინასიტყვაობა როგორიც ეს არის. ჩემს თავს ვერ მივაკუთვნებდი ამ რწმენის ერთგული მიმდევარი ქალების ჯგუფს.

როცა ვკითხულობ მათ დაუჯერებელ, მაგრამ ღვთის მხნეობით აღსავსე ამბებს, მრავალ ნაცნობ განცდას ვაწყდები. მე და ჩემი ქმარი, მარტინი, (2001 წლის მაისიდან 2002 ივნისამდე) აბუ საიაფის ტერორისტების ტყვეობაში ვიმყოფებოდით ფილიპინების ჯუნგლებში, მეც უმწეოდ ვგრძნობდი თავს, მინდოდა მოვმკვდარიყავი. უსახლკარო და მშიერი... მაგრამ ჩემთვის სხვა იყო, როგორც კი გათავისუფლების დღე დადგა, ვიცოდი რომ ადვილ ცხოვრებას დავუბრუნდებოდი. ეხლა მე ვზივარ ამერიკაში, ლამაზ სახლში, საჭმელი თავსაყრელად მაქვს, მყავს მხარდამჭერთა ჯგუფი–მაშინ როცა ეს ქალბატონები კვლავ გარემოცულნი არიან სირთულეებით, როგორც ქრისტეს კარგი მეომრები.

როცა თბილ აბაზანას ვიღებ ვლოცულობ. როცა მაკიაჟს ვიკეთებ და თმას ვივარცხნი, ვემზადები სალაპარაკოდ წასასვლელად, ვლოცულობ. როცა გამამხნევებელ ამბავს გადავცემ ეკლესიის გარეშე მყოფებს, ვლოცულობ, ყველა იმათთვის ვისაც არა აქვს ის "ინფრასტრუქტურა" რაც მე მაქვს. მათთვის, ვინც იტანჯებიან რადგან იესოსი სწამთ. მათთვის ვინც ფიქრობს რომ მარტო არიან და მაინც მტკიცედ დგანან რწმენაში.

იგივეს ვლოცულობ მათთვის, რასაც ჩემთვის ჯუნგლებში: "უფალო, დაე მათ შენი სიახლოვე იგრძნონ. დაეხმარე დარჩნენ ერთგულები, მაშინაც კი, როცა სიტუაცია ცუდიდან უარესობაში

გადადის. აჩვენე მათ შენი სიკეთის ნაპერწკალი, რათა იცოდნენ რომ მარტო არ არიან. და ბოლოს, ვიცი რომ შენ იქ იქნები".

ოჰ, დაე თითოეული ჩვენთაგანი ამ წიგნის კითხვისას გამოთქვამდეს მზადყოფნას ღმერთთან განახლებული პირობის დასადებად და ნებას დავრთავდეთ გამოგვიყენოს საჭიროების ადგილას–თუნდაც ეს ნიშნავდეს თავისუფლებისა და კომფორტის დათმობას. შეიძლება დადგეს დღე, როცა გვცემენ და მოგვკლავენ კიდეც ქრისტეს მიმდევრობისათვის. დაე გამამხნევებელი იყოს ამ უბრალო ქალების მაგალითი.

ღმერთი არ გამოგვცდის ჩვენს შესაძლებლობებზე მეტად. ის გამოაჩენს განსაცდელში გზას გასაქცევად (ის მოგვცემს ყველაფერს რაც გვჭირდება), რათა შევძლოთ ტვირთის ზიდვა. ვარჩევ დავიჯერო რომ ღმერთი ყველაფერს კარგად აკეთებს. ადამიანი კი ვერა. ჩვენ აურ–დაურიეთ ეს ქვეყანა. თუ კიდევ არის რაიმე კარგი ამ ცხოვრებაში, ეს ღმერთისაგან არის. მას აქვს გეგმა, და ის არის მარადიული. მოთმინებით მოველით დროს, როცა ის ყველაფერს ახალს შექმნის.

მანამდე, დაე, მან მოგვცეს მადლი, რათა მისთვის ვიცოცხლოთ. როგორც ეს ქალბატონები. ის ღირსია ამის.

–გრაცია ბურნჰამი
ახალი ტომების მისია
ავტორი "ჩემი მტრების წიაღში"

სამადლობელი

როდესაც პირველად ხელი მოვკიდეთ ამ პროექტს წამებულთა ხმის დავალებით, ვიცოდით რომ საკმაოდ დიდი ჯგუფი იქნებოდა საჭირო. პირველ რიგში, უნდა მოგვეძებნა ქრისტიანი ქალბატონები, რომლებსაც სურვილი ექნებოდათ თავიანთი დამოწმების გაზიარებისა. მათ გარეშე ეს წიგნი ვერ შედგებოდა, რის გამოც უდიდეს გულითად მადლიერებას გამოვთქვამთ მათ მიმართ.

ყოველი თავი (გარდა საბინა უირმბრანდისა) საჭიროებდა რამოდენიმე პიროვნების დამატებას, საჭიროებდა თარჯიმანს. ნახევარზე მეტ შემთხვევაში საიდუმლო შეხვედრები იქნა დანიშნული უსაფრთხოების ნორმების დაცვით. საჭიროა ითქვას, რომ შეუძლებელი იყო ამ საქმის გასრულება ორგანიზაცია VOᴀᴍᴏᴜ თანამშრომელების დახმარების გარეშე. რისკიდან თავის აცილების მიზნით, არ შეგვიძლია მათი სახელების მოხსენიება. გვსურს მადლობა მოვუხადოთ ყველას, ვინც, ამ ქვეყნებში მოგზაურობისას გაგვიწია დახმარება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით VOᴀᴍᴏᴜ დირექტორს, ტომ უაითს, რომელიც დაგვეხმარა შემოქმედებით მონაწილეობაში, აიდასა და მაის ამბების შეგროვებაში. ასეთი ძვირფასი მასალის არსებობა არის შედეგი ტომის ხელმძღვანელობისა და ხედვისა, დღევანდელი დევნილი ეკლესიის მიმართ.

შედგენასა და რედაქტირებაში დახმარებისათვის, თოდ ნეტლეტონსა და სიუ ანნ ჯონს, თქვენ გაგვიწიეთ უდიდესი დახმარება. დიდი მადლობა.

ადვილი არ არის იმ პროექტის მხარდაჭერა, რომელიც რმწენის გამო დევნასა და სხვა რეალურ საშინელებებს ეხება.

მაგრამ გრეგ დანიელისა და vo–ის გამომცემლობის ჯგუფის თანამშრომლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შესანიშნავ და გამამხნევებელ ამბებს დღის სინათლე ეხილათ. მადლობა ანთებული გულების გაცოცხლებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს შვილებს, ჯორდანს და ელენს, რომლებმაც დიდსულოვნად "გასცეს" დედა და მამა მრავალი დღე და კვირის არდადეგების განმავლობაში, ჩვენი ამ ქვეყნებში მოგზაურობის გამო. ვლოცულობთ რომ ეს ისტორიები გახდნენ თქვენი რწმენის საწყისის ნაწილი.

სტივ და ჯინ კლეარები

რწმენითა და გამბედაობით ანთებული გულები

გატაცება. ცემა. დაპატიმრება. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეს სიტყვები ქრისტიანად ყოფნის სინონიმად აღიქმება.ამ რეგიონში ქრისტიანი ქალებისათვის სხვა გამოწვევაც არსებობს: სოციალური დაღი, გიყურებდნენ ზემოდან, როგორც დაბალ კლასს, ხელმძღვანელობისათვის შეუფერებელი, მამაკაცის საკუთრება და მისი წინამძღოლობისა და კონტროლის ქვეშ მყოფი.

ანთებული გულები არის რვა ქალბატონის ისტორია, რომლებმაც მიუხედავად ისეთ ურთულეს ადგილებში ყოფნისა, აჩვენეს დაუჯერებელი სიმამაცე, დარწმუნებულობა და სიყვარული უფალ იესო ქრისტესა და მისი ეკლესიის მიმართ. საშინელ განსაცდელში გახდნენ ლიდერები, რომელთაც არაჩვეულებრივი გამბედაობა და უდრეკელობა გამოამჟღავნეს, უარი თქვეს დაპატარავებულიყვნენ საჭიროებისა და იმ შესაძლებლობის გამო, რამაც მათი რწმენა გამოსაცდელად გამოიწვია. სასაცილოა, მხოლოდ ტანჯვაში ჰქონდათ თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს; ზოგიერთ შემთხვევაში, ქალები უფრო მეტად იტანჯებოდნენ.

როდესაც პირველად განვიხილეთ დამოწმების წიგნი, ქრისტიანი ქალბატონებისა, რომლებმაც დევნა განიცადეს რწმენის გამო, რამოდენიმე გამოწვევას წავაწყდით. პირველი და მეტად მნიშვნელოვანი, გვინდოდა რომ დამოწმება ყოფილიყო რაც შეიძლება თანამედროვე. ეს მოითხოვდა ჩვენს მოგზაურობას იმ ქვეყნებში, სადაც ეს ქალბატონები ცხოვრობდნენ და ხშირ შემთხვევაში კიდევ განიცდიან სერიოზულ საშიშროებას. გვინდოდა აგრეთვე წარმოგვედგინა იმ ქალბატონების

მაგალითები, რომლებმაც არა მარტო პიროვნული განსაცდელი გამოიარეს, არამედ ფრთა გაშალეს მსახურებაში და ლიდერებად ჩამოყალიბდნენ. საბოლოოდ, წამებისა და ტკივილიანი ისტორიების მიღმა, გვინდოდა დაგვეხატა ურყევი იმედის შთამაგონებელი მაგალითები, თუ როგორ იპოვეს ამ ქალბატონებმა გზა, ნება დაერთოთ ქრისტეს სიყვარულისათვის გაენათებინა მათში არსებულ ბნელ ადგილებშიაც კი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანთებულ გულებში ყურადღება გამახვილებული ქალბატონები არიან მცირე მაგალითი, იმ უთვალავ ქალბატონებს შორის მთელი მსოფლიოს გარშემო, რომლებიც მსგავს განსაცდელს განიცდიან. ჩვენ ავირჩიეთ ის ქალბატონები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებს წარმოადგენენ, სადაც ქრისტიანები იდევნებიან, და უპირატესობა მათ მივანიჭეთ, რომლებთანაც შევძელით პირადად შეხვედრის მოგვარება.

ვისაც გავესაუბრეთ, სხვა კანდიდატები შემოგვთავაზეს უფრო მეტი დრამატული ისტორიებით. არცერთ რესპონდენტს არ სურდა რომ მათზე ყურადღება გამახვილებულიყო, როგორც ქრისტიანობისათვის წამებულ გმირებზე და უნიკალურ მაგალითზე.

ეს ამბები მოიცავენ საკვირველ სხვადასხვაგვარობას. როცა ზოგიერთები ტყვეობაში მსახურებდნენ წლების მანძილზე, დანარჩენები სხვა სირთულეებს უძლებდნენ.ფართო ასაკი და მრავალი განსხვავებული ფონი არის წარმოდგენილი, ქრისტიანობიდან ისლამისაკენ, ინდუიზმი, თუ ათეიზმი. უფრო მეტად საკვირველი იყო მსგავსებები: სიღრმისეული მოქმედება და მტკიცე დარწმუნება, რამაც უბიძგა თითოეულ ქალბატონს ადამიანური მოლოდინისა და ადამიანური სისუსტეების მიღმა.

ვლოცულობთ რომ ანთებული გულების წაკითხვის შემდეგ დაგეუფლოთ ღრმა დაჯერება და მტკიცე მიმართულება ცხოვრების სირთულეების გადალახვისა. თუ მხოლოდ გაოცებულნი ხართ ამ დაუჯერებელი ისტორიებით, მაშინ დავმარცხებულვართ. თუ, თქვენს ცხოვრებაში აღმოაჩენთ მსგავსებას, ერთ ან რამოდენიმე დამოწმებასთან, და თუ შეძლებთ შეიძინოთ ძალა ამ არაჩვეულებრივი გამხნევების მაგალითზე, მაშინ წარმატებისათვის მიგვიღწევია, და აგრეთვე

იმ ქალბატონებსაც, რომელთაცასე მადლიერებით შემოგთავაზეს და გაგიზიარეს ეს ამბები.

როდესაც პირველად ხელი მოვკიდეთ ამ საქმეს, ვიფიქრეთ რომ მსახურების გამამხნევებელი აზრები ჩაგვემატებინა ყოველი ამბის შემდეგ. რატომღაც, ამბების დასრულების შემდეგ აღმოვაჩინეთ რომ ამის გაკეთება არ იყო საჭირო. ყოველი დამოწმება შეიცავს ძვირფას სულიერ სიმტკიცესა და რწმენას. გვჯერა რომ იგი გააღვივებს იმედის სხივს თქვენს ცხოვრებაში, ანთებული გულების წაკითხვის შემდეგ.

წამებულთა ხმა

ადელ: იმედი უბედურების გულში.

ინდონეზია

საღამოს 5:00 საათი, ორშაბათი, 10 იანვარი, 2000.

ადელმა ორმოცდაათიოდე ბავშვი შეკრიბა მოქანავე პალმის ხის ჩრდილის ქვეშ. ხმას აუწია, "წინ, ქრისტეს მეომრებო"–ს სიმღერის დაწყებისას. შეეძლო დაენახა შეშინებული ბავშვების თვალები, როგორც კი სიმღერას შემოუერთდნენ.

"მე არ მინდა რომ მოვკვდე," დაიძახა ერთმა ბავშვმა. ჯერ ათი წლისაც არ იქნებოდა.

"ჩვენ სიკვდილს არ ვაპირებთ. მოდი, ჩვენთან ერთად დაუკარი ტაში." ადელი მისკენ გადაიხარა, და ყურში ელაპარაკებოდა რომ ბავშვების ხმა დაეფარა.

შეშინებული ბიჭი უხალისოდ შეუერთდა. სხვა სიმღერაც იმღერეს, აცახცახებული ხელებით უკრავდნენ ტაშს. ადელი ცდილობდა ჩაეხშო ყვირილის ხმა–კივილისა და საშინელების,იმ მთის ქვემოდან მომავალი რომელიც ერთი მილის დაშორებით იქნებოდა მათგან.

იცოდა რომ ბავშვებისათვის ტირილის ნება არ უნდა მიეცა, განსაკუთრებით უფროსებისათვის. თუ ერთ–ერთი მათგანი ქვითინს დაიწყებდა, ისტერიული არეულ-დარეულობა შეიქმნებოდა. ადელი აფასებდა მათ სიმამაცეს. დანარჩენი მშობლებიც კი, რომლებიც პატარა ჯგუფებად შემოხვეოდნენ ბავშვებს, ჩანდა რომ თავიანთი პატარებისაგან იღებდნენ სულიერ გამხნევებას.

სიმღერა გრძელდებოდა, ადელმა მზერა გაუშტერა ახალგაზრდების ჯგუფს და თავისი ორი შვილი შენიშნა. ქრისტინა უკვე ცხრა წლის იყო, და ქრისტიანო კი შვიდის. ადელს შეეძლო მამაცი ყოფილიყო, დაარწმუნა საკუთარი თავი;

ის მამაცი უნდა ყოფილიყო საკუთარი შვილების გამო-ყველა ბავშვის გამო. მისი რწმენა მტკიცედ იყო ფესვგადგმული იესოში, მაგრამ, მაინც დარდობდა მათზე, განსაკუთრებით-ქრისტიანო, მისი პატარა "აუტო." ის ძალიან ახალგაზრდა და პატარა იყო მისი ასაკისათვის.

ადელმა განსაკუთრებით ილოცა ღვთის დაცვისათვის და მადლიერი იყო, რომ ბიბლიის წამოღება მოახერხა სახლიდან გამოქცევისას. ფრთხილად გადაშალა მისი დაზიანებული ფურცლები, ნაცნობ ადგილამდე და ხმამაღლა წაიკითხა: "ყოველივეს გაკეთება ძალმიძს ქრისტეში, ჩემი გამაძლიერებლის მიერ".[1] შემდეგ ადელი ბიბლიის უკანა ფურცლებზე გადავიდა, სადაც საგალობლები იყო დაბეჭდილი, და ბავშვებს მომდევნო სიმღერისაკენ წარუძღვა.

ვიდრე მღეროდნენ, ზოგიერთმა ბავშვმა წუწუნი დაიწყო, რომ შიოდათ და წყუროდათ. შუადღის შემდეგ მთაზე იყვნენ, უკვე ჩამავალ მზეს წარეხვეტა კაშკაშა, მოწითალო-ყავისფერი მხურვალება ციდან. მზის ჩასვლა შესანიშნავი სანახაობა იქნებოდა მათ პატარა კუნძულ დობიზე, ინდონეზიაში. მაგრამ დღეს ავისმომასწავებელი ბინდი იწვა მათი სოფლის თავზე.

უცბად მეთიუს გამგმირავმა ყვირილმა დაარღვია ბავშვების სიმღერა. "გაიქეცი! ადელ, გაიქეცი!" ადელმა მთის კიდესთან მიირბინა და ცდილობდა ჩამავალი მზის შუქზე რაიმე დაენახა. ძლივს არჩევდა მთაზე მცოცავი კაცების სილუეტებს და კვლავ მეთიუს ხმა გაისმა. "წაიყვანე ბავშვები, ადელ! იჩქარე! ჯუნგლებში უნდა გაიქცე".

გაქცევის ნაცვლად, ადელი გაიყინა, ცეცხლის ტკაცა-ტკუცის ხმა და კვამლი ადიოდა სოფლის თავიდან. მათ მთელი სოფელი ცეცხლის ალში გახვიეს. ადელმა იცოდა რომ, ყოველი სახლი უნდა გაწმენდილიყო, მისი სახლის ჩათვლით.

აგონიაში ჩააგდო გადაწყვეტილების მიღების ფიქრმა. ქმარს მიხმარებოდა, რომელიც ქვა-ღორღიან მთაზე მოცოცავდა თუ ბავშვებისაკენ გაქცეულიყო? ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. ისე, როგორც ადამიანის მთელმა ცხოვრებამ მყისიერად გაირბინოს მის გონებაში, ადელის წარსული და მომავალი ერთმანეთს შეეჯახა ფიქრში. მისი შესანიშნავი ბავშვები, მოსიყვარულე ქმარი, კარგი იყო ცხოვრება.

ბავშვებისაკენ შებრუნდა, მერე ერთხელ კიდევ საბოლოოდ შეხედა მეთიუს. და იმ მომენტში გაახსენდა დაუპატიჟებელი, გაბედული, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი კაცი, რომელიც ჯიუტად იჯდა დედამისის სავარძელზე...

"მხოლოდ ღმერთს შეუძლია ეხლა თქვენი დაშორება"

ივლისი 1989 წელი

"დედა, მაიმუნს ჰგავს!" სისინებდა ადელი სამზარეულოდან და ახალგაზრდა კაცისაკენ იხედებოდა, რომელიც მისაღებ ოთახში იცდიდა.

დედამისი დიდად მოხიბლული არ იყო. ადელი შეიძლება ძალიან ახალგახრდაა გათხოვებისათვის, მაგრამ მაინც შეუძლია აჩვენოს მცირეოდენი პატივისცემა და დაფასება ამ ყმაწვილის შეუბრალებელ გადაწყვეტილებას.

ის თითქმის ყოველდღე ერთი და იმავე დროს მოდიოდა მათთან. მეთიუ მტკიცე დაჯერებულობით მოკალათდებოდა სავარძელში და ერთი და იგივე კითხვას იმეორებდა. სინამდვილეში, მელმა პასუხი გასცა მის კითხვას რამდენჯერმე, მაგრამ მეთიუ ან უარყოფდა ამ პასუხის მიღებას, ან თავს ისე აჩვენებდა თითქოს ვერ გაიგო ნათქვამი.

"არ მინდა გათხოვება. პატარა ვარ. რომც მინდოდეს, შენ არ გამოგყვები ცოლად!" შეუპოვრობას იჩენდა გოგონა. ადელი ჩვიდმეტი წლის იყო და მისი სილამაზე ეს-ესაა იფურჩქნებოდა. მაგრამ არანაირი ინტერესი არ ჰქონდა ურთიერთობის დაწყებისა– რაღა თქმა უნდა სხვა შესაძლებლობებიც მრავლად ჰქონდა.

გოგონას შეუფერებელ პასუხზე მეთიუ არც კამათობდა და არც ბრაზდებოდა. ვაჟი მთელი მოთმინებით იჯდა და კვლავ უხსნიდა ადელს იმას, რომ ის მისი ცოლი უნდა ყოფილიყო. "ეს ღმერთის გეგმაა. თუნდაც ფიქრობდე რომ მაიმუნს ვგავარ".

ადელმა ჩაიხითხითა როგორც კი თვალი მოჰკრა დედამისის ღიმილს. მეთიუმ კიდევ ერთხელ გამოთქვა სათხოვარი: "გამომყვები ცოლად?"

მან იცოდა რომ აზრი არ ჰქონდა პასუხის გაცემას, უბრალოდ იჯდა და ელოდებოდა როდის წავიდოდა. როგორც იქნა მეთიუ ადგა, მაგრამ წასვლამდე გარეთა პერანგი გაიხადა, ლამაზად

დაკეცა და გოგონას კალთაში ჩაუდო. “აჰა,” თქვა მან, “არ მპასუხობ, ხოდა ჩემი პერანგი დაელოდება პასუხს ჩემს აქ არ ყოფნაში”.

ადელს არ შეეძლო ემლიქვნელა ყმაწვილის გულწრფელი ჟესტებისადმი. შეიძლება არც ძალიან ცუდი ადამიანი იყო.

სამი თვის შემდეგ ადელი და მეთიუ დაქორწინდნენ.

ტრადიციული ქორწილი შედგა, ადგილობრივი წესების მიხედვით.ქორწილი შემოდგომის მზიან დღეს დაიწყო და გვიან ღამით დამთავრდა.ორნაირი სადილით მოემსახურნენ მთელი სოფლის მოსახლეობას, ვინც კი ამ ბედნიერი დღის მოწმედ მოვიდა. როგორც კი გამაღიზიანებელი ფიქრები მოეძალებოდა მაშინვე სასიკეთოდ შეებრძოლებოდა, კიდევ იმას დარდობდა რომ ძალიან ახალგაზრდა იყო გათხოვებისათვის და საშინელი შეცდომა ჩაიდინა. შვიდ და-ძმას შორის პირველად ის დაქორწინდა; როგორ შეეძლო გაძღოლოდა ახალ მოვალეობებს როგორც მეუღლე? მხოლოდ ხუცესის სიტყვებმა მოჰგვარა სიმშვიდე პატარძალს. “ადელ,” უთხრა მან, “მხოლოდ ღმერთს შეუძლია დაგაშოროთ შენ და მეთიუ ეხლა”.

ადელი ქორწილიდან ერთი თვის შემდეგ დაფეხმძიმდა, მიუხედავად იმისა რომ ნაყოფი ცხრა თვე ატარა მუცლით, გრძელი და რთული მშობიარობის შემდეგ ბავშვი მაინც მკვდარი დაიბადა. ადელი და მეთიუ განადგურებულები იყვნენ.

ხუთი თვის შემდეგ ადელი ისევ დაფეხმძიმდა. ამჯერად ბავშვი სამი თვით ადრე დაიბადა და არავინ ელოდა რომ იცოცხლებდა. სანახავად მოსული მეგობრები ამშვიდებდნენ და ეუბნებოდნენ ადელს- “გამაგრდი როცა ბავშვი მოკვდება”.

“ჩემი შვილი არ მოკვდება!” უპასუხა ადელმა ჯიუტად. მთელი გულით სჯეროდა და უარყო მეზობლებისა და ოჯახის წევრების აზრის გავლენა. ის აღარ დაკარგავდა მეორე ბავშვს.

ადელმა ფრთხილად დააწვინა ახალშობილი გოგონა ბალიშზე და ლაპარაკი დაუწყო, თან ლოცულობდა. “რატომა ხარ აქ, ქრისტინა?” ჩასჩურჩულა მან. მიუხედავად იმისა რომ ასეთი პატარა ხარ, მეთიუს და მე ძალიან გვიყვარხარ. ვიცი რომ ღმერთი დაგიცავს”.

მისი ოჯახისა და თანასოფლების გასაოცრად, ქრისტინა ჯანმრთელ ბავშვად განვითარდა, რომელსაც ორ წლი ნახევრის შემდეგ მისი ძმა ქრისტიანოც შეუერთდა.

ადელი და მეთიუ ამაზე ბედნიერები ვეღარ იქნებოდნენ. ქრისტიანოს დაბადების შემდეგ მალევე გადავიდნენ საკუთარ სახლში. უბრალო, სამ-ოთახიანი სახლი, უმეტესად ბამბუკისაგან გაკეთებული, მიწის იატაკით. უბრალო, მაგრამ საკუთარი. ალბათ ბავშვები რომ გაიზრდებოდნენ შემდეგ შეძლებდნენ უფრო დიდი სახლის გაკეთებას. ეს იქნებოდა ის, რასაც დიდი ინტერესით მოელოდნენ. ახლა ამითაც კმაყოფილები იყვნენ, რომ მეთიუს მშობლების ჭერიდან გამოვიდნენ.

თითქმის ადელის სოფლის ყველა ოჯახი ქრისტიანი იყო, ისიც დიდი ენთუზიაზმით ეხმარებოდა ეკლესის ახალგაზრდულ პროგრამებს. ორმოცდაათამდე ბავშვი იყო ქრისტიანისა და ქრისტიანოს ასაკის, და მელს უყვარდა იგივე ამაღელვებელი ბიბლიური მოთხრობების წაკითხვა ბავშვებისათვის, რომელიც ერთხელ ბაბუამისმა მას წაუკითხა. მოხერხებული ჩანდა იმავე სამუშაოს კეთება რასაც ბაბუამისი აკეთებდა–სახარების ქადაგება–თუნდაც მეზობელი ბავშვებისათვის.

ჯიჰადი იმუქრება

ადელისა და მისი თანასოფლელებისათვის, ცხოვრება მცირეოდენი პრობლემებით მიდიოდა, მანამდე ვიდრე მეზობელი მუსულმანები ესტუმრებოდნენ "ოფიციალური" ვიზიტით.

მართალია მაშინ ეს ვერ გააცნობიერა, მაგრამ ეხლა მიხვდა რომ უბედურება სინამდვილეში 9 სექტემბერს, 1999 წლის შუადღის 3:00 საათზე დაიწყო, დღე რომელიც ადელს არასოდეს არ დაავიწყდება. ადელი გარეთ გავარდა მღელვარე ხმის მოახლოებისთანავე და თვალი მოჰკრა მოწინავე სათაურს. მხოლოდ ორი სიტყვა იყო მასზე დიდი ასოებით დაბეჭდილი: "სინტი დამა," რაც ნიშნავს "სიყვარული მშვიდობა". დროშას გარშემო ოცდაათიოდე კაცი, ქალი და ბავშვი შემოხვეოდა მუსულმანურ სოფელ დაჰმადან.

"დოდის ხალხო," აცხადებდა შავკანიანი, საშუალო ასაკის კაცი, "ჩვენ თქვენი მეზობლები ვართ და ერთმანეთს უნდა აღუთქვათ რომ მშიდობით ვიცხოვრებთ". ხმის გამაძლიერებელი არ იყო, მაგრამ მისი გუგუნა ხმა ადვილად ეფინებოდა ბრბოს. იდგა ეს გამხდარი და მაღალი კაცი ძველი ხის პლატფორმაზე კრების დარბაზში. არ უნდა

იყოს რაიმე გაუგებრობა და ჩხუბი მუსულმანსა და ქრისტიან სოფლებს შორის, თქვა მან. ყველამ მშვიდად უნდა იცხოვროს.

მელი და დანარჩენები, ვინც პლატფორმას შემოხვეოდნენ ფიქრობდნენ რომ ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა რომელსაც აქამდე ადგილი არ ჰქონია. წინაზე ადგილი ჰქონდა პირზე დადგომას, მაგრამ ეხლა მეგობრობის ხელი გაუწოდეს სტუმრებს, რომლებიც შუადღემდე დარჩნენ.

გვიან საღამოთი, როდესაც მეთიუ სახლში დაბრუნდა შახტში მუშაობიდან, ადელმა უამბო სტუმრების შესახებ. "მაგრამ, ჭორი?" იკითხა მათიუმ.

უცნაური ჭორი დადიოდა 1999 წლის მეცხრე თვის მეცხრე დღის შესახებ, რომ შავი დღე გაუთენდებოდათ კუნძულ დოდის ქრისტიანებს. როგორღაც, მეთიუმ და ადელმა მოიშორეს ამ ჭორზე ფიქრი. შეთანხმდენენ რომ ამ ვიზიტს არანაირი ზეწოლა არ ჰქონია. სინამდვილეში სასიამოვნო ატმოსფეროც კი იყო, რადგან მათი ბავშვები ერთად თამაშობდნენ.

თითქმის ოთხმა თვემ განვლო საეჭვო შემთხვევის გარეშე. დოდის მცხოვრებლებმა ჩათვალეს რომ ჭორი იყო, მანამდე, ვიდრე ზუსტად შობის შემდეგ, როცა იულპიუსი, ახალგაზრდა ვაჭარი იმედგაცრუებული დაბრუნდა უკან მცდელობის შემდეგ, დაეტოვებინა კუნძული. თანასოფლელებმა ჰკითხეს უკან ასე მალე დაბრუნების მიზეზი.

"ნება არ დამრთეს წავსულიყავი," თქვა იულპიუსმა.

"ვინ? რატომ?" ჰკითხა ერთმა კაცმა და დანარჩენები აღელვებული ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ პასუხის მოლოდინში.

იულპიუსმა გააგრძელა, "რამოდენიმე მუსულმანმა კაცმა გამაჩერა, არ ვიცი რატომ. პირველად მითხრეს რომ ამ დროს არ მემგზავრა, რადგან ძალიან საშიში იყო. მე პროტესტი განვაცხადე და ვთქვი რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავი საქონლის მოსატანად, მაგრამ როგორც ჩანდა ეს დიდად არ აწუხებდათ, ძალიან გაღიზიანებულნი ჩანდნენ იმის გამო რომ ქრისტიანი ვიყავი. რამოდენიმე კაცი ვიცანი იმ ჯგუფიდან ერთხელ რომ გვესტუმრნენ მშვიდობიანი თანამეგობრობის დამყარების მიზნით. არ მინდოდა რაიმე უბედურებას გადავყროდი და უკან მოვბრუნდი".

ადელმა, მეთიუმ, და სხვა დანარჩენებმა დაიწყეს იულპიუსის დახლართული ამბის ირგვლივ ფიქრი და 9 სექტემბრის ვიზიტის გადამოწმება გონებაში. მოახლოებული საშიშროების მტკიცების გარეშე ცოტა რამის გაკეთება თუ შეეძლოთ. შემდეგ, 10 იანვარს, უკიდურესმა შიშმა გადაურბინა სოფელს როგორც მძვინვარე შტურმმა.

ადელი ქრისტიანოსთან ერთად ისვენებდა შუადღისით, როდესაც მეზობლებისაგან წამოსულმა ხმამ გამოაღვიძა. ადელი წინკარში გაიჭრა და შორს სვეტებად ამომავალი ცეცხლის კვამლი დაინახა. მახლობელი – ქრისტიანული სოფელი იწვოდა. პანიკის ხმა მოვიდა. სახლიდან უნდა გაქცეულიყვნენ. სამი ათასი შეიარაღებული კაცი მოდიოდა, და მცირეოდენი იმედიც კი არ იყო შურისმაძიებელი ჯიჰადის შეჩერებისა.[2]

ადელმა სახლში შეირბინა ქრისტიანოსა და ანტოს დასაძახებლად. არავინ უპასუხა. გულის ცემის აჩქარებასთან ერთად უმატებდა სირბილის ტემპს და ბავშვების მოსაძებნად სახელებს გაჰყვიროდა. საბოლოოდ ვიღაცამ უთხრა რომ ისინი უკვე სოფლის უკან მდებარე მთისკენ მიდიოდნენ ცოტა ხნის წინ. ისევ სახლში შეირბინა რომ ნაუცბათევად რამოდენიმე საგანი წამოეღო. კარებში შესვლისას ბიბლიას მოჰკრა თვალი. ხელი დასტაცა... და გაიქცა.

"დედა, მოვკვდებით?"

საღამოს 6:00, ორშაბათი, იანვრის 10, 2000

მეთიუ და მისი სხვა თანასოფლელი კაცები თითქმის 4 საათი ჰყავდათ მუსულმან თავდამსხმელებს დაკავებული, ძალიან ბევრი იყვნენ და კარგად შეიარაღებულნი მაჩეტებით, ჩირაღდნებითა და ცეცხლსასროლი იარაღით.

მთელი სოფელი ცეცხლში იყო გახვეული, და თავმოყრილი. ბრბოს ყვირილს "ალაჰ აკბარ! ალაჰ აკბარ!"[3] მთელი სივრცე მოეცვა. მეთიუ და სხვა კაცები პიტალო მთისაკენ გაიქცნენ, იმედოვნებდნენ რომ ჯიჰადის მეომრები დაკმაყფილდებოდნენ მათი სოფლის დანგრევით. ამის ნაცვლად სადისტური შურისძიების განცდა გაღვივდა მათში, და მალევე უკან გამოედევნენ გაქცეულებს ცეცხლის გახსით.

მეთიუმ და ადელმა სწრაფად მოაგროვეს ბავშვები და მათი დედები ერთად და სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. იმედოვნებდნენ რომ ამით მძვინვარე ცეცხლს თავს დააღწევდნენ. ზოგი მაღალ ბალახში გადაეშვა და როგორც შეეძლო სწრაფად მიცოცავდა გაუვალი ტყისაკენ. დაძაბული მგზავრობა მათ მუხლებსა და ხელებს უფრო და უფრო ეტყობოდათ, რაც უფრო წვიმა მატულობდა და მიწა ტალახის გუბედ გადააქცია.

გაუვალ ტყეში თითქმის ორ საათიანი ხოხვის შემდეგ მივიდნენ მიტოვებული ქოქოსის პლანტაციის თავშესაფართან. ნაუცბათევად ხისაგან შეკრული სამი კედელი და ჭერი, რომელსაც ფერმერები შუადღის სიცხისაგან თავის დასაღწევად იყენებდნენ. იმედი იყო რომ იგი დღეს როგორც ტაძარი ისე მოემსახურებოდა ქანცგაწყვეტილ ოჯახებს. მეტის გაგრძელება აღარ შეეძლოთ.

ქრისტინამ და ქრისტიანომ მაშინვე დაიძინეს როგორც კი დედამისმა ბამბუკის მატრასზე დააწვინა, რომელიც ამ მიტოვებულ ქოხში იპოვეს. როგორც დანარჩენი სხვა ოჯახის წევრები ისინიც წვიმისა და ტალახისაგან იყვნენ გაჟღენთილნი. ეგონათ რომ თავშესაფარი იპოვეს, მაგრამ სახურავი ნახვრეტებით იყო სავსე და იქედან ჩამომავალი წვიმის წყალი ბავშვებს მაინც ასველებდათ.

ადელს მეტი აღარ შეეძლო, ცრემლები წვიმასავით წამოვიდა მის სახეზე და ხმამაღლა დაიწყო მოთქმა.

როცა შეძლო თავის დაჭერა, მეთიუ და ადელი ერთმანეთს ჩაეკონენ და ლოცვა წარმოთქვეს. ჩუმად მიუჯდნენ თავიანთ შვილებს შიშნარევ ღამეში. როგორც კი ინათა, ქრისტიანამ და მისმა ძმამ გაიღვიძეს და დარწმუნდნენ, რომ საშინელი სიზმარი კი არა ეს ყველაფერი ცხადი იყო. ცოტა ხნით ჩუმად ისხდნენ და უფროსებს უცქერდნენ გაშტერებულნი. ფართოდ გახელილი თვალები რამოდენიმე დამამშვიდებელ სიტყვას ეძებდნენ, მაგრამ სასიკვდილო შიშს მოეცვა მთელი ოჯახი და არავინ იცოდა რა ეთქვა.

ბოლოს ქრისტიანომ ამოთქვა, “დედა, მშია”.

ადელმა გაფართოებული თვალები დახუჭა ტირილის შეკავების მიზნით, მაგრამ როგორც კი თავისი პატარა ბიჭი კალთაში ჩაისვა, მაშინვე ისტერიკული ტირილი აუვარდა.

“გთხოვ, ასე ნუ იტირებ, ადელ,” შეეხვეწა მეთიუ. “წავალ და მოვძებნი საჭმელს.” ეცადა დაერწმუნებინა ცოლი, მაგრამ იცოდა რომ მოთმინების ზღვარს მიაღწია. ადელს გული გაეპო ძვირფასი შვილების ტანჯვის უიმედოდ შემყურეს.

მეთიუ განადგურებულ სოფელში აპირებდა წასვლას საჭმლის მოსაძებნად. ადელი სთხოვდა ეს არ გაეკეთებინა, ამავდროულად იცოდა რომ რაღაც უნდა ემოქმედათ. დიდხანს ვერ დარჩებოდნენ ფარდულში წყლისა და საკვების გარეშე.

მეთიუს წასვლის შემდეგ დრო ნელა გადიოდა. ღრმა შიშის გრძნობამ შეიპყრო ადელი. მღელვარებით და უძლურებით გაუძღვა ოჯახს ჯუნგლებში. სიმინდის ყანის ნაპირას თანასოფლელებს გადააწყდნენ. ადელი ქრისტიანოს, ანტოს და დედებს წაუძღვა წინ სიმინდის მწკრივებში და გამხმარი ტაროების შეგროვება დაიწყეს. სულ თუ არაფერი, რაღაც მაინც ხომ ჰქონდათ საჭმელად.

რამოდენიმე საათის მოგვიანებით მეთიუც შემოუერთდა ოჯახს თორმეტიოდე კოკა-კოლას ბოთლით ხელში. სულ ეს იყო რაც იპოვა. როგორც კი ბავშვები გასახსნელად დასწვდენენ ქილებს, ცეცხლის გახსნის ხმა გაისმა მინდორში, ისე როგორც ჭექა ქუხილის. არავინ იცოდა რომელი მიმართულებიდან ისროდნენ, მიწაზე დაწვნენ და არ იცოდნენ საით გაქცეულიყვნენ. ბოლოს ქრისტინამ თავი მაღლა ასწია და იკითხა, “დედა, მოვკვდებით?”

დიახ, იყო დაუყოვნებელი აზრი რომელიც ადელის გულში შეიჭრა, მაგრამ იცოდა რომ მამაცი უნდა ყოფილიყო თავისი შვილების გამო, ორივეს ერთად ხელი მოხვია და უთხრა რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ადელმა იცოდა რომ მის სიტყვებს არ შეეძლო შეეცვალა მათი შემაძრწუნებელი რეალობის მდგომარეობა. იცოდა რაც უნდა გაეკეთებინა.

ეს იქნებოდა ყველაზე რთული დიალოგი, რაც კი ოდესმე თავის ბავშვებთან ჰქონია, მაგრამ სხვა არჩევანი არ ჰქონდა. მას უნდა ეთქვა მათთვის რომ...

“ქრისტინა და ანტო, გთხოვთ შემომხედეთ და ყურადღებით მომისმინეთ. თუ ჯიჰადის მიმდევრებმა დაგვიჭირეს, შეგეკითხებიან გინდა თუ არა მუსულმანად გახდომა. თუ ეტყვი არას, მოგკლავენ.” ადელმა ბავშვებს თვალებში ჩახედა. მან

იცოდა რომ მხოლოდ ერთადერთი სწორი პასუხი იყო, მაგრამ როგორ შეიძლება მოელოდე ასეთი პატარა ბავშვებისაგან ამხელა სიმამაცეს?

ორივე ბავშვმა მარტივად უპასუხა, "ჩვენ გვინდა რომ იესოს გავყვეთ." დაფიქრების გარეშე დასწვდა ადელი ბიბლიას, რომელიც თან ჰქონდა და იმ ადგილზე გადაშალა, რომელზედაც გამოქცევის წუთიდან აქამდე ფიქრობდა. ადელს ბაბუა იმდენჯერ უკითხავდა ამ ადგილს ბავშვობაში რომ უკვე გულში ორნამენტივით ჰქონდა ამოჭრილი: ფსალმუნი 23. ბავშვებს მიუთითა გაემეორებინათ მისი წარმოთქმული სიტყვები, "უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება, შავეთის ველზეც რომ ვიარო ბოროტებისა არ მეშინია. რადგან შენა ხარ ჩემთან..." მანამდე ამეორებინებდა სანამ ზეპირად არ თქვეს. ორივემ სიმამაცე გამოიჩინა, ადელს ეჭვი ეპარებოდა, გაიგეს თუ არა სრულად ბავშვებმა სიტუაციის სერიოზულობა.

გრძნობა. ცრემლები კვლავ მოადგა თვალებზე, ნაჩქარევად მოიწმინდა ხელით და იკითხა, "ქრისტინა, არ გეშინია რომ თქვა ქრისტიანი ვარო და მოგკლან?"

ქრისტინამ დედასთან ახლოს მიიტანა სახე, თვალებში ჩახედა და თბილად უპასუხა, "დედა, გთხოვ ნუ იდარდებ. არ მეშინია სიკვდილის."

მას შემდეგ რაც ცეცხლის ხმა შეწყდა, ხალხი გაიფანტა სიმინდის ყანიდან. ადელი, მეთიუ და მათი ოჯახი უკან დაბრუნდა გაუვალი ტყისაკენ, სადაც მომდევნო ორი დღის განმავლობაში შიშით მიდიოდნენ. ღამე კარგად დადიოდნენ, მხოლოდ რამოდენიმე საათი ეძინათ მზის ამოსვლამდე. ერთ ადგილას მეთიუ თანასოფლელებს შეხვდა და მათგან შეიტყო რომ ზოგიერთი ქრისტიანი უკვე მოუკლავთ. წუხდა რა თავისთვის ძვირფას ხალხზე, ამხნევებდა ძალა მოეკრიბათ და რაც შეიძლება ღრმად შესულიყვნენ ტყეში.

ყველანი განადგურებულები იყვნენ და ბოლოს მიხვდნენ რომ ბავშვებს მეტი აღარ შეეძლოთ. მათ მხოლოდ ქოქოსის რძე ჰქონდათ საჭმელად, შიმშილი და ტკივილი იმატებდა, მელი ტირილს იწყებდა როგორც კი ბავშვები საკვებს მოითხოვდნენ. გზად მეთიუს მამას და ძმას შეხვდნენ.

იმ ადგილამდე მივიდნენ სადაც მეთიუ ფიქრობდა რომ უსაფრთხო იქნებოდა შესვენება. მშრალი პალმის ტოტები

მოაგროვა ბავშვებისათვის დასაჯდომად. ნაკადულის ხმა შემოესმათ ხეობიდან, მან და მისმა ძმამ გადაწყვიტეს შეემოწმებინათ იქნებ რაიმე ეპოვათ საჭმელად.

ასეთ მცირე ასაკში ანტოს არ შეეძლო გაეგო რატომ არ ჰქონდათ საჭმელი ბოლო რამოდენიმე დღის განმავლობაში და ბრმად იკითხა თუ შეიძლება ბრინჯი და თევზი ეჭამა. "მამაშენი მალე დაბრუნდება, და შეიძლება მოიტანოს თევზი," უთხრა ადელმა, ცდილობდა რა გაემხნევებინა. იცოდა, ნაკლებად სავარაუდო იყო რომ მეთიუს რაიმე საკვები მოეტანა და ბავშვი უფრო მაგრად ჩაიკრა მკერდში.

იესოს ყოვლისშემძლე სისხლი

ათ წუთზე ნაკლები იქნებოდა გასული როცა მეთიუს ყვირილი შემოესმა. ადელმა გაიფიქრა, კაცი უნდა გაგიჟებულიყო ასე რომ ეყვირა, მაგრამ ალბად ჯიჰადის მებრძოლები იყვნენ სადმე ახლოს. შემდეგ მიხვდა, მეთიუ ალყაში იყო და ოჯახის წევრებს უყვიროდა რომ გაქცეულიყვნენ. კვლავ ის სიტყვები შემოესმა, რაც რამოდენიმე დღის წინ. "გაიქეცი, ადელ! გაიქეცი!"

ვიდრე მეთიუ კიდევ დაიყვირებდა, ავტომატური იარაღის გასროლის გამუდმებული ხმა გაისმა. მაშინვე წამოხტომას ეცადა მაგრამ ანტოს ხელები კისერზე ჰქონდა შემოხვეული, წაბორძიკდა. ზუსტად იმ დროს შებრუნდა და თვალი მოატანა მეთიუს ყვირილისაკენ გაქცეულ ქრისტინას. ადელმა ამოისუნთქა რომ დაეყვირა და შეეჩერებინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ისინიც გარშემორტყმულნი იყვნენ თეთრი ანაფორიანი კაცებით.

ანტო იქ იწვა სადაც დააგდო ადელმა. როცა ბიჭი წამოდგომას ეცადა, ერთერთმა კაცმა მაჩეტი მოიქნია და ზურგზე გადაუჭირა. დედამ მთელი ძალ ღონით დაიყვირა რათა უმწეო ბავშვი შემდეგი დარტყმისაგან დაეცვა. დაინახა როგორ გათეთრდა ბიჭი შიშისაგან და შოკში ჩავარდა. მისი მცდელობა დახმარებოდა ანტოს უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ერთმა მუსულმანმა კაცმა ხელი ჩაავლო ადელს გრძელ, შავ თმაში და ჰაერში შეათამაშა.

დედამისის, დედამთილისა და ძვირფასი ანტოს ყვირილის ხმა შემოესმა და მიხვდა რომ ხოცავდნენ ბოროტი მკვლელები, რომლებმაც სახლებიდან გამოყარეს ისინი. გულწასული დაეცა

მუხლებზე, როცა დაინახა მისკენ მომავალი მისი ოჯახის თავდამსხმელები. სისხლი წვეთავდა მათი მაჩეტებიდან. ანტოს სისხლი. თვალები დახუჭა, ჩუმად დაიწყო ლოცვა ოჯახისათვის და ღმერთს სთხოვდა დაეხსნა გაუპატიურებისაგან.

“ოჰ, ღმერთო!” შეყვირა ადელმა. აღარ იცოდა როგორ გაეგრძელებინა. ერთ-ერთმა კაცმა თავისი ოფლიანი დოლბანდი შემოახვია თავზე. სადაც ეწერა, “ალაჰ აკბარ.” მელმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და დაიყვირა, “იესო ქრისტეს სისხლი ყოვლისშემძლეა!”

“ქრისტიანია! ღორი! მყრალი ღორი! მოდი გავაუპატიუროთ და მოვრჩეთ მაგასთან ყველაფერს,” თქვა სიცილით ხმამ. განრისხებული მუსლიმების დიდი ჯგუფი გარს შემოეხვია მელს, და განიხილავდნენ რა ექნათ მისთვის. ადგილობრივ დიალექტზე საუბრობდნენ და არ იცოდნენ რომ მსხვერპლს ესმოდა.

ცდილობდა ცრემლები დაემალა და ჩუმად ლოცულობდა თავის გულში, *უფალო, გეხვეწები დაეხმარე მათ გაიგონ რასაც აკეთებენ. როგორი ბოროტებაა. გთხოვ გააგებინე. არ შეიძლება იცოდნენ რასაც აკეთებენ. ადამიანისათვის წარმოუდგენელია.* აგრძელებდა ლოცვას მღელვარებით. მის თვალწინ ნაზი ხმით დაიჩურჩულა ვიღაც კაცმა, “ადელ, ეს შენ ხარ?” მან მაღლა აიხედა და დაინახა კაცი, რომელიც მისი სოფლიდან იყო დატყვევებული. სახელად ჰანსი.

ჰანსსაც შემოხეული ჰქონდა ტანსაცმელი და სისხლისაგან იცლებდა. ქალის გული სასოწარკვეთამ მოიცვა; დარწმუნებული რომ დღეს ვერ გადარჩებოდა. შეეკითხა, მეთიუ ან ქრისტინა ხომ არ უნახავს. კაცმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

ერთმა კაცმა ადელის ტანსაცმელი გამოკრა და მკლავზე გადაიკიდა. ნებას არ რთავდნენ რომ ჩაეცვა. ნაკუწებად ქცეულ ბიბლიას დახედა.

ორი ტყვე მარშით აიყვანეს ციცაბო მთაზე, მიათრევდნენ და ყველაზე მტკივნეულ ადგილებზე ურტყამდნენ მაჩეტებს. გზა შევიწროვდა, ადელმა ხეობაში გადაიხედა, თუ რამდენად მაღალი იყო და რამდენად ადვილი იქნებოდა გადახტომა. იცოდა ალბათ მოკვდებოდა, მაგრამ არა უშავს. *დამეხმარე, უფალო! გთხოვ დამეხმარე!* ითხოვდა გამუდმებით. ეწინააღმდეგებოდა გადახტომის აზრს. ბოლოს მთის მწვერვალზე მივიდნენ, სადაც

ათასამდე ჯიჰადის მებრძოლი იქნებოდა შეკრებილი. ყველა სხვადასხვა ასაკის იყო, ზოგიერთები ძლივს იქნებოდნენ თინეიჯერები, მაგრამ ყოველ მათგანს ემოსა თეთრი, გრძელი მანტია, თავზე მჭიდროდ მოჭერილი დოლბანდით.

იარაღის მუქარით აიძულეს ადელი და ჰანსი ერთმანეთის უკან დამდგარიყვნენ. მეომარი შუა ხნის მხარბეჭიანი კაცი იყო. იარაღი გვერძე დადო და გრძელი მაჩეტი ამოიღო შეხვეული ნაჭრიდან. ადელმა ირგვლივ მიმოიხედა და დაინახა რომ მხოლოდ ჰანსი და თვითონ იყვნენ ქრისტიანები თეთრ სამოსიანებს შორის. თვალები დახუჭა, სწამდა, იმედოვნებდა კიდეც რომ დასასრული მოვიდა.

რამოდენიმე წამში იგრძნო რომ თბილი სისხლი სახიდან მთელს სხეულს ეღვრებოდა. "ქრისტეს სისხლი ყოვლადძლიერია!" დაიყვირა რამოდენიმეჯერ. ჰანსიც ყვიროდა. გაბრაზებული კაცების ყაყანი ესმოდა შორიდან. თვალებს არ ახელდა. თუ საკმაო ხანს ექნებოდა ასე დახუჭული, გაიფიქრა, შეეძლო მეორე მხარეს, სამოთხეში მისი გახელა. ეგონა რამოდენიმე საათი ელოდებოდა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო და თვალები გაახილა. მის წინ დასახიჩრებული ჰანსის სხეული იყო.

სამი მარტივი სიტყვა

ადელი სისხლით იყო დასვრილი მაგრამ არ შეეძლო ეთქვა მისი სისხლი იყო თუ ჰანსის. ძლიერი ტკივილი აწუხებდა ამ მუსულმანი კაცების ცემის შედეგად, მაგრამ არცერთი ღია ჭრილობა. მისი სხეული სუსტდებოდა, მაინც ახერხებდა სიტყვების განმეორებას: "იესოს სისხლი ძლევამოსილია." იცოდა რომ ღმერთი როგორღაც იცავდა. აქამდე რამდენჯერმე უნდა მომკვდარიყო. ხუთ საათზე მეტი იქნებოდა რაც ტანსაცმელი შემოახიეს და სცემდნენ. მან უკვე იცოდა რომ ანტო, დედამისი, მეთიუს დედა და ჰანსი მკვდრები იყვნენ, ეჭვობდა რომ დანარჩენებსაც კარგი დღე არ ადგათ. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რა მიზეზით? საშინელ ორთაბრძოლაში როგორღაც საკვირველი იმედის მკრთალი ნათება იგრძნო.

ჯიჰადის მეომრების ჯგუფმა იარაღი შეაგროვეს და ადელს უთხრეს რომ წასვლის დრო იყო. მათი თქმით ის იქნებოდა

წინამძღოლი. ფეხი ჰკრეს წინამდებარე ბილიკისაკენ, და ავტომატურად წარუძღვა მოპირდაპირე მთის ქვემოთ მიმავალ გზაზე. ადელს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა სად მიდიოდნენ. ის უბრალოდ მიდიოდა ნახევრად გიჟის გონებით და ცდილობდა ჰანსის მხეცურად სიკვდილის დასჯის ხმა გონებიდან განედევნა. არ დაჯერდა კაცი მის ნაკუწ-ნაკუწ ქცევას, სხეული ქოქოსის ხის რტოებით დაფარა, გაზოლინი გადაასხა გვამს და ცეცხლი მოუკიდა.

როდესაც მთის ძირს მიაღწიეს გიდი აღარ იყო საჭირო. კაცმა დაჰმას მიმართულებით უბიძგა, მათი სოფლისაკენ, გამუდმებით გრძელ თმაში ექაჩებოდა, დასცინოდა და შიშველ სხეულზე მაჩეტს უტკაცუნებდა. ყოველ დარტყმაზე ადელი ყვიროდა, "იესოს სისხლი ძლევამოსილია! იესოს სისხლი ძლევამოსილია!" დროდადრო ერთი კაცი გამოიქცეოდა და მაჩეტის ღერს თავში გაუქანებდა. ღონემიხდილი ხალიჩის თოჯინასავეთ დაეცემოდა ნიკაპით ხელებზე. თითქოს ათასობით ნემსს ჩხვლეტდნენ თავის ქალაში, ხელს თავზე მოისვამდა და უკვირდა რომ სისხლი არ სდიოდა.

შინაგანი სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლა

ედს მხნებობა ემატებოდა როგორც კი გააცნობიერებდა რომ ღმერთმა სასწაულად დაიცვა მისი სიცოცხლე. მაგრამ რატომ? არ შეეძლო ეფიქრა რატომ სუნთქავდა, მაშინ როცა ამდენი ხალხი სასტიკი ტანჯვით დაიღუპა. მის დამტყვევებლებსაც კი გაოცებული სახეები ჰქონდათ, უკვირდა ნეტავ ისინიც თუ ამას ფიქრობდნენ, როგორ შეძლოო ამ უმწეო ქალმა ამდენი დარტყმის გადატანა. მოწინააღმდეგე უფრო და უფრო მძვინვარებდა, რადგან გამუდმებით იესოს სისხლზე გაჰყვიროდა.

ბოლოს ერთმა მათგანმა გააჩერა, ხელის გულზე თამბაქოს ცეცხლი მოუკიდა და ძალით პირში ჩაუტენა. თვალები გაუფართოვდა მისკენ მომართული ცეცხლმოკიდებული თამბაქოს დანახვისას. კაცის ძლიერი მკლავის წინააღმდეგ რას გახდებოდა. დარწმუნებულმა რომ "ათეისტი" გააჩუმა, კმაყოფილების სიცილით გადახედა დანარჩენებს. ადელის პირს ხელები მოაშორეს თუ არა აკვამლებული ფოთლები

გადმოაფურთხა და დარწმუნებით თქვა, "იესოს სისხლი ძლევამოსილია." ეს სამი სიტყვა გახდა უფრო და უფრო რეალური ადელის ჯოჯოხეთურ კოშმარში.

მზე ჩაეშვა, სავსე მთვარის შუქი ანათებდა მათ დაჰმასაკენ მიმავალ გზას. ადელი ხედავდა სახლებიდან გამომავალ სინათლეს, მორბენალ და მოთამაშე ბავშვებს. თავისი სოფელი წარმოიდგინა გონებაში და გაახსენდა როგორ თამაშობდნენ მისი ბავშვები საღამოობით მათ მსგავსად.

ჯგუფი შეჩერდა და ადელს უბრძანა ტანსაცმელი ჩაეცვა. ორი ახალგაზრდა ყმაწვილი — ოცი წლისაზე მეტის არ იქნებოდა, ადელის სადარაჯოდ დატოვეს, დანარჩენები კი სოფელში წავიდნენ. ადელმა ამ ორ კაცს ჰკითხა, თუ იცოდნენ რა მოუვიდა თავის გოგონას.

"ეჰ, მოვკალით," გაიცინა ერთერთმა.

თერთმეტი კაცი იქნა დანიშნული ადელის დასაკითხად.

ადელი მიხვდა რომ იტყუებოდნენ, მაგრამ სიძულვილს ხედავდა მათ თვალებში. იგრძნო რომ ეს სიძულვილი მის გულშიც ინთებოდა და ღმერთს სთხოვდა რომ წაეღო იგი.

ცოტა ხნის შემდეგ ადელი სოფელში წაიყვანეს, სადაც დაცინვითა და წამებით მოუწყვეს დაკითხვა. თუ მისი სიკვდილის დრო დადგა-მზად იყო. კიდევ ერთხელ დაინახა რომ მხოლოდ ის იყო იმ სოფელში ტყვედ. არ შეეძლო წარმოედგინა რამდენი ადამიანი მოკლეს. ამ დროისათვის არ იცოდა რა უფრო უარესი იყო-სიკვდილი თუ, ამ სადისტების ხელში ტყვედ ჩავარდნა. წამების მიუხედავად ხმამაღლა გაჰყვიროდა, "იესოს სისხლი ძლევამოსილია", როგორც კი ჯარისკაცი შეწყვეტდა მის სხეულზე ტანჯვის მიყენებას.

ჯიჰადის მეთაურის განყოფილებაში ადელი კვლავ გააშიშვლეს. სამმა ქალმა უკანა ოთახში წაიყვანა და ცივ წყალში დაბანეს, ჟანგიანი მეტალის მილში. "გთხოვთ, მე თვითონ დავიბან," სთხოვდა ადელი. მაგრამ უარყვეს, ადელის მომდევნო თხოვნას ქალმა ხის დიდი ჯოხის ცემით უპასუხა. აბაზანის შემდეგ ძველი ნახვრეტებიანი შორტები მისცეს. მისი საკუთარი ტანსაცმელი "ჭუჭყიან ღორს" ეკუთვნოდა და უნდა დამწვარიყო, უთხრა ქალმა.

"სად იმალებიან ქრისტიანები?"

თერთმეტი კაცი იქნა დანიშნული ადელის დასაკითხად, ოცდაათი ორმოციოდე კაცი კი გარს ეხვია. რამოდენიმე კაცი ამოიცნო ხელმძღვანელებიდან, რომლებიც დროშებით ესტუმრნენ მის სოფელს **9** სექტემბერს, შემახილებით, "მშვიდობა კუნძულ დობის." კაცი, რომელსაც დაკითხვა მიჰყავდა, ის იყო, ვინც იმ დღეს კათედრიდან მთელი დამაჯერებლობით საუბრობდა. ადელი გრძნობდა როგორ იზრდებოდა სიძულვილის განცდა, როცა ფიქრობდა, რომ ხალხი, რომლებმაც "მშვიდობის" აღთქმა დადო, ბოროტი განზრახვით დაბრუნდა უკან და მისი მეგობრები და ოჯახი ამოხოცა, ანტოს ჩათვლით. ეხლა, როცა ხის სკამზე დასვეს ოთახის შუაგულში, ფიქრობდა რა იქნებოდა მათი ნამდვილი *მშვიდობის* განსაზღვრება.

"სად არიან დანარჩენი ქრისტიანები?" მაღალი, გამხდარი კაცი მშვიდად კითხულობდა.

"არ შემიძლია გითხრათ. რომც მომკლათ, არ გიპასუხებთ." ადელმა იცოდა სადაც სავარაუდოდ უმეტესობა იმალებოდა. ისიც იცოდა რა დაემართებოდათ, თუ მათ ადგილ-სამყოფელს გაამხელდა.

"კარგი. არაფერს არ ვავნებთ. უბრალოდ გვინდა ვიცოდეთ სად არიან. არ გინდა სახლში წასვლა?" ადელი წყნარად იჯდა, უარყოფდა პასუხის გაცემას. დაკითხვა ოცდაათიოდე წუთს გაგრძელდა და ადელის სახეში ცემით დამთავრდა. თეფშით საჭმელი დაუდეს წინ, მაგრამ უარი თქვა მიღებაზე. ორმა მეთვალყურე კაცმა პირი დააღებინა და საჭმელი ძალით ჩაუტენა პიში. ადელმა გადმოაფურთხა, თუმცა სამი დღეა არაფერი ეჭამა.

ჭამაზე უარის თქმის ამბავი მალე მოედო დაჰმას, მრავალი ადამიანი შეიკრიბა მეთაურის განყოფილების შენობის გარეთ და ყვიროდნენ, "გადმოგვეცი ჩვენ!" ნაკუწ-ნაკუწ დავჭრით და მიწად ვაქცევთ!"

ამ გაბრაზებული ხმების გაგონებისას ადელის გული სიძულვილითა და შიშით ივსებოდა. ბოლოს მოხუცი კაცი, სახელად საბუ საბარ შემოვიდა მის ოთახში. როგორც ჩანდა იგივე სულით არ იყო შეპყრობილი როგორც დანარჩენები. მუხლებზე დაიჩოქა ადელის გვერდით და იკითხა, თუ შეიძლებოდა ეთქვა სად იყვნენ დანარჩენი ქრისტიანები.

“არა, არ შემიძლია,” უპასუხა მან, შიშმა სძლია და ცრემლები წასკდა. საბარი ადგა და უფროსს უთხრა. “უკეთესია თუ ეს ბავშვი ჩემთან წამოვა. თუ აქ დიდხანს დარჩება მოკლავენ.”

კაცების ჯგუფი აგრძელებდა ყვირილს და სიკვდილით ემუქრებოდა ადელს, როცა მას საბარის სახლისაკენ მიაცილებდნენ. დათქვეს რომ გარეთ დალოდებოდნენ და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდათ ემოქმედათ. მაგრამ საბარმა უთხრა, “აქ უსაფრთხოდ იქნები. შეგიძლია ცარიელ ოთახში დაიძინო.”

თითქმის ცარიელ ოთახში შევიდა თუ არა მაშინვე კარი მიიხურა. საწოლზე დაჯდა-ჩალის ლეიბზე-და ცრემლები წასკდა ანტოს გახსენებისთანავე.

“ფიქრობ რომ მას შეუძლია შენი აქედან დახსნა?”

მომდევნო დღეს სამხედრო ფორმაში ჩაცმული კაცები მოვიდნენ სოფელში; მაშინვე საბარის სახლში მიიყვანეს ადელთან შესახვედრად. მათაც იგივე შეკითხვა აწუხებდათ რაც სხვებს: “სად არიან დანარჩენი ქრისტიანები?”

ადელმა კვლავ უარყო პასუხის გაცემა. ნება დართეს რომ თავის ოთახში დაბრუნებულიყო. მათი საუბარი მაინც ესმოდა თხელ კედლებში. დარწმუნებულ ჯარისკაცებს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ-ეპოვათ სხვა ქრისტიანები-და ადელი გიდად წაეყვანათ. შეძრწუნდა. გულში გადაწყვიტა რომ პირველ რიგში მოკვდებოდა.

გვიან, იმავე შუადღეს, სამმა ქალმა საჭმელი მოუტანა ადელს. მან კვლავ უარი თქვა ჭამაზე. ქალებმა ერთმანეთში საუბარი დაიწყეს და ადელი გაოცდა რომ მათ აქამდეც იცნობდა. ისინი მეზობელი სოფლიდან იყვნენ და დაბადებით ქრისიტანები. რატომღაც მუსულმან კაცებს გაჰყვნენ ცოლად და მათსავე რწმენაზე მოექცნენ. ერთერთის ცოლმა, უმმა, ბოროტი კრიტიკა დაუწყო ადელს. “შენი ბრალია რომ დედაშენი და შენი ბიჭი მკვდარია,” თქვა ზიზღით. “შენ უარყავი ისლამი, ეხლა კი გამოცდი. გინდა რომ გწამდეს იესოსი, მაგრამ ფიქრობ რომ მას შეუძლია ამ სიტუაციიდან დაგიხსნას?”

“მოკეტე, უმი! შეწყვიტე ასეთი საუბარი,” უბრძანა ერთერთმა ქალმა. “როგორ ფიქრობ? მუჰამედი *დაგვიხსნის*?” ადელმა

სითბო დაინახა ამ ქალის თვალებში და ვიდრე წავიდოდა გადაეხვია. ქალმა ტირილი დაიწყო და ყურში ჩაჩურჩულა, "შეიძლება ერთ დღეს დავუბრუნდე ქრისტეს."

ადელს არ შეეძლო ეთქვა ეს განცხადება იყო თუ კითხვა. მის დამწუხრებულ სახეს შეხედა და უთხრა, "თუ ნამდვილად გინდა დაუბრუნდე უფალს, ის გამოაჩენს გზას."

როგორც კი საღამო მოახლოვდა, ჯარისკაცები დაბრუნდენენ. გადაწყვეტილება მიეღოთ რომ, ყველა ქრისტიანი უნდა შეეკრიბათ კუნძულზე და ადელი იქნებოდა საუკეთესო როლის შემსრულებელი ამ საქმეში. როგორც კი ერთად შეკრებდენ ყოველ მათგანს-დაწვავდნენ. არცერთი მათგანი არ უნდა გადარჩენილიყო ცოცხლად. მელმა იცოდა რომ არაფრის გაკეთება არ შეეძლო მათი ბოროტული განზრახვის შესაჩერებლად, ჩაკეტილ ოთახში დარჩა და ილოცა ძალის მოსაკრებად. იცოდა, მათთან გიდად წასვლაზე უარის თქმა სიკვდილს უდრიდა.

კაცებმა ყიჟინა დაიწყეს საბარის სახლის გარეთ, ადელმა კედელს მიაყურადა, იქნებ მღელვარების მიზეზი შეეტყო. მეომრებს სხვა ქრისტიანი ოჯახი შეეპყროთ. ქმარი მოუკლავთ, მეუღლე და სამი შვილი დაჰმისაკენ მოჰყავდათ. ქალის სახელი გაიგონა, როზა. საწოლზე ჩამოჯდა გულჩამკვდარი. კარგად იცნობდა ამ ოჯახს. ერთერთი ბავშვი ანტოს ტოლი იქნებოდა და თითქმის მათ სახლში თამაშობდა ყოველ დღე.

შუშუაღამისას საბარი დაბრუნდა. სახე დაგრძელებოდა. "მელ, რა უნდა გავაკეთოთ? ჯარისკაცები მოითხოვენ რომ შენ მათთან წახვიდე."

ადელი გაოცდა რომ მან თქვა ჩვენ. საბარი როგორც ჩანდა თავისად აიგივებდა ამ ტანჯვას. მისმა სიკეთემ თითქოს კომფორტის პატარა კუნძული შესთავაზა ბოროტებით გარემოცულს, მაგრამ იცოდა რომ არჩევანი არ ჰქონდა. "უთხარი რომ შეუძლიათ პირდაპირ აქ მესროლონ. არ წავალ მათთან ერთად."

"რატომ გეშინია ასე ძალიან?" იკითხა საბარმა.

"იმიტომ რომ ვიცი მათი გეგმების შესახებ. გავიგონე რასაც ამბობდნენ, არ მივიღებ მონაწილეობას ვინმეს მოკვლაში," უპასუხა მან.

საბარმა ოთახი დატოვა. მომდევნო უძილო ღამე, კვლავ უარი საჭმლის მიღებაზე. რამოდენიმე საათში ახალი ამბები მოვიდა. კიდევ ერთი ოჯახიც ამოუწყვეტიათ. უფრო მეტი ქალები და ბავშვები დაუტყვევებიათ... პატარა გოგონა უპოვიათ. იქნებ ქრისტინაზეც რაიმე გაეგო, იქნებ ისიც ერთი ახალი ტყვე ყოფილიყო. გაიფიქრა, შესაძლოა უკეთესი ყოფილიყო რომ მოეკლათ ქრისტინა. ეს შემაძრწუნებელი აზრი იყო, მაგრამ ისიც აშინებდა რას უზამდნენ ეს უნამუსო ჯარისკაცები მის უმწიკვლო გოგონას.

ქრისტინა

დილის ოთხ სათზე ადელი ღმერთს შეღაღადებდა. "რატომ არ მომკლავ?" ცრემლები ღაპაღუპით ჩამოდიოდა სახეზე და კითხვას იმეორებდა, "რატომ?"

შეუბრალებელი მუქარა გრძელდებოდა სახლის გარეთ. ერთმა კაცმა თითქმის მოახერხა მაჩეტის შემოგდება მის ოთახში. ორი ქალბატონი, რომელიც ადელს წინა დღით ესტუმრნენ ისევ დაბრუნდნენ და ეხვეწებოდნენ რომ ეჭამა. მაგრამ მან უარი თქვა. თავის ოთახში დარჩა, ცდილობდა დილის სიმშვიდეში როგორმე დაეძინა, მაგრამ დროის უმეტეს ნაწილს ტირილში ატარებდა. მეთიუსა და დედამთილ-მამამთილისათვის ლოცვას აგრძელებდა-უმეტესად კი ქრისტინასათვის.

შემდეგ ახალი ამბავი მოვიდა.

"ადელ! ადელ!" იძახდა საბარი და ოთახში სწრაფად შემოირბინა. "კაცები არიან გარეთ და ამბობენ რომ შენი გოგონა ქრისტინა დაიჭირეს."

დიდი რისკი იყო... ძალიან დიდი, მაგრამ ადელს უნდა ცოდნოდა. შეიძებოდა რომ ქრისტინა ცოცხალი ყოფილიყო? თუ უბრალოდ სასტიკი ტყუილი საბარის სახლიდან გატყუების მიზნით? მხოლოდ ერთადერთი გზა იყო სიმართლის გასაგებად. შეიძლებოდა რომ ქრისტინა ცოცხალი ყოფილიყო?

ისინი ნავით წავიდნენ სოფელ სალუბში: ექვსი ჯიჰადის მეომარი, ადელი, საბარი (რომელიც დათანხმდა ადელის თხოვნას მასთან ერთად წასვლაზე), და ახალგაზრდა ტყვე მაქსი,

ანტოს სხვა მეგობარი, მაქსი მხოლოდ შვიდისა იყო. ადელმა მაგრად ჩაიკრა გულში პატარა გოგონა და ტირილით უსწორებდა თმებს სახეზე. ნაცნობი სახე, ოჯახის მეგობარი.

ადელი მაქსის გვერდით დაჯდა, გოგონა მჭიდროდ მიიკრა და თავზე ეალერსებოდა სალუბისაკენ მიმავალ მოკლე გზაზე. მაქსი ანტოს აგონებდა. მაგრამ მშვიდი მომენტი დაასრულა ნაპირზე ჯარისკაცების დანახვამ. ნავიდან გადასვეს და მათი სასტიკი მოპყრობა, ჯერ კიდევ ცოცხალი მის გონებაში, პრაქტიკულად განახლდა.

მაქსი შეძრწუნებული უყურებდა ადელზე ბოროტ თავდასხმას. ადელი ხმამაღლა ტიროდა და მისი სხეული უკონტროლოდ იგრიხებოდა. პატარა მეგობრის ყვირილის ხმის გაგონებაზე დაიძახა, "იესოს სისხი ძლევამოსილია!" ეხლა ის ფიქრობდა რომ სალუბში მგზავრობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ქრისტინასთან. იმედი ცემის გაგრძელებასთან ერთად ქრებოდა. საბარმა კაცებს ყვირილი დაუწყო შეჩერების მიზნით. როგორც კი მათი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანა ქალს ხელი მოჰკიდა და მდინარის ნაპირზე მდგარ დიდ სახლში შეიყვანა, სადაც სხვა ტყვეებიც იმყოფებოდნენ. შემდეგ კი უთხრა რომ უკან უნდა დაბრუნებულიყო. "მეტი არაფრის გაკეთება აღარ შემიძლია. თუ მეტად ჩავერევი მეც მომკლავენ. მაპატიე."

სახლში მყოფი ქალები მომავალი კაცების ყაყანზე ცახცახებდნენ. ადელმა სახე ხელებში ჩარგო და ტირილი მორთო, როგორც კი მისკენ მორბენალი ფეხის ხმა შემოესმა. მაღლა აიხედა და ადელმა ის დაინახა, ის იყო ქრისტინა!

ქრისტინამ დედას ხელები შემოხვია და ტირილი დაიწყო, "დედა, დედა!" ერთმანეთს მაგრად ეხვეოდნენ, გოგონა იტანჯებოდა სიტყვების წარმოთქმაზე. "ძალიან ვწუხვარ, დედა... ძალიან მეწყინა. მათ ბებია მოკლეს. მე დავინახე მისი ტანი, დედა მე დავინახე ანტო... მათ ისიც მოკლეს. ოხ, დედა!"

"ვიცი ქრისტინა... ვიცი რომ მათ ისინი მოკლეს." კიდევ ერთხელ გახსენება ადვილი არ იყო და ქვითინი დაიწყო. ქრისტინამ აღარ იცოდა რა ეთქვა, და აკოცა... კიდევ და კიდევ კოცნიდა დედას.

კითხვაზე გაუცემელი პასუხის ძიება

ტყვეობიდან მეექვსე დღის საღამოს, ადელი და სამოცამდე სხვა ქალი ერთად შეკრიბეს და უთხრეს რომ დილით მუსულმანობა უნდა მიეღოთ.

"მე არასოდეს გავხდები მუსულმანი," უპასუხა ადელმა.

"არა უშავს. ვალდებული არა ხარ. თუ შენ ან რომელიმე თქვენთაგანი უარს იტყვის, ყველას მოვკლავთ, "დაამოწმა უფროსმა." მათი სისხლი შენს კისერზე იქნება."

ქრისტიანებს შორის შეხვედრა შედგა. ტყვეობის შემდეგ პირველი შემთხვევა იყო, როცა მათ ნება დართეს ერთად საუბრის. ერთმანეთს ეხვეოდნენ ტირილით. ქრისტიანებმა იცოდნენ რომ უნდა გადაეწყვიტათ რა გაეკეთებინათ: მუსულმანად მოექცეოდნენ თუ, წამებულთა რიგებს შეუერთდებოდნენ? "შეიძლება გავიმეოროთ სიტყვები; ვთქვათ მათი ლოცვა. ღმერთმა იცის ჩვენი გულები; ის არ განგვსჯის," შესთავაზათ ბოლოს ერთმა კაცმა.

"როგორ? ამდენი ხანია უარვყოფდით და ყველაფერი ამაო იყო?"

"რა ვუყოთ ჩვენს შვილებს? ვუყუროთ როგორ დახოცავენ ჩვენს თვალწინ?"

"ნუთუ ღმერთს უნდა რომ ჩვენ ყველანი აქ, ამ მუსულმანურ სოფელში მოვკვდეთ?"

არგუმენტი გრძელდებოდა და მალე ნავლდებოდა. ადელმა სიტუაციას შეატყო. ადვილად იტყოდა უარს მოქცევაზე; იცოდა რომ თავისი რწმენა ბოლომდე მიიყვანდა. მაგრამ სამართლიანი იქნებოდა რომ მის გადაწყვეტილებას სხვების ბედზე ემოქმედა, ქრისტინას ჩათვლით? ლოცულობდა პასუხისათვის. მაგრამ უშედეგოდ.

მომდევნო დილით ქრისტიანები სასამართლოში წაასხეს. "მიიღეთ გადაწყვეტილება? მოექცევით თუ მოკვდებით?" იკითხა ჯიჰადის მებრძოლმა.

ვერავინ ბედავდა პირველს გაეცა პასუხი. პატარა ბავშვებმაც კი უარი თქვეს ლაპარაკზე, გაყურსულები იდგნენ შიშისა და შინაგანი ბრძოლისაგან-დარჩენილიყნენ ჭეშმარიტ

ქრისტიანად. უფროსის ჯიუტი სიჩუმე იზრდებოდა და თანაშემწეებს ყეფით აძლევდა დავალებებს თავის ენაზე. ჯარისკაცებმა თორმეტიოდე კოვზი მოიტანეს, უცნაური რიტუალით ტალახი აზილეს და ქრისტიანებს აიძულებდნენ რომ ეჭამათ. უფროსმა ადელს სახეში გაარტყა როცა ტალახი პირიდან გადმოაფურთხა. "ჭამე! ეხლავე შეჭამე!" უყვიროდა მას.

ადელი უარყოფდა.

წყლის მილი მოიტანეს და თითოეულ ტყვეს შეასხურეს. "ისლამის ნათლობა" დაიწყეს მუსულმანებმა და ყურანიდან მუხლებს კითხულობდნენ. როცა დაასრულეს, ცეკვა დაიწყეს როგორც მთვრალმა კაცებმა და იარაღს ჰაერში ისროდნენ, მტკიცების თანახმად ტყვეების მუსულმანად მოქცევას ზეიმობდნენ. ქრისტიანები გაჩუმებულები იდგნენ ერთად და ამაო ზეიმს შესცქეროდნენ.

გულები გაუჩერდათ, როცა დაინახეს რომ ჯარისკაცებს გაზოლინის ბალონები მოჰქონდათ მათკენ. კარგად ჩაცმული, საპატიო შესახედაობის ოფიცერი. ადელმა იცნო კუნძულ ჯავას ხელმძღვანელი. ერთი წამითაც არ ეპარებდა ეჭვი ისე მშვიდად გასცა ბრძანება, ქრისტიანები ერთ ოთახში შეემწყვრიათ და გაზოლინი შეეშვათ.

წიხლის კვრით ქოხში შეყარეს და შეძრწუნებულმა ქრისტიანებმა ყვირილი მორთეს, თან პატარა ბავშვებს იფარავდნენ. არ ეშინოდათ ქრისტესთვის სიკვდილის. რაც თითოეულმა მათგანმა დაამტკიცა ტყვეობის განმავლობაში. ცოცხლად რომ დაიწვებოდნენ და თავიანთი პატარა ბავშვების აალებას უყურებდნენ, ძალიან ძნელი იქნებოდა ამის ატანა. დაბლა დაემხნენ და ღმერთს შეჰღაღადებდნენ, რათა დაეხსნა ისინი ამ საშინელი სიკვდილისაგან.

მათი ლოცვისას კამათი ატყდა ჯარისკაცებს შორის. დაობდნენ, დაეწვათ თუ არა ქრისტიანები. ერთერთი მათგანი ამტკიცებდა რომ ეხლა ისინი მუსულმანები იყვნენ და შეიძლება გამოსადეგები ყოფილიყვნენ ჯიჰადისათვის. სწრაფად დათანხმდნენ. თუ ტყვეები თანხმობას განაცხადებდნენ ჯიჰადში მონაწილეობაზე, ეს დაამოწმებდა მათ პირობას ალაჰისადმი და შედეგად გადარჩებოდნენ კიდეც.

წინააღმდეგობის საფასური

მოისმინეს რა ეს არგუმენტი ადელმა და ზოგიერთებმა, შოკში ჩავარდნენ. ეს არ იყო ის პასუხი რასაც ეძებდნენ. გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო. თუ უფროსები დათანხმდებოდნენ ჯიჰადში მონაწილეობაზე ყველანი გადარჩებოდნენ. თუ არადა გაზოლინს გაუშვებდნენ ქოხში და დაიწვებოდნენ ქრისტიანები. შეშინებული ტყვეები მუხლის ჩოქებზე გაიყინენ, კიდევ ერთხელ ერთმანეთს შეჰყურებდნენ იმედის თვალით და ფიქრობდნენ ვინ გაბედავდა პირველად და იტყოდა რამეს. უფროსი ქოხში შემოიჭრა და კარგი ამბავი გამოაცხადა: "ვისაც შეუძლია იარაღის ტარება, შემოუერთდით ჯიჰადს, სამხიარულო იქნება!"

სიბრაზე აზვირთდა ადელის გულში ტყვეების მიმართ გულის ამრევი დაცინვის გამოხატვისას. მხნეობის განცდით აღივსო და ფეხზე წამოდგა. უფროსმა გაიცინა, იფიქრა რა რომ პირველი მოხალისე უკვე ჰყავდა. ამის ნაცვლად სხვებს მიმართა. "არც ერთი არ წახვიდეთ. თუ აპირებენ ჩვენს მოკვლას, მათთვის უკეთესია. აქ მოგვკლან. სულ რომ არაფერი, ერთად მაინც ვიქნებით."

უფროსმა ეჭვი შეიტანა მის განცხადებაში, ხელში ჩაავლო ხელი. "რა თქვი?"

ადელმა გაიმეორა, "ჩვენ არ შევუერთდებით ჯიჰადს. ეხლა მოშორდი აქედან." უფროსმა ადელს ხელი გადაუგრიხა, თვალებში ჩააშტერდა. არ ჭირდებოდა რომ ელაპარაკა; მისი თვალები სრულყოფილად გამოთქვამდნენ მის სათქმელს. ადელს სჯეროდა რომ ღმერთი დაიცავდა მათ. ისიც სჯეროდა რომ, მისი ხმამაღალი წინააღმდეგობა დაუსჯელი არ დარჩებოდა. ადელის უდრეკელობით გაოცებულმა უფროსმა ოთახი დატოვა და თან ფიქრობდა რომ მან ასეთი საქციელით ყველას ბედს ბეჭედი დაასვა.

სასწაულებრივად ჯარისკაცებიც წავიდნენ და ტყვეები ქოხიდან გაიყვანეს.

ორი კვირის განმავლობაში ადელი გამუდმებული ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. მუსულმანებმა იცოდნენ რომ მან სხვა პატიმრებზე მოახდინა გავლენა და მისი განადგურება უნდოდათ. მისი ფიზიკური შესაძლებლობა თანდათან კალაპოტში დგებოდა, რადგან ქრისტინას დაჟინებული თხოვნით ჭამა დაიწყო.

სამხედრო ხელმძღვანელობა თითქმის ყოველ დღე წინ და უკან დადიოდა ამ პატარა სოფელში ტყვეების ბედის გადასაწყვეტად. ეჭვობდნენ რომ ქრისტიანების მუსულმანად მოქცევა გულწრფელი არ იყო და დაობდნენ, რომ წინა გეგმის მიხედვით ყველანი უნდა დაეწვათ, რათა თავიდან აეცილებინათ მათი სოფლის სამალავად გადაქცევა. მათი მძევლების შესახებ ბოლო შეთანხმება, ქალების წინადაცვეთას შეეხებოდა.

ზოგიერთი ქალი შიშისაგან შეძრწუნდა და ისტერიკული ტირილი დაიწყო. მოწინააღმდეგეები სოფლის "კომანდირი"-ს გადაწყვეტილებას საეჭვოდ მიიჩნევდნენ, ის მაინც მათ სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. სხვები ფიქრობდნენ რომ ქრისტიანების ცოცხლად დატოვება სასარგებლო იქნებოდა, საბოლოო შეთანხმება მიიღწა თანასოფლელებს შორის, ქრისტიანებს ჯერ ცოცხლად დატოვნებდნენ.

რატომღაც, ყველა მცირეწლოვანი გოგონა წაიყვანეს, ქრისტინას ჩათვლით და სასტიკად დასერეს, ტკივილი აუტანელი იყო. ქრისტინა უგონოდ ტიროდა. ადელის სიბრაზე აინთო, კვლავ ეცადა როგორმე გაეკონტროლებინა შინაგანი შურისძიების გრძნობა. მისი მდგომარეობა წარმოუდგენლად რთული იყო, მაგრამ საკუთარი გოგონას ტანჯვის ცქერა განუზომლად უარესი. ყველა მუსულმანი სძულდა, საბარის გარდა. მან იცოდა რომ სიძულვილი სულის კიბოა და მხოლოდ მიტევება იქნებოდა მისი წამალი. მაგრამ მიტევება ძალიან შორს ჩანდა, შეუძლებელი. ერთადერთი რისი გაკეთებაც შეეძლო იყო მხოლოდ ლოცვა.

ექვსი კვირა გავიდა სიკვდილის დასჯის მცდელობის ზეწოლის გარეშე, მაგრამ ადელი გულში იტანჯებოდა. ის ხედავდა როგორ უყურებდნენ მუსულმანი კაცები მას, ერთმა ჯგუფმა უკვე სცადა მისი გაუპატიურება. რაც დრო გადიოდა უფრო გრძნობდა მათ გაშმაგებულ სურვილს და ფიქრობდა რამდენ ხანს შეძლებდა მათ მოგერიებას. სოფლის "კომანდირმა"-ც კი გადადგა შეუფერებელი ნაბიჯი. სწყუროდა მეთიუს ნუგეში, ფიქრობდა ნეტავ კიდევ ცოცხალი თუ იქნებოდა.

მეთიუ

მოულოდნელად, ერთ საღამოს, ოფიციალური მთავრობის საიდუმლო სათათბიროს პატარა ჯგუფი მოვიდა ნავით სალუბში. ოფიციალური პირების მტკიცებით სოფელში ქრისტიანები იყვნენ დატყვევებულნი, რასაც მუსულმანი ჯარისკაცები სასტიკად უარყოფდნენ. როგორღაც, ნაჰორმა, ვის კუთვნილებასაც წარმოადგენდა ნავი, ქრისტიანი იყო და გაიგო რომ ქალი, სახელად ადელი დატყვევებული ჰყავდათ. მგზავრები გადმოსხა თუ არა, დაუყოვნებლივ მის სანახავად გაეშურა.

"ადელი ხარ?" იკითხა ნაჰორმა ჩუმად, მას შემდეგ რაც ვიღაცამ მიასწავლა მისი ვინაობა.

"შენ ვინ ხარ?" უპასუხა ადელმა ეჭვის კილოთი. ქალს უჭირდა სიტყვების პოვნა და ტირილი დაიწყო როცა ნაჰორი გადაეხვია. "მე ყველაფერი გავიგე შენი მდგომარეობის შესახებ," თქვა მან.

"რა? როგორ გაიგე ჩემს შესახებ?"

"მეთიუმ მითხრა."

ადელი ყურებს არ უჯერებდა. მეთიუ ცოცხალი იყო! პირველად ექვს კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში სიხარული მოეძალა და გაიცინა კიდეც. "მეთიუ ცოცხალია?" იკითხა მან, რათა დარწმუნებულიყო რომ არ მოეყურა.

"დიახ, რა თქმა უნდა ცოცხალია. გინდა რომ წერილი მიწერო?" იკითხა ნაჰორმა.

წერის გაფიქრებისთანავე მეთიუ შემოიჭრა მის გონებაში. როგორ სწყუროდა მასთან კონტაქტის დამყარება! პირველ რიგში რამოდენიმე აუცილებელი საკითხი იყო მოსაგვარებელი. "დიახ, დიდი სურვილი მაქვს მიწერის. ჯერ რაღაც უნდა გავაკეთო, აუცილებლად. სწრაფად! მომეცი საწერი და ფურცელი."

დაჯდა და ტყვეთა სახელების წერა დაიწყო გამალებით. ჯერ კიდევ სიის შედგენაზე მუშაობდა, როცა მისკენ მომავალი უფროსი დაინახა. "სწრაფად, ეს წაიღე ნაჰორ. ოღონდ იფრთხილე!" ადელი ნაჩქარევად გადაეხვია ნაჰორს და მეთიუსთან წერილის მიუწერობის სინანულის გრძნობით გაუჩინარდა. როგორ უნდოდა ეთქვა მისთვის ყველაფერი... როგორ უყვარდა და

ენატრებოდა... როგორი მამაცი იყო ქრისტინა. მაგრამ საკმარისი დრო არ იყო და ამავდროულად იძულებული იყო ტყვეთა სია დაეწერა. უდაოა, მათი ოჯახის წევრები წუხდნენ. იმედოვნებდა რომ ვერავინ დაინახა ნაჰორთან მოლაპარაკე.

"რას წერდი?" იკითხა უფროსმა გაშმაგებით, რადგან დაინახა, რომ ადელი არა მარტო ელაპარაკა ნაჰორს, არამედ რაღაც ფურცელიც გადასცა. "წერილი გააგზავნე?"

"არა, წერილი არ დამიწერია," უპასუხა ადელმა.

"აბა, რა დაწერე?" თქვა გაბრაზებული ტონით, და კისერზე დანა დაადო.

მტკიცედ უპასუხა ადელმა, "უბრალოდ იმათი სია დავწერე აქ რომ გყავთ დატყვევებულნი."

"რა გააკეთე?!" ბრდღვინავდა "კომანდირი". ადელი დარწმუნებული იყო რომ დანას გაუყრიდნენ, უკვე პირველად აღარ ეშინოდა ამის. მან ის გააკეთა რასაც საჭიროდ თვლიდა და მეთიუ ცოცხალი იყო. დღეს კარგი დღე იყო. ისეთი დღე რომ თვით უგულო "კომანდირსაც" კი არ შეეძლო მისი შეცვლა. "ეს ესაა დავარწმუნე მთავრობის ოფიციალური პირები რომ არავინა გვყავს დატყვევებული მათი ნება-სურვილის გარეშე. შეთანხმებას ხელი მოვაწერე და ეხლა გააგზავნე პატიმრების სია! შე ღორო! გადაიხდი ამისათვის."

უფროსი არ ცდებოდა იმაში რასაც ამბობდა. ადელი სასტიკად სცემეს იმ დღისით და მომდევნო დღეების განმავლობაშიც. ორი თვეც არ იქნებოდა გასული რომ სოფელი სალუბი ისევ გამოძიების საგანი გახდა. ადელის სია გადაეცა ოფიციალურ მთავრობას და დატყვევებულთა ოჯახებს, მეთიუს ჩათვლით. სიტყვამ მოაღწია ადელამდე "მეთიუ მოდის ოფიციალურ პირებთან ერთად შენი და ქრისტინას წასაყვანად." ადელი ექსტაზში ჩავარდა. მან და მისმა გოგონამ ადამიანისათვის წარმოუდგენელ ჯოჯოხეთურ წამებას გაუძლეს და ეხლა ისინი სახლში მიდიან. სულიერად ამაღლდა. საკუთარი თავი კვლავ გაღიმებული ნახა. ქრსტინა არ იყო დარწმუნებული. "მართლა მივდივართ სახლში?" იკითხა სკეპტიკურად. "მამიკოსთან ვიცხოვრებთ. მაგრამ ნება რომ არ დაგვრთან წასვლის?"

ადელი ქრისტინას ხმაში აღელვებას ხედავდა, რაც დასაფასებელი იყო. გადაეხვია თავის მამაც გოგონას და

ფიქრობდა, თუ რა ხერხი უნდა გამოეგონებინათ დამტყვევებლებს მათი გათავისუფლების წინააღმდეგ. ამის შესახებ მომდევნო დღეს შეიტყო.

"ვერ წამოვალ შენთან ერთად"

ადელი და ქრისტინა ტყვეების წინ დააყენეს. უფრომა ქრისტიანებს მიმართა, "მალე ამათ დაჰმაში წავიყვანთ, თავის ქმართან შესახვედრად." მეთიუს მოსვლის შესახებ ცნობა უკვე შეეტყოთ ტყვეებს. ისინი იცნობდნენ ადელს, თუ წასვლის ნებას დართავდნენ, არ მოისვენბდა ვიდრე დანარჩენ პატიმრებს გათავისუფლებულებს არ ნახავდა. ის იქნებოდა მათთვის მაშველი თოკი თავისუფლებისაკენ.

შემდეგ 'კომანდირმა' ნაცნობი ძალადობის ტონით გააგრძელა: "ადელს და ქრისტინას შეეკითხებიან თქვენთან დარჩენა უნდათ თუ მეთიუსთან წასვლა. თუ რომელიმე მათგანი გადაწყვეტს მასთან ერთად წასვლას, ყველა თქვენგანს მოვკლავთ." წასვლისას უფროსი ხუთიოდე წლის გოგონას წინ მიწაზე დაიხარა. ქარქაშიდან დანა ამოიღო, მოცახცახე გოგონას ყელზე მიაბჯინა და ბოროტად დაამატა, "შენც."

ქრიატიანები იდგენენ და გაოცებულები შეჰყურებდნენ ადელს. როგორ შეეძლო მას ასეთი გადაწყვეტილების მიღება? ფიქრობდნენ ისინი. იმასაც ფიქრობდნენ როგორ მოიქცეოდნენ მის ადგილზე რომ ყოფილიყვნენ. ადელმა იცოდა რომ არავინ არ დაადანაშაულებდა მეთიუსთან ერთდ წასვლა რომ გადაეწყვიტა. მაგრამ ვიდრე რაიმეს უპასუხებდა, უფროსმა თქვა, "წავედით."

ეხლავე? წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თუ მეთიუ უკვე ელოდებოდა მათ. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. დრო სჭირდებოდა რომ ელოცა, რომ დარწმუნებულიყო 'კომანდირი' მართლა დახოცავდა ყველას თუ არა. არადა როგორ შეძლებდა მეთიუსათვის ზურგის შექცევას? როგორ მიიღებდა ისეთ გადაწყვეტილებას რომელიც დანარჩენი ტყვეების სიკვდილს გამოიწვევდა?

ვიდრე ამაზე პასუხი ექნებოდა, იმ ოთახისაკენ გაუძღვნენ სადაც მეთიუ სამხედრო ოფიცერთან ერთად იჯდა. როგორც კი

ოთახში შევიდნენ ‘კომანდირმა’ ყურში ჩასჩურჩულა ადელს, “გახსოვდეს: თუ რომელიმე თქვენთაგანი გაყვებით, ყველა პატიმარს მოვკლავთ. არა მარტო მათ, არამედ მეთიუსაც. ვფიცავარ, მასაც მოვკლავ.” მისმა გამყინავმა სიტყვებმა ზურგი გაუცივა ადელს და ფიქრობდა რომ შესაძლოა ეს ბლეფი იყო.

ადელს შეეძლო დაენახა ტანჯვა მეთიუს თვალებში. როგორ სურდა რომ თავის გოგონასთან და მეუღლესთან ერთად ყოფილიყო! ბოლო სამი თვე მთელს სიცოცხლეს უდრიდა მისთვის, მაგრამ იმედიც კიაფებდა მის თვალებში ამავდროულად. დარწმუნებულიც იყო, მას უკვე გულში მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რომ უკან მათ გარეშე არ დაბრუნდებოდა. ყველაფერი რისი გაკეთებას შეეძლო იყო ლოცვა ძალისათვის.

ოფიცერმა თვი წარადგინა როგორც ბატონი საიდ და ყოყმანის გარეშე იკითხა, “ადელ, მეთიუსთან ერთად წასვლა გინდა თუ სალუბში დარჩენა?” ადელმა იცოდა რომ ამ კითხვას დაუსვამდნენ, სიტყვა სიტყვით ჰქონდა ინსტრუქცია მიღებული, როგორი პასუხი უნდა გაეცა. ეცადა ელპარაკა, მაგრამ ტუჩები უხმოდ მოძრაობდნენ. ბატონმა საიდმა კითხვა უფრო ხმამაღლა გაიმეორა. “ადელ, მეთიუსთან ერთად წასვლა გსურთ თუ სალუბში დარჩენა?”

ადელმა პირდაპირ მეთიუს შეხედა, რომელსაც უკვირდა ამდენხანს შეყოვნება რათ უნდოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. “მეთიუ...” თვალებზე ცრემლები მოადგა და სიტყვები ყელში ეჩხირებოდა. “არ შემიძლია შენთან ერთად წამოსვლა.”

მეთიუს უნდოდა სკამიდან წამომხტარიყო, ადელთან მიერბინა და მიზეზი ეკითხა, მაგრამ საიდმა შეაჩერა. დაუყოვნებლივ საიდმა იგივე კითხვა გაუმეორა ქრისტინას. ადელი ჯერ კიდევ ტიროდა და გოგონას შესცქეროდა, დარწმუნებული არ იყო მის პასუხში. დრო არ ჰქონდა ქრისტინას დასარწმუნებლად და ეხლა კი სჯეროდა, რომ ყველა პატიმარს და მეთიუსაც მოკლავდნენ, თუ რომელიმე მათგანი წასვლაზე დათანხმდებოდა. როგორ შეეძლო ცხრა წლის გოგონას მამასთან წასვლაზე უარის სიმწარეს ჩასწვდომოდა?

“არ შემიძლია შენთან ერთად წამოსვლა მამა. მაპატიე...,” ამოიქვითინა ქრისტინამ სასოწარკვეთილებისაგან და უნდოდა მამისათვის მიზეზი აეხსნა.

ბატონმა საიდმა უხეშად შეაწყვეტინა, “ხედავ. დავამთავრეთ. ამის შემდეგ ერთი სიტყვა აღარ იქნება ამ საქმესთან დაკავშირებით. გასაგებია?”

ადელს და ქრისტინას ხუთი წუთი მისცეს მეთიუსთან სალაპარაკოდ, მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ყოველგვარი ჩურჩულის გარეშე. ადელმა მათი ბრძანება უარყო და ჩუმად ლაპარაკობდა, ლოცულობდა რომ მათ არ გაეგონათ. “მეთიუ, სხვა გზა არ მქონდა, ასე უნდა მეპასუხა. იმუქრებიან რომ დანარჩენებს მოკლავენ თუ შენთან წამოვალთ. გთხოვ ნუ შემიძულებ. მანამდე ვიდრე ვიცოცხლებ იმედს არ დავკარგავ. ვიცი რომ ერთ დღეს კვლავ ერთად ვიქნებით.”

მეთიუმ თავის ლამაზ ცოლს შეხედა, მის თვალებში ტკივილი ამოიკითხა და აფასებდა კიდეც მის სიმხნევეს. აღარაფერი იყო სათქმელი. მან უბრალოდ შეხედა თავის ოჯახს და თქვა, “გასაგებია.”

შეხვედრა მალე დასრულდა, ადელი და ქრისტინა ოთახიდან გამოაცილეს. ადელი უკან შებრუნდა რათა საბოლოოდ თვალი მოეკრა მეთიუსათვის, მაგრამ უფროსმა დაინახა და მუშტი მოუღერა. “არ შეხედო,” ჩაისისინა მან. “ის იესოს შვილია. ის ღორია!” იმედს წერტილი დაესვა, ეხლა მხლოდ მომავალზე ფიქრობდა. მხოლოდ ტირილიღა შეეძლო.

მომდევნო რამოდენიმე კვირის განმავლობაში იმ იმედს ებღაუჭებოდა რომ ერთ დღეს მეთიუს კვლავ დაუბუნდებოდა. ეს შველოდა ტყვეობის ტკივილისაგან გათავისუფლებაში და საბაბი მიეცა იმედის დამყარების, რაც არ უნდა შორეული ოცნება ყოფილიყო მაინც.

შემდეგ, აპრილის ათში, მისი ოცნება საშინელ სიზმრად შეიცვალა...

“ადელ,” დაიწყო ‘კომანდირმა’, “გადაწყვეტილება მივიღე შენს შესახებ. ბევრ ტანჯვას გამომატარე და ცხადია რომ პრობლემებს მიქმნი. გადავწყვიტე რომ ერთერთ კაცს მიგათხოვო. ალბათ ის შეძლებს შენს გაკონტროლებას.”

ადელს არ შეეძლო ამის დაჯერება. “მე ვერავის ვერ გავყვები ცოლად! უკვე მეთიუზე ვარ გათხოვილი!”

“მე გითხარი შენ. მეთიუ კაცი არ არის. ის ღორია და არ ვაღიარებ მის შენთან ქორწინებას. თუ უარს იტყვი შენთვის

ამორჩეულ კაცთან ქორწინებაზე, ყველა კაცს მივცემ შენს თავს.” უფროსმა არგუმენტი არ მიიღო და ადელმა იცოდა მისი სახის გამომეტყველებაზე რომ გადაწყვეტილება მეტად სერიოზული იყო. გასაქცევი არსად ჩანდა.

ადელი დანარჩენ ტყვე ქალებს სთხოვდა დახმარებას. იცოდა რომ ცოტა რამის გაკეთება თუ შეეძლოთ, მაგრამ იმედოვნებდა რომ მასთან ერთად შეეწინააღმდეგებოდნენ ამ ნაძალადევ ქორწინებას. ისინი სდუმდნენ, საკუთარი სიცოცხლის შიშის გამო. ბოლოს ერთერთმა მათგანმა უთხრა, თუ არ მითხოვდები იმ კაცს, ისინი ყველას გაგვაუპატიურებენ და მოგვკლავენ.”

ადელი განადგურებული იყო. ყველა ღონე იხმარა ამ ქალების გვერდში დასადგომად და ეხლა მათ გაყიდეს. ქვითინი დაიწყო, “როგორ შეგიძლიათ ზურგი მაქციოთ ამ მდგომარეობაში და გამყიდოთ საკუთარი თავის დასახსნელად?”

ზოგიერთებმა მხოლოდ ბოდიში მოიხადეს და ერთმანეთს ეხვეოდნენ ტირილით. იცოდნენ რა რომ მრავალ ძალადობას შორის ეს საბოლოო არ იქნებოდა.

როცა ის და ქრისტინა აიძულეს ალმინის-მისი ახალი ქმრის სახლში გადასულიყვნენ ადელს სიტუაციის გაუარესება წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, მაგრამ ასე მოხდა. რამდენიმე თვის შემდეგ იგი ფეხმძიმედ დარჩა.

ახალი სიცოცხლე

ოქტომბრის თვეში ადელი ემოციურ კრიზისს განიცდიდა. გრძნობდა თითქოს სრული ინერციით უსასრულო ორმოში მიექანებოდა. ამ მხეცებმა მისი დედა და ვაჟი მოკლეს და თვითონ კი უმოწყალოდ სცემეს უთვალავჯერ. ეხლა კი სჯეროდა რომ მეთიუსთან დაბრუნების იმედიც წაართვეს. სიძულვილი, რომელიც მისი დატყვევების დღეს დაიწყო მასში მყოფ ახალ სიცოცხლეზე, სწრაფად იზრდებოდა.

ტიროდა იმედის მოლოდინში, მაგრამ უშედეგოდ. უდანაშაულო ბავშვის შეყვარებაც კი არ შეეძლო. ადელისათვის ის ყველაფერ იმის გახსენებას ნიშნავდა რაც მას წაართვეს.

“აღარ დავუშვებ რომ კიდევ წამართვან,” გადაწყვიტა მან. მარტო ყოფნის დროს ელოდა. სამზარეულოს მაგიდის უჯრიდან

დანა აიღო. დაუჯერებელია როგორ განვითარდა მოვლენები. ადელს კითხვა აწუხებდა. რატომ იყო ცოცხალი და რატომ გადიოდა ამდენ უბედურებას. იცოდა რომ ღმერთმა დაიცვა იგი. მაგრამ, გრძნობდა რომ ამის შემდეგ აღარ უნდა ეცოცხლა. ნელ-ნელა დანას მუცელზე იჭერდა და ლოცულობდა რომ ღმერთს ეპატიებინა.

"დედა, გაჩერდი!" დაიყვირა ქრისტინამ, ოთახში შემოირბინა და ხელიდან დანა წაართვა. ადელს ცრემლები წასკდა და იატაკზე დაეცა. ეხლა ქრისტინაც ტიროდა მასთან ერთად. "დედა, რას აკეთებ? როგორ შეიძლება ეს შენს თავს დამართო? ამ ბავშვს ხომ არაფერი დაუშავებია. უდანაშაულოა."

ადელი დაიმსხვრა. რამოდენიმე საათი ტიროდა და ქრისტინას სიტყვები ექოს გამოძახილს ტოვებდა მის სულსა და გულში. ღმერთს იმ სიძულვილის პატიებას სთხოვდა რომელიც დამტყვევებლების მიმართ ჰქონდა გულში. გააცნობიერა რომ მისმა სიძულვილმა კინაღამ უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ზუსტად ისე როგორც ჯიჰადის მეომრებმა მას გაუკეთეს. ეს მწარე სიმართლე იყო, მას მაშინვე არ უგრძვნია პატიების განცდა დამსახიჩრებელთა მიმართ, იცოდა ნება უნდა მიეცა ღმერთის მადლის მოქმედებისათვის. მისმა სიძულვილის გრძნობამ შეაჩერა ღვთის სიყვარულის განკურნების ძალა, რომელსაც ეხლა სცდიდა.

ადელმა მოფერება და ლაპარაკი დაუწყო ახალ სიცოცხლეს მუცელში. სჯეროდა რომ გოგო იქნებოდა და სარა დაარქვა.

"სარა, გთხოვ მაპატიო. გთხოვ აპატიო ცოდვები დედაშენს. შენ არაფერი ცუდი არ გაგიკეთებია. შენ ყველაზე კარგი ხარ რაც კი შეიძლება ასეთი ცუდი სიტუაციიდან გამოვიდეს. მე შენ მიყვარხარ."

როგორც ჩანდა შავი ღრუბელი განშორდა ამდენი ლოცვის და სარასთან საუბრის შემდეგ. თავიდან ადელი დაუბადებელ ბავშვსაც კი მტრად მიიჩნევდა, თავისი ვაჟის მკვლელად. ეხლა მან გააცნობიერა რომ ის მისი-საკუთარი შვილი იყო. როგორც კი ორივე გოგონას გადაეხვია ნაუცბათევი კავშირი დამყარდა მათ შორის.

მეორე დღეს, დილით ადელმა ფურცელი აიღო, იცოდა რა რომ მეთიუსთან კავშირი უნდა დაემყარებინა. უნდა ეთქვა მისთვის

რაც მოხდა და პატიება ეთხოვა. თუ ადელს თავის ცოლად აღარ ჩათვლიდა, გაუგებდა და საწინააღმდეგოც არაფერი ექნებოდა. უბრალოდ უყვარდა და ერთი სული ჰქონდა მასთან დაბრუნების. წერისას ცრემლები მელანს ერეოდა და ფურცელი ითხაპნებოდა. ფიქრობდა რომ ალბად შეუძლებელი გახდებოდა ამ წერილის წაკითხვა. წერას რომ მორჩა ექვსი ფურცელი იყო. ადელისათვის ეს იყო ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანი სასიყვარულო წერილი ვიდრე ოდესმე დაუწერია. ფრთხილად დაკეცა და შეინახა, ელოდა რა შესაფერის სიტუაციას მის მათეუსთან გასაგზავნად.

24 დეკემბერი, ყველა ტყვე იძულებით ამუშავეს ქოქოსის პლანტაციაში. რთული სამუშაო, განსაკუთრებით ექვსი თვის ფეხმძიმე ადელისათვის.

პატიმრებმა იცოდნენ რომ შობის წინა საღამო იყო და წარსულის მოგონებებში გადაეშვნენ. იმ საღამოს ადელმა გაბედა და "წყნარი ღამის" ღიღინი წამოიწყო, დანარჩენებიც შემოუერთდნენ. გაყინულ სახიანი ჯარისკაცები გაოცებით უსმენდნენ მათ სიმღერას. ყველამ იცოდა რომ ქრისტეზე ამ ტრადიცულ საშობაო საგალობელს შესაძლოა საშიშროება მოეტანა. სავარაუდოდ ცემდნენ, მაგრამ როგორც ჩანდა დიდად არავის აწუხებდა ეს პრობლემა. სიმღერისაგან გამოწვეული სიხარული ეღირებოდა დასჯად.

გვიან საღამოს კიდევ იმღერეს და თავიანთ ოჯახებს შეუერთდნენ წარმოსახვით. სხეულით ტყვეებად რჩებოდნენ, მაგრამ სულით თავისუფლებად და აგრძელებდნენ სიმღერას ცათა სასუფეველზე. მომდევნო დღეს ტიროდნენ: სიხარულისა და წუხილის ცრემლებით დასტიროდნენ თავიანთ პატიმრობას ბედნიერი მომავლის იმედად. მათ არასოდეს დაავიწყდებათ ერთად გატარებული შობის საღამო მინდორში.

18 მარტს სარა დაიბადა.

ეხლა როცა ბავშვი დაიბადა, ქრისტინამ იფიქრა დრო იყო დედამისისათვის ეთქვა, "უნდა ეცადო და გაიქცე, მარტო შენ და სარა. უნდა წახვიდეთ. თუ არ წახვალ ყველანი აქ მოვკვდებით."

"არ შემიძლია შენი დატოვება, ქრისტინა. არასოდეს დაგტოვებ," არწმუნებდა ადელი გოგონას.

“დედა, მომისმინე. *უნდა* წახვიდე,” იხვეწებოდა ათი წლის გოგონა. “ალმინი ყველას ერთად არასოდეს გაგვიშვებს. შენ და სარა თუ წახვალთ, ის იფიქრებს რომ აუცილებლად დაბრუნდები უკან. მაგრამ ეს არ უნდა გააკეთო. მამასთან უნდა დაბრუნდე. ის მოვა ჩემს წასაყვანად. ეს არის ჩვენი ერთად-ერთი იმედი.”

ადელმა იცოდა რომ მისი შვილი მართალი იყო, არ ესმოდა როგორ შეიძლებოდა მას ასეთი გეგმა შეემუშავებინა. არ იცოდა მეთიუ მიიღებდა თუ არა და ეხლა სარა. არ შეეძლო ამდენი კითხვებით დახუნძლულს გაქცევა.

აპრილში მისი პასუხი მოვიდა. თითქმის ექვს თვეზე მეტი ატარებდა მეთიუსათვის დაწერილ წერილს, იმედითა და მისი გაგზავნის შესაძლებლობის ლოდინით. ერთ შუადღეს, ბავშვები სტუმრობდნენ მის სოფელს, შემთხვევაც მოვიდა. ადელი იცნობდა ერთერთ მათგანს და ეცადა შეუმჩნევლად მისულიყო მათი თამაშის ადგილამდე. სწრაფად გადასცა წერილი გოგონას და სთხოვა რომ მეთიუსათვის მიეტანა. ბავშვმა წერილი გამოართვა და თავი უბრალოდ, თანხმობის ნიშნად დაიქნია.

ადელი სახლში გაბრუნდა, ლოცულობდა რომ წერილს მეთიუმდე მიეღწია... რომ ეპატიებინა... კიდევ ყვარებოდა ქმარს. და ყოველ დღე სოფელს გაჰყურებდა, ნერვიულად ელოდა ბავშვის სტუმრად დაბრუნებას. რამოდენიმე დღის შემდეგ მისი ლოდინიც დასრულდა.

“ნახე მეთიუ? გადაეცი ჩემი წერილი?” მოუთმენლად ეკითხებოდა ბავშვს.

“დიახ, პირადად მივეცი. როგორც კი წერილი გადავეცი მაშინვე ეს გამომატანა.”

ადელი გაოცდა როცა ბავშვმა მას წერილი მიაწოდა. რაც მეთიუს მანამდე დაეწერა ვიდრე ადელის წერილს მიიღებდა. კონვერტის ფერზე და გაცრეცილ ნაპირებზე შეატყობდით რომ დიდი ხანი ჯიბით უტარებია, ზუსტად ისე როგორც ადელს.

გაიფიქრა რომ იქვე წაეკითხა, მალევე შეიცვალა აზრი. ვაი თუ მეთიუს სძულდა ის? ვაი თუ, უკვე სხვა ქალზე დაქორწინდა? ემოცია მძლავრობდა, სახლის უკან მოეფარა და კონვერტი სისწრაფისაგან თითქმის დახია. კითხვა დაიწყო და გულმაც ცემას უმატა.

> “ადელ, შეიძლება ათი ბავშვი გყავდეს ათი კაცისაგან, მაგრამ შენ მაინც ჩემი ცოლი იქნები. არ გახსოვს, რა თქვა ხუცესმა? მხოლოდ ღმერთს შეუძლია ეხლა ჩვენი დაშორება. მიყვარხარ.”
>
> მეთიუ

ადელმა პასუხი მიიღო. შეეძლო გაქცევა დაეგეგმა.

გაქცევა და გადარჩენა

თთითქმის ორი თვის შემდეგ, ივნისის 18-ში, ალმინმა ნება დართა ადელს რომ მეზობელ კუნძულზე წასულიყო ნათესავების მოსანახულებლად. სარა მაგრად ჰყავდა გულში ჩახუტებული, გამგზავრების წინ, ნავზე ასვლისას ქრისტინასაც ჩაავლო ხელი. ალმინმა ქრისტინა დაიჭირა. “ეს აქ დარჩება.”

ადელმა სთხოვა ალმინს ქრისტინას გაშვებაც, მაგრამ მან მაინც უარი თქვა, “მაშინ არ წავალ მის გარეშე,” დაიჟინა მან. ალმინი არ მოტყუვდა. იცოდა რომ მისი “ცოლი” გაიქცეოდა თუ უფროს გოგონასაც გააყოლებდა. ზუსტად ისე მოხდა როგორც ქრისტინამ დაგეგმა. დედას გადაეხვია და ყურში ჩაჩურჩულა, “დედა, გთხოვ, დამპირდი რომ შენ და სარა მამიკოსთან წახვალთ. ძალიან გთხოვ. მე კარგად ვიქნები”. ადელმა ქრისტინა მაგრად მიიკრა მკერდზე, ფიქრობდა როგორ შეძლებდა მის მიტოვებას. როგორც ჩანს ქრისტინას თხოვნა პირდაპირ გულში მოხვდა. უკვირდა როგორ შეიძლებოდა რომ მისი გოგონა ასეთი მამაცი ყოფილიყო, ადელმა აკოცა და გამოემშვიდობა. შესაძლოა ეს იყო ბოლო დღე ვიდრე მას კვლავ ნახავდა. ან ვერასოდეს.

ადელი ნავის საზურგეს მიეყრდნო და ქრისტინას მანამდე უყურებდა ვიდრე არ გაუჩინარდა. სარას ჩაეხუტა და კვლავ ტირილი დაიწყო, კვლავ თავის თავს ეკითხებოდა სწორი არჩევანი გააკეთა თუ არა. მას არანაირი სურვილი არ ჰქონდა შორეული ნათესავის მონახულების. ის სასწრაფოდ გაუდგებოდა გზას მეთიუსაკენ, ვიდრე ალმინი მიხვდებოდა რომ გაუჩინარდა. შემდეგ კი როგორღაც ქრისტინა უნდა დაებრუნებინათ.

ადელს ერთი კვირა დასჭირდა იმ ადგილამდე მისასვლელად სადაც მეთიუ იდგა. გზა რთული და გრძელი იყო, ადელი თავს

არიდებდა მეთიუსთან აქამდე კონტაქტს ალმინის შიშით. ის სასტუმროს საძინებელი ოთახის საწოლზე ჩამოჯდა, სარა ხელში ეჭირა და ღელავდა. *მართლა ვენდომები მეთიუს? ეკითხებოდა თავის თავს. რას იტყვის სარას შესახებ?*

მართალია ეხლა თვისუფალი იყო, მაგრამ მაინც ტყვედ გრძნობდა თავს. უფრო მეტიც, გამყიდველად გრძნობდა თავს. სხვა კაცს გაჰყვა ცოლად და ქრისტინა იქ დატოვა. როგორ შეძლებდა მეთიუ ამის პატიებას? კიდევ და კიდევ ეკითხებოდა საკუთრ თავს ტირილით და ცდილობდა როგორმე დაეძინა.

ადელს უცბად გამოეღვიძა მეთიუს სახლში შემოსვლის ხმაზე. საწოლზე წამოჯდა, კანკალებდა; სარას დასწვდა, რომელსაც ჯერ კიდევ ეძინა და ადგა. უცბად დარწმუნდა რომ საშინელი შეცდომა ჩაიდინა, ადელს უნდოდა სახლიდან გაქცეულიყო. არ ფიქრობდა სად წავიდოდა; უბრალოდ უნდა გაქცეულიყო. არ შეეძლო მეთიუს დანახვა.

ვიდრე კარებამდე მივიდოდა მეთიუ ოთახში შემოვიდა. წამიერი დაყოვნების გარეშე ცოლისაკენ გაიქცა და გადეხვია. შემდეგ ბავშვს დახედა, რომელიც ადელს ხელში ეჭირა და გაუღიმა. "ეს არის ჩვენი ახალი გოგონა," თქვა მან. ადელმა ტირილი დაიწყო-ამჟამად სიხარულის ცრემლები-დიდი ხნის შეხვედრის სიხარულის. ადელს უნდოდა რომ მეთიუს ყოფილიყო მიკრული სამუდამოდ, მის ძლიერ მკლავებში თავს დაცულად გრძნობდა. მამა აუცილებლად უნდა წასულიყო. მეთიუ მანამდე ვერ მოისვენებდა, სანამ გოგონას არ დაიბრუნებდა.

ადელი ნერვიულად ელოდა ყოველ დღე, არაფერი ისმოდა მამა-შვილის შესახებ. *ვაი თუ ქრისტინა უკვე მოკლეს? ვაი თუ მეთიუც მკვდარია? ნუთუ ეს ყველაფერი ჩემი ბრალია?* ცდილობდა შებრძოლებოდა ამ აზრებს და ლოცულობდა ღმერთის წინაშე, რომ მისგან მიეღო დამარწმუნებელი პასუხი.

სიმშვიდე ჰპოვა წმინდა წერილში რომელიც ასე ძალიან მონატრებოდა თექვსმეტ თვიანი ტყვეობის განმავლობაში. გაახსენდა როგორ აქციეს ნაფლეთებად ჯიჰადის მეომრებმა მისი ბიბლია ჯუნგლებში. წიგნი ფილიპელთა მეცამეტე თავზე გადაშალა და როგორც ჩვევა ჰქონდა ხმამაღლა წაიკითხა: "ყოველივეს კეთება ძალმიძს ქრისტეში ჩემი გამაძლიერებლის მიერ." გაახსენდა ბოლო დრო, როცა ეს ადგილი წაიკითხა. ეს

იყო სოფლის გორაკზე მეზობლების თავდასხმის დღეს. მთელმა ცხოვრებამ გაიარა მას შემდეგ, ჯოჯოხეთში იმოგზაურა და უკანაც დაბრუნდა. იცოდა რომ ტანჯვის დასასრული ჯერ კიდევ შორს იყო, არ შეეძლო ქრისტინაზე ფიქრის შეწყვეტა, ეჭვობდა გაყიდა თუ არა საკუთარი გოგონა.

ორ კვირაზე მეტმა განვლო მეუღლის წასვლიდან, როცა ადელმა პასუხი მიიღო რომ მეთიუ ქრისტინასთან ერთად მოდიოდა. ბოლოს და ბოლოს როგორც ოჯახი კვლავ გაერთიანდებოდნენ. სიხარულის ცრემლები წამოცვივდა, მადლობას უხდიდა ღმერთს, მეთიუს მიერ ქრისტინას დაბრუნებისათვის. ეხლა ის ადარდებდა... რამდენად შორს წავიდოდა ალმინი მათ დასაბრუნებლად?

ეპილოგი

როცა ადელს ინტერვიუ ჩამოვართვით, ის და მეთიუ იატაკქვეშა ბიბლიის სკოლაში სწავლობდნენ, საევანგელიზაციოდ ემზადებოდნენ. თუმცა, რამდენიმე თვე იყო გასული გაქცევიდან, ადელს და მის ოჯახს გამუდმებით თვალწინ ედგა ალმინი, რომელიც სხვა მუსულმანების დახმარებით ცდილობდა ადელის უკან დაბრუნებას. თითქმის ორჯერ მეტი შემთხვევა იყო როცა ხელახალ მოტაცებას გადაურჩა.

ადელს გათავისუფლების შემდეგ ორი მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა მოეგვარებინა. პირველ რიგში, ეს იყო რაღაც, რომელზეც ფიქრბდა რომ არასოდეს გააკეთებდა. როგორც ქრისტიანმა იცოდა რომ უნდა ეპატიებია ჯიჰადის მეომრებისათვის.სინამდვილეში ყველაზე რთული პერიოდი იწყებოდა მისი დაფეხმძიმებიდან, როცა ქრისტინამ დედას შეახსენა რომ მის მუცელში მყოფი ბავშვი უდანაშაულო იყო და არაფერი ცოდვა ჩაუდენია. იცოდა რომ შეეძლო ეთქვა სიტყვა “ვაპატიებ,” მაგრამ, საჭირო იყო ამ სიტყვებს მის გულში შეეღწიათ, სადაც ხდება ნამდვილი პატიება. ის ლოცულობდა იმ ხალხის გადარჩენისათვის, ვინც ასე ატკინა მას და მის ოჯახს გული. მან იცოდა რომ, ეს ლოცვა იყო გასაღები მის გულში მიტევების დაბადებისა.

შემდეგი პრობლემაც დიდი გამოწვევა იყო. ადელს საკუთარი თავისათვის უნდა ეპატიებინა. ალმინთან მისი ნაძალადევი ქორწინების გამო, ძალიან ხშირად თავს გამყიდველად გრძნობდა.

საუბედუროდ, ზოგიერთი ქრისტიანებიც ადასტურებდნენ ამ აზრს, რასაც გამუდმებით თან ატარებდა, აღელვებდა, განსაკუთრებით გაქცევის დროს. ხანდახან ფიქრობდა რომ მეთიუ და მისი ქრისტიანი მეგობრები "განდევნიდნენ" ნაძალადევი ქორწინების გამო. ხანდახან, ამ შინაგანი ორომტრიალის გამკლავება უფრო რთული იყო, ვიდრე იმ ფიზიკური ძალადობისა, რაც მან გამოიარა.

როცა ადელი ტყვეობიდან დაბრუნდა, ქრისტიან მისიონერ წყვილთან ჰქონდა გასაუბრება, რომლებიც დაუმეგობრდნენ მეთიუს და ცდილობდნენ მისი პრობლემის ყოველმხრივ მოგვარებას. როცა ადელი ქმართან მივიდა, უფლის სულმა წარმოათქმევინა ეს პირველი სიტყვები, "ადელ, შენ გამყიდველი არა ხარ."

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ადელი დაეცა და ტირილი დაიწყო, ამ დღეს მან მიიღო გადაწყვეტილება ეპატიებინა საკუთრი თავისათვის.

ადელი და მეთიუ აგრძელებდნენ მათთან ერთად ტყვედ ჩავარდნილთა გათავისუფლებას. გამუდმებით აწევს მათ სულს ტვირთად ზოგიერთი მათგანის, ჯერ კიდევ ამ სიტყვების წერისას, ტყვედ ყოფნა.

გვთხოვს რომ დავეხმაროთ ლოცვით.

პურნიმა:

ბავშვის დაპატიმრება, სულის გათავისუფლება

ბუტანი

1 მარტი, 1993

განსაკუთრებულად ცივი საღამო იყო, როცა პოლიციელებმა კიდევ ერთხელ დაუარეს ყეფით წრე მორწმუნეების ჯგუფს, რაიონის ადმინისტრაციის ოფისში. ოცდაათი წლის პურნიმა თრთოდა, დანარჩენებთან ერთად მასაც აიძულებდნენ რომ მდგარიყო ღია სასამართლოს წინაშე, გამოძიების ზოზინით გასრულებამდე. ოფიცრები ერთი და იგივე კითხვებს უმეორებდნენ: "რატომ გინდა რომ ქრისტიანი იყო?" "საიდან მოდის თქვენი დახმარება?" "ეს ბუდისტური ქვეყანაა, და უღირსად წარმოგვაჩინეთ უცხო რელიგიის მიღებით. რატომ გინდათ რომ თქვენივე ხალხი აამხედროთ თქვენს წინააღმდეგ?"

ერთმანეთის მიყოლებით იქნენ დაკითხული ოცდათხუთმეტივე მორწმუნე იმ ცივ ღამეში. დაახლოებით ოცოდე ოფიცერი იქნებოდა, მათი უმრავლესობა შესახედაობით დიდი და საშიში. პურნიმა ბუნებრივად მოიკუნტა, როცა ოფიცერმა მის გვერდით მდგარ მორწმუნე ბიჭს უთავაზა. ჯგუფიდან ზოგიერთებმა შეჰყვირეს; დანარჩენები ქადაგებას შეეცადნენ. ახალგაზრდა პურნიმა იდგა კაცის წინ, რომელიც მას გადაეფარა და ლოცვა დაიწყო საკმარისი მხნეობისათვის, მოსალოდნელი კითხვების წინააღმდეგ.

"ვინ მოგცათ ნება რომ იზეიმოთ შობა სოფელ პრტაში? ეს ბუტანია. უფლება არა გაქვთ რომ იზეიმოთ შობა ბუტანში!" აი თქვენი საბოლოო არჩევანი: ან ისლამს დაუბრუნდებით, ან საერთოდ წახვალთ ბუტანიდან." ოფიცერი ეხლა პირდაპირ პურნიმას ელაპარაკებოდა, და მისმა ულტიმატუმმა გავლენა მოახდინა. "გაიგე? უფლება არა გაქვთ, აქ დარჩეთ და უცხო რელიგიას მისდიოთ. რა იქნება ეს?"

პურნიმას ერთი წუთითაც კი არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ოფიცერი არ ხუმრობდა. ღირსების საკითხი იყო, ან უნდა მოქცეულიყვნენ ქრისტიანები, ან საჯაროდ უნდა გამოეცხადებინათ მათი გამყიდველობა და ეიძულებინათ ქვეყნიდან წასვლა. ის უკვე თავისი სახლიდან და სოფლიდან გამოეგდოთ. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა სად უნდა წასულიყო, მაგრამ იცოდა რაც უნდა გაეკეთებინა.

"მე არ ვუარყოფ ქრისტეს! არ მინდა ჩემი ქვეყნის დატოვება, და არ დავთმობ ქრისტეს. ის არის ერთადერთი ვისაც ჩემი დახსნა შეუძლია-ან თქვენ."პურნიმა გრძნობდა როგორ უთრთოდა სხეული როცა ასე მტკიცედ ელაპარაკებოდა წითელსახიან ოფიცერს, გული გაუჩერდა, იცოდა რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. მას და დანარჩენებსაც ხუთი დღე მისცეს ოფიციალურად ბუტანის დასატოვებლად. უთხრეს რომ ნეპალში წასულიყვნენ.

ხუთი დღე.

პურნიმას ერთ კვირაზე ნაკლებიღა დარჩა იქ საცხოვრებლად სადაც მთელი ცხოვრება გაუტარებია. ოფიცრის სიტყვები სწრაფად გავრცელდა, მისმა დამ და სიძემ უკვე დატოვეს იქაურობა, სიცოცხლის გადარჩენის შიშით. ეხლა, როცა ქრისტიანებს გამყიდველის იარლიყი ჰქონდათ მიკრული, ზოგიერთმა თანასოფლელმა ეს მათ წინააღმდეგ შეტაკების საბაბად გამოიყენა.

ვიდრე პურნიმა წავიდოდა ერთი რამ აუცილებლად უნდა გაეკეთებინა. დედამისი უნდა ენახა. უკვე ერთ წელზე მეტი იქნებოდა გასული რაც მისმა მშობლებმა აიძულეს, რომ სახლი დაეტოვებინა. ეხლა თავისი თავი უკან მიბრუნების სურვილში დაიჭირა. დარწმუნებული იყო რომ ცნობა უკვე მიაღწევდა მშობლების ყურამდე, მისი უპირობოდ განსახლების შესახებ, ჩუმად ლოცულობდა რომ მშობლებს მისი ნახვის სურვილი გამოეთქვათ. პურნიმა სახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა ბნელ ღამეში, იმ სახლისაკენ, სადაც ბავშვობა გაატარა და თორმეტი წლისას აიძულეს რომ დაეტოვებინა...

სასწაულებრივი გამოჯანმრთელება

პუპურნიმა ბუდისტურ პატარა სოფელში გაიზარდა, აღმოსავლეთ ბუტანის მწვანე მთებზე. მამამისი ადგილობრივი ჯადოქარი

ექიმი იყო და ხშირად უძღვებოდა ცხოველის შეწირვისა და ბოროტი სულის განდევნის ცერემონიალებს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აზიანებდა. მისი რვაწევრიანი ოჯახი არც მდიდარი იყო და არც ღარიბი, ადგილობრივი სტანდარტებით, დიდი სახლი და ახლო ნათესაობა ჰქონდათ. სივალი, რომელიც დაქორწინებული იყო პურნიმას უფროს და მაიაზე, ისიც ნაჰემთან ცხოვრობდა. პურნიმა ისე გაიზრდებოდა, როგორც მისი სხვა დანარჩენი თანასოფლელი ბავშვი, მაია რომ სასწაულებრივად არ გამოჯანმრთელებულიყო.

სამი წლის განმავლობაში უცქერდა, როგორ სწირავდა მამამისი ქათმებს, მის მიერ გაკეთებულ ნაჭრის სამსხვერპლოზე, ურტყამდა ხელნაკეთ დოლს და ეძახდა სულს ქალიშვილის განსაკურნებლად.

შემდეგ პურნიმა მაიას საწოლზე ჩამოჯდებოდა და მის გამოჯანმრთელებას ელოდა, მაგრამ ამაოდ. კარგი დღეებიც გამოერეოდა ხოლმე შიგადაშიგ, უმეტესად მუცლისა და თავის საშინელი ტკივილი საწოლიდან წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა. უცქერდა რა პურნიმა თავისი დის ასეთ მდგომარეობას, დედამისს ჰკითხა, "რატომ არის სული ასე გაგიჟებული? რატომ არ მოქმედებს ეს შესაწირავი?" პასუხი არასოდეს არ ისმოდა.

ეხლა, ამდენი წლის ავადმყოფობის შემდეგ, მაია წამოდგა და ტკივილიც გაუჩინარდა. ტკივილი აღარ იყო... მის თავში აღარ ისმოდა რეკვა. მშობლები გახარებულნი იყვნენ შვილის გამოჯანმრთელებით, ის არ უხაროდათ რომ მაია ამ ამბავს ქრისტეს მიაწერდა.

"როგორ შეგიძლია ასეთი რამის თქმა? ასეთი უპატივცემლობა ოჯახისა და საზოგადოების მიმართ?" აცხადებდა მამამისი აღშფოთებული. "ჩვენ ბუდისტები ვართ, ამის შემდეგ სიტყვა აღარ გამაგონო უცხო ღმერთზე. გასაგებია? არც ერთი სიტყვა!" უფრო მეტიც, შეშინებული, რას იტყოდნენ თანასოფლელები ეს რომ გაეგოთ. სინამდვილეში, საკუთარ სიცოცხლეს უფრო უფრთხილდებოდა. სიძე-ქალიშვილი არ უარყოფდნენ ახლად აღმოჩენილ რწმენას. სივალის ერთერთმა მეგობარმა გაიგო მაიას ავადმყოფობის შესახებ, აღიარა რომ ქრისტიანი იყო და ბიბლია მისცა სივალს. ისიც უთხრა, რომ სჯეროდა იესოს

განკურნების ძალის. და ასეც მოხდა. ამის შემდეგ მათი რწმენა სწრაფად გაიზარდა და ბიბლიას ერთად კითხულობდნენ.

“თუ დაიჟინებ რომ ქრისტიანი ხარ ამის შემდეგ აღარ შეგეძლება აქ დარჩენა,” სივალს და მაიას გამოუცხადა პურნიმას მამამ, ერთ საღამოს. “სოფელი ამის ნებას არასოდეს დაგრთავთ, გაგვაძევებენ, და თქვენი ახალი რელიგია სირცხვილს მოუტანს მთელს ოჯახს.”

პურნიმას გული ეტკინა თავისი დისა და სიძის სახლიდან წასვლის გამო. ისეთ სათუთ ასაკში, როგორიც ათი წელი იყო, მან გაიგო რომ, რასაც მამამისი ამბობდა მართალი იყო. იცოდა რომ თანასოფლელები არასოდეს მიიღებდნენ ახალ რელიგიას, მაგრამ შინაგანად მოკრძალებული დამოკიდებულება ჰქონდა მაიას გამოჯანმრთელების საკითხთან და მისი სახის ბედნიერ გამოხედვასთან, როცა მაია საკუთარ ნივთებს ალაგებდა რომ სახლი დაეტოვებინა, საკუთარი სახლი. ამ ტკივილს ისიც ერთვოდა რომ მაია ექვსი თვის ფეხმძიმედ იყო.

მათი წასვლის შემდეგ სახლში ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა თითქოს ვიღაც მოკვდაო. პურნიმას დედა დეპრესიაში ჩავარდა, მამამისი კი მის ოჯახზე მომხდარისაგან გაოგნებული დარჩა. პურნიმას უნდოდა რომ დედასთან მაიაზე ელაპარაკა, მაგრამ არავის არ ჰქონდა უფლება მისი სახელის ხსენებისა და გადასახლებულებთან სტუმრობისა. ისინი პატარა ბამბუკის სახლში, მეზობელ სოფლად ცხოვრობდნენ.

პურნიმამ გაიგო რომ მაიას ვაჟი შეეძინა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. აღფრთოვანებული იყო იმ ფაქტით რომ მისმა დამ ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა, ჯერ კიდევ არ შეეძლო ჩასწვდომოდა თავისი დის სასწაულებრივი გამოჯანმრთელების საიდუმლოს. წარმოიდგენდა როგორი შეიძლებოდა პატარა ბავშვი ყოფილიყო.

ძალის მომცველი კითხვები უტრიალებდა თავში: *როგორი უნდა ყოფილიყო ის ღმერთი, რომელიც სამაგიეროს მოთხოვნის გარეშე განკურნავდა? რა იპოვეს მაიამ და სივალმა ისეთი ამ რელიგიაში, რომ მიეცათ ძალა ოჯახისა და საზოგადოების წინააღმდეგ-თუნდაც საკუთარი ოჯახიდან გაძევება აეტანათ?*

ამ კითხვებმა მისცეს პურნიმას ძალა მის დასთან სტუმრად წასასვლელად. მინდვრებზე მოკლედ გადაჭრა, ადამიანის თვალს

ეფარებოდა, მალე დაფარა მანძილი, რომელიც დებს კვირეების მანძილზე ერთმანეთისაგან აშორებდათ. მაიამ კარები გააღო, მთრთოლვარე პატარა და დაინახა წირთხლზე, უმალვე ცრემლად დაიღვარა და სასურველი სტუმარი გულში ჩაიკრა.

პურნიმა ხშირად იპარებოდა მაიას სანახავად. დიდხანს არასოდეს რჩებოდა, ხანდახან მხოლოდ თხუთმეტი წუთი. ყოველ მოსვლაზე მაია პურნიმას უკითხავდა ამბავს ბიბლიიდან, რომელსაც დიდი ინტერსით უსმენდა, ყოველ დეტალს იმახსოვრებდა და განიხილავდა. ყველაზე მეტად მოსეს ისტორია მოსწონდა: არა ის, თუ როგორი სასწაული მოიმოქმედა ღმერთმა მასში, არამედ ფაქტი, რომ მოსე იძულებული გახდა სახლი დაეტოვებინა და ფაქტიურად ღვთის ორატორი გახდა, მიუხედავად ლაპარაკის პრობლემისა. ქრისტიანი რომ ყოფილიყო, მოსეობა ენდომებოდა.

მომდევნო წელს მაიამ მეორე ბავშვი გააჩინა, ესთერი, პურნიმამაც სტუმრობას მოუხშირა. ახალგაზრდა პურნიმასათვის საინტერესო თავგადასავლად გადაიქცა სახლიდან გაპარვა და პატარა დიშვილების ნახვა. რომც მიმხვდარიყვნენ, ფიქრობდა დიდად არ დასჯიდნენ. სულ რომ არაფერი, პატარა ბავშვი იყო. პურნიმას დედა ამ საკითხს ასე არ უყურებდა. “პურნიმა, ჩვენ ორივემ ვიცით რასაც აკეთებ,” უთხრა დედამ ერთ დღეს. “უკვე დავკარგე ერთი გოგო. აღარ მინდა მეორეს დაკარგვა. გაიგე?” პურნიმამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. დედამისმა კი იმის ახსნა გააგრძელა რომ ქრისტიანობა უცხო და დაბალი კლასის რელიგია იყო. “ეს არ არის ჩვენი სოფლისა თუ ქვეყნისათვის. მაია სივალისა და მისი მეგობრის მიერ იქნა ჩათრეული,” დაასკვნა დედამისმა.

ღმერთთან

პურნიმას უყვარდა დასთან გატარებული დრო და საიდუმლო ვიზიტს აგრძელებდა. შობის დღეს, მაია და სივალი დასთანხმდნენ პურნიმას რომ პატარა შეხვედრას დასწრებოდა, რომელიც უკვე თვრამეტი თვეა მიმდინარეობდა. დასთან მრავალჯერად სტუმრობას თავისი რწმენის ნაყოფი გამოეღო პურნიმას გულში, როგორც კი ქრისტეს დაბადების ისტორია მოისმინა-თუ როგორ

იშვა ქალწული მარიამისაგან და ხსნა მოიტანა-ღმერთთან ახლოს იგრძნო თავი და ლოცვას შეუდგა.

რამოდენიმე დღე არავისთვის არ გაუმხელია ეს გადაწყვეტილება ქრისტეს მიღების შესახებ. მომდევნო ვიზიტზე მხოლოდ მაიას გამოუტყდა რომ მონათვლის სურვილი ჰქონდა. მაიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომელსაც ამავდროულად ისაწუხებდა როგორ შეძლებდა პურნიმა თავისიმშობლებისათვის ამის გამხელას. დაახლოებით სამი კვირის შემდეგ, მზიან კვირა დღეს, პურნიმა მოინათლა. წყლიდან დარწმუნებული ამოვიდა. "მაია, მე ვიცი რაც უნდა გავაკეთო ეხლა. დედას და მამას უნდა ვუთხრა ეს სიახლე. არ შემიძლია ამის მეტად დამალვა. ყველამ მინდა გაიგოს რომ ქრისტესთვის ვცხოვრობ-და არ მაინტერესებს რას იტყვიან და გააკეთებენ ისინი!"

"პურნიმა, შენ ძალიან პატარა ხარ; მხოლოდ თორმეტის და იცი რასაც ისინი გაგიკეთებენ. მართლა მზადა ხარ ამისათვის? მე სივალი მყავდა და ჩემთვის ცოტა უფრო ადვილი იყო სახლის დატოვება. ალბათ შენ ცოტა უნდა მოიცადო სიახლის გამხელამდე და ილოცო."

პურნიმა შეურყევლად იდგა. "არ შემიძლია ამის გაკეთება, მე ეხლა გავიგე ყველაფერი ის, რაც შენ ბიბლიიდან მითხარი. აქამდე ასე არასოდეს მიგვრძვნია, და ვიცი რომ ეს ნამდვილია, როგორც შენ თქვი. როგორ შევძლებ ამის დამალვას რომ დედას და მამას არ გავუმხილო? ამას გარდა მე შენ მყავხარ..."

მაია დადნა ამ სიტყვების გაგონებაზე და დას გადაეხვია. "რა თქმა უნდა, შენ ყოველთვის გეყოლები მე. გინდა რომ შენთან ერთად წამოვიდე?"

"არა," უპასუხა პურნიმამ. "საშიშია შენი სოფელში შემოსვლა. ნუ გეშინია. ყველაფერი კარგად იქნება."

მაია არეული ემოციით შესცქეროდა სახლისაკენ მიმავალ დას. დაუჯერებელი იყო უმცროსის სითამამე, ფიქრობდა რომ მშობლების რეაქციის ეშინოდა, უდიდესი სიამყე იგრძნო პურნიმას მიმართ ასეთი გაბედულების გამო. *ალბათ ღმერთს განსაკუთრებული გეგმები აქვს მისთვის,* გაიფიქრა მან.

პურნიმა სახლში მივიდა და თორმეტი წლის შესაფერისი გულუბრყვილობით დაუფიქრებლად თქვა სიახლე. "დედა, მე ქრისტიანი ვარ." დედამისი გაიყინა ამ სიტყვების გაგონებაზე.

“რა თქმა უნდა ხუმრობ,” თქვა გაოცებულმა. “შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ ქრისტიანობისათვის. ამას გარდა, გითხარი რომ აღარ ვაპირებ სხვა გოგოს დაკარგვას.”

პურნიმამ მტკიცედ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება. “დედა, არ მინდა ისე წავიდე როგორც მაია. მინდა რომ დავრჩე, გადავწყვიტე რომ ქრისტიანი გავხდე, და არაფერს არ შეუძლია ჩემი აზრის შეცვლა.”

ის იძულებული გახადეს იმავე საღამოთი დაეტოვებინა იქაურობა. მცირედი საკუთრებით ხელში, კარგად ნაცნობ, მაიას სახლისაკენ მიმავალ გზაზე მდგარს დედამისის ტირილის ხმა ესმოდა ზურგს უკან. იცოდა რომ დედას ორივე გოგონა უყვარდა, მაგრამ მშობლებს ეშინოდათ, რას უზამდნენ მათ თანასოფლელები ამ ამბავს რომ გაიგებდნენ. ადრე პურნიმასაც ეშინოდა. სიბნელეში მიმავალმა გადაწყვიტა რომ აღარ შეშინებოდა. ამ ამბის შემდეგ კარგა ხანს დის ოჯახში ცხოვრობდა.

სოფლის პოლიციას აშინებდა რა ქრისტიანების რიცხვის ასეთი სწრაფი ზრდა. სიტუაცია რთულდებოდა, გადარჩენისათვის იბრძოდნენ. შემდეგ დაპატიმრებები დაიწყო 1992 წლის შობის დღეს, ზუსტად პურნიმას ქრისტიანობაზე მოქცევიდან ერთი წლის შემდეგ.

სოფლის პოლიციამ გადაწყვიტა იერიში მიეტანა მორწმუნეებზე. ქრისტიანებმა ათ დაკითხვას გაუძლეს რამდენიმე კვირის განმავლობაში, ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა რომ უარი ეთქმევინებინა ქრისტიანობაზე და ბუდიზმის საფუძვლებს დაბრუნებოდნენ. კაცებს ურტყამდნენ. ზოგიერთი მათგანი ერთი კვირის ან ფრო მეტი ხნის განმავლობაში წინასწარ დაკავების განყოფილებაში ჰყავდათ, სადაც უფრო კარგად სცემდნენ ხალხს. ქალებს ამცირებდნენ და ბრალს დებდნენ პროსტიტუციაში. რის საპასუხოდაც ზოგიერთმა უარყო ქრისტე, მაგრამ პატარა პურნიმა უფრო განმტკიცდა რწმენაში.

ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილება პურნიმას, მისი უფროსი დის, მისი სიძისა, და მათი მეგობრების მიმართ, რომლებიც მეზობელი სოფლებიდან იკრიბებოდნენ მათთან ერთად მსახურებისათვის, გულსატკენი იყო: “ბუტანის დატოვება.”

“როგორ შეიძლება ასეთი მამაცი იყო?”

მიდიოდა პურნიმა მინდორში, მშობლების სახლიდან მომავალ სინათლის შუქს ხედავდა-რომელიც მისი სახლიც იყო. ფიქრობდა რა უნდა ეთქვა დედამისისათვის. ნეტავ თუ შეუშვებდა სახლში. მათ ხომ ერთმანეთი იმის შემდეგ აღარ უნახავთ რაც პურნიმამ სახლი დატოვა. ეხლა, აიძულებდნენ რა ბუტანის დატოვებას, ვაი თუ დედა საერთოდ ვეღარ ენახა.

წინკართან სწრაფად მივიდა და უბრალოდ გადაწყვიტა რომ შესულიყო. “დედა?! დედა, ეს მე ვარ.”

“პურნიმა!”-მაგრად ჩაიკრა დედამ გოგონა მკერდში. “გთხოვ მითხრა, იმიტომ მოხვედი რომ სახლში დარჩე. გთხოვ მითხრა რომ აღარა ხარ ქრისტიანი.” პურნიმა ცოტა ხანს გაჩუმდა.. ხედავდა როგორი დადარდიანებული იყო დედამისი; უკვე ცრემლები ჩამოდიოდა. აღარ უნდოდა რომ მეტი ტკივილი მიეყენებინა, მაგრამ სიმართლე უნდა ეთქვა. “დედა, ბუტანი უნდა დავტოვო. პოლიცია აქ ცხოვრების უფლებას არ მაძლევს. მაპატიე.”

დედამისმა შურის თვალით შეხედა პატარა გოგონას. ის ჯერ ისე ახალგაზრდა იყო, ისეთი უმწიკვლო. “პურნიმა, ჯერ შენ თოთხმეტის არა ხარ. როგორ შეგიძლია ასეთი მამაცი იყო? როგორ შეგიძია მიატოვო შენი ქვეყანა?”

პურნიმა ეხლა დედამისთან ერთად ტიროდა. “მე არ ვტოვებ ჩემს ქვეყანას, დედა,” ამოიქვითინა მან. “ჩემმა ქვეყანამ მიმატოვა მე.” მან იცოდა როგორ უყვარდა დედამისს, იცოდა რომ არასოდეს ენდომებოდა თავისი შვილის სახლიდან გაძევება. მაგრამ ყველას ისე ეშინოდა... ეშინოდათ ქრისტიანების, ეშინოდათ შობის, ეშინოდათ ქრისტესი. პურნიმას ვერ გაეგო რა აშინებდა ასე ამ ხალხს.

“აი. წაიღე ეს.” და მამამ მცირეოდენი ფული გადასცა. “ფრთხილად იყავი.” გოგონას ატირებულ თვალებს შეხედა, სწრაფად გადაეხვია და ოთახიდან გავიდა.

პურნიმა ცოტა მეტხანს დარჩა დედასთან, ცდილობდა დაემახსოვრებინა ძვირფასი სახე, ხმის ტონი, სიცილის დროს მისი მოკაშკაშე თვალები. დედამისი ისეთი ლამაზი იყო... მან არ იცოდა როდის, ან საერთოდ ოდესმე თუ ნახავდა მას კვლავ.

საბოლოო კოცნა და პურნიმა კიდევ ერთხელ საბოლოოდ გაუჩინარდა მინდორში.

მომდევნო დღეს ის შეუერთდა დანარჩენ რვა მორწმუნეს მისი ჯგუფიდან, რომლებიც აგრეთვე იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ბუტანი. სახელმწიფომ ავტობუსი მოიყვანა მათი სოფლიდან, პურტაჰიდან ინდოეთის საზღვარამდე მისაყვანად. სადაც მარტო დატოვებდნენ.

"ვინ იქნება ჩვენი წინამძღოლი?" ხუმრობდნენ ერთმანეთში სიტუაციის განმუხტვის მიზნით. არც ერთ მათგანს აქამდე არასოდეს დაუტოვებია საკუთარი სოფელი და არცერთ მათგანს არ ჰქონდა წარმოდგენა იმ ადგილზე სადაც მიდიოდნენ.

საზღვრიდან ოდნავ მოშორებით ავტობუსი გაჩერდა და ცხრა ლტოლვილი გადმოვიდა. იდგნენ და უკან მიმავალი ავტობუსის ნაცრისფერ გამონაბოლქვს უყურებდნენ. ეს მათი უკანასკნელი კონტაქტი იყო ბუტანთან, ყველაფერი დამთავრდა. უბრალოდ უთხრეს რომ "ამ გზით" ევლოთ ინდოეთის მთებში, ნეპალამდე.

სიზმრით მონადირებული

ქრისტიანები სამი დღის განმავობაში ინციდენტის გარეშე მიდიოდნენ მთებში, ქანცი გაუწყდათ დაღლილობისაგან. ერთ დიდ ხესთან მიახლოებისას, ჯონმა, რომელიც მათი არაოფიციალური ლიდერი გახდა, ურჩია ერთი დღით ამ ხის ძირში დაესვენათ ძალის მოსაკრებად. არსად ეჩქარებოდათ, მაგრამ მათი რეალური დილემა იღებდა სათავეს და პურნიმას შიში თანდათან იზრდებდა. არ უნდოდა დანარჩენებს ცოდნოდათ რომ ძალიან უნდოდა დაძინება, სოფლის დატოვების შემდეგ დედამისის ცხადი ოცნება დასდევდა. ეს ღამეც არ იქნებოდა განსხვავებული...

8 მარტი, პურნიმას დაბადების დღე. *პურნიმა დედას შემოეხვია, მოწმენდილ ცას ახედა. მათ ძალიან უყვარდათ ერთად ვარსკვლავების ცქერა, წარმოდგენილი ფიგურების ერთმანეთისათვის ჩვენება, რადგან ყველაზე პატარა იყო პურნიმა, უფრო მეტ დროს ატარებდა დედასთან, იმაზე მეტად თავი არასოდეს უგვრძვნია დაცულად როგორც მაშინ, როცა ერთად იყვნენ.*

“ასე რომ, იუბილარი გოგონა, რის გაკეთებას აპირებ ეხლა, უკვე დიდი გახდი?” ჰკითხა დედამისმა.

“გაზრდილი? რას გულისხმობ გაზრდილში? მე მხოლოდ თოთხმეტი წლისა ვარ,” თქვა პურნიმამ ხითხითით. თავს ხშირად გრძნობდა ახალგაზრდული სულისა და ზრდასრულის ბუნდოვანი პასუხისმგებლობის ტყვედ, დღეს ის უბრალოდ დედამისის პატარა გოგონა იყო.

პურნიმას სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, უმალვე დასრულდა როგორც კი მისკენ მინდორში მომავალი ოთხი ოფიცერი დაინახა. გასაოცრად, დედამისმა როგორც ჩანს ისინი ვერ შენიშნა.

ვიდრე პურნიმა გაიქცეოდა, ოთხმა ოფიცერმა ალყა შემოარტყა. ერთერთ მათგანს მაგრად ჩაეჭიდა, მისი გრძელი თითები ისე უჭერდნენ ხელზე რომ სისხლი გაეყინა. “გამიშვი! მტკივა!” ეხვეწებოდა ის.

პასუხი არ ისმოდა. პურნიმა ნელა მოაშორეს დედას და სახლს. ორივე გაუჩინარდა სიშორეში.

“დედა! დედა!” გაისმოდა პურნიმას ხმა სახლის მიმართულებით. “გთხოვ მიშველე! გთხოვ გააჩერე ისინი!” მაგრამ უშედეგოდ. დედამისი ისე მშვიდად იჯდა სკამზე თითქოს არაფერი ხდებოდა...

პურნიმა მუჯლუგნმა გააღვიძა, ღრმად ამოისუნთქა და გონებაზე მოსვლას ეცადა. პირში მარილის გემო ჰქონდა ცრემლების გამო. ფიქრობდა, ნეტავ თუ შეძლებდა ოდესმე მიჩვეოდა ამ მარტოობის გრძნობას.

სიბნელე ჩამოწვა და მხოლოდ მთვარის პატარა ნაფლეთიღა მოჩანდა, მის ზემოთ უშველებლ ტოტებს მიღმა მცხუნვარება მინავლდა და კანკალი დაიწყო. თხელი ჟაკეტი კარგად შემოიხვია მხრებზე. დაკეცილი სვიტრი ბალიშის მაგივრობას უწევდა, თვალი სიბნელეს გაუსწორა. გაოცდა რამდენად საშიში შეიძლებოდა ყოფილიყო ღამის სიბნელე.

მართლა ჩემი დაბადების დღეა? გაიფიქრა თავისთვის. ეცადა გაეხსნებინა თვის რომელი დღე იყო, მაგრამ ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში იმდენი რამ მოხდა, ისე სწრაფად, რომ დღეების თანმიმდევრობა აერია. ეხლა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ფიქრობდა როგორ გადაიტანდა მომავალ დღეს, კვირეებს, თუნდაც წლებს. ერთადერთი რაშიაც დარწმუნებული იყო, ის იყო რომ სახლი ძალიან ენატრებოდა. ნელა-ნელა ძილში წავიდა, პურნიმამ ისევ დედამისის ლამაზ სახეზე და მისი შეხების სითბოზე დაიწყო ფიქრი.

დალილავებული, დასისხლიანებული,... და გატეხილი

"ადექი! ადექი, ფული მოგვეცი და ცოცხალს დაგტოვებთ!" უხეშად გააღვიძეს პურნიმა ხმამაღალი ყვირილითა და ფერდებში წიხლის კვრით.

"გითხარი, ადექი მეთქი!"

ტკივილმა მთელს სხეულში გაატანა, როცა მეორედ ისევ დაარტყეს უცნობმა თავდამსხმელებმა. არ შეეძლო ეთქვა რამდენი კაცი დაესხათ თავს, რამდენიმე ბანდიტი იყო აშკარად. მის მცირე ჯგუფს თავდაცვა არც კი უცდია.

თანამგზავრების ყვირილის ხმიდან გამომდინარე ცხადი იყო რომ ისინიც იტანჯებოდნენ ქურდების სასტიკი თავდასხმისაგან. პურნიმა ცდილობდა თავი დაეცვა გამუდმებული ცემისაგან. პარალიზებულმა კანკალმა აიტანა მისი სხეული, უცბათ გონებაში მოუვიდა მუხლი ბიბლიიდან-იფიქრა რომ ეს ადგილი მათეს სახარებაში უნდა ყოფილიყო- "ნუ შეგეშინდებათ მათი ვინც სხეულს კლავს."[1]

მოკალი სხეული, გაიმეორა თავისთვის, ილოცა რომ ეს არ ყოფილიყო მისი ახლანდელი ხვედრი. გონება აენთო როცა მამამისის მიერ მიცემული ფული გაახსენდა, ბრბო აგრძელებდა ძლიერი აღგზნებით თავდასხმას, ბანაკის მწირი საკუთრების გაძარცვის მიზნით. პურნიმა წვალობდა ეპოვა თავის ნივთებში დამალული ფული, ვიდრე ბრბო მიაგნებდა. ხელის ცეცებით მიაგნო რასაც ეძებდა, ზუსტად მაშინ უთავაზეს ზურგში და მიწაზე დაეცა. ღმერთს უხმობდა საშველად და ცდილობდა ხელებით დაეცვა თავი, რომ არ გადაგორებულიყო და უხეში ჩექმების გამუდმებული, ძლიერი დარტყმისაგან გათავისუფლებულიყო. დაღლილი ლტოლვილების საკმარისად დატერორებისა და კონფისკაციის შემდეგ, მძარცველებმა მწყობრში ჩააყენეს ყველანი, პურნიმას ჩათვლით. ლტოლვილთაგან ვერცერთს ვერ გაებედა სიტყვის

თქმა, ასე უხმოდ იდგნენ თავდამსხმელთა პირისპირ. დაახლოებით თორმეტიოდე კაცი იქნებოდა, ყოველ მათგანს ბენდენით ჰქონდა სახე დაფარული. პურნიმამ გვერდით მდგომებს გადახედა. ყველა გაყინული იყო შიშისაგან. იცოდა რომ ქურდებისათვის ძნელი არ იქნებოდა მათთვის აქვე ესროლათ.

"პოლიციას არაფერი აცნობოთ" გააფრთხილა ერთერთმა კაცმა და უდარდელად დაატრიალა ფისტოლეტი მათ თვალწინ ჰაერში. "თუ არა, უკან დავბრუნდებით და მოგკლავთ." თითები სასხლეტზე ჰქონდა და თითოეულ მათგანს სახეში უმიზნებდა იარაღს, რათა დარწმუნებულიყო კარგად გაიგეს თუ არა მისი სიტყვები. პურნიმამ თვალები დახუჭა გასროლის ხმის მოლოდინში. როცა გაახილა ქურდები უკვე წასულიყვნენ.

დაზარალებულები ერთად მოგროვდნენ და სხეულის დაზიანებულ ადგილებს ამოწმებდნენ. თან ღმერთს ემადლიერებოდნენ სიცოცხლისათვის, ყველა დალურჯებული და დასისხლიანებული იყო, მალე გააცნობიერეს რომ აღარაფერი დარჩათ. ყველაფერი წაიღეს, ტანსაცმელიც კი. ვერასდროს წარმოიდგენდნენ თუ მათი ნეპალისაკენ მგზავრობა ასეთი საშიში იქნებოდა.

დილით ჯონმა მოახერხა და ხელი დაუქნია დიდ ავტომანქანას, რომელსაც უკან დიდი ხის ყუთი ედო, ჟანგიან ძრავაზე. გაიგეს რომ მანქანა ნეპალისაკენ მიდიოდა. ჯონმა მძღოლს თხოვნა დაუწყო, დანარჩენებიც გარს შემოეხვივნენ. "შეიძლება, რომ ჩვენც წაგვიყვანოთ? აქ დარჩენა არ შეგვიძლია. ძალიან საშიშია."

"ფული გაქვთ?" იკითხა მოხუცმა მძღოლმა როგორც კი კაბინიდან გადმოვიდა, ცდილობდა რა გამოეყენბინა დამატებით მცირეოდენი დოლარის შოვნის შესაძლებლობა.

ჯონმა აუხსნა, თუ როგორ გაქურდეს ისინი წინა ღამით და ყველაფერი წაართვეს რაც კი გააჩნდათ. "გთხოვთ," აგრძელებდა ის, "ზოგიერთ ჩვენთაგანს სიარულის ძალაც კი აღარ შესწევს ცემის შემდეგ." მძღოლმა მათი დალურჯებული სახეები დაინახა, მაგრამ მაინც უარი თქვა მათ დახმარებაზე. დამატებითი შემოსავლის შოვნის იმედით.

ჯონმა დანარჩენებთან ერთად იმედგაცრუებულმა აქცია ზურგი მგზავრობის შესაძლებლობისაგან ხელმოცარულმა, როცა

პურნიმამ დაიძახა. “მე მაქვს ფული.” გაოცებულებმა შეხედეს, უკვირდათ როგორ შეიძლებოდა მას ფული ჰქონოდა იმის შემდეგ რაც მათ შეემთხვათ. ქურდებმა სრულად გაჩხრიკეს ყველაფერი.

“უბრალოდ ძალიან ფრთხილად დავმალე,” თქვა პურნიმამ ღიმილით და ფული მძღოლს მიაწოდა. ცხრა ლტოლვილს შორის ყველაზე ახალგაზრდა მათი გმირი გახდა, სათითაოდ გადაეხვივნენ მას და მანქანის ძრავისაკენ გაემართნენ. პირველი და უკანასკნელი არ იყო როცა პურნიმას ჭკვიანი და კეთილშობილი ბუნებით ისარგებლეს.

შუადღის ამომავალმა მზემ გამოაცოცხლა ქრიტიანების პატარა ჯგუფი და დაეხმარა მიწაზე წოლისაგან სიცივის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვიდრე ზოგიერთებმა დრო იხელთეს და ჩასთვლიმეს, პურნიმამ ისევ დედამისზე ფიქრი დაიწყო და პირველად დაუსვა თავის თავს კითხვა, მიიღო თუ არა სწორი გადაწყვეტილება. ალბათ საიდუმლოდ უნდა შეენახა რწმენა, როგორც ერთხელ მაიამ ურჩია.

ბიბლია გადაშალა, რომელიც სივალმა ნათლობის შემდეგ აჩუქა და მადლობა მოუხადა ღმერთს, რომ ქურდებმა ეს წიგნი სასარგებლო რამედ არ ჩათვალეს. სწრაფად იპოვა საყვარელი ადგილი. ალბათ უამრავჯერ წაუკითხავს და მოუნიშნია კიდეც ეს ადგილები რომ სწრაფად ეპოვა.დიდი ძებნის გარეშე მიეგნო. მაიასთან ადრეული სტუმრობიდან მოყოლებული მოხიბლული იყო ბიბლიური ისტორიებით, იოსები და მარიამი გაახსენდა, ეგვიპტეში გაქცევისას, როგორ გაურბოდა დავითი მეფე საულს, გაახსნედა საყვარელი პერსონაჟი მოსე, რომელიც ეგვიპტიდან გარბოდა. ამ ისტორიებმა აავსეს პურნიმა, რათა განახლებული ძალით შეხვედროდა მომდევნო დღეს. ბიბლიას მაგრად ჩაეჭიდა, იცოდა რომ საიმედო ხელში იყო.

კვლავ გაერთიანებული ლტოლვილები

საღამო ჟამს მძღოლმა ინდურ ქალაქ მონთან გააჩერა და მგზავრებს უთხრა რომ საწვავი უნდა ჩაესხა. რამოდენიმე საათი ჰქონდათ გამგზავრებამდე. მგზავრებს ფეხის გაშლის შესაძლებლობა მიეცათ. პურნიმამ სხვებთან ერთად ქალაქში გაისეირნა, სადაც ხუცესს შეხვდნენ.

ხუცესი წარმოშობით ბუტანიდან იყო, გაოცდა მათი ამბის მოსმენისა და სურვილით დაეტოვებინათ სამშობლო და გაჰყოლოდნენ იესოს. განსაკუთრებით მოიხიბლა ახალგაზრდა პურნიმათი. მან ჯონი გვედით გაიხმო და ჰკითხა, თუ რამდენი წლის იქნებიდა პურნიმა.

"დარწმუნებული არა ვარ-ცამეტის ან თოთხმეტის," უპასუხა ჯონმა.

"სხვა ოჯახის წევრებთან ერთად არის?" იკითხა ხუცესმა.

"არა. მისი დის ოჯახი ჩვენზე ადრე გაემართა ნეპალისაკენ. არ ვიცით სად არიან ამჟამად."

ხუცესი დაანაღვლიანა პურნიმას ამბავმა და ჯონს ჰკითხა, თუ შეიძლებოდა რომ პურნიმა თავისთან დაეპატიჟა, მის ოჯახში საცხოვრებლად. ჯონი დაეთანხმა რომ კარგი იდეა იქნებოდა: ისიც სწუხდა გოგონაზე და ხუცესს შესთავაზა რომ პირადად მიეპატიჟა პურნიმა.

გოგონა დასთანხმდა ხუცესთან და მის მეუღლესთან საცხოვრბელად დარჩენას. გამაცოცხლებელი იყო კვლავ ოჯახთან ურთიერთობა. ეს არ იყო მისი საკუთარი ოჯახი და კვლავ ლოცულობდა მაიასთან შეხვედრაზე. არც კი იცოდა როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო; მაგრამ ლოცულობდა.

სამმა თვემ განვლო და ხუცესმა პურნიმა დაპატიჟა ქრისტიანულ კონფერენციაზე, რომელიც ქალაქ ასონის გარეთ ტარდებოდა. გახარებულმა მიიღო მოწვევა, ისე რომ არც კი იცოდა თუ თავისი სიძე, სივალიც იქ იქნებოდა.

პურნიმა აღელდა სივალის დანახვისას და გადაწყვიტა მასთან ერთად ნეპალში წასვლა. მისმა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გააოცა ხუცესი და მისი მეუღლე. "დარწმუნებული ხარ რომ იქ წასვლა გინდა, პურნიმა?" ჰკითხა ხუცესმა. "იცი როგორ გაგიჭირდება ნეპალში? გაიძულებენ რომ ლტოლვილთა ბანაკში იცხოვრო."

პურნიმამ მოუსმინა მის თავაზიან არგუმენტს, იცოდა რომ მართალი იყო. ხუცესი და მისი მეუღლე მას, როგორც საკუთარ შვილს ისე ეპყრობოდნენ და უჭირდა მათი დატოვება, მაგრამ გადაწყვეტილება მიიღო. "დიახ, დარწმუნებული ვარ," უპასუხა მან. "მინდა რომ საკუთარ ოჯახთან ვიყო. ვაფასებ თქვენს გულკეთილობას, მაგრამ მჯერა რომ ეს არის ღვთის ნება ჩემთვის."

პურნიმა და სივალი ნეპალის ჩრდილო საზღვართან მდებარე ლტოლვილთა ბანაკში დაბრუნდნენ ღრუბლიან საღამოს, ისე რომ მაშინვე ვერ დაინახა თავისი ახალი სახლი. ერთადერთი რაც ადარდებდა მაიას ნახვა იყო. დები უსაზღვრო სიხარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს. პურნიმას მალევე ჩაეძინა ბამბუკის ლეიბზე.

"პურნიმა მის თავზე მორბენალმა ესთერმა გამოაღვიძა, ტაშს უკრავდა და სიცილით დარბოდა ხალხმრავალ ქოხში. პირველი რაც თვალის გახელისთანავე შენიშნა, იყო ბამბუკის ჩარჩოზე გადაკრული სქელი ცელოფანი-მათი ქოხის "ჭერი". წამოჯდა, ასეულობით მოფუსფუსე ადამიანის ხმა შემოესმა მათი ქოხის წინიდან. იქ მცხოვრები ასობით ოჯახის უკიდურესი სიღარიბის სურათი ცხადად წარმოუდგა პურნიმას თვალწინ. რაც უფრო მეტი დაინახა ბანაკის ცხოვრებიდან, მით უფრო მოეძალა უიმედობა.

დასთან ყოფნით გახარებული მაია ეცადა მხარი დაეჭირა დისთვის და გაემხნევებინა მისი სული. "მომისმინე, პურნიმა," უთხრა მან პატარა დას. "ვიცი რომ ყარს ეს ადგილი, მაგრამ ღვთის ხელი მუდამ ჩვენთანაა, მნიშვნელობა არა აქვს სად ვართ. მას საქმე უნდა ჰქონდეს აქ ჩვენთვის. აბა, იფიქრე იმ ხალხზე, რომელთაც არასოდეს არ მოუსმენიათ იესოს შესახებ. იცი როგორ უყვარს ხალხს შენთან ყოფნა? მათ შესაძლოა მოგისმინონ ღმერთზე, რადგან არასოდეს უნახავთ შენნაირი ახალაზრდა და ლამაზი მქადაგებელი."

პურნიმა გაწითლდა და გაიცინა. "მეც ასე ვფიქრობ," თქვა მან. "მაგრამ როდემდე უნდა დავრჩეთ აქ? მართლა ღმერთის ნებაა რომ არასოდეს არ დავბრუნდეთ სახლში?"

მაიას ამაზე პასუხი არ ჰქონდა, და თავისთან ახლოს მიიზიდა, მჭიდროდ ჩაიკრა. უნდოდა რომ ძლიერი ყოფილიყო თავისი პატარა დისთვის, მაგრამ სიმართლე ის იყო რომ თვითონაც ხშირად ფიქრობდა იგივეს.

რაც დრო გადიოდა პურნიმამ უფრო მეტი აღმოაჩინა ბანაკის ცხოვრების ხო და არას შესახებ. ეცადე რომ აიღო "გასვლის" ნებართვის საშვი, როცა ბანაკის დატოვება გსურს, მეზობელი სოფლების სტუმრობის მიზნით. არ უთხრა ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ სახარების ქადაგებასა და ბუკლეტების დარიგებას აპირებ. ნუ მოაწყობ დიდ შეხვედრებს სხვა

ქრისტიანებთან ბანაკში; მიეწებე პატარა ჯგუფებს და "საშინაო საეკლესიო შეხვედრებს". ისარგებლე ადგილობრივი ენის შემსწავლელი კურსებით. ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ლტოლვილთა ბანაკს ჰქონდა კულტურა და ცხოვრება რომელიც პურნიმას აქამდე არასოდეს არ გამოეცადა.

სახარების გაზიარების წყურვილი.

პურნიმასათვის ბანაკის ცხოვრების საუკეთესო მომენტი იყო ეკლესიის სწრაფი ზრდა ათასობით ლტოლვილს შორის. უხაროდა რომ დაცულად გრძნობდა თავს ქრისტიანულ ოჯახში და ბედნიერი იყო ახლო მეგობრებთან ურთიერთობით. ხშირად ის და მისი მეგობრები გაიპარებოდნენ ხოლმე პატარა ჯგუფებად ბანაკის ახლომდებარე სოფლებში; ცდილობდნენ ესარგებლათ შემთხვევით და გაეპრაქტიკებინათ ადგილობრივი ენა ქადაგებაში. პურნიმა ძალიან კმაყოფილი იყო ამ მოგზაურობებით, სადაც აღმოაჩინა მუსიკის ნიჭი თავის თავში და ვნება დაკარგულის მოსაძებნად. ამ აღტაცებით გარემოცული უზიარებდა სხვებს სახარებას და ავიწყდებოდა ბანაკის ცხოვრების უბედურება.

პურნიმა და მისი მეგობრები აგრძელებდნენ სახარების გაზიარების ექსპედიციებს ბანაკის გარეთ მანამდე, ვიდრე ერთი წლის შემდეგ არ დაიჭირეს. აგვისტოს ამომავალი მზის სიგრილეში დაადგნენ ჰანასაკენ ორ საათიან გზას. ჰანამ გაიგო ბანაკში მყოფი ქრისტიანების შესახებ და სახლში დაპატიჟა ისინი, ადგილობრივ ბაზარში ევანგელიზაციის მიზნით. პურნიმამ და მისმა მეგობრებმა სიხარულით მიიღეს მოწვევა.

ორ-სამ კაციან ჯგუფებად ჩუმად გაიპარნენ ბანაკიდან და ერთმანეთს ერთი მილის მოშორებით შეხვდნენ. მიჰქონდათ ბიბლია, სახარების ცალკეული წიგნები და გიტარა, ქრისტიანებს უხაროდათ ახალ სოფელში ქადაგება იმ ხალხთან, რომლებსაც შესაძლოა არასოდეს სმენიათ სახარება. მაგრამ იცოდნენ რომ სწრაფად, მზის ჩასვლამდე უნდა დაბრუნებულიყვნენ ბანაკში.

შუადღემდე მივიდნენ ჰანას სახლში, რამდენიმე საათი ერთმანეთის ნახვით გაიხარეს და შემდეგ ბაზრისაკენ გაეშურნენ. ჯერ რამოდენიმე სიმღერა არ დაემთავრებინათ, რომ ხუთმა

პოლიციელმა მიმართა პურნიმას და მის მეგობრებს ბრძანებით- "წამოდით ჩვენთან!"

გაოცებულ ჯგუფს მეტი გზა არ დარჩენოდა, უკან გაჰყვნენ ოფიცერს, და მალე საკუთარი თავი მკაცრი გამომეტყველების კაპიტნის წინ იხილეს... "საიდან ხართ?" იკითხა მან. "ვინ დაგრთათ ბანაკიდან გამოსვლის ნება? ვინ მოგცათ ნეპალში თქვენი რელიგიის გავრცელების უფლება?"

"თქვენ არანაირი უფლება არა გაქვთ აქ!"

მთელი დღე იცდიდნენ ბნელ, ნოტიო საპატიმროში. მანამდე, ვიდრე კაპიტანი სათითაოდ ყველას დაკითხვას მორჩებოდა, ჯერ კაცები და მერე ქალები დაკითხა. პურნიმას თანდათან მეტად ეტყობოდა დაღლა, ფიქრობდა რომ უბრალოდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, გადაწყვიტა ოფიცერი გამოეწვია. "ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია ცუდი, რატომ გვაკავებთ აქ? გთხოვთ გაგვიშვათ. დაბნელებამდე უნდა დავბრუნდეთ ბანაკში."

"არა" დაიყვირა კაპიტანმა. "ამაღამ ჩვენთან დარჩებით, და... ხვალ კი მოწვევა გაქვთ რაიონის კომანდირიდან." პურნიმამ ქედი მოიხარა კაპიტნის სიამაყის წინაშე, უკვირდა რამდენად ნასიამოვნები იყო კაპიტანი მათი დაპატიმრებითა და შეყოვნებით. ის და სხვა სამი ქალბატონი პატარა, ჭუჭყიან საკანში ჩაკეტეს, ერთად შეგროვდნენ და მთელი ღამე ღმრთს შეჰღაღადებდნენ დაცვისათვის. მათ უნდა სცოდნოდათ რომ ნეპალში ქადაგება საშიში იქნებოდა, ისინი ვისაც არასოდეს მოუსმენია სახარების შესახებ, ისეთი დიდი ინტერესით იღებდნენ სიტყვას, რომ ღირდა ამისათვის გარისკვა.

დილით პოლიციამ თერთმეტი ქრისტიანი ერთად მოაგროვა. "თუ გაქვთ ფული, შეგიძლიათ რაიმე იყიდოთ საჭმელად," უთხრა მათ ერთერთმა ოფიცერმა, "ეხლა კი ყველანი გრძელ გზას გავუდგებით."

პურნიმამ კითხვის თვალით შეხედა მეგობრებს, მაგრამ გადაწყვიტა ძალიან არ ედარდა. რა თქმა უნდა დღეს ყველაფერი გაირკვეოდა რაიონულ ოფისში.

მთელი დღის განმავლობაში ძლივს მიდიოდნენ გაუვალ ტყეში, თერთმეტი ქრისტიანი და ცხრა პოლიციელი იარაღით.

ვფიქრობ რომ ძალიან საშიშებად გამოვიყურებით, განჭვრიტა იარაღის შემხედვარე პურნიმამ. ძარღვები დაეჭიმა, უხეში ძალადობის წინააღმდეგ. რადგან მას და მის მეგობრებს ფული არ ჰქონდათ, არც საჭმელი და არც წყალი არ იყო მათთვის, გარდა იმ შემთხვევის როცა ნაკადული გადაკვეთეს.

ღამე იყო როცა რაიონულ ოფისში მივიდნენ. გადაღლილი იყო პურნიმა, ციოდა, შიოდა, მაგრამ მაინც გამხნევებული იყო სულიერად რომ ღმერთი მათთან იყო და მალე სახლში დაბრუნდებოდნენ. მათი იმედი გაუჩინარდა როგორც კი დაკითხვა დაიწყო. ხუთი ოფიცერი იჯდა დიდი ხის მაგიდასთან დაკითხვის ოთახში და ბრაზმორეულები უსვამდნენ კითხვებს ქრისტიანებს: "ვინ მოგცათ ნება ჯაფას ბაზარში საქადაგებლად? ვინ გეხმარებათ? სად იღებთ ლიტერატურას? ბინძურო ლტოლვილებო! აქ არანაირი უფლება არა გაქვთ."

თუ ვინმე ეცდებოდა პასუხის გაცემას გაშმაგებით უტკაცუნებდნენ და წიხლით ურტყამდნენ, თუ არ უპასუხებდნენ მაშინაც ურტყამდნენ. რამოდენიმე საათი გაგრძელდა დაკითხვასა და ცემაში, ვიდრე სხვა ოფიცერი არ შემოვიდა და თქვა, "საკმარისია. ამაღამ მეტი არა. მიეცით საკვები და ხვალ გავაგრძელოთ." ამ საკანში უფრო მძიმე პირობები იყო ვიდრე პირველში. პურნიმას თითქოს ნაღველი ამოუვიდა ყელში ისე დაახველა გულის ამრევი სუნისაგან, ცემენტის იატაკი ცივი იყო, ვედროც კი არ ჰქონდათ ტუალეტისათვის.

დილით პურნიმა და სხვა ერთი ქალბატონი ცუდი წინათგრძნობით იცდიდნენ საკანში. ოფიცრებმა სათითაოდ დაიწყეს პატიმრების გამოძახება. რაიონული პოლიციის ოფიცერმა უთხრა პურნიმას რომ, მათ დამამტკიცებელი საბუთი აქვთ, თუ როგორ დააზიანეს მან და მისმა მეგობრებმა ბუდისტური ტაძარი და ღმერთები შეურაცხყვეს.

"არა, ეს მართალი არ არის!" დაიყვირა პურნიმამ დაუჯერებლობისაგან. ოფიცერმა მაგრად გაარტყა სილა სახეში.

"შე პატარა მატყუარა!" ყვიროდა იგი. "გვითხარი სიმართლე და მსუბუქ სასჯელს მიიღებ. თუ გააგრძელებ მოტყუებას, ფედერალურ ციხეში წახვალ, დიდი, საკმაოდ დიდი ხნით." პურნიმა პანიკამ აიტანა, მაინც იატაკზე იდგა. კიდევ და კიდევ ურტყამდნენ, მალე ბუნდოვანმა მდგომარეობამ მოიცვა

ადამიანური სისასტიკის შემყურე. ინდოეთში შემოსვლის პირველი დღის გარდა მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თუ შეიძლებოდა რომ კაცი ასეთი ბოროტი ყოფილიყო. მომდევნო ოცდარვა დღის განმავლობაში საკმაო განათლება მიიღო მკაცრი გამოცდილების საფუძველზე. რთული გაკვეთილი იყო თხუთმეტი წლის გოგონასათვის.

გრძელი დაკითხვის დღეები მიიზლაზნებოდა, ოფიციალური პირები კვლავ აგრძელებდნენ მისიას, დაბლა დაეცათ პურნიმასა და მისი მეგობრების სული. ყოველთვის ერთი და იგივე რუტინა, გარდა იმისა რომ არასოდეს იცოდნენ ვის გამოიძახებდნენ პირველად ყოველდღიური დაკითხვისა და ცემისათვის. *კითხვები, მცდარი პასუხები, ცემა. შემდეგი შეკითვა, შემდეგი არასწორი პასუხი, შემდეგი ცემა.* ასე შემდეგ და ასე შემდეგ. პურნიმამ და დანარჩენმა ქალებმა ხმადაბლა იგალობეს და ილოცეს საკანში იმ ღამით. "ცოტაც მოვიცადოთ. მალე ყველაფერი დამთავრდება და სახლში წავალთ," ჩურჩულებდნენ სიბნელეში.

სახლი, გაიფიქრა პურნიმამ ირონიულად, კვლავ ნაცნობი სცენა.

ღვთის მშვიდობით გავარვარებული

პურნიმა გამუდმებით ფიქრობდა ბანაკში თავის მშობლებზე, როგორ ენატრებოდა სახლი ბუტანში. თავისი და და ჭუჭყიანი, პატარა, ხალხმრავალი ლტოლვილთა ბანაკი თუ ასე მოენატრებოდა, ვერასოდეს წარმოიდგენდა. რას აკეთებდნენ ეხლა მისი დისშვილები და წუხდა მაიაზე. მიიღო კი საერთოდ რაიმე ცნობა დის ადგილსამყოფელის შესახებ?

ოჰ, მაია, ვწუხვარ ასეთი პრობლემის გამოწვევისათვის. ალბათ გიჟდები, გაიფიქრა მან.

ბანაკში მყოფმა ზოგიერთმა ქრისტიანმა და მათმა საოჯახო შეკრების ხუცესმა, გაიგეს ჯგუფის დაპატიმრების შესახებ. დროებითი დაყოვნების განყოფილების ცენტრში მივიდნენ, სადაც პურნიმა და დანარჩენები იყვნენ, ადგილობრივმა პოლიციის ოფიცრებმა კარგად სცემეს და უკან გაუშვეს. თერთმეტმა პატიმარმა შეიტყო ამ ამბის შესახებ, ისინი გაანადგურა მათ მეგობრებზე მოწყობილმა თავდასხმამ.

დატუსაღებიდან ოცდამეხუთე დღეს, ერთი ოფიცერი ადრიანად მოვიდა პურნიმას დასაძახებლად. რაიონული განყოფილების კომანდირი ელოდებოდა ნაცნობ-დასაკითხ ოთახში, თავისი სისასტიკის გამოსახატავად მზად ყოფნაში. დაიწყო მორიგი დაკითხვა: "ვინ გითხრათ რომ გექადაგათ? შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ. ალბათ ეს შენი ბრალი არ არის. დარწმუნებული ვარ რომ ვიღაცამ დაგაძალა ამ რელიგიაში შესვლა ფულის დაპირებით. ვინ გიგზავნით დახმარებას? თუ მეტყვი ვინ არის ის, ცემა შეწყდება. შესაძლოა ბანაკშიც დაბრუნდე."

მომდევნო რამოდენიმე წუთი პურნიმას საუკუნედ მოეჩვენა. დაღლილი, ჭუჭყიანი და საკვების ნაკლებობისაგან ფიზიკურად დასუსტებული (პატიმრებს დღეში მხოლოდ ორჯერ აჭმევდნენ ბრინჯს და დაბანის საშუალებას არ აძლევდნენ). მიუხედავად ამისა, ღვთის მშვიდობა ვარვარებდა მის გულში, დაკითხვის განმავლობაში. ქრისტეს წინაშე ლოცვით წარსდგა, რომ ღმერთს მიეტევებინა მწვალებლებისათვის და მიეცა ძალა მომავალი საშინელების ასატანად.

"უპასუხე ჩემს კითხვას!" დაიყვირა კომანდირმა.

პურნიმამ ძალა მოიკრიბა და დაიჭიმა გარტყმის მოლოდინში. იცოდა რომ მისი პასუხი მოწონებას არ დაიმსახურებდა. "ქრისტე ფულისა და დახმარების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არ მიმიღია! ქრისტე მივიღე იმიტომ რომ ჩემი და ავად იყო სამი წელი, შემდეგ ქრისტიანი გახდა და სასწაულებრივად განიკურნა. ბევრი სასწაული მინახავს და მშვიდობა და სიხარული მაქვს. სხვა მიზეზი არ არსებობს."

იმედგაცრუებული კომანდირი პურნიმას სახეს მიუახლოვდა. მისი სუნთქვის სუნი და მის თვალებში მოკიაფე მძვინვარებამ შეაშინა იგი, ეცადა არ გადამხტარიყო. "მატყუარა!" შეჰყვიროდა სახეში. "ვიცი რომ რაღაცას მალავ. სიმართლეს არ ამბობ. ეხლა დიდი ხნით წახვალ ციხეში. მზად ხარ ამისათვის?" ვიდრე პურნიმა უპასუხებდა, სახეში ისე მაგრად გაარტყა რომ სკამიდან დაბლა ჩამოვარდა, "წაიყვანეთ საკანში," ბრძანა მან.

თანასაკნელები გაოცდნენ როცა დაინახეს მისი მყიფე და დალურჯებული სახე. "ნუ გეშინიათ," მოიტყუა და თან ცრემლები ჩამოდიოდა თვალებზე. "ისეთი მტკივნეული არ არის როგორც ჩანს."

ქალებმა უკვე კარგად იცოდნენ, რადგან მათაც გამოსცადეს იგივე ტკივილი და დამცირება უგულო ოფიცრებისაგან. ეცადნენ დაემშვიდებინათ როგორც კი შეეძლოთ, არ ესმოდათ თუ რატომ არ სჯეროდათ ოფიცრებს მათი მონათხრობის. პოლიციელებს უბრალოდ არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ პურნიმა და მისი მეგობრები უცხოელებისაგან არ იღებდნენ დახმარებას. დარწმუნებულები იყვნენ რომ ბიბლია და სხვა სახის ლიტერატურა ნეპალის გარედან მოდიოდა, რადგან ქრისტიანობა უცხო რელიგია იყო. უარს ამბობდნენ იმ აზრის მიღებაზე, რომ იგი ძალდატანებისა და პიროვნული სარგებელის გარეშე ვრცელდებოდა:

რამოდენიმე დღემ განვლო, პურნიმა და მისი მეგობრები მომავალ ბედისწერაზე ფიქრობდნენ. ლოცვა და ჩუმი გალობა უმსუბუქებდათ სადარდელს და დროც გადიოდა, პურნიმას გული ცუდს უგრძნობდა მოულოდნელად დამტყვევებლებთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო. *რას აკეთებენ ისინი ეხლა? გაგვიშვებენ?* ფიქრობდა ის.

“როგორი კურთხეული ვარ”

ბოლოს, დილით ადრე, სექტემბრის ოცში, ჯგუფი კვლავ გამოიძახეს ერთად რაიონული კომანდირის ოფისში. პურნიმამ იცოდა რომ რაღაც ხდებოდა, რადგან აქამდე ქალი პატიმრები განცალკევებულები იყვნენ მამაკაცებისაგან. მცირედი იყო ნათქვამი, პატიმრებს ბორკილები დაადეს და ცერემონიალის გარეშე წაიყვანეს სოფლის გადაღმა მოკალულ სახურავიან სასამართლო სახლში. პურნიმა ისეთი მოხარული იყო მზის შუქზე გამოსვლით, თუნდაც ასე მცირე ხნით, რომ დაავიწყდა მომავალ საშინელებაზე ფიქრი.

როცა ჯგუფს წინ წაუძღვნენ და სასამართლოს მიერ დანიშნული მოსამართლის წინ დასვეს, ოთახი უკვე სავსე იყო ხალხით. სახელმწიფოს მოსამართლეს ოფიციალური ბრალდება გამოჰქონდა თერთმეტის წინააღმდეგ. ირონიულად, როგორც კი გამოგონილი სარჩელი იქნა წაკითხული-სია რომელიც მოიცავდა ბუდისტური ტაძრის დაზიანებისა და წმინდა ხბოს მკვლელობის ისტორიას-პურნიმას იმედი მიეცა. ალბათ ეს იქნება მათი დაცვის

დღე და გაათავისუფლებენ. რა თქმა უნდა მოსამართლე დაინახავდა რომ ისინი უდანაშაულონი იყვნენ.

დამცველი დამარწმუნებელი არგუმენტებით იბრძოდა, პროკურორს როგორც ჩანდა გეგმა ჰქონდა რომელსაც უნდა მიჰყოლოდა და საღამომდე განეხორციელებინა. დაახლოებით ღამის ათი საათი იქნებოდა, მოსამართლემ საბოლოო განაჩენი გამოიტანა, დაქანცული ჯგუფის წინაშე. სხვა დანარჩენ პატიმრებთან ერთად პურნიმაც ადგა საკუთარი სახელის გაგონებისთანავე. შოკმა შეარყია მისი სხეული როდესაც მოსამართლემ გამოაცხადა სასჯელი, სამი წელი ფედერალურ ციხეში.

სამი წელი. გაურბინა აზრმა პურნიმას თავში.

პურნიმა ღმერთს დაჰპირდა რომ რაც არ უნდა მომხდარიყო მისი ერთგული იქნებოდა, სადაც არ უნდა გაეგზავნა, სახლიდან შორს... ბუტანიდან... ლტოლვილთა ბანაკში. მაგრამ *ციხე?* ეს იმაზე მეტი იყო ვიდრე თხუთმეტი წლისას შეეძლო აეტანა. თვალები დახუჭა და ბიბლიური მოთხრობებისაგან მიღებულ კომფორტზე დაიწყო ფიქრი გონებაში. წარმოიდგინა მოწაფეების დამოძღვრისას, მთის მწვერვალზე მჯდომი ქრისტე და მხნეობა მოემატა, როგორც კი ნაცნობმა სიტყვებმა გაუელვა: ნეტარნი არიან დევნილნი... რადგან მათია ცათა სასუფეველი. ნეტარნი არიან დევნილნი... ნეტარნი არიან... და შეჩერდა როგრც კი სიცხადე გააცნობიერა. ნეტარი ვარ მე?..."[2]

ძნელი იყო გეფიქრა რომ ციხე ნეტარება იყო; პურნიმას სულმა მიიღო იგი ჯერ კიდევ გონებრივ აღიარებამდე. მომავალში ეს დაპირება გახდებოდა პატიმრებისათვის ძალის მიმცემი საფუძველი, როცა კი ამ სიტყვებს გაიმეორებდნენ.

ორ-ორ კაცს ბორკილები დაადეს, სასამართლო ოთახიდან გაიყვანეს და დაიწყო მომდევნო დაძაბული მგზავრობა ჯუნგლებში. ციხე რამდენიმე მილის დაშორებით იყო, მთის მწვერვალზე. პურნიმას გონება კვლავ სასამართლოს განაჩენის მოსმენაში იყო, თანდათან რწმუნდებოდა რომ ყველაფერი ღმერთის ნებით ხდებოდა. ისინი ტყუილუბრალოდ ჩასვეს ქრისტეს გამო. ეს ამშვიდებდა პურნიმას და იგრძნო რომ უპირატესობა მიანიჭა ქრისტესათვის წამებას. გაუვალ ტყეში

ძლივს მიმავალთა შემხედვარემ კვლავ გაიფიქრა, რომ კარგი კომპანიის ხელში იყო.

"კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში"

ციხის ჭიშკარს დილის სამ საათზე მიაღწიეს. პურნიმამ შეძლო მთვარის შუქზე დაენახა უზარმაზარი სქელი კედლები და ჭიშკარი, რომელიც ავისმომასწავებელი ღრჭიალით გაუღეს. ადგილი ძალიან შთამბეჭდავი იყო და გეგონებოდათ ერთ დროს დიდი ციხე სიმაგრე იყოო, ეხლა კი სერიოზული შეკეთება ესაჭიროებოდა. შენობაში შესვლისას პურნიმამ თვალი მოჰკრა როგორ იკეტებოდა ჭიშკარი მათ უკან. ციხე-მისი ახალი სახლი, ხმამაღალი ხმაურით გამოირჩეოდა ძველისაგან.

პურნიმას და დანარჩენ ქალებს ჩალის ქვეშაგები გადასცეს და საკნისაკენ წაუძღვნენ. თითქმის მარადიული სიბნელე, თვალი თანდათან შეეჩვია და გამოჩნდნენ იატაკზე მძინარი სხვა სილუეტები. შემაძრწუნებელი ხმა გაისმა ქვემოდან, "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში."

ნერვიულობდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ მისი თანასაკნელები. რა დანაშაული ჩაიდინეს? მოეწონებათ ის? პასუხგაუცემელი კითხვები ემუქრებოდა მხნეობის წასართმევად. თავისუფალი ადგილი მოძებნა კედლის მიღმა და ხელებით მუხლები მიიკრა სხეულზე. გადაღლილი იყო, დაძინების ეშინოდა.

რამდენიმე საათში სინათლის სხივმა შემოაღწია ღია, გისოსებიან ფანჯარაში, ზემო კედლიდან, რამაც საშუალება მისცა პურნიმას და მის მეგობრებს გარესამყაროს დანახვის. ოთახი დიდი არ იყო, მაგრამ არც ძალიან გადატვირთული. ხუთი სხვა პატიმარი იყო საკანში, რაღა თქმა უნდა თითოეულ მათგანს დასაკუთრებული ჰქონდა ადგილი, საწოლის გარშემო იატაკზე მცირეოდენი საკუთრებით მიმოფანტული. ტვალეტი, თუ შეიძლება ამას ეს დავარქვათ, კედლის მიღმა იყო. დაჟანგული პირსაბანი, არც საპონი, არც ცხელი წყალი, არც კარები. პურნიმა სუნის მიხედვით ეჭვობდა რომ ორმო იყო ამოჭრილი იატაკში, რომელსაც არასოდეს ღირსებია გაწმენდა. ორმოდან მომავალი სუნი ავსებდა ოთახს.

საკნის ცემენტის კედლები მოხატული იყო, რომელიც კარგად ასახავდა პატიმრების წუხილს წლების განმავლობაში. იატაკი ძალიან ცივი იყო, ნესტიანი და ჭუჭყიანი. პატარა ზომის ფანჯარა ნებას რთავდა პატიმრებს გარე სივრცისა და საპირისპირო მხარის, მამაკაცების საკნების დანახვის. ციხის ზემოთ იყო ვიწრო ბოგირი, რომლის საშუალებითაც დაცვას შეეძლო კარგად ედევნებინა პატიმრებისათვის თვალი, თუმცაღა პურნიმას ჯერ არც ერთი მათგანი არ დაუნახავს.

პულასა თვითდანიშნული საკნის ლიდერი იყო. "აქ რატომ ხარ?" იკითხა მან უდარდელად და პურნიმას ალმაცერად შეხედა. "ძალიან პატარა ხარ ჩასაკეტად, შენ რას ფიქრობ?"

"არ ვიცი ძალიან პატარა ვარ თუ არა," უპასუხა პურნიმამ, "მაგრამ აქ იმიტომ ვართ რომ ქრისტიანები ვართ."

"ქრისტიანები?" ტულასამ თითქმის გადმოაფურთხა სიტყვა. "რატომ დაგაპატიმრეს, ქრისტიანობისათვის? სულელები, ეს კანონს არ ეწინააღმდეგება." დანარჩენებიც შემოუერთდნენ სიცილში. თავისი თავი წარადგინა, მაგრამ სითბო არ იგრძნობოდა მის სიტყვებში. "ისინი ამბობენ რომ დედამთილი მოვკალი," შეუღრინა მათ. "ასე რომ კარგა ხანს ვაპირებ აქ დარჩენას და ძალიან დავაფასებ თუ არ შემაწუხებთ!"

პურნიმამ თვალი გაუშტერა ქალს, თუმცაღა შეშინებული იყო მისი სასტიკი სიტყვებით. რატომღაც პურნიმა ფიქრობდა რომ ამ ცივი გამოხედვის უკან, თბილი და მზრუნველი გული იმალებოდა და იმ წუთიდან დაიწყო ლოცვა, რომ მიეცა ღმერთს მასში ამის აღმოჩენის შესაძლებლობა.

ტულასა თავისი კუთხისაკენ მიბრუნდა და ღვთის გმობის ნაკადული გადმოუშვა პირიდან. პურნიმამ შენიშნა რომ მას სრულიად საკმარისი ნივთები ჰქონდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ იგი აქ კარგა ხანია იმყოფებოდა და მეგობრების ან ოჯახის წევრებისაგან იღებდა დახმარებას. ახალმოსულებს კი არაფერი გააჩნდათ გარდა ტანსაცმლისა, რომელიც ტანზე ეცვათ. იმ პირველ დილას, ერთად შეიკრიბნენ და ილოცეს. გადაწყვიტეს რომ ყოველი დღე ლოცვით დაეწყოთ და ყოველ პარასკევს ემარხულათ. ახალმოსულებს ორჯერადი კვების პროდუქტები დაურიგეს, ძირითადად ბრინჯი და კარტოფილი. ხანდახან მცირეოდენ თანხასაც აძლევდნენ, რითაც პირადი

სარგებლობის ნივთები შეეძლოთ შეეძინათ.

ქრისტიანებმა მალე აღმოაჩინეს რომ ციხის ცხოვრებას შეგუება ძალიან ჰგავდა ლტოლვილთა ბანაკის ცხოვრების მორგებას: წესების შესწავლა; ეცადო შორს დაიჭირო თავი გაუგებრობებისაგან, მიხედო საკუთარ თავს. მნიშვნელოვანი განსხვავება რაღა თქმა უნდა ის იყო რომ, თავისუფლებას იყვნენ მოკლებულნი და დაცვის სურვილის არ ქონა ჩარეულიყვნენ პატიმრებს შორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილებაში.

სხვა თუ არაფერი, აქ ყოველდღიური დაკითხვა და ცემა-ტყეპა მაინც არ ჰქონდათ და შეეძლოთ გაეხარათ ერთმანეთთან ურთიერთობით, მიუხედავად თანასაკნელების აგრესიისა და მათი მისამართით წარმოთქმული ბინძური სიტყვებისა. პურნიმას უდიდესი შიში ჩაესახა დაცვის მიერ მის მიმართ სექსუალური ვნების გამომჟღავნების მცდელობისას, რომელიც მისი ციხეში მოსვლიდან მალევე დაიწყო.

პირველი რამოდენიმე თვე პურნიმას ძლივს ეძინა. მალევე მიხვდა, თუ რატომ არ აირჩიეს მისმა სხვა თანასაკნელებმა, კედლის მიღმა ადგილი, იქ ძალიან ციოდა. მისი ჯანმრთელობა თანდათან სუსტდებოდა, ზამთრის სიცივეში, არც თბილი ტანსაცმელი ჰქონდა და არც საბანი. თანდათან მისი ოპტიმისტური გამომეტყველება შინაგანმა სასოწარკვეთამ შეცვალა. პურნიმამ წუხილი დაიწყო იმაზე, რომ ტანჯვის გამო რწმენა ეკარგებოდა. კიდევ ერთხელ დაფიქრდა, ჩაიდინა თუ არა გამოუსწორებელი შეცდომა. მისი ფიქრები სახლზე და დედაზე კვლავ დაბრუნდნენ, რაც ღამეს გაუსაძლისად აქცევდა. მზად იყო დანებებულიყო.

ერთ შუადღეს პურნიმას ყვირილის ხმა შემოესმა კაცების საკნების მხრიდან, გაბრაზებული ხმა იძახდა, "დაიჭირეთ! დაიჭირეთ! მოკალით!" არაჩვეულებრივი არაფერი იყო მამაკაცების საკანში წამოწყებულ ჩხუბში, მაგრამ ამჯერად მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა როცა ყვირილის ხმა ამბობდა, "ეხლავე მოკალით. მკვდარ ქრისტიანს აღარ შეუძლია იმღეროს ან ილოცოს!"

მუქარა ნამდვილი იყო. ტულასამ უთხრა მას რომ კაცების საკანში ვიღაც მოკლეს მათ მოსვლამდე. პურნიმამ იცოდა რა რომ ქრისტიანი ძმა სიკვდილის საფრთხის წინაშე იდგა

სასოწარკვეთილი უხმობდა დაცვას, მაგრამ ამაოდ. ქვითინით დაეცა ლეიბზე და ლოცვა დაიწყო. იმავე წუთში გააცნობიერა თუ რამდენად უფრო მძიმე იყო მისი თანაქრისტიანი ძმებისათვის, ორასამდე პატიმართან, საშიშ კრიმინალებთან, ერთ საკანში ცხოვრება, ვიდრე მისი მდგომარეობა. მან დაინახა რამდენად დაკავებული იყო საკუთარი თავის სიბრალულით-მაშინ როცა, ეზოს გადაღმა, ერთერთ მის მეგობართაგანს სცემდნენ, შესაძლოა კლავდნენ კიდეც.

"ძვირფასო ღმერთო," ლოცულობდა ის, "გთხოვ არ მოკლან; გთხოვ ნუ მოკვდება."

მერე ატირდა, ამჯერად არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ ყველასათვის.

ძმა აშოტი იყო იერიშის მსხვერპლი კაცების საკანში. გადარჩა, მაგრამ ძლივს. მისი გადარჩენით მადლიერმა გადაწყვიტა ფოკუსი საკუთარი თავიდან სხვაგან გადაეტანა, პურნიმა ცდილობდა ეპოვა გზა, თანასაკნელი ქალებისათვის დაემოწმებინა ღმერთის შესახებ. იცოდა აქტიურობა უნდა შეენარჩუნებინა, თუ აპირებდა სამი წელი გაეძლო ციხისათვის. ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში არა მარტო სხეულით, არამედ სულიერადაც ტყვეობაში იმყოფებოდა, რაც აუცილებლად უნდა შეეცვალა. "მაჩვენე ღმერთო რა გავაკეთო," ლოცულობდა ის. თავისუფალი ვარ შენი მსახურებისათვის, მნიშვნელობა არა აქვს რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს."

გაახსენდა რომ თითქმის შობა მოახლოვდა...

საშობაო საჩუქარი

კაცი, რომელიც ცნობილი იყო როგორც "ბიძა", მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ ფედერალურ ციხეში. იმდენი ხანი იყო ციხეში და ისე თავისუფლად მიმოდიოდა იქეთ-აქეთ, რომ ახალმოსულებს თანამშრომელი ეგონათ, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. ყოველ კვირას ციხეს წრეს დაარტყამდა და ყველას ეკითხებოდა თუ ვინმეს რაიმე უნდოდა რომ ეყიდა ბაზარში.

"დილა მშვიდობისა, პურნიმა," მიმართა მან იმ დღეს გოგონას. რა გინდა რომ გიყიდო დღეს ბაზარში? რატომ ინახავ ფულს? რა სარგებელია თუ არ დახარჯავ?

როგორც კი ეს სიტყვები უთხრეს მაშინვე აზრი მოუვიდა თავში. *დიახ! ზუსტად ამას გავაკეთებ. დიდი მადლობა, ბიძია!*

სასწრაფოდ ჩაუტენა ბიძას ხელში რაც კი რაიმე ფული გააჩნდა და საკნის გისოსებს მიღმა ჩურჩულით მისცა ინსტრუქცია რა უნდა გაეკეთებინა. შესცქეროდა საკნიდან დინჯად მიმავალ ძიას და ლოცულობდა ზუსტად ის ეყიდა, რაც მას უნდოდა. ძიამ გაიფიქრა რომ ეს გოგო გაგიჟდა, როგორც კი თხოვნა გაიგონა, მაგრამ ტკბილად თქვა; "როგორ შემიძლია უარი უთხრა ასეთ უმწეო სახეს?"

იმ დღესვე, გვიან საღამოთი, როგორც კი დაბუნდა ძია მაშინვე პაკეტი გადასცა პურნიმას." ირწმუნებოდა ძია. "მაგრამ მაინც ვფიქრობ რომ გაგიჟდი. ციხე უკეთებს ამას ადამიანს სხვათა შორის."

პურნიმამ მადლიერებით გაუცინა, გისოსებში ხელი გაყო და პაკეტი ჩამოართვა. შემდეგ სამზადისს შეუდგა. დანარჩენები გაოცებულები შესცქეროდნენ მის ფუსფუსს. ბოლოს ვეღარ მოითმინეს, გამოვიდნენ და ჰკითხეს რას აკეთებდა, პურნიმამ პასუხი არ გასცა და გააგრძელა მუშაობა. მთელი შუადღე დასჭირდა, მაგრამ დაჟინებით სურდა რომ კარგად გამოსულიყო ყველაფერი. ბოლოს როგორც კი დაასრულა, მიუბრუნდა დანარჩენებს და უთხრა: "აქ მოსვლის შემდეგ ღმერთმა ჩადო ჩემს გულში, რომ შემეგროვებინა ფული. დღეს დილამდე არ ვიცოდი რატომ, შემდეგ კი მივხვდი რაც უნდა გამეკეთებინა. ძიას ვთხოვე რომ ეყიდა საუკეთესო ქათამი და ბოსტნეული. ეხლა უკვე ყველაფერი მზად არის-თქვენთვის."

გაჩუმებულები იდგნენ და გაოცებულნი შეჰყურებდნენ მასპინძელს. ტულასა საეჭვო თვალით იმზირებოდა და ცდილობდა საბაბი ეპოვა, მას არასოდეს, არავის მიმართ წამოსცდენია კეთილი სიტყვა. "რას ლაპარაკობ? რა ხრიკი გაქვს მომზადებული?" იკითხა მან სარკაზმულად.

"უბრალოდ მინდა რომ გაგიზიაროთ, ტულასა-ყველა თქვენგანს. აქ არაფერი ტრიუკია. ეს ჩემი საჩუქარია. ასე რომ ვჭამოთ!"

იმ საღამოს თანასაკნელებს რაც თავი ახსოვთ ასეთი სადილი არ ჰქონიათ. დაცვაც კი გაოცებული იჭვრიტებოდა საკანში. სიტყვა მალე გავრცელდა ციხეში: პურნიმამ ლხინის სუფრა მოაწყო!

მომდევნო დღეს ტულასამ თავისი კუთხე დატოვა და პურნიმას მიუჯდა გვერდით. "რატომ გააკეთე ეს ჩვენთვის?" ჰკითხა მან, პირველად პურნიმას თვალწინ გულწრფელი და თავაზიანი ტულასა იდგა. "ჩვენ შენთვის არაფერი გაგვიკეთებია გარდა დაცინვისა აქ მოსვლის დღიდან... ეს შენი საკუთარი ფული იყო. შეგეძლო შენთვის გამოგეყენებინა, რატომ დახარჯე ჩვენთვის?" უბრალოდ დაუჯერებელი იყო ტულასასათვის ასეთი გულკეთილობა. ის ფიქრობდა რომ პურნიმა ან ძალიან სულელი იყო ან ბრძენი, უნდოდა გაეგო რომელ მათგანს შეეფერებოდა.

"ტულასა," დაიწყო პურნიმამ ღიმილით, "ოდესმე გსმენია შობაზე...?"

ამ გზით მეგობრობის მსგავსი გრძნობა ჩამოყალიბდა დამნაშავედ ცნობილ მკვლელსა და აზალგაზრდა მქადაგებელს შორის. უამბო, თუ როგორ მიიღო ქრისტე შობის დღესასწაულზე დაახლოებით სამი წლის წინ. მომდევნო რამოდენიმე თვის განმავლობაში პურნიმა ხშირად ელაპარაკებოდა ტულასას ქრისტეს შესახებ, მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით და ყველასათვის დაუჯერებლად ეს ორი ადამიანი დამეგობრდა. რაღაცნაირად ტულასა პურნიმას დედას აგონებდა და გოგონა კომფორტულად გრძნობდა თავს უფროს ქალთან ურთიერთობით. რა თქმა უნდა პურნიმამ არ იცოდა რას უქადდა მომავალი, რის გადატანასაც მამაცურად ეგუებოდა გულში. მან გააცნობიერა თავისი სისუსტე და არ დანებდა რომ დამონებოდა. ყოველი მოწოდება ღმერთთან მიჰქონდა, ისე როგორც მოსეს.

ეპილოგი

სხვა დანარჩენ ქრისტიან პატიმრებთან ერთად პურნიმა გათავისუფლებული იქნა ციხიდან თოთხმეტი თვისა და ექვსი დღის შემდეგ. მათი დაპატიმრების შესახებ ცნობამ რა თქმა უნდა მიაღწია ლტოლვილთა ბანაკამდე და შემდეგ კი მსოფლიოს გარშემო გავრცელდა. საერთაშორისო ქრისტიანთა კავშირმა, თხოვნა აღძრა ნეპალის მთავრობასთან მათი გათავისუფლების შესახებ: "ვიცით რომ ფედერალურ ციხეში გყავთ თერთმეტი ქრისტიანი," გააპროტესტეს მათ. "ერთერთი მათგანი მხოლოდ ბავშვია!"

პურნიმამ და დანარჩენებმა მოგვიანებით გაიგეს, რომ მათი გათავისუფლება მადლზე მეტი იყო. რადგან ციხის უფროსობა მათ შვიდი წლით უპირებდა დაპატიმრებას (გამოუსწორებელ პატიმართა ციხეში ჩასმას, ვიღაცის ქრისტიანად მოქცევის გამო).

ოფიციალური პირების გასაოცრად პატიმრებმა გათავისუფლებიდან მალევე მოითხოვეს თანასაკნელებთან შეხვედრა. ქრისტიანებმა დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ დაიწყეს სახლიდან დახმარების მიღება. ეს საკუთრება და პურნიმას მიერ შეგროვილი თანხა განსაკუთრებული შემთხვევისათვის მათ ეხლა თანასაკნელებს გადასცეს და შეახსენეს დანარჩენებს რომ ისინი ისესოს რწმენის გამო იქნენ დაპატიმრებულნი. ზოგიერთი პატიმართაგანი ქრისტიანი გახდა და ამხნევებდნენ "დაეცვათ რწმენა". თერთმეტივე დაჰპირდა მათ რომ არ დაივიწყებდნენ და ილოცებდნენ მათზე.

აღსანიშნავია რომ ერთერთმა კაცმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აშოტის ცემაში, წინ გამოვიდა და თქვა, "მკაფიო ნათელმა შემოაღწია ჩვენს ციხეში. ეხლა გვტოვებს."

წასვლამდე პურნიმა საბოლოოდ გადაეხვია ტულასას, ეხლა როგორც ქრისტიანს. (მოგვიანებით როცა ტულასას სასჯელი დაუმთავრდა და გაათავისუფლეს ეკლესიას დაუბრუნდა. სადაც დღეს ერთერთი აქტიური ლიდერია.)

იმ დღიდან, როცა მაიამ პირველად წაუკითხა ბიბლიური ისტორია, პურნიმა აღტაცებული დარჩა მოსეთი. რომელიც გადასახლებული იყო საკუთარი მიწიდან, მიუხედავად იმისა რომ საუბრისათვის შეუფერებელი იყო, ღმერთმა იგი სხვა ძლევამოსილი გზით გამოიყენა. ამის მსგავსად, პურნიმა, რომელიც ხშირად შეუფერებლად გრძნობდა თავს ასაკის გამო, სახელგანთქმული გახდა ნეპალში. ძალიან ხშირად იწვევდნენ მას ლტოლვილთა ბანაკის ახლომდებარე ეკლესიები, სადაც ის დღემდე ცხოვრობს მაიას, სივალთან და დისშვილებთან ერთად, რათა დამოწმება გაეკეთებინა.

იგი ლოცულობს რომ ერთ დღეს ბუტანში დაბრუნდეს, საკუთარ მიწაზე, ნახოს დედამისი და იქადაგოს.

აიდა:

ხმა უხმოთათვის

რუსეთი

ივნისი 1968

მას არ უნდოდა დამცველი. აიდა მიხაილოვნა სკრიპნიკოვას არ სჭირდებოდა ორატორი, განსაკუთრებით საბჭოთა მთავრობის მიერ დანიშნული. სურდა რომ თვითონ ელაპარაკა თავის თავზე და თვითონვე წარედგინა საკუთარი საქმე მოსამართლის წინაშე. იჯდა საბჭოთა სასამართლოს დარბაზში, მოპანელებულ, ბრალდებულის მაგიდასთან და დაჟინებით შესცქეროდა მის წინ დროშად აღმართულ ლენინის სურათს, ამ სისტემის "მამას" ხელთ ეპყრა ტყვე.

პროკურორი ამ იდეის წინააღმდეგი იყო. მას არ სურდა რომ ბრალდებულს ესაუბრა საკუთარი თავის დასაცავად; რაც ბევრი თავისუფლების მინიჭებას გულისხმობდა. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე რომ ბრალდებულს საგიჟეთში ჰქონდა დრო გატარებული და როგორ შეეძლო მას კრიმინალური დაცვის წარმართვა?

მოსამართლე საბოლოოდ მიემხრო აიდას და მისმა დამცველმა დატოვა სასამართლო დარბაზი და აიდა საკუთარი საქმისა და სასჯელის პასუხისმგებელი. აიდა პირველად არ იმყოფებოდა სასამართლო დარბაზში ქრისტიანული რწმენის მიმდევრობის ბრალდების გამო. თუ მოსამართლემ იგი ბრალდებულად სცნო და შრომა გასწორების კოლონიაში გააგზავნა, არც ეს იქნებოდა პირველი, არა, ეს ყველაფერი მას უკვე გადაუტანია მანამდე.. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მთავრობის მიერ დანიშნული დამცველი არ ჰყავდა. ეს იქნებოდა პირველად, როცა მას შეეძლო თავის სასარგებლოდ საუბარი, რომ ნათლად წარმოეჩინა პირადი საქმიდან გამომდინარე, მის სამშობლოში არსებული მორწმუნე ადამიანების მდგომარეობა.

მრავალი ბრალდება იყო წაყენებული მის მიმართ, მოსამართლემ თითოეული მათგანი გარკვევით და ხმამაღლა, სისხლის გამყინავი ხმით წაიკითხა. აიდას ბრალად ედებოდა, ლენინგრადში, სათანადო ბინადრობის ნებართვის გარეშე ცხოვრებაში (ნებართვას ვადა ჰქონდა გასული). მას აგრეთვე ბრალად ედებოდა არარეგისტრირებული ეკლესიის ჯგუფის წევრობა და არალეგალური ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელება.

ცილისწამება ჭეშმარიტების წინააღმდეგ

ბრალდებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სიტყვას: *ცილისწამება.* პროკურორი ამტკიცებდა, რომ აიდა "მცდარ" ინფორმაციას ავრცელებდა, თუ როგორ იჭერდნენ ქრისტიანებს და ციხეში სვამდნენ მთავრობის თვალწინ, ბრალდებას უყენებდნენ რომ იგი ამ ინფორმაციას აწვდიდა უცხოელებს, საბჭოთა კავშირზე ეს წყეული ცნობა კი უცხო ქვეყნებამდე აღწევდა. როგორც პროკურორი აკეთებდა აქცენტს ერთ სიტყვაზე, ასევე აიდაც. მისი ხმა ჩერდებოდა სიტყვა ჭეშმარიტებაზე. თუ ინფორმაცია, რომელიც მან გადასცა სიმართლეს შეეფერებოდა, მაშინ იგი არ უნდა ყოფილიყო ცილისმწამებლური. გეგმავდა რომ სასამართლოსათვის დაემტკიცებინა ამ ინფორმაციის სამართლიანობა.

როგორც კი ბრალდების სრული სია იქნა წაკითხული, პირველად მიხვდა აიდა თუ როგორ სრულ ზედამხედველობას ჰქონდა ადგილი პოლიციის მიერ. მათ იცოდნენ ჯურსნარის, ლამაზი, შვედი გოგონას შესახებ, რომელიც ქვეყანაში ჩამოვიდა აიდასაგან ინფორმაციის მისაღებად. მათ იცოდნენ სად და როდის შეხვდა ეს ორი ადამიანი ერთმანეთს. ჯურსნარის დღიური გაუჩხრეკიათ, რომელიც მოიცავდა აიდასთან შეხვედრების ჩანაწერებს. სასამართლოს სიაც კი ჰქონდა შედგენილი ყოველი საგნისა, რომელიც აიდამ მას გადასცა. სარკაზმული ზიზღნარევი, გამაჟრჟოლებელი ტონი.

"ჯურსნარი ცდილობდა გადაცემული ლიტერატურის ქვეყნიდან გატანას," გაამახვილა მოსამართლემ ყურადღება, "მაგრამ საბაჟო ინსპექციის გავლის შედეგად აღმოჩენილი და

კონფისკირებული იქნა," მან გამარჯვებულის ღიმილით ამოიხედა საბრალდებო აქტიდან და ბრალდებულს შეხედა.

მათ იცოდნენ დევიდის, სხვა ქრისტიანი მეგობრის შესახებ და ქრისტიანული ჟურნალის "ხსნის ანგელოზის" შესახებ, რომელიც აიდამ გაუგზავნა მას. მათ იცოდნენ რომ ის სხვა რაიონში წავიდა თავის დასთან შესახვედრად, რომელსაც გადასცა ჟურნალები იატაკქვეშა ეკლესიაში გასავრცელებლად.

აიდა სიმშვიდით ფიქრობდა ნეტავ რა ინფორმაცია ჩაიგდეს კიდევ ხელში, რომლის შედეგადაც ქრიტიანი პატიმრები უცნობად რჩებოდნენ, რადგან ეს ინფორმაცია საჭიროების ადგილზე მისვლამდე გაუჩინარდა.

მოსამართლე კითხვას აგრძელებდა. ბრალდების აქტის მიხედვით, აიდას გაუვრცელებია "წინასწარ განზრახული ცილისმწამებლური მოწოდება საბჭოთა სისტემისა და სოციალური წესის შესახებ."

ჩუმი ნდობა?

აიდა ჩუმად და მოუხერხებლად იჯდა ბრალდებულის ხის მაგარ სკამზე. წინასწარ ფიქრობდა რომ განერვიულდებოდა ან შეშფოთება დაეტყობოდა, საკმაოდ თავდაჯერებულად გრძნობდა ქრისტეს არსებობას ოთახში. იესომ უთხრა თავის მოწაფეებს, არ ეფიქრათ რა ეთქვათ, როდესაც მეფეებისა და მსაჯულების წინაშე წარსდგებოდნენ მისი სახელის გულისათვის, ისიც არ ნერვიულობდა.

როცა პოლიციამ დაკითხვა მოუწყო, მოსამართლემ საბრალდებო აქტის კითხვის გაგრძელებისას აღნიშნა, ის არ აღიარებდა თავს დამნაშავედ, მიუხედავად იმისა რომ ის ადასტურებდა ამ ლიტერატურის გავრცელების სისწორეს. მისი სახლიდან ამოღებული გაგზავნილი დოკუმენტების ასლების შესახებ, პოლიციამ თქვა რომ წამოგებული ჰყავდათ ანკესზე. მისი პასუხით დოკუმენტები ცილისწამებას კი არა, არსებულ სინამდვილეს შეეფერებოდა და "ზედმიწევნით ასახავდა ქვეყანაში ეკლესიის მდგომარეობას."

როგორც იქნა მოსამართემ დაასრულა საბრალდებო აქტის წაკითხვა. აიდას მკაცრად შეხედა და შეეკითხა, "ბრალდებულო, გასაგებია თუ არა თქვენს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება?"

საპასუხოდ აიდამ შეხედა და დაჟინებით გაუშტერა თვალი მოსამართლეს, შავ თვალებში.

“დიახ.”

“თავს დამნაშავედ სცნობთ?”

“არა.” მისი ხმა იყო მშვიდი და მტკიცე.

მოსამართლემ ჩანაწერებს ჩახედა და შემდეგ გამოაცხადა რომ სასამართლო დაუყოვნებლივ შედგებოდა. პირველი მოწმე, გამოაცხადა მან, თვითონ აიდა იქნება.

დარდისაგან ნაწამები ოჯახი

როდესაც იგი იესოს გზას შეუდგა ოცდაერთი წლის ასაკში, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თუ ეს ბილიკი მას სასამართლომდე მიიყვანდა. ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა და ბავშვობიდანვე იცოდა ვინ იყო იესო, მაგრამ მისი ოჯახი გაწამებული იყო დარდისაგან. 1942 წელს მამამისი დაიჭირეს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო. დაჰპირდნენ რომ მისცემდნენ მოწმობას სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ, რაც არასოდეს მიუღია. სამაგიეროდ, გადაასახლეს და ორი წლის აიდა დატოვეს მამის მოგონებების გარეშე.

მარტო დარჩა დედამისი ციმბირის პატარა სოფელში კისერზე ოჯახის რჩენის ტვირთით, რასაც თავი მძიმე შრომითა და ლოცვით გაართვა. დაპატიმრების შიშის მიუხედავად მაინც დაჰყავდა შვილები სხვადასხვა სახლებში გამართულ ქრისტიანულ შეხვედრებზე. ხანდახან ბიძამისი გარეთ იდგა დამეთვალყურეობდა პოლიციის გამოჩენას. აიდას ცხადად ახსოვს კვირა დღე, როდესაც პოლიციამ დაარბია მათ სახლში შეხვედრა. წასვლისას თან წაიყვანეს ბორკილდადებული ბიძამისი და ორი სხვა ქრისტიანი კაცი. მათ წინააღმდეგ კრიმინალური ბრალდება აღძრეს.

სამწუხაროდ, როდესაც აიდა თერთმეტი წლის იყო, დედამისი გარდაიცვალა. ერთადერთი აშკარა მოგონება რაც მას დედამისთან აკავშირებდა იყო მისი წუხილი, ბავშვები რომ გაიზრდებოდნენ შეიძლება ქრისტეში რწმენა დაეკარგათ. მიუხედავად დედამისის დიდი ძალისხმევისა, აიდამ დატოვა რწმენა. ეს იმდენად წინასწარ განზრახული ზურგის შექცევა კი არ იყო, არამედ უბრალოდ უკუსვლა, ინტერესის დაკარგვა.

აიდას მისი უფროსი და ზრდიდა, და ცხოვრების ორომტრიალში თავი მიანებეს საეკლესიო შეხვედრებს. სკოლაში ასწავლიდნენ რომ ღმერთი არ არსებობდა, ნელ-ნელა მისი სახელის ხსენებაც გაქრა ოჯახიდან.

რწმენა კვლავ დაიბადა

ცხრამეტი წლის ასაკში აიდა ძმასთან ახლოს ყოფნის მიზნით ლენინგრადში გადავიდა (ამჟამად სანკტ პეტერბურგი). მისმა ძმამ, ვიქტორმა, მასზე ხუთი წლით უფროსმა, საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა და იქ დასახლდა. ერთ დღეს, რელიგია გახდა მათი საუბრის თემა. აიდამ თქვა, "არ ვიცი არსებობს თუ არა ღმერთი."

გააკვირვა მისი ძმის დაჟინებულმა პასუხმა: "რა დაგემართა?" თქვა მან მოთხოვნის ტონით. "არასოდეს ეჭვი არ შემპარვია ღმერთის არსებობაში! ვიცი რომ ღმერთი არსებობს."

აიდას სურდა რომ მისი ძმის დარწმუნებულობა ჰქონოდა. რისთვისაც საბუთი სჭირდებოდა.

ძმასთან საუბრიდან მოკლე დროში ანტიკური წიგნების მაღაზიასთან გაიარა, გაახსენდა რომ ხანდახან ეს მაღაზიები ბიბლიას ყიდიდნენ. შიგნით შევიდა და ბიბლია იკითხა. გამყიდველმა უთხრა რომ ბიბლია ძალიან იშვიათია და აჟამად მაღაზიას გაყიდვაში არა აქვს. წასვლა დააპირა, ერთერთი მყიდველი მას გარეთ გამოჰყვა და ახალი აღთქმა შესთავაზა თხუთმეტ მანეთად.

ეს, ის თანხა იყო, რაც მას სულ გააჩნდა, მაგრამ მისცა კაცს ძველი წიგნის სანაცვლოდ. ძმა აღტაცებული იყო დის შენაძენით, განსაკუთრებით მაშინ როცა ყველაზე ძალიან ჭირდებოდა. ექიმებმა კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და უთხრეს რომ სასიკვდილო იყო. ვიქტორმა სთხოვა აიდას ლოცვის შეხვედრაზე წასვლა, რათა მეგობრებისათვის შეეტყობინებინა ძმის მდგომარეობა.

ისე გააკეთა როგორც ძმამ სთხოვა. ამის შემდეგ მეგობრები რეგულარულად მოდიოდნენ ვიქტორის გასამხნევებლად. ხედავდა თუ როგორ მტკიცდებოდა თავისი ძმა სულიერად, მიუხედავად ფიზიკური უძლურების ზრდისა და სიკვდილის მოახლოვებისა. განცვიფრებული იყო მისი რწმენის ზრდის

ხილვით, მაშინ როცა სხეული უფრო და უფრო ილეოდა. მასაც სწყუროდა ჰქონოდა თავისი ძმის მსგავსი დარწმუნებულობა. სიკვდილს შიშით და წუხილით კი არ შეხვდა მოახოებულ განსაცდელს, არამედ ღრმა დარწმუნებით რომ სამუდამო სახლში მიდიოდა.

დიაგნოზის დასმიდან ოთხი თვის შემდეგ, თავისი საწოლის გვერდით მდგარი გარდაიცვალა. მიწიურმა ცხოვრებამ განვლო. აიდამ ამოიცნო მისი სურვილი დის მიმართ, ის არ ამბობდა "მშვიდობით" არამედ, "მომავალ შეხვედრამდე."

აიდას უნდოდა იგივე დაჯერებულობა, რწმენა. ვიქტორის ცხოვრებამ-ისევე როგორც მისმა სიკვდილმა-მრავალ მის შეკითხვას გასცა პასუხი. ზოგიერთი საკითხები კი ვიქტორის ლოცვის ჯგუფის მეგობრებთან განიხილა. საბოლოოდ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. უნდა გაჰყოლოდა ქრისტეს რწმენას.

ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც მოგვიანებით ძალიან ძვირი დაუჯდა ახალგაზრდა გოგონას, რაც არასოდეს უნანია.

ლიტერატურისა და სიტყვის გაცვლა

"გსურთ თუ არა რომ აუხსნათ სასამართლოს თქვენი ბრალდების შესახებ რაიმე?" იკითხა მოსამართლემ.

"დიახ, მსურს," უპასუხა აიდამ; იცოდა რა რომ მოსამართლე თვითონ დაუსვამდა შეკითხვებს. ამჟამინდელ სასამართლოზე ის ემსახურებოდა ბრალდებულს როგორც ბრალმდებელი, მოსამართლე და მსაჯული. "ვაღიარებ ფაქტს ლიტერატურის გავრცელების შესახებ, რომელიც ნახსენები იქნა საბრალდებო აქტში."

ის აღიარებს ფაქტს. ეს საქმე იმაზე სწრაფად წარიმართება ვიდრე მოველოდი. მას უნდა დაეტოვებინა დამცველი, იფიქრებდა მოსამართლე.

სასამართლოს დაჟინებული მოთხოვნით აიდამ დაასახელა თითოეული პიროვნება, რომლისთვისაც გადაცემული ჰქონდა ლიტერატურა, როგორც საბრალდებო დასკვნაში იყო მოხსენიებული. საბრალდებო დასკვნა ორ გვერდიან ბროშურას ჟურნალს უწოდებდა, აღიარა რომ არიგებდა ლიტერატურას, მათ შორის უცხოელებზეც:

“სხვა ყველა დანარჩენიც მართალია თუ არა, რაც საბრალდებო დასკვნაშია მოხსენიებული?” იკითხა მოსამართლემ, როცა აიდამ საუბარი დაასრულა.

“დიახ,” უპასუხა მან. ყველა ფაქტი ჩემს მიერ ლიტერატურის გავრცელებაზე სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ იგი არ მოიცავდა წინასწარ განზრახულ მცდარ მტკიცებულებას, საბჭოთა კავშირისა და მისი სოციალური კანონების შესახებ ცილისწამებას; სულ ეს არის. ეს დანაშაულად არ ითვლება **190/1** მუხლის მიხედვით და თავისთავად ლიტერატურის გავრცელებაც დანაშაული არ არის.

აქედან გამომდინარე დამნაშავედ არ ვცნობ თავს.”

ამ განცხადებაზე პასუხის გაცემის ნაცვლად მოსამართლემ იკითხა შვედი ჯურსმარის შესახებ, რომელსაც აიდამ ლიტერატურა გადასცა, ორი საბჭოთა სასამართლო პროცესის ხელნაწერი ქრისტიანების გასამართლების თაობაზე. აიდამ უარი თქვა გაემხილა თუ სად შეხვდა ჯურსმარს და “პიროვნული საქმე უწოდა.”

უსმენდა რა საქმეს, პროკურორმა გადაწყვიტა ბრძოლის ნაცვლად დათმობაზე წასვლა, იქნებ ამ გზით მეტი საბუთი გაემხილა ახალგაზრდა ქრისტიანს: მას და ჯურსმარს საერთო მეგობარი ჰყავდათ შვედეთში და ამ მეგობარმა მოაწყო მათი შეხვედრა. ჯურსმარმა მოიტანა ორმოცდაათამდე ახალი აღთქმა, რომლის გადაცემასაც აიდა აპირებდა იატაკქვეშა ეკესიისათვის-ვიდრე პოლიცია კონფისკაციას გაუკეთებდა. სანაცვლოდ აიდამ ჯურსმარს გადასცა ლიტერატურა, რამოდენიმე წერილისა და სასამართლო ხელნაწერის, რათა თან წაეღო უფროსთან, სლავურ მისიაში. საიდანაც იგი დაბეჭდილი და გავრცელებული იქნებოდა მთელს მსოფლიოში.

“რატომ გადაეცით ჯურსმარს ასლები *ჰერალდ ოვ სალვეიშენის* და *ფრატერნალ ლიფლეტისა,*[1] ისევე როგორც მოსკოვისა და რიაზანის სასამრთლოს ჩანაწერები და წერილები ხორევისა და მახოვიტსკისა?” იკითხა მოსამართლემ მკვახედ.

“რათა წაეკითხა და გაეგო ჩვენი ეკლესიის ცხოვრების შესახებ,” უპასუხა აიდამ ფაქტის მიზანი. “*ჰერალდ ოვ სალვეიშენ* ჩემი საყვარელი ჟურნალია და *ფრატერნალ ლიფლეტი* კი ჩვენი

ეკლესიის ცხოვრებაზე საუბრობს. სასამართლო იმდენად დიდი ნაწილი გახდა ჩვენი ეკლესიისა, რომ თუ გინდა იცნობდე რუსულ ეკლესიას, უნდა გაიგო სასამართლოს შესახებ."

ჭეშმარიტად, მათ ვინც გადაწყვიტეს სრულად გაყოლოდა ქრისტეს, სასამართლო იყო ცხოვრების მიღებული ნაწილი საბჭოთა კავშირში. დაჭერა, ცემა, ციხეში ჩასმა იყო ქრისტეს მიმდევართა საზღაური, რომელ ფაქტებსაც ბეჭდავდა იატაკქვეშა ეკლესიები.

მოსამართლეს უჭირდა დაეჯერებინა როგორ შეიძლებოდა აიდა ნდობოდა ქალს რომელსაც-ესაა შეხვდა და გადაეცა მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

"მორწმუნეებს შორის მეგობრობა უფრო ადვილად ვითარდება," ეცადა მორწმუნე ახსნას. "შემიძლია წავიდე სრულიად უცხო ქალაქში, შევხვდე მორწმუნეებს, რომელთაც არ ვიცნობდი მანამდე და რამოდენიმე წუთის შემდეგ საუკეთესო მეგობრები გავხდეთ. მორწმუნეები ერთი დიდი ოჯახია და ყველაფერი გვაინტერესებს ერთმანეთის."

პროკურორი ეცადა სიტყვა ჩაერთო მოსამართლის საუბარში, და ეკითხა ყველა იმ უცხოური მისამართების შესახებ, რომელიც აიდას ბლოკნოტში ჰქონდა ჩაწერილი. უნდოდა სცოდნოდა თუ ყოველ მათგანს მისწერა.

"ზოგიერთს," უპასუხა აიდამ. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაამატა, "არ ვიცი თუ რომელიმე კანონი უკრძალავს საბჭოთა მოქალაქეს უცხოელთან მეგობრობას."

დარბაზში მყოფ ზოგიერთ მორწმუნეს გაეცინა აიდას შენიშვნაზე, რომლებიც სასამართლო პროცესზე დასასწრებად მოსულიყვნენ. შემდეგ მოსამართლემ დაიწყო მისამართების წიგნში კითხვა.

განსაკუთრებული სიმამაცე სახარებისათვის

აიდას არ დაუწყია მუშაობა როგორც საბჭოთა ეკლესიის მოწინავე კორესპონდეტს. საკმაოდ ახალგაზრდა გოგონა იყო, როდესაც ქრისტე მიიღო, ოცდაერთი წლის. თავისი ახალი მეგობრით აღფრთოვანებული და უნდოდა ყველასათვის, ვისაც კი შეხვდებოდა ეთქვა მის შესახებ.

მისი გადაწყვეტილება დაემთხვა საბჭოთა კავშირში ბაპტისტური ეკლესიის აღორძინებას. "დასაწყისისათვის რწმენა ნელა იზრდებოდა," მოგვიანებით თქვა მან, "და უცბათ მოვიდა გამოღვძება. რაც მე ვნახე საკმაოდ სასწაულებრივი იყო. დავინახე მკვდარი-სულიერად მკვდარი-აღსდგა კვლავ, და უძლურებმა დაამტკიცეს რომ შესწევდათ უდიდესი საგმირო საქმეების ძალა. ჩავწვდი თავმდაბლობასა და მოთმინებას, ეკლესიის განსაცდელის სიდიადეს. ამ აღორძინებამ გამოაღვიძა ჩემი სულიც, რომლის შემდეგაც აღარ შემეძლო დავრჩენილიყავი პასიური."

მისმა ახალმა მეგობრებმა, ვიქტორის ეკლესიიდან გაამხნევეს რომ დაემოწმებინა. ბეჭდავდნენ ბარათებს და ემუდარებოდნენ მკითხველებს "მოენანიებინათ და ერწმუნათ კეთილი უწყება." ისინი ამ ბარათებს საფოსტო ყუთებში აგდებდნენ, რამაც ისეთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომ ლენინგრადში საგაზეთო რეპორტაჟის საგნადაც კი იქცა.

აიდას თავისი რწმენის სხვებისათვის გაზიარების სურვილი დაეუფლა, ქრისტიანობას შედგომის პირველივე დღეებიდანვე. მოქცევიდან რამდენიმე თვის შემდეგ გადაწყვიტა რომ 1962 წლის პირველ დღეს განსაკუთრებულად შეხვედროდა. შეიძინა მისალოცი ბარათები სადაც ამომავალ მზეს ღრუბელი ედგა თავს ნავსადგურში. დღეების განმავლობაში ყოველ თავისუფალ წუთს იყენებდა მასზე მარტივი უწყების დასაწერად:

ბედნიერ 1962 წელს!

ახალი წლის სურვილი

წლები მიფრინავენ წარსულისაკენ,
ერთი მეორეს მიჰყვება, შეუმჩნევლად
ტანჯვა და წუხილი ქრება;
ცხოვრებამ გაიტაცა.
ეს სამყარო, დედამიწა, სამუდამო არ არის.
ყოველივე მასში დასასრულს უახლოვდება.
სიცოცხლე მნიშვნელოვანია... ნუ იქნები ბედნიერი!
რა პასუხს გასცემ შენს შემოქმედს?
რა გელოდება, მეგობარო საფლავს მიღმა?

უპასუხე ამ კითხვას ვიდრე სინათლეა.
შესაძლოა ხვალ, ღვთის წინაშე
წარსდგე, ყველაფერზე პასუხის გასაცემად.
იფიქრე ღრმად ამაზე,
რადგან ამ მიწაზე არ იქნები სამუდამოდ.
ალბათ ხვალ, სამუდამოდ დაამსხვრევ
ქვეყნიერების ბორკილებს!
ეძიეთ ღმერთი ვიდრე იპოვიდეთ მას!

მისალოცი მოიცავდა იმავე სიტყვებს, რომელსაც ადრე მისი მეგობრები ბეჭდავდნენ: "მოინანიეთ და იწამეთ სახარება."

როდესაც მისალოცების წერას მორჩა, ცივი ამინდის შესაფერისად თბილად შეიფუთნა და გარეთ გავიდა. ისტორიის, რელიგიისა და ათეიზმის მუზეუმის წინ, დიდ პარკთან, შავთმიანმა გოგონამ დაიწყო მისალოცების დარიგება. გამვლელებს საშობაო მისალმებასთან ერთად მისალოცებსაც ურიგებდა და სწრაფად მორჩა საქმეს.

თითქმის უკვე წასასვლელად ემზადებოდა რომ ძლიერი ხელი სწვდა მკლავში. "რა არის ეს?" იკითხა გაბრაზებული გამომეტყველების კაცმა და თან სახეში ბარათს უფრიალებდა.

"ახალი წლის მისალოცი," უპასუხა გოგონამ, თან უკან დაიხია. ის ძალიან პატარა ჩანდა კაცის წინაშე, რაც უფრო უჭერდა ხელს უფრო იძაბებოდა გოგონა. კაცმა ირგვლივ მიმოიხედა და კუთხეში მდგარ პოლიციის ოფიცერს დაუძახა.

"ჩვენ ეს აქ არ გვჭირდება," უთხრა მან კბილების ღრჭიალით. გოგონას წასვლის საშუალება არ მისცა, ვიდრე პოლიციელი არ მოვიდა, მეორე ხელში ხელი წაავლო და მანქანისაკენ წაიყვანა.

მოსალოდნელის წინასწარ განცდა

ეს იყო აიდას პირველი ნაძალადევი ვიზიტი ადგილობრივ პოლიციაში. რამოდენიმე საათი დააკავეს და გაუშვეს, არა მანამდე ვიდრე პოლიციამ მის შესახებ ფაილი არ გახსნა და დეტალურად არ აღწერა მისი "მისალოცების ევანგელიზაციის" შესახებ. აიდა მშვიდად იჯდა და პასუხობდა მათ შეკითხვებს. უცბად გაოცდა იმ დაჯერებულობით რაც საკუთარ თავში იგრძნო. ღმერთი მასთან იყო, იცოდა რომ არ უნდა შეშინებოდა

ძალაუფლების. გაიფიქრა ნეტავ ვინმეს თუ უთქვამს ოფიცრისათვის მისადმი ქრისტეს სიყვარულის შესახებ.

პოლიციამ ამ ამბის შესახებ მის სამსახურს და საერთო საცხოვრებელს აცნობა. იმავე წლის აპრილში იწვნია ლეგალური სისტემის სიმწარე, როდესაც "საამხანაგო სასამართლოზე" გამოუძახეს შემთხვევასთან დაკავშირებით. აიდა იჯდა სამი "ამხანაგის" წინაშე გრძელ სკამზე, რომელთაც მათი ბედი უნდა გადაეწყვიტათ, "ბრალმდებლები," უბრალო ხალხი მოიყვანეს საზოგადოებიდან, მის წინააღმდეგ სალაპარაკოდ. ერთმა მოხუცმა კაცმა მძვინვარებისაგან დიყვირა, "არ მინდა ვისუნთქო იგივე ჰაერი და ვიარო იმ მიწაზე, რომელზეც ეგ დადის." სხვა მოწმეები ამტკიცებდნენ, ვიქტორი იმიტომ მოკვდა რომ მორწმუნეები სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვას უკრძალავდნენო (რა უცნარია სათქმელად, გაიფიქრა აიდამ, მაშინ როცა ვიქტორი საავადმყოფოში მოკვდა). მსჯავრმდებელთა სხვა განცხადებებმაც გააოცა აიდა. იყო თუ არა სასჯელი საახალწლო მისალოცების დარიგებისათვის? რა კავშირში იყო ეს ყველაფერი მის ძმასთან? აიდა ეცადა ელაპარაკა საკუთარი თავის დასაცავად, ვიქტორის ქვრივმაც სცადა იგივე, მაგრამ გაბრაზებულმა სასამართლო დარბაზმა ხმა ჩააკმენდინა ორივეს. სასამართლოს გასრულებისას მაყურებლები მოითხოვდნენ რომ საქმე უმაღლესი სასამართლოსათვის გადაეცათ, სადაც უფრო მკაცრ სასჯელს გამოუტანდნენ. "სახალხო სასამართლო! სახალხო სასამართლო!" ბუზღუნებდნენ ისინი.

უკვირდა აიდას, თუ როგორ შეიძლებოდა რამოდენიმე მისალოცს, ასეთი სიძულვილი გამოეწვია ხალხში.

ამხანაგური სასამართლოს სამმა წევრმა, ლენინგრადში ცხოვრების ნებართვა ჩამოართვა და სამსახურიდან დაითხოვა. მოწმეების მოსმენის შემდეგ დამსწრეები ფიქრობდნენ რომ სასჯელი საკმარისი არ იყო. ისინი ადგნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, უყვიროდნენ აიდას და მკაცრ სასჯელს მოითხოვდნენ. მისი უსაფრთხოებისათვის, აიდა დაცვამ უკანა კარით გაიყვანა.

სასამართლო განაჩენის გამოტანას არ დასჭირვებია რამოდენიმე თვე; პოლიციას მეტი დრო მიეცა თვალი ედევნებინა ახალგაზრდა ქრისტიანისათვის-არა მისი კრიმინალური ქმედებისათვის, არამედ ქრისტიანული საქმიანობისათვის.

აიდამ გააგრძელა ლენინგრადში ცხოვრება, სადაც კი შეეძლო ეცადა სამსახურის მოძებნას. მისი ცხოვრება თანდათან გართულდა, ეს ადრეული სირთულეები მხოლოდ ჟურნალი იყო მომავალთან შედარებით.

"შენ უარყოფ კანონის მორჩილებას"

ამჟამინდელ სასამართლოზე, დაკითხვა გრძელდებოდა, მოსამართლე და პროკურორი ჩააცივდნენ ყოველ უცხოელთან კონტაქტზე, ინფორმაციაზე, რომელიც კი ოდესმე მათთვის გადაუცია.

შემდეგი რასაც ისინი ჩაეძიენ იყო ქრისტიანული გამომცემლობა, რომელსაც ავრცელებდა. მოსამართლემ მაგიდაზე დაწყობილი დასტიდან ერთ-ერთი ჟურნალი აიღო, ნელ-ნელა გადაშალა ფურცლები და წინასწარ მონიშნულ ადგილებს დაუწყო ძებნა. იპოვა რასაც ეძებდა, რომელზეც ფიქრობდა, რომ ყველაზე მეტად კრიმინალური სექცია იყო. ხმამაღლა დაიწყო კითხვა. წინადადების ბოლოს აიდას გამომწვევად შეხედავდა, თითქოს ახსნა-განმარტებას მოელოდა ყოველ განცხადებაზე.

მოსამართლემ სხვა ქრისტიანული მიმდევრობების შესახებ იკითხა, მიუთითა იმ დენომინაციაზე, რომლებიც დევნის გარეშე იკრიბებოდნენ.

"მე არ ვიცი სხვა დენომინაციების დევნის შესახებ," უპასუხა აიდამ დაღლილად. "ჩვენ მხოლოდ ევანგელისტ ქრისტიანთა და ბაპტისტური ეკლესიის დევნაზე ვწერთ."

პროკურორი ამტკიცებდა, ყველა ვინც საზღვარგარეთ ამას წაიკითხავდა იფიქრებდა, რომ ნებისმიერი მიმდინარეობა იდევნებოდა საბჭოთა კავშირში. მან იქედან გააგრძელა სადაც მოსამართლე შეჩერდა, კითხულობდა ჟურნალს და ყოველი საეჭვო ადგილის განმარტებას ითხოვდა. სკოლები, ურჩია მან, სინამდვილეში უნდა ეცადონ მშობლების მიერ ცრურწმენით მოწამლული ბავშვების გათავისუფლებას.

"კანონი კრძალავს არასრულწლოვანი ბავშვების რწმენის გამო დადანაშაულებას," თქვა მან და მოსამართლეს შეხედა, დარწმუნებულიყო, უსმენდა თუ არა.

“კანონი არ ეხებათ ათეისტებს,” ესროლა უკან აიდამ.

“ათეიზმი რელიგია არ არის. ბავშვი გაიზრდება და შემდეგ თვითონ უნდა აირჩიოს მასთან დამოკიდებულება, რაც აკრძალული არ არის.”

“მერე რას ეუბნება ეს ბავშვს?” იკითხა აიდამ, პროკურორის შემდეგ მოსამართლეს შეხედა. “ეს აკრძალულია კანონით, რომ თქვა ღმერთი არსებობსო, მაგრამ ნებადართულია თქმა რომ ღმერთი არ არსებობს?”

ხმა არავის ამოუღია, მოსამართლემ საუბრის თემა შეცვალა, იცოდა რა რომ პასუხი არ ჰქონდა. მოითხოვა, “ბრალდებულმა არ გადაუხვიოს საკითხიდან.”

პროკურორმა გააგრძელა, კითხულობდა სხვა კომენტარებს ჟურნალიდან. “იცი თუ არა რომ რელიგიური ორგანიზაცია რეგისტრირებული უნდა იყოს?” შეეკითხა ბრალდებულს.

“დიახ.” აიდამ ისიც იცოდა რომ რეგისტრაციით ეკლესია კომუნისტური კონტროლის ქვეშ მოაქცევდა თავს-სახელწიფო რომელიც უარყოფდა იმ ღმერთის არსებობას, რომელსაც ეკლესია ემსახურებოდა.

“შენი გაერთიანება არ დარეგისტრირდა; ამის გამო გეკრძალებათ შეხვედრების გამართვა და არა იმიტომ რომ მორწმუნეების დევნასა აქვს ადგილი, ჩვენს ქვეყანაში,” თქვა მან, როგორც ნებისყოფა დაკარგულმა მასწავლებელმა საბავშვო ბაღის მოწაფის დარიგებისას.

“ჩვენმა საზოგადოებამ მოითხოვა რეგისტრაცია,” უპასუხა აიდამ მშვიდად.

“განცხადება შევიტანეთ, უარი გვითხრეს.”

“იმიტომ რომ თქვენ უარს ამბობთ კანონის დაკვირვებაზე.”

“რომელ კანონს არ დავაკვირდით?” იკითხა მან.

“თქვენ მოითხოვთ კვირა დღეს სკოლებში სწავლას, რათა ორგანიზება გაუწიოთ რელიგიურ საქმიანობას არასრულწლოვან ბავშვთა შორის.”

“არ მახსოვს რომ ჩვენი საზოგადოება კვირა დღეს მოითხოვდა სკოლას,” აგრძელებდა აიდა. “და კანონის მიხედვით, მშობლებს უფლება აქვთ შვილების საკუთარი ნებით აღზრდის.”

“არა, არა აქვთ!” თქვა პროკურორმა მოკბეჩით. “კანონით აკრძალულია არასრულწლოვანი ბავშვების რელიგიურ

გაერთიანებაში მონაწილეობა. თქვენ უარს ამბობთ ჩვენი კანონების კითხვაზე."

"კონსტიტუციის მიხედვით, ჩვენ გვაქვს რელიგიური რწმენის თვისუფლება, რაც რწმენის აღიარებაზეც ვრცელდება," უპასუხა აიდამ. "ეს ნიშნავს რომ შესაძლებელია ყველას უთხრა ღმერთის შესახებ-ასე არ არის?"

აი, მიუთითებდა აიდა საქმის ვითარებაზე. საბჭოთა კონსტიტუციამ თქვა, რომ ხალხი არის თავისუფალი რწმენის არჩევანსა და განხორციელებაში. მიუხედავად ამისა საბჭოთა ლიდერებს ეშინოდათ ქრისტიანი მორწმუნეების; მათ სურდათ რომ მთელი ნდობა ხალხს კომუნისტურ პარტიაზე დაემყარებინა, წარეხოცა რწმენა, ისინი მიუძღოდნენ ხალხს უფრო მეტი ვნებით მათი პარტიის დაჯერებისაკენ.

და კიდევ ერთხელ, მოსამართლეს პასუხი არ ჰქონდა აიდას კითხვაზე. ასე რომ კიდევ ერთხელ შეცვალა საუბრის თემა, თუ აიდა მართალი იყო, რატომ ავრცელებდა ამ ლიტერატურას მალულად?

"რადგან მდევნელებს არ მოსწონთ დევნის ფაქტის გამოაშკარავება," უპასუხა აიდამ. თანდათან უფრო განსწავლულ მოსამართლეს ემსგავსებოდა, ვიდრე ქარხნის მუშას... ვიცი რომ ჯურსმარისადმი გადაცემული ლიტერატურა არ შეიცავდა წინასწარ განზრახულ მცდარ უწყებებს. *ჰერალდ ოვ სალვეიშენ*ში და *ფრატერნალ ლიფლეტ*ში აღწერილია მორწმუნეების მდგომარეობა და სინამდვილეს შეესაბამება. გეთანხმებით რომ მთლად მომხიბლავად არ გამოიყურება, მაგრამ ნამდვილი ცხოვრების შესახებ უნდა ვილაპარაკოთ. როცა ამ ლიტერატურას ვაძლევდი მის. ჯურსმარს, ვიცოდი რომ შეიძლება დავეპატიმრებინე. მესმის ეს, რაც არ ცვლის ჟურნალში ასახულ სინამდვილეს."

პროკურორმა შენიშვნა ჩაიწერა და დაჯდა. როგორც იქნა აიდას დაკითხვა დამთავრდა. არა სასამართლო... ეხლა მოწმეები შემოვიდნენ. პირველად მეზობლები, ანატოლი და ალა ლავრენტევა. ორივემ, მოსამართლემაც და პროკურორმაც კითხვები დააყარეს: "გელაპარაკებოდათ თუ არა ის თავის რწმენაზე?" "გადმოგცათ თუ არა რაიმე ლიტერატურა?" "ჰქონდა თუ არა მას რადიო ან ტელევიზორი?" "ცხოვრობდა თუ არა ისე

როგორც თვითონ ლაპარაკობდა?" "როგორ იცვამდა?" "რა სადილებს ამზადებდა?"

არც ანატოლის და არც ალას არ შეეძლოთ ეთქვათ რომ აიდა კრიმინალი იყო.

"ყველასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა," თქვა ანატოლიმ, "მხოლოდ კარგი შეიძლება თქვას კაცმა მის შესახებ."

სხვა მეზობელს დაუძახეს და მოემზადნენ უფრო მეტი შეკითხვებით მის ჩაცმულობასა და სამსახურზე...

საბოლოოდ, თანამორწმუნე, მართა აკიმოვნა სკურლოვა იქნა გამოძახებული მოწმის სკამზე. ის ბრალდებულს ხუთი წელია იცნობდა. ეს ორი ადამიანი ერთად ლოცულობდა და გალობდა, ერთ წლიანი პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ, მართამ მისცა მას საცხოვრებელი ადგილი.

მართამ აღიარა ბრადებულისადმი გაწეული დახმარება.

"თქვენ ამბობთ რომ აიდა სამსახურიდან რწმენის გამო დაითხოვეს," იკითხა მოსამართლემ. "რატომ თქვენ არ დაგითხოვეს? დარწმუნებული ვარ რომ მუშაობთ."

"ჯერ ჩემი დრო არ დამდგარა," უპასუხა მარტივად.

მართამ აღიარა რომ უცხოელები მოდიოდნენ აიდას ბინაში, მაგრამ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა გადასცემდა თუ არა იგი სტუმრებს რაიმეს.

აიდა ადგა და კითხვა დაუსვა მეგობარს, მორწმუნეების დევნის შესახებ. მართამ დაასახელა მორწმუნეები, რომლებიც დაკითხულ იქნენ და მათი სახლები, რომელთა სახლებიც გაჩხრეკილ იქნა პოლიციის მიერ და ზოგიერთები რომელებიც დააპატიმრეს.

"მე ვიცი რომ მორწმუნეები დააჯარიმეს," დაამოწმა მართამ. "სუხოვიტსინი იქნა დაჯარიმებული..."

"რატომ დააჯარიმეს?" იკითხა პროკურორმა.

"რადგან ლოცულობდა."

"სად ილოცა?"

"ის უძღვებოდა ლოცვას ლუკას ბინაში. შეხვედრა იმართებოდა მასთან."

"მართალია!" თქვა პროკურორმა, თითქმის შეჰყვირა სიხარულისაგან.

"შეხვედრა შედგა არა ნება დართულ ადგილას. გაქვთ სალოცავი სახლები; წადით და იქ ილოცეთ!"

მოგვიანებით პროკურორი კვლავ აფეთქდა, როდესაც მართამ თქვა რომ იგი დაჯარიმებულ იქნა ქრისტიანულ შეხვედრაზე დასწრებისათვის. "სად გაიმართა შეხვედრა?" მოითხოვდა ის პასუხს.

"ტყეში".

"აკრძალულია საზოგადოებრივ ადგილებში შეხვედრების მოწყობა. სწორედაც ამიტომ დაგაჯარიმეს." დაუკრა კვერი მოსამართლემ, კმაყოფილების ღიმილით სახეზე.

"სხვა არავინ ყოფილა ტყეში; მხოლოდ ჩვენ ვიყავით. შეხვედრა გავმართეთ და სახლში წასვლისას ზოგიერთები აიყვანეს." მართამ სხვა მაგალითებიც მოიყვანა, სადაც ქრისტიანები დაბრკოლებულნი და შეურაცხოფილნი იქნენ პოლიციის მიერ, რის შემდეგაც მოწმე დარბაზიდან დაითხოვეს.

ბოლო მოწმე იყო ეკატერინა ანდრეევნა ნოიკოვი, აიდას მეგობარი და თანამორწმუნე. დაახასიათა როგორც ძალიან "კარგი და კეთილი."

ეკატერინამ თქვა თუ როგორ მოვიდა პოლიცია მის ბინაში და იკითხა აიდა. პოლიციელები დაჟინებით ირწმუნებოდნენ რომ აიდა ჯაშუში იყო და სთხოვდნენ მას და მის მეზობლებს ეცნობებინათ მისი გამოჩენისთანავე.

ეკატერინე აშკარად არამეგობრული იყო სასამართლოს მიმართ. ხანდახან მხოლოდ ერთ ხმოვანს პასუხობდა. ზოგჯერ კი, ჩუმად იჯდა შეკითხვაზე პასუხის ფიქრში გართული.

"რა იცოდით შვედი ტურისტის სკრიპნიკოვასთან ვიზიტის შესახებ?" იკითხა პროკურორმა.

"არაფერი. ამის შესახებ მომდევნო დღეს შევიტყვე. პოლიციამ დაურეკა აიდას ბინაში ჩემი იქ ყოფნის დროს. თქვეს რომ ლიტერატურა იქნა ამოღებული უცხოელისაგან, რომელიც აიდას გადაუცია მისთვის."

პროკურორმა მას მიღებული განათლების შესახებ ჰკითხა, რომელიც ათი კლასის გასრულებისთანავე დასრულდა. "რატომ არ გააგრძელეთ სწავლა?"

"სამედიცინოზე მინდოდა გამეგრძელებინა," უპასუხა ეკატერინამ, "ჩემს დახასიათებაში დაწერეს რომ მორწუნე და გამთიშველი ბაპტისტური ეკლესიის წევრი ვიყავი. ასე რომ აღარ შევედი სამედიცინო სკოლაში. სულ ერთია მაინც

გამომრიცხავდნენ.”

“და არც კი სცადეთ?” დაცინვის კილოთი გადაუკრა სიტყვა მოსამართლემ.

“სხვების მაგალითიდან ვიცოდი რომ არ დამრთავდნენ სწავლის ნებას.”

როდესაც აიდას ჯერი დადგა რომ კითხვები დაესვა მოწმისათვის, შეხედა მეგობარს და საერთო კითხვებით მიმართა. შემდეგ კი საბჭოთა კავშირის რეჟიმის მიერ მორწმუნეებისადმი დამოკიდებულებაზე გადავიდა. განსაკუთრებული მორწმუნეების შესახებ ჰკითხა, რომლებიც დაჯარიმებულნი იყვნენ პოლიციის მიერ და ეკატერინამ ჩამოთვალა მათი სახელების და ზოგიერთი საქმის დეტალები.

“რატომ გამართეთ ლოცვა ტყეში?” ჩაეჭრა საუბარში მოსამართლე. “თქვენ გაქვთ ლოცვის სახლი პოკლონაია ჰილზე. რატომ იქ არ წახვედით? თქვენი გაერთიანება არ არის რეგისტრირებული, შეხვედრები გამართეთ არაავტორიზებულ ადგილას და ძირი გამოუთხარეთ საზოგადოებრივ კანონს. სწორედ ამტომ ხართ დაჯარიმებულნი.”

“თხოვნით მივმართეთ რეგისტრაციისათვის. ლავრიკში შეხვედრას არავინ დაუყოვნებია.”

პროკურორმა ჰკითხა, თუ სწამდა ლოიალური მოქალაქეობა და კანონის კითხვის მოვალეობა.

“დიახ, ვკითხულობ კანონებს,” თქვა ეკატერინამ.

“ლუკას სახლში და ტყეში გამართეთ შეხვედრა, თქვენი გაერთიანება არ არის რეგისტრირებული,” დაიჟინა პროკურორმა. “ასე რომ, თქვენ არ კითხულობთ კანონებს.”

“ლუკასთან ლოცვის შეხვედრები არ არის კანონის წინააღმდეგ.” მან ლენინის გამონათქვამი მოიშველია, რომელიც რწმენის წინააღმდეგ კანონს “სამარცხვინოს” უწოდებდა.

პროკურორს არ სურდა დავა გაემართა კომუნიზმის დამფუძნებელზე და სასაწრაფოდ დაითხოვა მოწმე დარბაზიდან.

რღვევის წერტილი

აიდა რწმენის განხორციელებას საბჭოთა კანონის ბორკილების ქვეშ ეცადა. რწმენას შედგომიდან პირველ თვეს რეგულარულად

ესწრებოდა ლოცვის შეხვედრებს, რომელიც რეგისტრირებული იყო საბჭოთა კანონის მიერ. ბედნიერი იყო თანამორწმუნეებთან ურთიერთობით, თუმცაღა ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული რეგისტრირებულ ეკლესიაში არსებული პოლიტიკის შესახებ.

აგრძელებდა მსახურებასა და მოღვაწეობას. მის წინააღმდეგ აკრძალვებმაც არ დააყოვნეს. ის მონაწილეობდა ბიბლიის შესწავლის ახალგაზრდულ ჯგუფში, მაგრამ იგი გაფრთხილებულ იქნა რომ ეკლესიის წინამძღოლებს არ სცოდნოდათ არაფერი ამის შესახებ. კომუნისტური კანონი კრძალავდა "რელიგიური ცრურწმენის" გაზიარებას თექვსმეტ წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან და რეგისტრირებული ეკლესიის ხელმძღვანელები როგორც ჩანდა უფრო სწუხდნენ კომუნისტურ კანონებზე, ვიდრე დაკარგულ სულებზე.

აიდას ახსოვს საოჯახო შეხვედრები, სადაც დედამისთან ერთად დადიოდა. ახსოვს იქ, ღვთის თანდასწრების განცდა, სადაც პატარა ბავშვებსაც კი დიდი სიხარულით იღებდნენ და ასწავლიდნენ. ახალგაზრდა თაობის ბიბლიის მოსმენას ჩამოშორება სამართლიანი არ ჩანდა აიდასათვის და ის არ ეთანხმებოდა წმინდა წერილს.

მსხვრევის პერიოდი აიდაში დაიწყო მაშინ, როცა მუშაობა დაიწყო მორწმუნე პატიმრებისათვის. ჯერ მისი ხედვა იყო ინფორმაციის გაზიარება და მათთვის ლოცვისა და დახმარების გაწევის მცდელობა. რეგისტრირებული ეკლესიის ლიდერებს ჰქონდათ პატიმარ მორწმუნეთა სია, მაგრამ გასაიდუმლებული და არა როგორც ინფორმაცია, რომელიც სხვა მორწმუნეებს სჭირდებოდათ რომ სცოდნოდათ.

აიდას აზრით ეს იყო ის ინფორმაცია, რომელიც სხვა მორწმუნეებს უნდა სცოდნოდათ. როგორ შეეძლოთ ქრისტიანებს-საბჭოთა კავშირსა თუ მსოფლიოს გარშემო-მიეძღვნათ ლოცვები და დახმარება იმ ქრისტეში პატიმარი და-ძმებისათვის, თუ არ ეცოდინებოდათ მათი ტანჯვის შესახებ?

აიდამ დაიწყო ამ სიტყვის გავრცელებისათვის მუშაობა და რეგისტრირებული ეკლესიის ხელმძღვანელებთან კონფლიქტიც ჩამოვარდა.

“საქმე იმაშია, მოკლედ რომ ვთქვათ, რომ ხელისუფლება ცდილობდა ეკლესიის შიგნით ემუშავა, იქ თავისი მსახურების დანიშვნით,” თქვა აიდამ მოგვიანებით.

“მათ სურდათ წარმოედგინათ აკრძალვები, რომელიც ჩაახშობდა ეკლესიის სულიერ ცხოვრებას. სინამდვილეში საკმაო წარმატებას მიაღწიეს 1960-იან წლებში იმ რეგიონში.”

ხელძღვანელთა პოზიცია აიდას ძალისხმევას ეწინააღმდეგებოდა. მალე ის არჩევანის წინაშე წარსდგა: ან დარჩებოდა რეგისტრირებულ ეკლესიაში-და იმუშავებდა საკუთარ თავზე, ან შეუერთდებოდა იატაკქვეშა ეკლესიას, თავისი სულიერი პატიმარი და-ძმების დასაცავად. რეგისტრირებული ეკლესიის ზეწოლა რეალური იყო. სხვა რომ არაფერი, ეს იყო ჯგუფი, რომელსაც მისი ძმა ეკუთვნოდა სიკვდილამდე. სადაც თვითონაც მრავალი მეგობარი ჰყავდა.

მაგრამ აიდამ უარყო ადვილი, პასიური პოზიცია, გაჰყოლოდა იმ ლიდერებს, რომლებიც აშკარად დაინტერესებულნი იყვნენ მთავრობის კანონებით, ვიდრე პატიმარი თანამორწმუნეების ბედით. მთელი თავისი ძალითა და შესაძლებლობებით დაიწყო იატაკქვეშა ეკლესიაში მუშაობა და იცოდა რომ ერთ დღეს, ამ გადაწყვეტილებისათვის საფასურის გადახდა მოუწევდა.

1962 წლის 4 ივნისს, *სმენ*აში გამოქვეყნდა სტატია, გაზეთი, რომელიც ეწეოდა საბჭოთა მთავრობის მსახურებას-როგორც დამცველი. სტატიის სათაური “ნუ იქნები გვამი ცოცხალთა შორის,” მიზნად ისახავდა მორწმუნეების დისკრედიტაციას, განსაკუთრებით იატაკქვეშა ეკლესიის მორწმუნეების. სამთავრობო პოლისი ამბოდა რომ ღმერთი არ არსებობდა და სტატია დაცინოდა იმათ, ვინც გადწყვიტა მიჰყოლოდა გამოგონილ მხსნელს.

როდესაც აიდამ სტატია დაინახა, პასუხის გაცემას შეუდგა, თავისი და იმ ადამიანების რწმენის დასაცავად, ვინც ამ გზაზე შედგომა აირჩია. მისწერა *სმენას,* რომელიც რაღა თქმა უნდა არ დაიბეჭდა. პრობლემა შესაძლოა აქ დამთავრებულიყო, მაგრამ აიდამ თანამორწმუნეებს აჩვენა გაზეთი და მისადმი მიწერილი პასუხი. დაინტერესებულებმა ასლი მოსთხოვეს. შემდეგ მორწმუნეები მოვიდნენ სტუმრად უკრაინიდან; მათაც სთხოვეს ასლი და სახლში წაიღეს. მალე რამოდენიმე ასეულობით ასლი

იქნა დაბეჭდილი და გავრცელებული მორწმუნეებს შორის, მთელს საბჭოთა კავშირში. იატაკქვეშა ეკლესიის წევრები აღელდნენ რწმენაზე თავდასხმის გამო-და გამხნევდნენ ერთ-ერთი მორწმუნის მიერ, საკმაოდ საკადრისი პასუხის წაკითხვით. აიდა *ზამიზდატის* გარეკანზე გამოაქვეყნეს, ახალი თვითგამოცემული კომუნიკაციის ფურცლებზე. სამთავრობო პირებს რა თქმა უნდა არ შეეძლოთ თვალ-ყური ედევნებინათ ქვეყანაში ყოველი საბეჭდი მანქანის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე.

თავისი პასუხით, აიდა სკრიპნიკოვა ცნობილი გახდა ათასობით მორწმუნეს შორის, რომლებსაც იგი არასოდეს უნახავთ. ამ ამბავმა სხვა საფეხურამდეც მიაღწია, საიდუმლო პოლიციამდე.

მთავარი ელემენტები

სხვა მოწმეებიც უნდა მოსულიყვნენ აიდას სასამართლოზე, რომლებიც არ გამოცხადნენ. მოსამართლემ გამოაცხადა რომ სასამართლო გაგრძელდებოდა.

იმედგაცრუებული აიდა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ სასამართლომ მეტი ყურადღება დაუთმო მის ჩაცმა-დახურვას, და ასე განსაჯეთ მზარეულობასაც კი, ვიდრე გამოძიების მთავარ თემას.

“სასამართლოს ვთხოვ, რომ მეტი ყურადღება გაამახვილოს გამოძიების მთავარ საკითხზე,” მოითხოვა მან. მაგალითად, მინდა ავხსნა რატომ არ არის ჩვენი გაერთიანება რეგისტრირებული. ძალიან გთხოვთ მითხრათ, რომელი კანონი დავარღვიეთ რამაც გამოიწვია რეგისტრაციაზე უარის თქმა?”

“ბრალდებულო,” უპასუხა მოსამართლემ მკაცრად, “სასამართლო გისვამთ კითხვებს და არა თქვენ მას.”

პროკურორმა დაინახა რა მოსამართლის აღელვება, ჩაერია, “ვერ გავიგე რას ითხოვს ბრალდებული.”

აიდამ ღრმად ამოისუნთქა ძალის მოსაკრებად. “სასამართლოს ვთხოვ მეტი ყურადღება დაუთმოს საბრალდებო დასკვნისათვის სასიცოცხლო კითხვებს და ნუ გადავალთ გვერდითა პრობლემებზე, რომელიც მნიშვნელოვანი არ არის საქმის გამოძიებისათვის. ეს არის ჩემი პირველი მოთხოვნა. მეორე

თხოვნა არის, დაადგინოს სასამართლომ ზუსტი თარიღი, როდის მოხდა ჩემი ბინადრობის მოწმობის ჩამორთმევა.”

მოსამართლემ იკითხა თუ რატომ ჰქონდა ამ ინფორმაციას მისთვის ასეთი მნიშვნელობა.

აიდამ ახსნა, სასამართლომ გამოააშკარავა, რომ პოლიცია მის წინააღმდეგ საბუთებს ბინადრობის ვადის გასვლამდე ადრე აგროვებდა. “რატომ გადამცეს სასამართლოს ბინადრობის ვადის გასვლამდე, თუ არა ჩემი ქრისტიანული საქმიანობის გამო, მაშინ რატომ ვიყავი *გამოძიებაში ბინადრობის ვადის გასვლამდე?*” იკითხა მან.

თან გააგრძელა, “მე გეტყვით რატომ დაიწყო პროცესი ჩემს წინააღმდეგ, ორჯერ ჩვენი ლოცვის სახლში უცხოელებს ბიბლია ვთხოვე და ეს ორი თხოვნა გახდა ხელისუფლებისათვის ცნობილი.”

“ბინადრობის მოწმობას არანაირი კავშირი არა აქვს საქმესთან,” მოსამართლემ თქვა, ბრალი გედებათ წინასწარ განზრახული ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებაში საბჭოთა კავშირისა და სოციალური კანონის წინააღმდეგ.”

“სამუშაოსა და ბინადრობის მოწმობის ვადის შესახებ კითხვებს დიდი ყურადღება დაეთმო საქმის წარმოებაში,” ესროლა აიდამ უკან.

“ამ კითხვებმა დააინტერესა სასამართლო, არა იმიტომ რომ ამისათვის მოგისჯიან, არამედ იმიტომ რომ შენი პიროვნება უკეთესად შევისწავლოთ. შესაძლოა ეს უცნაურად გეჩვენებათ, რომ სასამართლო კითხვებს სვამს თქვენი პირვნების შესახებ. რათა იცოდეს როგორი ადამიანი ხართ. განაჩენის გამოტანისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს განსასჯელის სასარგებლოდ მის თვისებებს.”

აიდამ თქვა, რომ თუ სასამართლოს მართლა აინტერესებდა მისი ხასიათი, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ცოდნოდა მისი ისტორიის ნამდვილი ფაქტები. მისი საბოლოო მოთხოვნა იყო ბოლო მოწმის გამოძახება: მის ჟურსმარი, შვედი, რომელსაც გადასცა მან ლიტერატურა. ამ ქალბატონის ჩანაწერები იქნა გამოყენებული ჩემს საწინააღმდეგოდ,” თქვა აიდამ, “მაგრამ, ზედმიწევნით საკითხის შესასწავლად, იგი უნდა იქნეს გამოძახებული. რათა ახსნას თავისი ჩანაწერები.”

სასამართლომ თავი მოაჩვენა, თითქოს მხედელობაში მიიღო განსასჯელის თხოვნა, პროკურორს ჰკითხა აზრი, შემდეგ კი განაცხადა: "რჩევის მიღების შემდეგ სასამართლომ გადაწყვიტა რომ უარი განაცხადოს ბრალდებულის თხოვნის დაკმაყოფილებაზე."

ბოლო რამოდენიმე კითხვის შემდეგ სასამართლო დახურულად გამოცხადდა, იმ დღისათვის. მხოლოდ საბოლოო სადაო საკითხებიღა დარჩა. პროკურორისათვის ეს იქნებოდა შესაძლებლობა დაეცვა საბჭოთა სისტემა, აეხსნა რომ ქრისტიანებს სინამდვილეში აქვთ რწმენის თავისუფლება, თუ ისურვებდნენ კანონის მიხედვით ცხოვრებას.

აიდასათვის იქნებოდა საბოლოო შესაძლებლობა ელაპარაკა საკუთარი თავისა და ქრისტიანი და-ძმების დაცვის მიზნით. საკითხის სიმძიმე იგრძნო, კვლავ დააპატიმრებდნენ, მაგრამ ზეციერი მამისაგან ეძლეოდა მხნეობა.

"ხელახალი განათლების მცდელობა"

პატიმრობა სერიოზული ზეწოლა იყო. ციხეში საკმარისი დრო გაეტარებინა უკვე. ამხანაგური სასამართლოს მიერ ბინადრობის უფლების ჩამორთმევის შემდეგ, 1963 წელს, რამდენიმე ხანი თავის დასთან გაატარა სტუმრად და ფრიად მოხიბლული დარჩა მორწმუნეების სითამამით, სირთულეებთან შეუპოვრობის ხილვით. ლენინგრადში განახლებული იდეებით დაბრუნდა. პოლიციის თვალთვალის მიუხედავად მოახერხა ქალაქში შესვლა და ტყვეობიდან თავის დაღწევა. ბინადრობის ნებართვის გარეშე ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ, მიუხედავად ამისა, მაინც აგრძელებდა ქრისტიანულ საქმიანობას.

აიდა და მისი მეგობრები ქალაქგარეთ ტყეში შეხვედრას აგრძელებდნენ, კვალის არევის მიზნით, მაგრამ ზუსტად ტყეში იყო, როდესაც პირველად ოფიციალურად დააპატიმრეს 1965 წელს. მაშინ აიდა ოცდახუთი წლის იყო.

"პოლიცია მოვიდა და გამოგვედევნა," თქვა ერთმა მოწმემ მოგვიანებით. "თმებით დაგვიჭირეს. რამოდენიმე ადამიანი წაიყვანეს; ზოგიერთები დააჯარიმეს, ზოგი კი ორი კვირით ციხეში ჩასვეს."

აიდა ერთერთი პატიმართაგანი იყო, პოლიციამ მოაწყო მისი სასამართლო პროცესის წარმართვა. ფურცლებზე სასჯელს არანაირი კავშირი არ ჰქონდა რელიგიასთან. მიუხედავად იმისა რომ იგი დაპატიმრებული იქნა ქალაქგარეთ, მაინც ლენინგრადის ბინადრობის ნებართვის არ ქონას დებდნენ ბრალად.

აიდას ლაპარაკის ნებართვაც კი არ ჰქონდა სასამართლოზე, რომელიც პატარა რაიონულ საკანონმდებლო შენობაში გაიმართა. პროცესი აშკარად ზედაპირული მცდელობა იყო სამრთლიანობის წარმოჩენისა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობდა. დასასრულს განაჩენი წაიკითხეს: ერთი წლით პატიმრობა.

რასაც დამანგრევლად არ უმოქმედია ემოციაზე. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პატიმარ ქრისტიანებთან და მრავალ იმ ადამიანთან, რომლებიც მზად იყვნენ ციხეში წასასვლელად, თუ ღმერთი მათ იქ წაძღოლას მოინდომებდა.

ხელმძღვანელობის მიზანი იყო-შეცდომაში შეყვანილი ხალხის სწავლა-განათლება. "საწყალი ხალხი მოტყუებულ იქნენ, ხსნიდნენ ოფიციალური პირები, "მათ უნდა ვაჩვენოთ და დავარწუნოთ საბჭოთა სისტემის ძალასა და ჭეშმარიტებაში: დედა სამშობლოს დიდებაში."

დამატებითი, მონოტორული, ხელახალი განათლების ლექციების შემდეგ, აიდას აიძულებდნენ ღამე ცივ, ცემენტის იატაკზე დაეძინა. არასოდეს ჰქონდათ საკმარისი საზრდო და რაც ჰქონდათ, იმას ცხოველებსაც კი არ აჭმევდა კაცი. პატიმრობის დროს აიდას ფსიქიატრიულ შემოწმებას აიძულებდნენ. ოცდაათდღიანი "დაკვირვების" შემდეგ ექიმმა თქვა, რომ იგი ნორმალური იყო და თავის საკანში დააბრუნეს. თვეებს წლები ემატებოდა კომუნისტური რეჟიმის ციხეში, რამაც ტკივილი და ნაიარევი დაამჩნია ახალგაზრდა ფანატიკოსს.

აიდამ არ მიიღო საბჭოთა "ხელახალი-განათლება." რწმენაში დასუსტების ნაცვლად, მიღებულმა გამოცდილებამ გააძლიერა ქრისტეში. სიტყვის გავრცელების შეწყვეტის ნაცვლად, ციხე იესო ქრისტეს ჭეშმარიტების უწყების გავრცელების სურვილით დატოვა.

მან უკვე იცოდა ასეთი მოქმედების შედეგი, მაინც არ უყოყმანია გადაწყვეტილების მიღებაში.

“კავშირი არ ერევა”

საბოლოო არგუმენტის დრო დადგა აიდას მეორე სასამართლოზე. პროკურორმა პირველადი დასკვნა გააკეთა, გადაწყვიტა რუსეთის ეკლესიის ზოგიერთ ისტორიულ ნაწილს შეხებოდა.

“ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ეკლესია განცალკევებულ იქნა სახელმწიფოსაგან და ყველა სახის მორწმუნემ მიიღო რწმენის თავისუფლება,” განაცხადა მან სიამაყით. მაგრამ შემდეგ პროკურორი გადავიდა პროტესტანტი ქრისტიანებისა და ბაპტისტების ბრალდებაზე და საეკლესიო საბჭოს მიერ მორწმუნეების მოწოდებაზე, რაც შემდეგში მდგომარეობდა, არ დამორჩილებოდნენ საბჭოთა კანონებს.

“საზოგადოებები, რომლებიც ეხმარებიან ამ საბჭოებს არ არიან რეგისტრირებულნი,” წამოაყენა ბრალდება პროკურორმა. “მათი არალეგალური შეხვედრები იმართება კერძო სახლებში. ზოგიერთ მორწმუნეს ბრალად დაედო კანონმდებლობის დარღვევა. რასაც ამ ეკლესიის საბჭოები რწმენის დევნად წარმოაჩენენ, შვიდი წლის განმავლობაში ეს საეკლესიო საბჭოები აწარმოებენ ამ უდიდეს ბრძოლას ხელისუფლებასთან.”

ეკლესიის ისტორიისა და მორწმუნეებს შორის საერთო მდგომარეობიდან, პროკურორი საბოლოოდ აიდას კონკრეტულ საკითხზე გადავიდა.

“სკრიპნიკოვას ქვეყნის გარეთ ჰქონდა კავშირები, მაგრამ მისი მთავარი დავალება იყო საზღვარგარეთ კავშირის დამყარება. უნდა ითქვას რომ მან კარგად განსაზღვრა პრობლემა,” დაამატა მან...

შემდეგ მისი ტონი უფრო ოფიციალური გახდა. “სავალალოდ აიდას ცხოვრება ბაპტისტების ოჯახში დაიწყო. სამწუხაროა რომ საშუალება მივეცით ხელიდან წასვლის, მაგრამ ძალიან ბევრი ვესაუბრეთ და ნათლად დავანახეთ მისი ანტისოციალური ხასიათი.”

საბოლოო კომენტარის გაკეთების მიახლოებისას ხმას აუწია, აიდას სახლში აღმოჩენილი ლიტერატურიდან ციტირება მოახდინა.

“ერთერთი სტატიის ამონაწერით ვინმე კრუჩკოვა მოსკოვში გამართულ თავის სასამართლოზე ამბობს, ‘ძმები რომლებიც

ციხეებსა და ბანაკებში იმყოფებიან, იტანჯებიან არა საბჭოთა კანონის დარღვევის გამო; არამედ იმიტომ რომ უფლის ერთგულებად რჩებიან.'"

მოსამართლემ საზეიმოდ გაიქნია თავი. "ყოველივე ეს არის წინასწარ განზრახული სიცრუე და ცილისწამება საბჭოთა კავშირისა და სოციალური კანონის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირში არის სხვადასხვა სახის რწმენები, ეკლესიები გახსნილნი არიან და არ იდევნებიან რწმენის გამო. კავშირი არ ერევა მათ საქმიანობაში, ვიდრე ისინი კანონს არ დაარღვევენ კულტის შესახებ. ბრალდებულ სკრიპნიკოვას დანაშაული არის, სისტემატიურად მცდარი ინფორმაციის გავრცელება საბჭოთა კავშირისა და მისი სოციალური კანონების შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა. რომელი ქმედებებიც განხილულია სისხლის სამართლის 190/1 მუხლში. აქედან გამომდინარე, მოვითხოვ რომ ბრალდებულს სასამართლომ მიუსაჯოს ორი წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა."

ეს თქვა და სახეზე კმაყოფილების გამომეტყველებით დაჯდა.

"ქრისტიანისათვის მხლოდ ერთადერთი მიზანი არსებობს"

მოსამართლე აიდას მიუბრუნდა, რათა ენიშნებინა რომ მისი საბოლოო თავდასაცავი სიტყვის დრო დადგა.

"განზრახული მქონდა ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული სხვადასხვა ბრალდებების შესახებ მესაუბრა," დაიწყო მან, ნათელი და მშვიდი ტონით. "მაგრამ სხვა კითხვებიც წამოიჭრა, რომელსაც უნდა შევეხო, აგრეთვე როგორც ნათქვამი იყო, მას არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან."

იმ უმნიშვნელო პრობლემებით დაიწყო, რომელიც გამოძიებამ წამოაყენა, მის მიერ პრავდისადმი მიწერილ სტატიაზე 1958 წელს, თავის საქმიანობასთან დაკავშირებით. შემდეგ კი უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გადავიდა.

"როდესაც მე ვამბობ რომ დათხოვილი ვიყავი სამსახურიდან რწმენის გამო, მითხრეს რომ, "ეს არის წინასწარ განზრახული მცდარი სტატია, მაგრამ აი რა მოხდა: ციხიდან გათავისუფლების შემდეგ სამუშაო ვიშოვე ბეჭდვით ორგანოში. სამუშაოს

დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, ლოცვის შეხვედრას ვესწრებოდი, როცა მილიცია მოვიდა და ჩემი სახელი ჩაიწერა სხვა რამოდენიმესთან ერთად. ვიცოდი რომ ჩემს სამსახურს შეატყობინებდნენ...”

“სამსახურში ყველა ააღელვა ამ ფაქტმა, როდესაც ჩემი მორწმუნეობის შესახებ შეიტყვეს, რასაც შედეგად ასეთი გაფრთხილება მოჰყვა, თუ არ შევიცვლიდი პოზიციას სამსახურიდან დამითხოვდნენ. არ დაუმალავთ ეს ფაქტი. პირდაპირ მითხრეს: ბეჭდვითი ორგანო არის პოლიტიკური ინსტიტუტი. ყველას არ შეუძლია აქ მუშაობა: მიუხედავად იმისა, რომ ეს განსაკუთრებული ორგანიზაცია ემსახურებოდა რკინიგზას და არანაირი საიდუმლო იქ არ იბეჭდებოდა, მხოლოდ სარკინიგზო ფორმები და მატარებლების განრიგი. არ ვიცი რა იყო იქ ისეთი, რაშიაც ნდობას არ ვიმსახურებდი,” გააგრძელა მან.

“დაახლოებით სამი კვირის მანძილზე გაგრძელდა ეს ყველაფერი. შემდეგ კი მენეჯერის ოფისში გამომიძახეს და მითხრეს რომ დათხოვილი ვარ სამსახურიდან. რა თქმა უნდა მათ არ უთქვამთ რომ რწმენის გამო დამითხოვეს, რადგან არ არსებობს ასეთი კანონი. ასე რომ შტატების შემცირების მიზნით გამათავისუფლეს. როდესაც სამუშაო სართულზე დავბრუნდი და გათავისუფლების მიზეზი ვუთხარი თანამშრომელებს, თვალები შუბლზე აუვიდათ გაოცებისაგან, რადგან ერთი საბეჭდი მანქანა უქმად იდგა პერსონალის სიმცირის გამო.

“მენეჯერმა მითხრა, “ჩვენ არ შეგვიძლია მიგიღოთ სამსახურში, რადგან თქვენი ბინადრობის მოწმობა ვრცელდება მხოლოდ ქალაქგარეთ, ისე რომ მენეჯერს თითქოს აქამდე ჯერ არ უნახავს ეს მოწმობა და ჩემი საბუთები:

აიდამ სასამართლოს უთხრა რომ, როდესაც მილიციამ მისი დაკითხვა დაიწყო, მიხვდა დიდი ხანი არ გაგრძელდებოდა მის ხელახლა დაპატიმრებამდე. “მხოლოდ ექვსმა თვემ განვლო გათავისუფლებიდან, ძალიან მინდოდა რომ რაღაც სასარგებლო გამეკეთებია კვლავ ციხეში მოხვედრამდე. მქონდა სამუშაო, რომელიც უნდა დამემთავრებინა.”

ღრმად ამოისუნთქა. ამ საქმეზე ბრძოლა გამანადგურებელი იყო; რაც მოითხოვდა მენტალურ, ემოციურ და სულიერ ფოკუსს,

რომლის შენარჩუნებაც ძნელი იყო ამ ხნის განმავლობაში. მოსამართლეს ათი წუთით შესვენება სთხოვა და ისიც დასთანხმდა.

როდესაც სასამართლო განახლდა, აიდამ მიზნად დაისახა, განსაკუთრებულად ეპასუხა მის წინააღმდეგ აღძრულ საქმესთან კავშირში მყოფ საკითხებზე: "არანაირი სახის ლიტერატურის გავრცელება არარის თავითავად დანაშაული, და თუ სასამართლო ვერ იპოვის წინასწარ განზრახულ მცდარ განცხადებებს, ჟურნალ ჰერალდ ოვ სალვეშენსა და ფრატელნალ ლიფლეტში, არ გექნებათ ჩემი დაჭერის საფუძველი. აქედან გამომდინარე აუცილებლად უნდა ვილაპარაკო ამ ლიტერატურის შინაარსზე."

შემდეგ იგი შეეხო ქრისტიანების აკრძალულ შეხვედრას და ქრისტიან ლიდერებს, რაც განხილულ იქნა მის მიერ გავრცელებულ ლიტერატურაში. "1929 წლის კანონი ამბობს რომ მორწმუნეებს უფლება აქვთ კონგრესის მოწყობის," აღნიშნა აიდამ. "მაგრამ ნებართვის გაცემის ნაცვლად მთავრობამ დაიწყო მათი დევნა, ვინც ეს ნებართვა მოითხოვა."

"შემდეგი, პროკურორის მიერ წარმოებული გამოძიების საფუძველძე ლიტერატურიდან ამოღებულ იქნა ჩვიდმეტი "მეამბოხე" ფრაზა. გამოძიება მიიჩნევს, რომ ეს ფრაზები შეიცავს წინასწარ განზრახულ მცდარ ცნობებს, ცილისწამებას საბჭოთა კავშირსა და სოციალურ წყობაზე."

ამჯერად აიდა შემობრუნდა და პირდაპირ მოსამართლეს მიმართა. "მის დამოწმებაში მის. ბოიკოვს მოჰყავს ლენინის ციტატა; მე დავასრულებ მის მიერ დაწყებულ ციტატას, თქვა მან: "მხოლოდ რუსეთსა და თურქეთში არსებობდა რელიგიური თავისუფლების ძალადობის სამარცხვინო კანონები. ეს კანონები პირდაპირ კრძლავდნენ რწმენის აღიარებას ან მის პროპაგანდას. ეს კანონებია ყველაზე მეტად სამარცხვინო, უსამართლო და ძალადობით სავსე." ეხლა კი მსურს სასამართლოს ყურადღება გავამახვილო სიტყვა პროპაგანდაზე. თვით ლენინი უწოდება სამარცხვინოს და უსამართლოს რწმენის პროპაგანდის აკრძალვას." კიდევ ერთხელ ამოისუნთქა ღრმად. "ეხლა კი იმას მოგახსნებთ ბატონო მოსამართლე, თუ როგორ დამაკავეს. თერთმეტ აპრილს წავედი ლოცვის შეხვედრაზე. შევამჩნიე რომ უკან მომყვრებოდნენ, მაგრამ დიდი ყურადღება არ მივაქციე.

მომდევნო დღეს პოლიცია მოვიდა სახლში და დამაპატიმრა. სხვა მორწმუნეების სახლებშიც ჩაატარეს ჩხრეკა. ჩემს საქმესთან დაკავშირებით თერთმეტი ჩხრეკა ჩატარდა: სამი ლენინგრადში, ოთხი პერმში, სამი კიროვოგრადში, და ერთი ჩემი დის სახლში, მაგნიტოგორსკში. შეიძლება კაცმა გაიგოს ჩემი და ჩემი დის სახლში წარმოებული ჩხრეკა, მაგრამ რატომ მოხდა იგი სხვა მორწმუნეების სახლებში? მხოლოდ იმიტომ რომ მათი მისამართები იყო ჩემს ბლოკნოტში. რომელიმე მათგანთან იპოვეს რაიმე ჩემს საქმესთან კავშირში?"

"შემდეგ აიდამ წამოჭრა საკითხი "რის გამო გვდევნიან? ჩვენ ვამბობთ რომ რწმენის გამო, თან გვეუბნებიან რომ ეს არის წინასწარ განზრახული მცდარი ინფორმაციის გავრცელება; თქვენ ცდილობთ საბჭოთა კავშირის კანონების უგულებელყოფას. მე ვარ არარეგისტრირებული ეკლესიის წევრი, რომელმაც მოითხოვა რეგისტრაცია-მთელმა ჩვენმა გაერთიანებამ გააგზავნა განცხადება, რომელიც მოიცავს ჩვენს სტატუსს-როდესაც ამას მივიღებთ ვეღარ გვეტყვიან, არ გაქვთ უფლება გააკეთოთ ეს ან ისო; ეს კანონის საწინააღმდეგოაო. სამაგიეროდ გვეუბნებიან ხელი მოაწერეთ შეთანხმებას რომ არ დაარღვევთ კანონსო. ეს არ არის რეგიისტრაციის შესაბამისი პროცედურა."

აიდამ მოსამართლეს მოუსვენრობა შეატყო და იჩქარა აზრის დასრულება. "მორწმენეები ვერ დადებენ პირობას შეასრულონ კანონი, რომელიც მათ ღმერთზე საუბარს უკრძლავს და მშობლებს კი შვილების რწმენაში გაზრდას. მთელი მათი სახელმწიფოს მიმართ ლოიალობის მიუხედავად, არც ერთ ქრისტიან მშობელს არ შეუძლია მიიღოს კანონი რომელიც მათ უბრძანებს შვილების ათეისტად გაზრდას. ისინი ამჯობინებენ ნებისმიერი ტანჯვის ატანას ვიდრე იცხოვრონ ასეთი პირობით.

"იესომ თქვა რომ სახარება უნდა ვუქადაგოთ ყოველ სულდგმულს," გააგრძელა აიდამ, "და მორწმუნეებს არ შეუძლიათ დაემორჩილონ კანონს, რომელიც მათ ღვთისა და გადარჩენის შესახებ საუბარს უკრძალავს. არც ერთი მორწმუნე ამას არ გააკეთებს. თუნდაც ის არ იყოს მქადაგებელი ან მისიონერი, თუნდაც ის იყოს უუნარო მსახურების წარმართვისა, არანაირი განსხვავება არა აქვს-იგი არ დაემორჩილება ასეთ კანონს, რადგან არამჭერმეტყველ ადმიანსაც აქვს ხანდახან

შესაძლებლობა უთხრას ვიღაცას ხსნის შესახებ. აქედან გამომდინარე, მორწმუნეები არ დაეთანხმებიან ასეთი კანონის შესრულებას. მათი ხელისუფლებისადმი პატივისცემის მიუხედავად, ისინი მაინც დაარღვევენ ასეთ კანონს.

"კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მორწმუნეები არ დაემორჩილებიან კანონს, რომელიც მათ აიძულებს სახარების უარყოფას. როცა ვარღვევთ ასეთ კანონს, საკმაოდ გამართლებულნი ვართ რადგან რწმენის მიხედვით ვმოქმედებთ.

"ვიცი რომ ჰეროლდ ოვ სალვეიშენ და ფრატერნალ ლიფლეტი არ მოიცავს არანაირ წინასწარ განსაზღვრულ მცდარ განცხადებას. ამავდროულად, ვიცი თუ რას ნიშნავს მათი საზღვარგარეთ გაგზავნა. ვიცოდი რომ ასეთი მოქმედება ჩიხში მომაქცევდა. არასოდეს ვთხოვ ვინმეს ჰერალდ ოვ სალვეიშენის საზღვარგარეთ გაგზავნას, რადგან საკმაოდ საშიში საქმეა; სწორედ ამიტომ გავაკეთე მე თვითონ."

აიდა შეყოვნდა, თავდაცვისათვის ძალას იკრებდა, საბოლოო ვნებით აღსავსე სიტყვა, ისურვებდა რომ ამით დაეტოვებინა ისინი, ვინც მის დაპატიმრებას მოითხოვდა. "ერთ დროს ხალხმა გააცნობიერა რომ რწმენის პროპაგანდის აკრძალვა უსამართლობა იყო; ეხლა მათ ეს არ ესმით. ეხლა ისინი ამბობენ, "შენთვის ირწმუნე და ილოცე; ნურც კი გაბედავ სხვას ესაუბრო ღმერთზე."ძალით გააჩუმო შენი იდეოლოგიური მეტოქე, არ ნიშნავს გამარჯვება. მას ყოველთვის უწოდებდნენ ბარბარიზმს."

მოსამართლემ შეაწყვეტინა, იმედგაცრუებულმა რომ ეხლა ეს კრიმინალი აქ, ამ სასამართლო დარბაზში ქადაგებდა. "უფლება არა გაქვს ილაპარაკო ეკლესიაზე; ისაუბრე მხოლოდ საკუთარ თავზე," თქვა მან, სიტყვების მისკენ მიმართვით.

აიდას ეჭვიც კი არ ეპარებოდა. "ქრისტიანებისათვის ერთადერთი კურსი არსებობს," თქვა მან. "ქრისტიანები ვერ წავლენ კომპრომისზე, მას შემდეგ რაც გაიგებ ჭეშმარიტების შესახებ, ეს ნიშნავს გაჰყვე მას, და თუ საჭიროა ეწამო კიდეც მისთვის. არ შემიძლია სხვანაირი ვიყო, სხვანაირად მოვიქცე. მომწონს თავისუფლება და ძალიან მინდა რომ თავისუფალი ვიყო ჩემს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. არ მსურს ჩემი სინდისის წინააღმდეგ მოქმედება. რა სიკეთე აქვს თავისუფლებას, თუ არ შემეძლება მამა ვუწოდო საკუთარ

ღმერთს? ცოდნა იმისა რომ ჩემი სული და ფიქრები თავისუფალია მაძლიერებს. აი, ეს არის რაც მინდოდა თქვენთვის მეთქვა.”

აიდა დაჯდა; მან თავისი საქმე ცხადად წარმოადგინა და გულში სიმშვიდე იგრძნო.

ეპილოგი

აიდას არგუმენტსა და სულში დაურწმუნებელმა მოსამართლემ სამი წელი მიუსაჯა საბჭოთა ციხეში, ექვსი თვით იმაზე მეტი ვიდრე პროკურორმა მოითხოვა. აიდამ ორ მაღალ დაცვას შორის დატოვა ოთახი.

ჩაკეტვამ ვერ შეაფერხა მისი საქმიანობა.

შესაბამისად, აიდას სასამართლოს ჩანაწები კოპირებული იქნა ციხის ზეწრის ოცამდე ნაჭერზე და ჩუმად გავრცელებული საზღვარგარეთ. მორწმუნეები მსოფლიოს გარშემო კითხულობდნენ სიტყვებს “ლენინგრადის აიდა”-ზე და ლოცულობდნენ ამ ერთგულ დაზე.

აიდამ შრომა-გასწორების კოლონა 1971 წლის 12 აპრილს დატოვა. მის გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე ოფიციალურ პირებს ეცნობათ, რომ მან ვერაფერი ვერ ისწავლა “დასჯიდან”. სინამდვილეში, უფრო მეტი ისწავლა, მაგრამ არა ის, რაც მის საბჭოთა დამპყრობლებს სურდათ. მან დოქტორის ხარისხი მიიღო ღვთის ერთგულებაში და უდიდესი გაგება შეიძინა შინაგანი კმაყოფილების და სიხარულისა, რომელიც მისი მსახურებიდან მომდინარეობს. იგი გახდა სრული წევრი იმ ძმობისა, რასაც მოციქული პავლე უწოდებს “ტანჯვა მისი მეგობრობისათვის.”[2]

დღეს აიდა სკრიპნიკოვა სანტ. პეტერბურგში ცხოვრობს. მისი რწმენა იყო რეჟიმში, რომლითაც მის დანგრევას მოელოდნენ. დღეს, ნებადართულია მისი მსგავსი მორწმუნეებისათვის შეკრება მსახურებისათვის და ქადაგება. ახლახანს მისი ეკლესია შეიკრიბა რათა ეზეიმათ მსახურების ორმოცი წლის თავი და გაეხსენებინათ მისი წევრების ერთგულება.

განსაკუთრბული პატივი მიაგეს მათ, რომლებიც წამებულ იქნენ რწმენის გამო.[3]

საბინა:

ქრისტეს სიყვარულის მოწმე

რუმინეთი

1945

რუსებმა განდევნეს ნაცისტები რუმინეთიდან და ეხლა ისინი დგამდნენ ნაბიჯებს, რათა რუმინეთის მთავრობისა და საზოგადოების ყოველი ასპექტი გაეკონტროლებინათ. მათი საბოლოო ძალისხმევა იყო ყველა რელიგიის სამღვდელო პირების შეხვედრაზე გამოძახება; რუსები ამას "კულტების კონგრესს" უწოდებდნენ. მათი მიზანი იყო მოეჩვენებინათ სამღვდელოებისათვის დახმარების გაწევა. მაგრამ საბინასათვის ეს ტაქტიკა მეტი არაფერი იყო, თუ არა მცდელობა კონტროლისა და რუმინეთის რელიგიური ლიდერების საბჭოთა კავშირის მარიონეტებად გადაქცევისა.

საბინა ფიზიკურად პატარა იყო, თითქმის ფუტ ნახევრით თავის ქმარზე, რიჩარდზე დაბალი; მაგრამ უდიდესი ვნება ამოძრავებდა ქრისტეს მიმართ. რიჩარდის გვერდით იჯდა შეხვედრაზე და უსმენდა, თუ როგორ აცხადებდა ლოიალობას ერთერთი ხუცესი საჯაროდ კომუნისტების მიმართ, რომელთაც დაიპყრეს მათი სამშობლო, საბინა თავის ქმარს მკლავში სწვდა.

"არ მოსწმენდ ამ სირცხვილს ქრისტეს სახიდან, რიჩარდ?" სთხოვა მან. "რაღაც უნდა თქვა. ისინი ქრისტეს სახელს აფურთხებენ!"

რიჩარდმა პარლამენტის შენობაში შეკრებილ დელეგატებს გადახედა. საკმაოდ დიდი წარმოდგენა იყო. "სრული რელიგიური თავისუფლება!" იყო კომუნისტების დევიზი. ისინი დამცველად უდგებოდნენ მშვიდობიან ურთიერთობას ღმერთსა და კომუნისტებს შორის-უფრო სწორად ღმერთსა და კონგრესის მიერ არჩეულ საპატო პრეზიდენტს, იოსებ სტალინს შორის. "რა ადვილად შეიძლება მსოფლიოს მოტყუება," თქვა რიჩარდმა მშვიდად.

რიჩარდი და საბინა მოქცეული იყო ოთხ ათას ეპისკოპოს, ხუცეს, მღვდელს, რაბს და მოლას შორის, რომელთა მიერ გალერეა იყო სავსე. მუსულმანი და ებრაელი, პროტესტანტი და მართლმადიდებელი, ყველა რწმენა იყო წარმოდგენილი.

რელიგიური მსახურებაც კი გაიმართა საპატრიარქოში კონგრესის დაწყებამდე. თვით კომუნისტმა ლიდერებმა გადაიწერეს პირჯვარი, აკოცეს ხატს და პატრიარქის ხელს. შემდეგ სიტყვაში გამოსვლა დაიწყო. პეტრუ გროზამ, ვინც უბრალოდ მოსკოვის მარიონეტი იყო, ახსნა რომ ახალი რუმინული მთავრობა სრულ მხარდაჭერას უცხადებდა რელიგიურ რწმენას, ნებისმიერი სახის რწმენას და ისინი გააგრძელებდნენ სამღვდელო პირებისათვის ხელფასის გადახდას, როგორც აქამდე: სტიპენდიებსაც კი გაზრდიდნენ! მქუხარე ტაშის ცემით შეხვდნენ ამ სიახლეს.

გროზას სიტყვის შემდეგ, მღვდლები და ხუცესები გამოვიდნენ საპასუხოდ. ერთი მეორის მიყოლებით ამბობდნენ, თუ რამდენად ბედნიერნი იყვნენ რელიგიის ასეთი დაფასებით. კავშირი გაითვალისწინებდა ეკლესიის მდგომარეობას, თუ ეკლესია მხედველობაში მიიღებდა კავშირის პოზიციას. ისეთი მარტივი გახლდათ ყველაფერი. ეპისკოპოსმა აღნიშნა რომ ეკლესიის ისტორიის განმავლობაში პირველად, მთელი პოლიტიკური მრავალფეროვნება შეუერთდა ეკლესიას. ეხლა წითლები შემოუერთდნენ და უხაროდათ. ყველა ბედნიერი იყო. მათი სიხარული გადაეცა მთელს მსოფლიოს რადიოს საშუალებით, პირდაპირ დარბაზიდან.

“კარგი”. თქვა რიჩარდმა, “გავალ და ვილაპარაკებ. მაგრამ, თუ ამას გავაკეთებ ქმარი აღარ გეყოლება.”

საბინამ იცოდა რომ ნათქვამი სიმართლეს შეეფერებოდა და რომ სხვა რელიიგიის ლიდერებიც შიშით საუბრობდნენ თავიანთ ოჯახებზე, სამსახურზე, ხელფასზე. მან ისიც იცოდა რომ ვიღაცას უნდა ყოფნოდა გამბედაობა კომუნისტების გავლენის ქვეშ მოქცევისა და ოთახის ტყუილითა და მლიქვნელობით გაჟღენთის ნაცვლად... პირდაპირ შეხედა რიჩარდს თვალებში და უბრალოდ უთხრა, “არ მჭირდება მშიშარა ქმარი.”

რიჩარდმა უსიტყვოდ თავი დაუქნია. ფურცელი შეავსო და წინ გადააწოდა, მიუთითა რომ სიტყვაში გამოსვლა სურდა,

რამაც კომუნისტები აღაფრთოვანა. ხუცესი რიჩარდ ვურმბრანდი, ქვეყანაში კარგად ცნობილი ლუთერანი მსახური. ეკლესიების მსოფლიო საბჭოს ოფიციალურ წარმომადგენელს სურდა რომ ასამბლეიისათვის მიემართა.

ეხლა ისინი ნამდვილ პროგრესს აღწევდნენ!

მხნეობისა და ჭეშმარიტების დრო

დრბაზში დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა, როდესაც რიჩარდი პლატფორმისაკენ მიმავალ ბილიკს შეუდგა. საბინა თან ქმარზე ლოცულობდა და თან უკვირდა, ნეტავ რას ფიქრობდა ხალხი.

"დიდი მადლობა ერთად შეკრების პრივილეგიისა და თავისუფალი საუბრისათვის," დაიწყო რიჩარდმა. "როდესაც ღვთის შვილები ერთმანეთს ხვდებიან, ანგელოზები იკრიბებიან ღვთის სიბრძნის მოსასმენად. ასე რომ ყოველი მორწმუნის მოვალეობაა, არა მიწიური ლიდერების დიდების მიგება, რომლებიც მიდიან და მოდიან, არამედ ადიდოს შემოქმედი ღმერთი და მხსნელი ქრისტე, რომელიც ჯვარზე მოკვდა ჩვენი გულისათვის."

დარბაზში ატმოსფერო შეიცვალა, საბინას გული სიხარულით აივსო. ბოლოს და ბოლოს; კომუნისტური პროპაგანდიდან ყურადღება გადატანილ იქნა ქრისტეზე.

"თქვენი დრო ამოიწურა!" ბორდუკა, კულტურის მინისტრი, მოულოდნელად წამოხტა. რიჩარდმა ყურადღება არ მიაქცია და გააგრძელა თანამოძმე ლიდერების გამხნევება, რომ ნდობოდნენ და დამორჩილებოდნენ ღმერთს და არა კაცს. აუდიენციამ ტაში დაუკრა. იცოდნენ რომ რიჩარდი მართალი იყო, მხოლოდ ერთადერთი ის აღმოჩნდა საკმარისად თამამი ეთქვა ის, რაც უნდა თქმულიყო.

"გათიშეთ მიკროფონი!" უყვიროდა ბურდუკა ხელქვეითებს.

"ეხლავე ჩამოიყვანეთ ეს კაცი სცენიდან!"

რიჩარდი გაჩუმდა და ეხლა დარბაზმა დაიწყო ხმაური, *"ხუცესი! ხუცესი!"*[1]

შეხვედრა სრულ ქაოსში გადაიზარდა, რიჩარდი მანამდე გავიდა უკან ვიდრე ვინმე ხელის ჩავლებას მოახერხებდა.

საბინა ჩუმად იჯდა და უყურებდა. ამაყობდა თავისი ქმრით.

ამაყობდა მისი მხნეობით, მდგარიყო ქრისტეს მხარეს. სიამაყეს თან ერთვოდა აღელვების მსგავსი განცდა, რადგან ფიქრობდა რა ფასად დაუჯდებოდა მის ქმარს რუსეთის წინააღმდეგ საუბარი.

საბინას და რიჩარდს ყოველთვის კეთილგანწყობით ჰქონდათ გული სავსე რუსების მიმართ. ისინი ხშირად განიხილავდნენ საკითხს რუმინელი მისიონერების რესეთში საქადაგებლად გაგზავნის თაობაზე. "ეხლა ღმერთმა მოიყვანა რუსები ჩვენთან," განაცხადეს რიჩარდმა და საბინამ.

როდესაც რუსები პირველად შემოვიდნენ რუმინეთში 1944 წლის ზაფხულზე, რიჩარდი და ოცდათერთმეტი წლის საბინა მათ შესახვედრად ყვავილებითა და სახარებისეული ბროშურებით წავიდნენ. როგორც რუმინელმა ებრაელებმა, ორივემ განუზომლად დიდი ტანჯვა მიიღეს ნაცისტებისაგან. საბინას მთელი ოჯახი საკონცენტრაციო ბანაკებში გაანადგურეს, რიჩარდი უკვე სამჯერ იყო დაპატიმრებული. როდესაც საბინა და რიჩარდი ქრისტიანები გახდნენ, პირობა დადეს რომ დაკარგულების მოსაძებნად იზრუნებდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა მათ ცოდვებს. ამ დარწმუნებულობამ ისინი 1944 წელს მიიყვანა როგორც გაქცეული ნაცისტების, ასევე მოსული რუსების ქადაგებამდე. ნაცისტების ოკუპირების განმავლობაში, რიჩარდმა და საბინამ მრავალი ებრაელი შეიფარა სახლში. მერე როცა ნაცისტები გარბოდნენ, ნაცისტებს მისცეს თავშესაფარი. ერთერთი ნაცისტი ჯარისკაცი შეეკითხა საბინას, თუ რატომ იფარებდა ებრაელი თავის მტერს, ნაცისტს. საბინამ უბრალოდ უთხრა რომ მას მტერი არ ჰყავდა და ღმერთს ყველა ცოდვილი ერთნაირად უყვარდა. მადლობა გადაუხადა და დაჰპირდა, რომ თუ ნაცისტები კიდევ მოიპოვებდნენ ძლაუფლებას ციხიდან გაათავისუფლებდა.

დროის მოვაჭრება

1944 წლის ზაფხულში საბინა და რიჩარდი მხიარულობდნენ დროებითი რელიგიური თავისუფლებით. ყოფილი რუმინეთის დიქტატორი, იონ ანტონესკუ მოსკოვში წაიყვანეს, მალე ისევ უკან მოიყვანეს და დახვრიტეს. მართლმადიდებლური ეკლესიის

პრელატებმა, რომლებმაც ტირანული ზემოქმედება მოახდინეს ებრაელებზე და პროტესტანტებზე, დაკარგეს აბსოლიტური მბრძანებლობა.

რუმინელების უმრავესობა ფიქრობდა, რომ როგორც იქნა დემოკრატიული მთავრობა ჰყავდათ, მაგრამ საბინამ უკეთესად იცოდა.

კულტების კონგრესის შემდეგ, არანაირი ოფიციალური ქმედება არ აღძრულა რიჩარდის წინააღმდეგ, კომუნისტები მოდიოდნენ და რეგულარულად შლიდნენ მსახურებას იმ ეკლესიაში, სადაც იგი მსახურებას ეწეოდა. კვირაობით უხეში გამომეტყველების ახალგაზრდები სხდებოდნენ ხოლმე ეკლესიის უკანა რიგებში, ფსტვენდნენ, ლაზღნდარობდნენ და საუბარს აწყვეტინებდნენ:

"მოხარულნი უნდა ვიყოთ," თქვა ხუცესმა სოლეიმმა, ეკლესიის ახალგაზრდა ხუცესმა. "უკეთესია უხეში დამსწრე რომელიც დაინტერესებულია, ვიდრე წყნარი, რომელიც თავს ისე აჩვენებს თითქოს უსმენს!"

შემდეგ მათ მიიღეს პირველი გაფრთხილება. საბინა თავის ქმართან ერთად მუშაობდა ეკლესიაში, როდესაც ერთი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი შემოვიდა და მის ქმარს მიმართა.

"ინსპექტორი რიოსანუ," წარადგინა მან საკუთარი თავი. "თქვენ ვურმბრანდი ხართ? მაშინ თქვენა ხართ კაცი, რომელიც ჩემს სიცოცხლეში ყველაზე მეტად მძულს." რიჩარდმა და საბინამ დაუჯერებელი თვალით შეხედეს. "რომ დაგარწმუნოთ არანაირი სირთულე არ არის," გააგრძელა მან, "მოვედი რათა გაცნობოთ. თქვენზე დიდი საქმეა შედგენილი საიდუმლო პოლიციის სათაო ოფისში. ვიღაცამ გადასცა თქვენს წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ინფორმაცია. ამ ბოლოს ბევრ რუსს ელაპარაკეთ არა?"

რიოსანუმ ხელი ხელს შემოჰკრა. "მაგრამ ვიფიქრე რომ შესაძლოა შევთანხმებულიყავით."

ქრთამისათვის მას შეეძლო ამ ცნობის განადგურება. საუბარს საბინაც შემოუერთდა და ისინი შეთანხმდნენ გარკვეულ თანხაზე. რიოსანუმ ფული ჯიბეში ჩაიდო და თქვა, "ინფორმატორის სახელი არის..."

“არა!” სწრაფად თქვა საბინამ. “არ გვინდა რომ ვიცოდეთ.” ინსპექტორმა გაოცებული თვალით შეხედა პატარა ქალს. მაგრამ საბინამ თავი გადააქნია. იცოდა მათ არ უნდა გაეგოთ იფორმატორის სახელი. თუ გაიგებდნენ ვინ იყო, შესაძლოა ცუდი განცდა დაუფლებოდათ პიროვნების მიმართ და ეს ცოდვა მათ კისერზე იქნებოდა. მიუხედავად ამისა, რიჩარდმა და საბინამ იცოდნენ რომ ქრთამი ვერ იყიდიდა მათ მშვიდობას. ის ღმერთის ხელში იყო... ალბათ მცირეოდენი დრო იყიდეს და იატაკქვეშა ეკლესიის დაფუძნების შესაძლებლობა.

1947 წლის ბოლოს, ქრისტიანების დაპატიმრებამ ხშირი ხასიათი მიიღო, საბინამ მრავალი მეგობარი დაკარგა ციხეში. ზამთრის ერთ, ცივ, დღეს საბინა სახლში იყო, ბრონხიტი სჭირდა, როდესაც კარზე კაკუნის ხმა შემოესმა. კარი გახსნა და გაოცდა როდესაც ვერა იაკოვლევნა დაინახა, რუსი ექიმი, რომელთანაც დიდი ნაცნობობა არ აკავშირებდა. ექიმი არ მოსულა საბინას ავადმყოფობის გამო, არამედ მნიშვნელოვანი ცნობის გადასაცემად. მას სახეზე ტრაგედია აღბეჭდვოდა ამ ამბის თხრობისას: ვერა იყო უკრაინის ერთერთი ქალაქიდან, სადაც მრავალი ქრისტიანი ლიდერი და უბრალო მორწმუნეები, მისი ჩათვლით, გადაასახლეს ციმბირის შრომის კოლონიებში, საიდანაც მცირედი თუ დაბრუნდა.

“ტყეებში ვმუშაობდით, ქალები და კაცები ერთნაირად,” თქვა ვერამ. “ერთნაირი უფლებები გვქონდა: შეიძლებოდა მოვმკვდარიყავით შიმშილით ან გავყინულიყავით სიცივეში.”

ვერა წინ გადაიხარა, საბინას მკლავში ხელი ჩაავლო, რომელზეც თეთრი დიდი ლაქები ეტყობოდა და მოგონებებისაგან კანკალებდა. “ყოველ დღე კვდებოდა ხალხი, თოვლში ეცემოდნენ მძიმე შრომისაგან,” თქვა მან.

ერთ დღეს, ვერას მოატანეს რომ ერთ პატიმარს ქრისტეზე ელაპარაკებოდა. როგორც სასჯელი, ის აიძულეს რომ ფეხშველი მდგარიყო ყინულზე რამოდენიმე საათი, დაცვამ კი სცემა.

სხვა პატიმრების უმრავლესობა არა ადამიანურ პირობებში მოკვდა ან ხშირი წამებისაგან, მან როგორღაც მოახერხა გადარჩენა. ეხლა ის საბინასთან მოვიდა, არა უბრალოდ ამ ტრაგედიის სათქმელად, არამედ ღვთის ერთგულების გასაზიარებლად. კოლონიაშიც კი, ღმერთმა აჩვენა ყოვლისშემძლე ძალა ტკივილსა და საჭიროებაში.

საბინას თავი ასტკივდა. სასწაულზე ფიქრის ნაცვლად, იმაზე დაიწყო ფიქრი რომ მასაც მსგავსი ტანჯვის გადატანა მოუწევდა. *რას ნიშნავს ყოველივე ეს? რატომ მოვიდა ჩემთან ამის სათქმელად?* უკვირდა მას.

როგორც კი ვერა წასასვლელად მოემზადა, საბინამ სთხოვა რომ ის ღამე მასთან გაეთია. ან რიჩარდის მოსვლამდე მაინც დარჩენილიყო, რომ მასაც მოესმინა მისი დამოწმება, თუ რა დღეში იყვნენ მისი და-ძმები. მაგრამ ვერა უკვე კარებთან იდგა. ცოტა ხანს შედგა რაღაცის სათქმელად, "ჩემი ქმარი საიდუმლო პოლიციამ წაიყვანა. უკვე თორმეტი წელი ზის ციხეში. აღარ მგონია თუ კიდევ შევხვდებით ამ დედამიწაზე." და წავიდა.

"თორმეტი წელი!" გაიმეორა გაოცებულმა საბინამ. როგორ შეიძლება რომ ვინმემ ამდენი აიტანოს?

კომუნისტებმა განავრცეს ქრისტიანების დაპატიმრება, გაქცევაზე უნდა ეფიქრათ. "ჯერ კიდევ გვიანი არ არის, საბინა," დაიწყო რიჩარდმა. "ჯერ კიდევ შეგვიძლია გაქცევა. მრავალმა გამოისყიდა თავი."

საბინამ არ უპასუხა. მან იცოდა რომ რიჩარდს მასზე მეტად არ უნდოდა წასვლა. მაგრამ საშიშროება რეალური იყო. მათ მიხეილზეც უნდა ეზრუნათ, მათი ძვირფასი რვა წლის ვაჟი – ერთადერთი შვილი.

რიჩარდმა გააგრძელა, "ადრე, როცა ნაცისტებმა დამიჭირეს, რამოდენიმე კვირის შემდეგ გამათავისუფლეს. კომუნისტებთან ეს შეიძლება წლები გაგრძელდეს. მათ შეუძლიათ შენც წაგიყვანონ, საბინა. მერე რა მოუვა მიხეილს?"

რიჩარდი საბინას ყველაზე სუსტ მხარეს შეეხო. იცოდა, თუ მას და საბინას ერთდროულად დააპატიმრებდნენ, მიხეილს არსად წასასვლელი ადგილი არ ექნებოდა. ქუჩაში დარჩებოდა, ლუკმა-პურის სამათხოვროდ. ეს უკვე მეტისმეტად მძიმე იყო დედისთვის გასამკლავებლად. საბინამ მაინც არ უპასუხა.

საბოლოოდ რიჩარდმა მას შეახსენა რა უთხრა მეგობარმა: "გაიქეცი შენი სიცოცხლისათვის;" თქვა მან, მოიყვანა ციტირება ანგელოზების სიტყვიდან ლოტისადმი ნათქვამი "ნუ მიიხედავ უკან."[2]

შემდეგ საბინამ უპასუხა. "რომელი სიცოცხლისათვის უნდა გაიქცე?" იკითხა მან.

საძინებელში შევიდა, ბიბლია გამოიტანა და ხმამაღლა წაიკითხა: "ვინც თავის სიცოცხლეს გაუფრთხილდება, დაკარგავს მას: ხოლო, ვინც ჩემი გულისათვის დაკარგავს სიცოცხლეს, იპოვის მას."[3] დახურა საკმაოდ გაცრეცილი წიგნი და რიჩარდს ჰკითხა, "თუ ეხლა წახვალ, ოდესმე კიდევ შეგეძლება რომ ეს ადგილი იქადაგო?"

ამჯერად წასვლის შესახებ კითხვას წერტილი დაესვა. რამოდენიმე თვის შემდეგ კვლავ დღის წესრიგში დადგებოდა...

არსებობის შეწყვეტა

1948 წლის 29 თებერვალი, კვირა დილა, რიჩარდი ეკლესიაში წავიდა, კარებში გასულმა მიაძახა "საბინა, ეკლესიაში გნახავ."

როდესაც საბინა ეკლესიაში მივიდა ოცდაათიოდე წუთის შემდეგ, განაწყენებული ხუცესი სოლეიმი ნახა ოფისში.

"რიჩარდი არ გამოჩენილა," თქვა მან. "მაგრამ თავში იმდენი რამე უტრიალებს. ალბათ მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა გაახსენდა ეკლესიამდე."

"დამპირდა რომ ნახევარ საათში აქ შემხვდებოდა," თქვა საბინამ, შიშნარევი ხმით.

"ალბათ მეგობარს შეხვდა, რომელსაც დახმარება ესაჭიროებდა," თქვა სოლეიმმა. "აუცილებლად მოვა."

ხუცესმა სოლეიმმა დაიწყო მსახურება, საბინამ კი მეგობრებს დაურეკა, გაეგო რიჩარდი თუ რომელიმე მათგანთან იყო. შიში გამძაფრდა.

დღეს რიჩარდს ჯვარი უნდა დაეწერა ახალგაზრდა წყვილისათვის.

"ნუ იდარდებ," ამხნევებდა ხუცესი სოლეიმი საბინას. "არ იცი რიჩარდი? გახსოვს, ზაფხულის ბანაკი, გაზეთის საყიდლად რომ წავიდა დილით და სადილის დროს დარეკა რომ საუზმეზე ვერ მოვიდოდა?"

საბინას გაეცინა. რიჩარდს რაღაც სასწრაფო საქმე გაახსენდა და ბუქარესტში გაბრუნდა. "მართალი ხარ. რაღაც მაგის მსგავსი უნდა მომხდარიყო," თქვა მან და ეცადა თავი დაერწმუნებინა.

ვურმბრანდის პატარა ბინა საკვირაო სადილზე ყოველთვის მხიარული იყო. ბევრი საჭმელი არასოდეს ჰქონდათ, მაგრამ

ქრისტიანები იკრიბებოდნენ, რათა ესაუბრათ და ეგალობათ. ყოველი დამსწრისათვის ეს იყო კვირის საუკეთესო დღე.

ეხლა ისინი ჩუმად ისხდნენ და რიჩარდს ელოდნენ. მაგრამ არ მოდიოდა. ხუცესმა სოლეიმმა წარმართა საქორწინო ცერემონიალი. საბინამ საავადმყოფოებში დარეკა, სასწრაფო დახმარების მისაღებშიც შეიარა, ფიქრობდა, შესაძლოა უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მაინც ვერსად მიაგნო. საბოლოოდ აღიარა რაც უნდა გაეკეთბინა: უნდა წასულიყო შინაგან საქმეთა სამინისტოში. რადგან რიჩარდი ნამდვილად დააპატიმრეს.

შემდეგ დაიწყო ძებნის საათები, კვირეები და წლები... ოფისიდან ოფისში სიარული... აწვებოდა ყოველ კარს, იქნებ გაღებულიყო.

საბინა ვერაზე ფიქრობდა, რომელიც ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში დაშორებული იყო ქმარს. იფიქრა იმ ტანჯვაზე, რაც ვერას უნდა აეტანა თანაპატიმრებთან იესოს შესახებ საუბრის გამო, წყენის გამო. რაღა თქმა უნდა რიჩარდსაც დამნაშავედ სცნობდნენ. საბინას გაახსენდა რამდენად მადლიერნი იყვნენ ის და რიჩარდი, რუს დამპყრობ ჯარისკაცებთან დამოწმების შესაძლებლობის გამო. იგივე ჯარისკაცებს ტყვედ ეპყრათ ეხლა მისი ქმარი.

ხმა გავრცელდა რომ რიჩარდი მოსკოვში წაიყვანესო, ისე როგორც სხვა მრავალი. მაგრამ საბინას არ ეჯერებოდა რომ ის წავიდა. ყოველ ღამე საჭმელს ამზადებდა, ფანჯარასთან დაჯდებოდა და ფიქრობდა, *ამაღამ დაბრუნდება სახლში. რიჩარდს ცუდი არაფერი გაუკეთებია. მალე გაათავისუფლებენ. კომუნისტები არ შეიძლება რომ ნაცისტებზე უარესები იყვნენ, რომლებიც ერთი ან ორი კვირის შემდეგ ყოველთვის ათავისუფლებდნენ.* როგორც კი მიხეილი ატირდებოდა მამაზე, საბინა ამშვიდებდა. თავის შვილს უთხრა, რომ ღმერთი მფარველობდა მამამისს და ყველა დანარჩენებს. ერთად ლოცულობდნენ რიჩარდის დაცულობისა და მისი მალე დაბრუნებისათვის, მაგრამ არ მოდიოდა. დიალოგი, რომელიც მას და რიჩარდს ჰქონდათ რამოდენიმე თვის უკან, სიზმრებში შემოიჭრა: "*ადრე რომ დამაპატიმრეს, რამოდენიმე კვირის შემდეგ გამათავისუფლეს. კომუნისტებთან ეს შეიძლება წლები გაგრძელდეს...*"

საბინას გული ფორიაქობდა... მას და რიჩარდს ჰქონდათ სიყვარული, რომელიც მრავალი გამოწვევის ატანას მოითხოვდა, ამჯერად არ იცოდა როგორ გაეგრძელებინათ ცხოვრება მას და მიხეილს რიჩარდის გარეშე. რამოდენიმე კვირის შემდეგ ხუცესმა სოლეიმ საბინა წაიყვანა შვედეთის ელჩთან-ძველ მოკავშირესთან, დახმარების სათხოვნელად. ელჩმა რეუტერსუაერდმა თქვა რომ საგარეო საქმეთა მინისტრს დაელაპარაკებოდა, ანა პაუკერს.

ქალბატონი პაუკერისაგან საპასუხო წერილი მოვიდა: "ჩვენი იფორმაციით ხუცესი ვურმბრანდი ქვეყნიდან გაიქცა ფულით სავსე ჩანთით, რომელიც მას გადაეცა შიმშილობის წინააღმდეგ საქმიანობისათვის. ამბობენ რომ იგი დანიაში იმყოფება."

ელჩმა რიჩარდის საქმე პირველ მინისტრ გროზამდე მიიტანა. მან იგივე სიტყვები გაიმეორა და დაპირებაც დაამატა: "ვურმბრანდი ერთ–ერთ ჩვენს ციხეში იმყოფება, თუ დაადასტურებთ მის გაქცევას შემიძლია რომ გავათავისუფლო!" კომუნისტები დიდად იყვნენ საკუთარ თავში დარწმუნებულნი. ალბათ ამიტომ ამბობდნენ ხალხში:

"ერთხელ რუმინეთის საიდუმლო პოლიციის ანკესზე წამოგებისას, ადამიანი არსებობას წყვეტსო."

რიჩარდის მაშველი თოკი

რამოდენიმე თვის ტყუილუბრალოდ დახარჯული ძალისხმევის შემდეგ, ერთ საღამოს, როცა საბინა ეკლესიაში იყო უთხრეს, რომ უცხო ადამიანი ელოდებოდა კარებთან. კაცი გაუპარსავი იყო და ქლიავის კონიაკივით ბოლავდა. დაჟინებით მოითხოვდა პირადად საბინასთან საუბარს.

"მე თქვენს ქმარს შევხვდი," თქვა მან უბრალოდ. საბინას გული გადაუტრიალდა. პირველად გაიგონა თავისი ქმრის შესახებ. "მე ყარაული ვარ, არ შემეკითხო რომელი ციხის, უბრალოდ იცოდეთ რომ მე ვარ დარაჯი, რომელსაც მასთან საჭმელი მიაქვს... მან მითხრა რომ კარგად გადამიხდიდით ამ მცირედი სიახლისათვის."

"რამდენი?" იკითხა საბინამ, ნაკლებად იყო დარწმუნებული რომ სწორი ინფრმაცია ჰქონდა ხელთ. გარშემო იმდენი ტყუილები იყო.

“ჩემს თავს საფრთხეში ვიგდებ, თქვენ ეს იცით.”

მის მიერ დასახელებული თანხა უზარმაზარი იყო და შევაჭრებას არ ექვემდებარებოდა.

ხუცესი სოლეიმიც ისევე დაეჭვებული იყო როგორც საბინა. მან დარაჯს უთხრა, “მომიტანე მის მიერ დაწერილი რამოდენიმე სიტყვა.” და შოკოლადი მისცა შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის საწყობიდან. “წაუღეთ ეს ვურმბრანდს და მომიტანეთ მისი ხელმოწერა.”

დარაჯი წავიდა, სოლეიმი საბინას მიუბრუნდა და უთხრა. “სულ ეს არის რაც შეგვიძლია. წარმოდგენაც კი არა გვაქვს სიმართლეს ამბობს თუ არა, საკმაო თანხას კი ითხოვს.”

საბინამ იცოდა ხუცეს სოლეიმს არ უნდოდა რომ მას იმედი მისცემოდა და მალევე გაუჩინარებულიყო.

ორი დღის შემდეგ კაცი კვლავ დაბრუნდა. ქუდი გადმოაბრუნა, ნაკეცებში თითები მოაფათურა და საბინას შოკოლადის ქაღალდი გადასცა. ფრთხილად გახსნა და წაიკითხა, “ჩემო ძვირფასო ცოლო, მადლობთ შენი სიტკბოსათვის. მე კარგად ვარ: რიჩარდი.”

საბინას გული საგულედან ამოუვარდა. ის ცოცხალია! მისი ხელნაწერია! მკაფიო და ცხადი, მტკიცე მაგრამ განსაცდელით სავსე. შეუძლებელი იყო შეცდომის დაშვება და ცრუ იმედის დასახვა ამ ხაზებს შორის.

“ის კარგად არის,” თქვა დაცვამ. “ზოგიერთებს არ შეუძლიათ მარტოობის ატანა. არ მოსწონთ მარტოობის კომპანია.” კვლავ ბრენდის სუნი ასდიოდა. “თავის სიყვარულს გიგზავნის.” საბინა დასთანხმდა თანხის გადახდაზე, თუ იგი კვლავ გააგრძელებდა წერილების მოტანას. ბოლოს თქვა, “კარგით. თქვენ იცით რომ დიდ რისკს ვეწევი. ზოგს თორმეტი წელი მიუსაჯეს ამის კეთებისათვის.”

დასთანხმდა თავისი თავისუფლების გაწირვას დაშორებული სიყვარულის გამო: მას უყვარდა ფული და სასმელი, რომელსაც ამ ფულით ყიდულობდა. ეტყობოდა აშკარად პატივს სცემდა რიჩარდს, და ხანდახან მას დამატებითი პურის ნაჭერს აძლევდა.

საბინა მადლიერი იყო ამ კაცის მიერ გაღებული მსხვერპლის, რადგან იგი აგრძელებდა წერილების მოტანას. ეს ლოთი კაცი გახდა რიჩარდის მაშველი თოკი. ამჯერად უკვე საკმარისი იყო.

პატიმართა ოჯახების დასჯა

მკაცრი იყო კომუნისტური კანონები. პოლიტიკური პატიმრების ცოლებს არ შეეძლოთ კვების ტალონების მიღება. ტალონები მხოლოდ "მუშებისათვის" იყო. პოლიტიკური პატიმრების მეუღლეებს არ შეეძლოთ რომ ემუშავათ. რატომ? იმიტომ რომ მას კვების ტალონი არ ჰქონდა, ასე რომ იგი არ არსებობდა.

საბინა სთხოვდა ხელისუფლებას, "როგორ უნდა ვიცხოვრო? როგორ უნდა გამოვკვებო ჩემი შვილი?"

"ეს შენი პრობლემაა და არა ჩვენი."

საბინა მიხეილზე დარდობდა. რიჩარდის დაპატიმრების შემდეგ, თანდათან გახდა ბავშვი საჭმლის უქონლობის გამო. იცოდა რომ იგი კვლავ დარდობდა დაკარგულ "და-ძმებზე," ექვს უპატრონო ბავშვზე, რომლებიც საბინამ და რიჩარდმა აიყვანეს ნაცისტების მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, აღმოსავლეთ რუმინეთში.

მოგვიანებით გაიგეს რუსების გადაწყვეტილების შესახებ, რომ აპირებდნენ ორ შემოერთებულ აღმოსავლეთ პროვინციაში, ბესარაბიასა და ბუკოვინაში უპატრონო ბავშვთა ჩასახლებას. საბინამ და რიჩარდმა იცოდნენ რომ ადრე თუ გვიან, ბავშვებს მათგან წაიყვანდნენ და აღმოსავლეთისაკენ გააგზავნიდნენ. ასობით უპატრონო ბავშვს ხვდა წილად იგივე ბედი. საბინა ფიქრობდა, მათი გაგზავნა რომ მოეხერხებინათ პალესტინაში, სადაც ისრაელის ახალი კავშირი ყალიბდებოდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ასე რომ, ერთ საბედისწერო დღეს, სამწუხაროდ მათ ბავშვები ლტოლვილთა მცირე ნაწილს, თურქულ გემ-*ბულბულს* შეუერთეს. ძნელი იყო მათთან განშორება, მაგრამ მათი პალესტინაში გაგზავნა უფრო საიმედოდ ჩანდა, ვიდრე ბედისწერის მოლოდინი რუსების ქვეშ.

კვირეები გადიოდა და არაფერი ისმოდა გემის ადგილზე ჩასვლის შესახებ. დღითი დღე საბინას წუხილი ემატებოდა. საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. მაგრამ გემი გაუჩინარდა და იმედიც გადაეწურათ. ვარაუდობდნენ რომ *ბულბული ომისდროინდელ* წარმოებულ სამუშაოებს შეეჯახა და სრული ეკიპაჟით ჩაიძირა.

საშინელი ტკივილი განიცადეს. საბინას და რიჩარდს საკუთარი შვილებივით უყვარდათ ბავშვები, მიხეილიც დაძმებივით უყურებდა მათ. როდესაც საბოლოოდ საბინა შეეგუა იმ აზრს, რომ უპატრონო ბავშვები დაიკარგნენ, არავისი დანახვა და ლაპარაკი აღარ უნდოდა. მთელი მისი რწმენა მძიმე გამოცდას გადიოდა. *როგორ შეიძლებოდა ღმერთს ეს დაეშვა? როგორ შეიძლებოდა ღმერთს წაეყვანა ჩემი შვილები? გამუდმებით* ეკითხებოდა საკუთარ თავს.

რა თქმა უნდა საბინა თავის გულში ღმერთს არ სდებდა მსჯავრს, ადამიანის მოდგმის მიერ წარმოებულ ომსა და სიძულვილზე, რომლის სავარაუდო შედეგიც იყო გემის ჩაძირვის ისტორია. მაგრამ მას უყვარდა ბავშვები და ფიქრობდა, ნეტავ ოდესმე თუ შეძლებდა ტკივილის მდგომარეობიდან გამოსვლას.

საკუთარი მწუხარებისას საბინას მიხეილიც უნდა დაემშვიდებინა, რომელიც მწარედ ტიროდა ბავშვების გახსენებაზე, რადგან მისი ნათელი დღეებიდან გაქრნენ. ხელში აიყვანდა მიხეილს და უამბობდა ამბავს, რომელიც რიჩარდისაგან ხშირად ჰქონდა მოსმენილი:

ამბობენ, რომ ერთი, ცნობილი არაბის სახლში არ ყოფნისას მისი ორი ვაჟი მოკვდა, ორივენი არაჩვეულებრივად ლამაზები. მისმა თავგზააბნეულმა ცოლმა ისინი პალატაში დაასვენა და თეთრი ზეწარი გადააფარა. იმ საღამოს რაბინი სახლში დაბრუნდა.

“სად არიან ჩემი ვაჟები?” იკითხა მან. “ეზო შემოვიარე და ვერ ვიპოვე.”

ცოლმა ჭიქა წყალი მოუტანა გასაგრილებლად, მან მაინც გააგრძელა კითხვა, “სად არიან ჩემი ვაჟები?”

“შორს არ იქნებიან,” უპასუხა მან და საჭმელი დაუწყო წინ.

ჭამის შემდეგ ქალმა მიმართა: “თქვენის ნებართვით, შეიძლება რომ რამე შეგეკითხოთ?”

“დიახ, მკითხეთ.”

“რამდენიმე ხნის წინათ მეგობარმა ორი ძვირფასი ბრილიანტი მომანდო, და ისე ვუვლიდი ამ ბრილიანტებს როგორც საკუთარს. ეხლა ის მათ უკან მთხოვს; უნდა დავუბრუნო?”

“რა?” თქვა რაბინმა. “შეყოვნდებოდი ვინმესთვის საკუთარი ნივთის დაბრუნებაში?”

“არა,” უპასუხა მან. “ვიფიქრე შენი შეკითხვის გარეშე არ დამებრუნებინა.”

შემდეგ ოთახში წაუძღვა და თეთრი ზეწარი გადახადა მკვდარი ბავშვების სხეულს. “ჩემო შვილებო! ჩემო შვილებო!” ხმამაღლა ქვითინებდა მამა. “ჩემო ვაჟებო, ჩემი თვალის ჩინებო!”

დედა შებრნდა და მწარედ ატირდა.

რამოდენიმე ხანმა განვლო, მან ქმრის ხელი აიღო და თქვა, “განა შენ არ მასწავლე რომ არ უნდა გვინდოდეს უხალისოდ აღვადგინოთ ის, რაც სხვამ რწმენით მოგვანდო? ღმერთმა მოგვცა და ღმერთმავე წაიღო; კურთხეულ იყოს უფლის სახელი.”

ეს ამბავი მცირედ დამამშვიდებელი იყო მიხეილისათვის. მაგრამ გაიგო ის, რასაც დედამისი ამბობდა და მხნეობა შეჰმატა. ათი წლისა იყო, თავის ასაკთან შედარებით მაღალი, ბასრი ლოყის ძვლებით, ნათელი, კითხვით სავსე თვალებით. სკოლაში კარგად სწავლობდა გაკვეთილს, თუ როგორია “სოციალისტებისაგან დევნილის” შვილობა. მიხეილი აღმერთებდა მამას და საბინასათვის ადვილი არ იყო აეხსნა, რომ იგი მათ ჩამოაშორეს და დააპატიმრეს ხუცესობის გამო.

უფრო მეტი ხალხი უჩინარდებოდა ყოველ დღე.

ერთხელ რამოდენიმე კარგად ცნობილი პატიმარი გაათავისუფლეს. სახლში სასწრაფოთი დაბრუნდნენ და ოჯახის წევრებს აჩვენეს დალილავებული ადგილები, ნაჭრილობევი და თქვეს იმ წამების შესახებ რაც მათ გაიარეს. როდესაც მათმა ნაამბობმა მაღალ ეშელონამდე მიაღწია, ხელახლა დააპატიმრეს.

საბინას არ უნდოდა ეფიქრა იმ საშინელებაზე, რაც შეიძლება მის ძვირფას ქმარს შემთხვეოდა. ლოცულობდა რომ ქმარი არ დაცემულიყო სულიერად და მეგობრები არ გაეყიდა. დაპირდა რომ სიკვდილს ამჯობინებდა ამის გაკეთებას, ვინ იტყვის რამდენის ატანა შეუძლია კაცს? მოციქული პეტრეც დაჰპირდა ქრისტეს რომ არ გასცემდა, მაგრამ სამჯერ უარყო იგი.

კარზე კაკუნი

საბინა იმედოვნებდა, რომ თუ რიჩარდი მოკვდებოდა, ერთმანეთს შემდეგ ცხოვრებაში შეხვდებოდნენ. შეთანხმდნენ რომ ერთმანეთს ზეცის თორმეტი ჭიშკრიდან ერთ-ერთ, ბენიამინის

ჭიშკართან დაელოდებოდნენ. იესომაც მსგავსი შეხვედრა მოაწყო მოწაფეებთან, დაჰპირდა რომ გალილეაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს მისი სიკვდილის შემდეგ. და შეასრულა კიდეც.

მაგრამ ეხლა მომავალი ცხოვრება არ ადარდებდა საბინას. დილის ხუთ საათზე კარზე კაკუნი გაისმა...

საბინა გვიანობამდე მუშაობდა მოხალისედ ეკლესიაში წინა დღისით, მოგვიანებით კი სახლში სტუმრები ჰყავდა. მიხეილი სოფელში იყო ახლობლებთან, საბინასთან კი ბინაში ერთ-ერთი მეგობარი რჩებოდა ღამით. ორივენი უხეშმა ხმამ გამოაღვიძა, რადგან ღამის სიჩუმეში უბრალო ხმაურიც კი კარგად ისმის: "საბინა ვურმბრანდ! გააღე კარები! ვიცით რომ სახლში ხარ."

საბინა კარებისაკენ წავიდა, ეშინოდა კარები არ შემოემტვრიათ.

"საბინა ვურმბრანდ?" დაინახა მყვირალა სქელ-კისერა კაცი კარის გაღებისას. "ვიცით რომ იარაღს მალავთ. ეხლავე გვაჩვენე!"

ვიდრე ახსნა-განმარტებას დაიწყებდა, ხელი ჰკრეს, ოთახში შეცვივდნენ, კარადებიდან ტანსაცმელი იატაკზე გადმოყარეს. წიგნების კარადა დაბლა დასცეს, საბინას მეგობარი გამოვარდა მათ უკან გასაბრუნებლად.

"ამაზე ნუ სწუხართ," ერთმა კაცმა დაიღრინა. "ჩაიცვით."

ორ ქალს ექვსი კაცის წინაშე უნდა ჩაეცვა, რომელთაც ყველაფერი გადათელეს ბინაში. დრო და დრო ყვიროდნენ, თითქოს ერთმანეთს ამხნევებდნენ უაზრო ძებნის გაგრძელებაში.

"არ გვეტყვით სად იმალება იარაღი? ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევთ აქაურობას!"

საბინამ წყნარად თქვა, "ერთადერთი იარაღი რაც ამ სახლშია, აი, აქ არის." დაბლა დაიხარა და ერთ-ერთი ჯარისკაცის ფეხიდან ბიბლია აიღო.

ხარისკისრიანმა ოფიცერმა დაიღრიალა, "ჩვენთან წამოხვალ სრული ახსნა-განმარტების მოსაცემად!"

საბინამ ბიბლია მაგიდაზე დადო და თქვა, "გთხოვთ ნება მოგვცეთ რამოდენიმე წუთით სალოცავად. შემდეგ კი წამოვალ!"

წასვლისას საბინამ ხელი ჩაავლო მეგობრის მიერ მიცემულ ბოხჩას რამოდენიმე წყვილი წინდითა და საცვლით. ფასი დაედებოდა ასეთ საკუთრებას იმ ადგილას, სადაც ის მიდიოდა.

თავისუფლების დღე

ერთ-ერთმა კარისკაცმა საბინას თვალები აუხვია რომ არაფერი დაენახა და ბინიდან სასწრაფოდ გაიყვანეს. ცოტა ხანს მანქანით იარეს, ავტო სადგომიდან მოპირდაპირე მხარეს გადაათრიეს, თვალებიდან სახვევი მოხსნეს და ცარიელ, მაგრამ სხვა ქალებით სავსე ოთახში შეაგდეს. დროდადრო სახელებს იძახდნენ. პატიმრები სიჩუმით ელოდნენ განაჩენს. რუმინეთის "სოციალისტებისათვის დამპალი ელემენტები, თავისი სახელის გაგონებისას ელოდნენ ბედ-იღბლის გადაწყვეტას.

აგვისტოს 23, თავისუფლების დღე. როგორც კომუნისტები უწოდებდნენ.

შავი პური და წყალ-წყალა სუპი ღამით და მომდევნო ლოდინის დღე. საბოლოოდ საბინას სახელი დაიძახეს. ისევ თვალების ახვევა, კიდევ მანქანით სიარული. ამჯერად საბინა მიიყვანეს, როგორც მოგივანებით გაიგო, საიდუმლო პოლიციის სათაო ოფისში. პატარა საკანში შეაგდეს სხვა ქალებთან ერთად.

კითხვები ლაბირინთის ბოლოს

კითხვებიანი ლაბირინთის დასასრულის შემდეგ რამოდენიმე დღემ განვლო, საბინა საერთო ოთახიდან ცარილ საპატიმროში გადაიყვანეს. პატარა ოთახს თვალი მოავლო და მალევე მიხვდა რაც აკლდა. ვედრო. მოკლე დრო განვლო კარცერში, მაგრამ უკვე იცოდა ვედროს მნიშვნეობის შესახებ. ეხლა ესეც კი არ ჰქონდა.

ხანდახან დერეფანში ჩექმებიანი დაცვის მისკენ მომავალი ხმა ესმოდა და ყოველთვის ფიქრობდა, მის წასაყვანად მოდიოდნენ. ერთხელაც მისი დროც მოვიდა. საკნის კარი გაიღო და დაცვამ დაიყვირა, “უკან შებრუნდით!”

ისევ თვალები აუხვიეს.

“წადით! მარჯვნივ შებრუნდით. ეხლა მარცხნივ. კიდევ მარცხნივ. იარეთ!”

უცბად საბინას შეეშინდა, რადგან მოულოდნელად დაცვამ ხელი ჰკრა რაღაც ლაბირინთისაკენ. ვაი თუ, სწრაფი მოხვევები ცეცხლის ალით დასრულებულიყო და გაფრთხილების გარეშე სიბნელეში მომკვდარიყო. ეცადა შინაგან ემოციაზე გაემარჯვა,

როგორც კი ლაბირინთი დასრულდა სახვევი ჩამოხსნეს თვალებიდან.

მაღალი, ქერათმიანი დაცვის წინ იდგა, თავისი ასაკისა იქნებოდა. "გაცნობირებული გაქვთ თქვენს მიერ მიყენებული წყენა კავშირის წინააღმდეგ, არა, ქალბატონო ვურმბრანდ?!" საბინას ყურადღება გაეფანტა ოფიცრის მსგავსებით, იმ კაცთან, რომელსაც ის ერთხელ პარიზში ხვდებოდა. "ეხლა დეტალურ ახსნა-განმარტებას დაწერთ ამის შესახებ," უბრძანა კაცმა, საწერისა და ფურცლისაკენ ანიშნა.

"რა უნდა დავწერო?" იკითხა საბინამ. "არც კი ვიცი, აქ რატომ მომიყვანეთ."

ბრძანება გაგრძელდა. "დაწერეთ თქვენს მიერ კავშირის მიმართ მიყენებული წყენის შესახებ!"

შეთავაზებული საწერი აიღო და დაწერა, რომ არანაირი წყენინების საქმის კურსში არ იყო. ოფიცერმა წაიკითხა ახსნა-განმარტება და გაბრაზებულმა ისევ უკან გააგზავნა საკანში. როგორც კი კარი დაიხურა, დაცვამ უთხრა, "იქამდე იჯდებით, სანამ მზად არ იქნებით იმის დასაწერად რაც ლეიტენატმა გიბრძანათ. თუ არა და... საკადრის წამალს მიიღებთ!"

როგორი იქნება ეს მკურნალობა? ფიქრობდა საბინა. დაცინვა და ფურთხება? დამცირება? წამება? იმდენი რამ იყო ნათქვამი რაც ქრისტიანმა პატიმრებმა კომუნისტურ ციხეებში გადაიტანეს, სრულად იცოდა მათი უნარიანობის შესახებ. ზოგიერთი ყოფილი პატიმარი მენტალურ წამებაზეც ლაპარაკობდა, რომელიც გამიზნული იყო მათ მოსათვინიერებლად, წარმატებული "გამოძიების" მიზნით. კომუნისტები ჩართავდნენ კასეტას, საიდანაც ადამიანების განგმირავი ყვირილი ისმოდა და პატიმრებს ეუბნებოდნენ, რომ ეს ყვირილი მათი ოჯახის წევრების, თუ შვილების ხმა იყო, მათი წამებისას ჩაწერილი. როგორ შეიძლებოდა რომ ნორმალურ მშობელს ეს ადვილად აეტანა?

ლეიტენატთან შემდეგი შეხვედრა რიჩარდის დაპატიმრების საკითხებს ეხებოდა. "ქალბატონო ვურმბრანდ," თქვა მან, "თქვენს მეუღლეს ბრალად ედება რევოლუციური ქმედებები. შეიძლება დახვრიტონ. მისმა თანამშრომელებმა მის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება."

საბინას გული საგულედან ამოუვარდა. ლეიტენანტი რა თქმა უნდა იტყუებოდა და მის რეაქციას აკვირდებოდა. ცდილობდა ემოცია არ შეტყობოდა, როცა ლეიტენატმა გააგრძელა: "შესაძლოა ისინი თავის გადარჩენას ცდილობენ, ალბათ ისინი არიან ნამდვილი რევოლუციონერები. არ შეგვიძლია განვსაჯოთ მანამდე, ვიდრე თქვენ არ გვეტყვით ყველაფერს, რაც თქვა იმ ხალხმა, რომლებიც მისიაში მუშაობენ. ყველაფერს. ხმამაღლა ილაპარაკეთ, დაასახელეთ ნამდვილი რევოლუციონერები, და თქვენი მეუღლე ხვალვე იქნება გათავისუფლებული."

საბინას გონება მტკივნეული ცდუნების წინაშე იდგა, იგი არ ენდობოდა კომუნისტებს. "არაფერი არ ვიცი," თქვა მან, თან ლეიტენატს თვალებში უყურებდა.

იმ ღამით, დაცვის დარტყმებისაგან დალილავებული ადგილების გამო ძლივს დაწვა ბავშვის პატარა საწოლში, ფეხებ გარეთ გამოყოფილი. საწყალი რიჩარდი, გაიფიქრა მან. ის ისეთი მაღალია, წარმომიდგენია რა მოკლე იქნება საწოლი მისთვის.

როგორ ეპყრობოდნენ ისინი ეხლა მას? ერთ წუთში მზად იყო ეთქვა ყველაფერი მასთან უსაფრხოდ ყოფნის სანაცვლოდ; მეორე წუთში გადაწყვეტდა არ მისცემოდა ცდუნებას. რეალურად ორი ერთმანეთისაგან საწინააღმდეგო სურვილი იბრძოდა მის გულში: სურდა რომ რიჩარდს ეცოცხლა და არ დანებებოდა.

თეთრი თაბაშირის ნაჭერი ჩამოვარდა საკნის კედლიდან. საბინამ აიღო და დიდი ჯვარი გამოსახა თავის შავ თეთრეულზე. შემდეგ სამადლობელი წარმოთქვა.

თითქოს ვინც მოისმინა მისი ლოცვა საპასუხოდ ჩასჩურჩულაო, აზრი მოუვიდა თავში: შვიდი. საბინამ გააცნობიერა რომ მეშვიდე ნომერ საკანში იმყოფებოდა. წმინდა რიცხვი. შექმნის დღეების რაოდენობა.

დიდი გამამხნევებელი საჩუქარი ჩანდა, საბინა საწოლზე დაწვა და აქვითინდა. მისი სხეული სიბნელეში რჩებოდა, მაგრამ სული ციხის ბორკილებს ზემოთ ამაღლდა. საწოლის ზეწარზე დახატულ ჯვარს ხელს უსვამდა და ძილში წასული ჩურჩულებდა, "ქრისტესთან ერთად ვართ ჯვარცმულნი."

"ადექი!" დილით ადრე, წითელ პირის სახიანი დაცვა-მიელუ იდგა კარებში. საბინა ადგა და კედლისაკენ შებრუნდა, როგორც

ყოველთვის. თვალებზე სწრაფად ჩამოაფარეს და კვლავ ბურუსისაკენ გაუყენეს გზას.

მიელუ, საბინაზე ასაკით უფროსი, რომელმაც ზუსტად ერთი საათი მოუწყო დაკითხვა. "ვისთან გეძინა? რას აკეთებდი მათთან? მინდა ვიცოდე ვისთან და რამდენად ხშირად, ყველაფერი."

ფიზიკურად და ემოციურად განადგურებულმა, ერთი და იგივე კითხვებით დაღლილმა, წყნარად უპასუხა, "არ გეტყვით რაც თქვენ გაინტერესებთ. ცუდი სექსუალური წარსული ვერ შეაფერხებს ადამიანს გახდეს დიდი წმინდანი, თუკი ამას ღმერთი მოისურვებს," უთხრა მან მას. "მარიამ მაგდალინელი ერთ დროს მრუში იყო. იგი გახსენებულ იქნება მას შემდეგაც როცა ჩვენ დაგვივიწყებენ."

მიელუმ დაიღმუვლა და საბინა უკან გააგზავნა საკანში.

"უკვე გამომისყიდეს!"

მომდევნო დაკითხვაზე საბინა აიძულეს სხვადასხვა ხალხის სურათები ენახა. მან ერთ-ერთი მათგანი ამოიცნო, რუსი, რომელიც მათ ჩუმად მონათლეს სახლში. "იცნობთ თუ არა რომელიმე მათგანს?" იკითხა მელოტმა გამომძიებელმა. საბინამ იცოდა რაც მოხდებოდა ერთი სახელიც რომ ეხსენებინა. შემდეგ გამომძიებელმა ტკბილად შესთავაზა. "გვითხარი რაც გვინდა და შენ და შენს ქმარს გაგათავისუფლებთ." ცდუნება ძლიერი იყო, ასეთივე იყო სურვილი თავისი ძმისათვის გაეწირა სიცოცხლე. "არც ერთ მათგანს არ ვიცნობ."

მელოტი ეჭვობდა რომ ქალი იტუებოდა და საბოლოოდ შეეკითხა რა სურდა ჯილდოდ, "ყველა ქალს აქვს სურვილი. შენ რა გინდა? თავისუფლება? ხუცესის კარგი თანამდებობა შენი ქმრისათვის? ფული? დაასახელე."

საბინას მობეზრდა გამომძიებლის გამუდმებული ძალაუფლების გამოჩენა და ცარიელი დაპირებები. მისი ერთადერთი ინტერესი უფრო მეტი ადამიანების დაპატიმრება იყო, რაშიც საბინა მონაწილეობას არ მიიღებდა. "მე უკვე გამომისყიდეს!" ახსნა მან. "იესო ეწამა და მოკვდა ჩემთვის. შეგიძლია ამაზე მაღალი ჯილდო შემომთავაზოთ?"

გამომძიებელს სახე გაუწითლდა, საბინამ იფიქრა რომ ეხლა დაარტყამდა. ამის მაგივრად მისი უკან საკანში წაყვანა ბრძანა. საერთო საკანში გადაიყვანეს. თვეები გადიოდა, ცივი ზამთარი იწყებოდა. გამუდმებით წუხდა მიხეილზე. ვინ ზრუნავდა ეხლა მასზე? ქუჩაში ცხოვრობდა? გაცივდა? ავად იყო? შეიძლება კომუნისტებმა წაიყვანეს სამეურვეოდ. ასობით საეჭვო და ამაღელვებელი საკითხი აღწევდა მის გულში ყოველი გაღვიძებისას.

ნოემბერში ციხის უფროსი მოვიდა იმ საკანში, სადაც საბინა იყო. "სიას წავიკითხავთ," ახსნა დირექტორმა. "ვისი სახელებიც იქნება ამოკითხული ათ წუთში უნდა დატოვონ აქაურობა."

სხვა არანაირი იფორმაცია. პატიმრები აირიენ, როგორც კი დირექტორმა დაცვის თანხლებით სახელების გამოძახება დაიწყო, საბინას ჩათვლით.

"რას ფიქრობ?" წასჩურჩულა საბინამ გვერდით მყოფ ქალს, რომელიც თავის ნივთებს აგროვებდა წასასვლელად.

"ვფიქრობ ან გაგვათავისუფლებენ, ან დაგვხვრეტენ," თქვა მან უხალისოდ.

"ღმერთი გწყალობდეს თუ ჯილავაში მოხვდები"

არც გაათავისუფლეს და არც დახვრიტეს, ყოველ შემთხვევაში ჯერ–ჯერობით. საბინა სხვებთან ერთად ჯილავაში წაიყვანეს, რუმინეთში ყველაზე საშიშ ციხეში. საბინას გაახსენდა სხვების ნალაპარაკები ამ არაპოპულარულ ციხეზე. სადაც, როგორც ჩანს, ერთი, საშინელი საკანი იყო, რომლის აღწერაც სიტყვას არ შეეძლო. "ღმერთი დაგეხმაროს თუ ოდესმე ჯილავას ციხის მეოთხე საკანში მოხვდები," დადიოდა გამაფრთხილებელი ხმები.

დაცვა, რომელმაც თავი წარადგინა, როგორც სერჟანტი ასპრა, პატიმრებს ქვემოთ წაუძღვა სიბნელეში, თაღიან გასასვლელებში, რომელიც მიწისქვეშ მიდიოდა.

საბოლოოდ დიდი რკინის კართან აღმოჩნდნენ, რომელიც თავიდან ბოლომდე დაჟანგული იყო. "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საკან ნომერ ოთხში!" გამოაცხადა ასპრამ ამაყად.

შუადღე იქნებოდა როდესაც ადგილზე მივიდნენ, მაგრამ საკანში სრულიად ბნელოდა. ერთი პატარა სინათლის ნათურა

კიაფობდა ჭერში. ორ მწკრივად დაწყობილი ხის ორსართულიანი კოიკები. მაღლა, საკნის ბოლოში იყო გისოსებიანი, შეღებილი ფანჯარა.

ასობით თვალი დაჟინებით მიჩერებოდა ახალმოსულებს. საბინა, რომელსაც სული ეხუთებოდა უჰაერობით, დაუყოვნებლივ გამწესებულ იქნა ზედა საწოლზე, ვედროს ზემოთ.

იმპულსური ღამის შემდეგ, საბინა დილის ხუთ საათზე გამოაღვიძა ბიძგმა. ორმოცდაათი ქალი რიგში ჩადგა, პატარა ვედროს გამოსაყენებლად. მოგვიანებით საბინამ გაიგო, რომ ორასი ქალი იყო ოთხ საკანში, მაშინ როცა სამი ათასი კაცი ციხის დანარჩენ შენობაში.

ჯილავას ციხე კი გათვალისწინებული იყო მხოლოდ ექვსასი პატიმრისათვის.

დილის თერთმეტ საათზე ქალები რიგში ჩადგნენ სუპისა და ერთი ნაჭერი პურის ასაღებად, საბინა გააოცა მათმა სიჩუმემ, როგორც კი სუპის ჯამებიდან ჭამას შეუდგნენ, ეს ჩუმი ოთახი ველურმა ყიჟინამ აავსო. ქალები ხმამაღლა წყევლას შეუდგნენ, როგორც კი ერთმანეთის საჭმლის ხელიდან წართმევა დაიწყეს. მალე დაცვა ოთახში შემოვიდა, ჯერ ქალებს სცემდა ჯოხით, შემდეგ კი ჯამები მანამდე მიყარ-მოყარა აქეთ–იქით, სანამ იატაკი სუპითა და ჯამებით არ დაიფარა. გაბრაზებულმა ასპრამ თქვა რომ ხვალ სუპი აღარ იქნებოდა. კიდევ ერთხელ მიყუჩდა ოთახი, რადგან ქალები უსუპო ხვალინდელ დღეს ჭვრეტდნენ. ნელ-ნელა ბუტბუტნარევი დიალოგები დაიწყო. ერთერთმა პატიმარმა ჰკითხა საბინას, რატომ იყო ციხეში, "საშიშად არ გამოიყურები," თქვა მან, უნდოდა ყველა ქალის ყურადღება მიეპყრო ახალი პატიმრის შესაფასებლად.

საბინამ გაიღიმა. "მე ხუცესის მეუღლე ვარ," თქვა მან.

ამის გაგონებითანავე რამდენიმე პატიმარმა მისი მისამართით შეიფურთხა და შებრუნდა. დანარჩენები დაინტრიგდნენ "მაშინ ბიბლიური მოთხრობები უნდა იცოდე," თქვა პატიმარმა სახელად ელენამ, და საბინასთან ახლოს იატაკზე დაჯდა.

"დიახ, ვიცი," უპასუხა საბინამ, კვლავ ღიმილით. "გინდა რომ ერთ-ერთი მოისმინო?"

რამოდენიმე საათის განმავლობაში საბინას აუდიტორია მონუსხული უსმენდა. ის კი ერთიდან მეორე ამბავზე გადადიოდა.

მის ეკლესიაში ყველა აღიარებდა: რომ არავის ისე არ შეეძლო ამბების თხრობა, როგორც საბინას. ისმენდნენ რა ამ საინტერესო ამბებს, ქალებს დაავიწყდათ რომ მომდევნო ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში სუპი არ ექნებოდათ.

საბინა გაამხნევა თანასაკნელების ბიბლიური მოთხრობებისადმი ინტერესმა, მაგრამ მალე დაინახა რომ ჯილავას ციხის შესახებ გავრცელებული ხმები სიმართლეს შეეფერებოდა. დარაჯი ქალები ბრმად ემორჩილებოდნენ ბრძანებებს. თუ უბრძანებდნენ პატიმრების ცემას, უმოწყალოდ სცემდნენ ჯოხებით. ნელა, მწარედ, არც სინდისი ქეჯნიდათ, არც სიბრალული აწუხებდათ. პატიმრები შესაძლოა ფარდაგებიც კი ყოფილიყვნენ.

მიეცი მცირე იმედი და მალევე წაართვი

“მოდით და აიღეთ! სტაფილოს სუპი, ჩემო ქალბატონებო!”

დაცვის სარკაზმული მოწვევა და ქვაბიდან ამომავალი ოხშივარი იტყობინებოდა რომ საჭმელი მოვიდა. მაგრამ მოხუცი ქალბატონები არც კი განძრეულან. ძალიან სუსტები იყვნენ რიგში დგომისათვის. საბინამ არ იცოდა რომ არამომაკვდინებელი შიმშილობის დიეტა, შრომა გასწორების კოლოონის რეჟიმის ნაწილი გახლდათ. რასაც სასურველი შედეგი ჰქონდა, სუსტ ქალებს გავლენის ქვეშ აქცევდა.

“ეს რა თქმა უნდა მონური შრომაა,” უთხრა ახალგაზრდა მასწავლებელმა. “დღის ბოლოს შვიდას ორმოცდაათ გრამ პურსა და მაკარონს გაძლევენ!”

ციხეში ხმა გავრცელდა ახალი შრომა გასწორების კოლოონიის შესახებ, დანუბეს არხზე, რომლის ღირებულებაც მილიარდებს შეადგენდა, მიუხედავად იმისა რომ უმეტესი სამუშაოები პატიმრების მიერ სრულდებოდა. არხი უნდა გავლებულიყო სამოცდახუთი კილომეტრის სიგრძეზე, სამხრეთ რუმინეთის ცარიელი მინდვრებიდან, რათა დანუბეს წყალი შავ ზღვას შეერთებოდა.

“არხთან შეგიძლიათ მიიღო ნებისმიერი რამ სახლიდან!” უთხრა ერთ-ერთმა ციხის თანამშრომელმა პატიმრებს.

“შოკოლადიც კი?”

საბინა გაოცდა. თავისუფლების იმედ დაკარგულებისათვის შოკოლადი გახდა მთავარი ოცნება.

ხმები იმასაც ამბობდნენ რომ თბილი ტანსაცმელიც ნება დართული იყო არხთან, სამედიცინო მომსახურებასთან ერთად. ამ დაპირებას არ მიუპყრია მისი ყურადღება. შოკოლადსა და ტანსაცმელზე მეტად იმასაც ამბობდნენ, რომ არხის პატიმრებს დღისით ოჯახის წევრების სტუმრობის ნებას რთავდნენ!

საბინა მიხეილის ნახვის იმედს ჩამოეკიდა და ოცნებებში წავიდა.

"ყველას არ ექნება უფლება არხზე სამუშაოდ წასვლის," გააფრთხილა ხალხი ვიორიკამ, ციხის უფროსმა. 'როგორც პოლიტიკურმა ოფიცრებმა მითხრეს, "სოციალისტურ საზოგადოებაში, სამუშაო არის პრივილეგია და არა ჯილდო ბანდიტებისათვის,'"

ეს ბუნებრივი მოვლენა იყო ციხის ცხოვრებაში: მცირეოდენი იმედის მიცემა და მალევე წართმევა, მოგვიანებით სხვა იმედის მიცემა. მიხეილის თორმეტი წლის დაბადების დღეზე, 1951 წლის 6 იანვარს, საბინამ ახალი დღის წესრიგის შესახებ შეიტყო.

"ახალ რამეს შემოგთავაზებთ," გამოაცხადა კაპიტანმა ზაქარია იონმა ერთ დღეს. "არხზე სამუშაოდ წასვლის ნაცვლად, შეგიძლიათ აქ დარჩეთ, როგორც დაკავებულები მსგავს კომფორტში. ყველა ის პრივილეგია მოგეცემათ რაც არხზე მომუშავეებს, მაგრამ იქ მუშაობა აღარ დაგჭირდებათ. მართლაც რომ სასიკეთო შემოთავაზებაა."

საბინამ იცოდა რომ ციხეში არ არსებობდა პრივილეგია საზღაურის გარეშე; მოთმინებით ელოდა როდის დააკაკუნებდა უფროსი ჩაქუჩს. "ერთადერთი რაც უნდა გააკეთოთ, არის დრო და დრო მაცნობოთ სხვა პატიმრების შესახებ, რა თქმა უნდა. ძალიან მარტივია და არავის არ ეცოდინება თქვენი გარიგების შესახებ."

საბინა ერთი წუთითაც კი არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა თავაზიანად, "მადლობა". "ბიბლიაში ორი გამცემის შესახებ არის მოთხრობილი, ერთი, რომელმაც მეფე დავითი გასცა და მეორე, იესოს გამცემი. ორივემ თავი ჩამოიხრჩო. არ მინდა ასეთი დასასრული. ასე რომ ვერ გავხდები ინფორმატორი."

ტონი შეიცვალა, მომხიბლაობიდან მუქარაზე გადავიდა. “თავისუფლებას ვეღარასოდეს იხილავთ!” დაიღრიალა მან.

საბინა დარდობდა, ნეტავ თუ დაკარგა არხზე წასვლის შესაძლებლობა. იცოდა რომ მისი სახელი წამსვლელთა სიაში იყო, იცოდა რომ ყოველ დღე შეიძელბა წასულიყვნენ. აშინებდა ნაძალადევი შრომა, მაგრამ ყველაფერს გააკეთებდა ოღონდაც მიხეილი კვლავ ენახა–გამცემი ვერ გახდებოდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ. საბინა დანუბეს შრომა გასწორების კოლონიაში გადაიყვანეს. მალე ის და სხვა პატიმრები მიხვდნენ რომ გაასულელეს.

არხი

ახალ ბანაკში საბინა პირველივე დილით ვირთხების ნაკელის ცხარე სუნმა გამოაღვიძა. მეზობლების დიალოგს მოჰკრა ყური, “ღამ-ღამობით ცოტა პური უნდა დაუტოვო. კბენისაგან დაგიცავს.”

ყოველ დღე მიდიოდა სხვა პატიმრებთან ერთად სამუშაოდ–ქალებთან და კაცებთან. ისინი გადასასხდომ შენობას აშენებდნენ, საბინას სამუშაო დიდი ლოდების გადაადგილება იყო, ორასი მეტრის მოშორებით, იქ დალაგება და უკან წასვლა ახლების მოსატანად. ფიქრობდა რომ წელში გაწყვეტდა ამ სიმძიმე ტვირთი. უჭირდა წელში გასწორება.

ყოველ მუშათა ჯგუფს ჰყავდა ბრიგადის უფროსი, რომელთა დამხმარეებიც ამოწმებდნენ პატიმრების მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობას. ნორმა იყო რვა კუბი ადგილის დაფარვა დღეში. თუ პატიმრები ნორმას შეასრულებდნენ, მომდევნო დღეს მოთხოვნას გაზრდიდნენ. თუ ვერ შეძლებდნენ ვალდებულების შესრულებას, დასჯიდნენ.

საბინა ვერასოდეს წარმოიდგენდა იმ სიძნელეს, რომელსაც პატიმრები იტანდნენ. როდესაც დაპირებული პრივილეგია მოთხოვა დასცინეს.

უფრო მეტი ქალი მოდიოდა არხზე სამუშაოდ.

ყოველ მათგანს სწყუროდა თავის ოჯახთან ყოფნა, როგორც საბინას, განსაკუთრებით თავის ბავშვებთან. გაიაზრეს რა ამ არხის მნიშვნელობის სიდიადე, ქალების უმეტესობამ იმედი დაკარგა. საბინას ჯერ კიდევ უკიაფებდა ნაპერწკალი, რომელიც

ნებისმიერი არხის მშენებლობაზე და ციხის სისტემაზე დიდი იყო. მალე სხვა პატიმრებმა ეს შენიშნეს. მათაც სურდათ იგივე იმედი ჰქონოდათ რაც საბინას.

"გთხოვთ, გვიამბე სხვა ბიბლიური მოთხრბები," სთხოვდნენ მას მძიმე და გრძელ დღიანი სამუშაოს შემდეგ.

საბინას კარგად ესმოდა საშიშროება; იცოდა რაც მოხდებოდა რომ მოეტანებინათ. ცდილობდა ყოველი შესაძლებლობა გამოეყენებინა და სახარება გაეზიარებინა თანასაკნელებისათვის. მეტი და მეტი პატიმრები მოდიოდნენ მასთან, ცოდვებს აღიარებდნენ და ეკითხებოდნენ, თუ შეიძლებოდა რომ მიტევებოდათ.

საბინა არწმუნრებდა მათ რომ ეს შესაძლებელი იყო, ხანდახან რიჩარდის ნათქვამს ეუბნებოდა: "ჯოჯოხეთი არის სიბნელეში მარტო ჯდომა და გახსოვდეს რა სიბოროტე ჩაიდინე." დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ ამ ქალებმა გამოსცადეს ეს ამ ადგილზე.

მაშინ როცა საბინამ უარი განაცხადა ინფორმატორობაზე, დანარჩენებსაც იგივე არ გაუკეთებიათ. ხანდახან პატიმრებმა იცოდნენ ვინც იყო ინფორმატორი, მაგრამ დარწმუნებით არაფრის თქმა არ შეეძლოთ. გამუდმებული დილემა იყო. ერთ პატიმარს შესაძლოა საბინასათვის ეთქვა, რომ მეტი უნდოდა ცოდნოდა ქრისტეს შესახებ, როგორც მახე, რათა რწმენა გაეზიარებინა, ეს იყო აკრძალული ქმედება რომელსაც საშინელი შედეგი მოჰყვებოდა. ან შესაძლოა ქალს მართლაც უნდოდა ამის მოსმენა. არ არსებობდა გზა, რომლითაც საბინა მართლა შეძლებდა ტყუილ-მართლის გამოცნობას. გადაწყვიტა რომ ელაპარაკა.

ინფორმატორის დასმენის შედეგად საბინა რამდენჯერმე "კარცერში" ჩააგდეს. ეს იყო ვიწრო კარადა, რომელიც მხოლოდ ერთი ფეხზე მდგომი ადამიანისათვის იყო საკმარისი. კარცერში სამუშაოს დასრულებისთანავე აგზავნიდნენ, მთელი ღამე იქ ტოვებდნენ, დილით ზუსტად იმ დროს უშვებდნენ რომ სამუშაოზე წასვლა მოესწრო. კარცერი საბინასათვის ჩვეულებრივ ადგილად იქცა არხზე მუშაობის განმავლობაში.

იმედის ნაპერწკალი

იგი ყოველთვის ეკითხებოდა ახალმოსულ პატიმრებს რიჩარდის შესახებ. არავინ ჩანდა, გარდა ერთი ადამიანის რომელმაც უთხრა

მქადაგებლის შესახებ, რომელსაც ბუქარესტში შეხვდა. სინამდვილეში თვითონ არ შეხვედრია მას, მხოლოდ გაიგონა მისი საუბრის შესახებ, რომ მისი საკანი ტვალეტთან ახლოს იყო და სანამ პატიმრები რიგში იდგნენ "ციხის მქადაგებელი" ამხნევებდა ხალხს რომ მიეღოთ ქრისტეს სიყვარული. ყველა ეკითხებოდა თუ ვინ იყო ის. პატიმარი დარწმუნებული იყო, რომ ის კაცი რიჩარდი იქნებოდა.

საბინას სახე სიხარულით აენთო. მისი რიჩარდი ცოცხალი იყო! ციხის მქადაგებელი ის უნდა ყოფილიყო. იმედი გაუქარწყლდა როგორც კი მისმა სტუმარმა ამბავი დაასრულა. "ერთ დღეს გავიგეთ რომ მქადაგებელი ძალიან ავად იყო. რის შემდეგაც ძალიან იშვიათად თუ გვესმოდა მისი ხმა, ბოლოს კი საერთოდ გაუჩინარდა. ხმა გავრცელდა რომ გარდაიცვალა. ძალიან ვწუხვარ."

ცრემლები ღვარად მოედინებოდა საბინას სახეზე და ხმას აღარ იღებდა. ღმერთთან მიიტანა განსაცდელი. სთხოვდა წლები შეემატებინა მისი ერთგული მსახურის, რიჩარდისათვის, თუ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მიხეილისათვისაც ლოცულობდა, ეშინოდა, რომ ისიც არ დაეპატიმრებინათ და არხზე სამუშაოდ არ გაეგზავნათ. ერთ დღეს კინაღამ გული გაუჩერდა, როდესაც მიხეილის ასაკის ბავშვი დაინახა არხზე მუშაობისას. შვებით ამოისუნთქა მისი შვილი რომ არ იყო, მაინც ლოცულობდა მისთვის და მამამისისთვის–სადაც არ უნდა ყოფილიყო.

იმედის ნაპერწკალი მოვიდა როგორც იქნა. უთხრეს რომ სტუმრების დღე იქნებოდა კვირას. საბინა ყურებს არ უჯერებდა. ოჰ, რა დიდებულია–კვლავ ნახო მიხეილი! კვირა დღე დადგა და ერთმა პატიმარმა საბინას კაბა ათხოვა; მისი კაბა ლოდების თრევისაგან ისე დაიხა რომ აღარ ჩაიცმეოდა. მოლოდინით სავსე წუთებს ითვლიდა, ვიდრე თავის შვილს გულში ჩაიხუტებდა. დაცვამ პატიმრები გააფრთხილა რომ სტუმრებიდან მოშორებით, ოთახის გადაღმა უნდა მდგარიყვნენ და მხოლოდ თხუთმეტი წუთი ელაპარაკათ.

საბინამ დაინახა მიხეილი. დედის გული ეალერსებოდა და ცრემლით სავე თვალები სიყვარულს უგზავნიდა ოთახის მეორე მხარეს მდგარ შვილს. რა გამხდარი იყო, როგორი სერიოზული! დედა-შვილმა მხოლოდ ემოციის გამოხატვაში გაატარეს ეს

დრო. არცერთს არ შეეძლო ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა შეუძლებელი იყო რაიმე ინტიმურის თქმა. როდესაც დრო ამოიწურა, საბინას დაუძახეს და დედა-შვილი ერთმანეთს დააშორეს:

"მიხეილ! ოჰ, მიხეილ ერწმუნე იესოს მთელი შენი გულით!"

ეს იყო ის საუკეთესო რჩევა რაც მას შეეძლო შვილისათვის მიეცა.

ციხის უფროსის მუჯლუგუნმა საბინას სიტყვა გააწყვეტინა. დაცვამ ოთახიდან გაიყვანა.

თანასაკნელები შეიკრიბნენ მისი ბარაკის-ქოხის ირგვლივ და ეკითხებოდნენ რა თქვა მიხეილმა, როგორ გამოიყურებოდა. იგი მხოლოდ თავს იქნევდა. რამოდენიმე საათი სიტყვის ამოღება არ შეეძლო: გული სითბოთი ევსებოდა, თავისი შვილის წარმოსახვისთანავე.

სამწუხაროდ მრავალი პატიმარი ელოდა ოჯახის წევრის სტუმრობას, მაგრამ ამაოდ. საბინას მხოლოდ მათთვის ლოცვა შეეძლო იმ ღამით, რადგან თივის ლეიბში თავი ჩარგეს და ქვითინებდნენ.

ზამთარი მოვიდა, საბინა და დანარჩენი პატიმრები უფრო საბრალოდ გამოიყურებოდნენ. აგრძელებდნენ დანუბეს მოყინულ მიწაზე მუშაობას და ლოდების ზიდვას. სამწუხაროდ ზამთრის სიცივეში პირობები გამკაცრდა, შეუძლებელი შეიქმნა ლოდების დაბლა დაგდება, ყინულის მსხვრევისა და მისგან ამოშხეფილი წყლისაგან თავის დაღწევის გამო. ყოველ სამუშაო დღეს, რამოდენიმე წუთში საბინა სულ მთლად სველდებოდა. შემდეგ გაყინული ჰაერი კაბას ტანზე ახმობდა და გახევებული ყინულისაგან შეფუთული საომარი ფორმის ფენა ხდებოდა. თითები ემსხვრეოდა და უსივდებოდა მუშაობისაგან, შეგრძნება დაკარგვოდა სიცივისაგან, მანამდე ვიდრე მძიმე ლოდის დაცემისაგან მიყენებული ტკივილი არ გამოაღვიძებდა.

საღამოთი, როდესაც ქოხში ბრუნდებოდა, სველი ტანსაცმლით წვებოდა ლოგინში. არსად იყო მათი გასაშრობი ადგილი, და სულ ერთია დარწმუნებული არ იყავი, სადმე რომც გაგეფინა რომ არ მოიპარავდნენ. სველ კაბას თავქვეშ ამოიდებდა, ასე დაიძინებდა და დილით ნესტიანს ჩაიცვამდა. ბედი თუ

გაუღიმებდა შესაძლოა გზაზე ცოტა გამშრალიყო და კვლავ სველდებოდა. საბინა უკვე ისე გახდა როგორც ლიანდაგი, ცივი ჰაერი ატანდა სხეულში.

“მუშაობისათვის შესაფერისი!”

საბინას შემდეგი მოვალეობა იყო ურიკის ქვებით დატვირთვა. სხვა ქალები კი მას დანუბეს ბირჟებამდე გადაზიდავდნენ. ამ საქმის გამო, მისი თითის სახსრები მუდამ დაბეჟილი და დასისხლიანებული იყო. ირონიული სისასტიკეა მაგრამ, აბსოლიტური დაქანცულობა იცავდა მის სხეულს სხვა ტკივილების შეგრძნებისაგან.

ერთ დილას, ქოხის ჭერის ხვიარებიდან ჩამომავალმა წყლის ხმამ გააღვიძა. გაზაფხული მოვიდა. ამასთან ერთად ახალი გამოწვევაც: რკინასავით გაყინული მიწა ატალახდა. დაცვა, რომელიც ქალებს ბანაკიდან სამუშაომდე და პირიქით მიაცილებდა, იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი, და ზოგიერთი ქალები უხეშ ხუმრობებს ამბობდნენ მათზე.

ანიე, პატარა, ჭირვეული, მრუში გოგონა და მისი მეგობარი ზინაიდა, ამ თემას როგორც წესი ყოველთვის ამრავალფეროვნებდნენ.

“იმ პეტრეს ხელები გორილასავეთა აქვს,” თქვა ერთხელ ზინაიდამ, ისე ხმადაბლა რომ კაცს არ გაეგო. “შეხედეთ მის თმებს ხელებს უკან! დარწმუნებული ვარ რომ თმებით არის დაფარული თავიდან ბოლომდე, რომ არავინ დაინახოს.”

“ოჰ, აქ არიან ქალები, რომლებსაც დაუნახავთ!” ჩაიხითხითა ანიემ, ოქროს კბილების გამოჩენით. ზოგიერთი ქალებიც აჰყვნენ სიცილში.

“უჰ!” დაიღმუვლა ზინაიდამ, თითქოსდა ამოწმებდა საშინელებას. “რას ხედავენ ჩვენში მიმზიდველს ისიც მიკვირს. შეგიძლია წარმოიდგინო ჩვენზე მეტად არასასურველი უსექსო არსებები?”

ანიეს წაბილწულმა შეპასუხებამ ზინაიდას კომენტარზე სიცილი გამოიწვია მათ მეგობრებში. უფრო მეტი ბინძური სიტყვები ისმოდა წინ და უკან. საბინა ეცადა ყურადღება არ მიექცია და გეზი პირდაპირ გზაზე აიღო.

“ჩვენს პატარა წმინდანს არ მოსწონს ჩვენი საუბარი,” თქვა ანიემ. “ფიქრობს რომ საშინელები ვართ!”

საბინას ხმა არ გაუღია, რამაც უფრო გააღიზიანა ისინი. ამჯერად ანიეს ბოროტმა ჭორაობამ, იმაზე მეტი საშინელება მოუტანა საბინას ვიდრე წარმოიდგენდა.

დღის ბოლოს დასისხლიანებულ-დასივებული ქალები მწკრივად მიემართებოდნენ ძნელად სავალ დანუბეს გრძელ გზაზე. პეტრემ, ერთ-ერთმა დაცვამ, თანამშრომელს წაუჯიკა, პრტყელ-ცხვირა, მუნჯი შესახედაობის ახალგაზრდას, შემდეგ გამვლელ საბინას ფეხი დაუდო. საბინა მოსხლტა და ტალახში ჩავარდა.

დაცვის სხვა თანამშრომლებმა სიცილი ატეხეს.

პეტრე საბინას სწვდა და ამოათრია. თავიდან ფეხებამდე ამოსვრილი იყო ტალახში.

“რა გინდა ეხლა, ჩემო ქალბატონო,” დაიღრინა მან, “დაბანვა.”

“დანუბეში გადაისროლეთ!” დაიყვირა ქალების ხმამ.

საბინა ებრძოდა მის სხეულზე დაჭიდებულ კაცს, მაგრამ სხვა დაცვა წამოვიდა მის საშველად. პეტრე მაჯაში ჩააფრინდა, მეორე კაცმა კი ფეხები დაუჭირა. ერთხელ დაიქნიეს და ჰაერში გაისროლეს. მაგრად დაეცა ქვა-ღორღიან ტალახში, სუნთქვა შეეკრა. გაბრუვდა, მაინც გრძნობაზე იყო, რადგან გაყინული წყალი ეღვრებოდა მის პატარა სხეულს. სანაპიროდან ყვიროდნენ, არ ესმოდა რას ამბობდნენ. ყოველ წამოწევაზე სწრაფად მომავალი წყალი ისევ დაბლა სცემდა. არაფერი არ გამოდიოდა. არ შეეძლო საკუთარი თავის დახსნა.

მოულოდნელად ძლიერი ხელების ჩაჭიდება იგრძნო იღლიებს ქვეშ, რომელმაც ნაპირზე ამოათრია. ვიღაცამ აიძულა წამომჯდარიყო და ზურგზე ურტყამდა. სიცარიელეს გრძნობდა, ისე ქოშინებდა თითქოს გვერდებში ბასრი ტკივილი უვლიდა. თავბრუ ეხვეოდა და გუგუნის ხმა ედგა ყურებში. ეს ის სიცოცხლის წყალი იყო სამოთხისაკენ რომ მიედინება? უკვირდა მას. შემდეგ თვალები გაახილა და დაინახა ტალახი, დაცვა და გამხდარი, მწყობრად დალაგებული ქალები სანაპიროზე, მიხვდა რომ ჯერ სამოთხეში არ იყო.

“კარგად არის. ადექი!” თქვა ქალმა ხმამაღლა, მკაცრი გამომეტყველებით დასცქეროდა საბინას. შემდეგ უფრო რბილად თქვა, “ამოძრავდი თორემ გაიყინები.”

უხეშმა ხელებმა დააყენეს ხუცესის მეუღლე ფეხზე. საბინა კანკალებდა, უფრო მეტად შოკმა შეიპყრო ვიდრე სიცივემ. გული ხელით ეჭირა, რადგან ტკივილი ყოველ წუთში ძლიერდებოდა ფერდში.

ბოლოს, როცა ქოხში მივიდნენ, საბინამ ჭრილობები შეამოწმა. მაგრად იყო დალურჯებული, ხელ-ფეხზე კანი ძალიან დასეროდა. ხელის აწევაც კი ისეთ ტკივილს იწვევდა რომ სუნთქვა ეკვროდა. როგორღაც საწოლზე აფოფხება მოახერხა და ეცადა დაეძინა, ყოველ რამოდენიმე წუთში ბრუნდებოდა რათა კომფორტული მდგომარეობა ეპოვა. მაგრამ უშედეგოდ.

შემდეგ დილით "ბანაკის" ექიმი ნახა, ბოროტი ქალი სახელად კრეტცეაუნუ. დიდი ალისფერ-მოყვითალო დაბეჟილობა გავრცელებულიყო საბინას ცალ ფერდზე, აფრიკის რუკის მსგავსი ფორმით. ამჯერად მისთვის სრულიად შეუძლებელი შეიქმნა ხელების წელს ზემოთ აწევა.

"მუშაობისათვის შესაფერისი!" განაცხადა კრეტცეაუნუმ.

საბინა ეცადა შებრძოლებოდა. გაიფიქრა, კამათი უფრო მეტად გამოიწვევდა დასჯას, სავარაუდოდ კარცერს. ქალისაკენ წავიდა, რომელიც სამუშაოზე წასაყვანად ელოდებოდა, მაგრამ გაშეშდა რადგან ხაზი წინ გადაადგილდა.

"რა დაგემართა?" დაიყეფა ზედამხედველმა და გაშეშებულ ფორმას შეხედა.

საბინამ თქვა, "დღეს მუშაობა არ შემიძლია. დიდი ტკივილი მაქვს. ვფიქრობ რომ თირკმელები დამემტვრა."

ზედამხედველს შესაძლოა მხედველობაში მიეღო მისი განცხადება, მაგრამ პეტრეს მუქარამ სასწრაფოდ დაუსვა წერტილი ასეთი სახის ქმედებას. მაჯაში ჩაავლო ხელი და მწკრივიდან გამოათრია, რამაც მისი გულისგანმგმირავი ყვირილი გამოიწვია. "მაგის პრობლემა ის არის რომ გუშინდელი ნორმა არ შეუსრულებია. ეხლავე მორჩით!" საბინა ირგვლივ დაიქნია და ზურგში წიხლი ჩააზილა. იმდენად ჩაწიხლული არ იყო რამდენადაც ქალების რიგში წინ გადაადგილებული.

საბინა სამუშაოდ წავიდა იმ დღეს და ყოველ მომდევნო დღეს, როგორც ექიმმა მოგვიანებით დაადსტურა ორი ნეკნი ჰქონია ჩამტვრეული.

დიანა და ფლორა

როგორც იქნა ზაფხულიც მოვიდა დეპრესია ნარევ განცდასთან ერთად, საბინას იმედი მიეცა. ორი ახალი გოგონა მოვიდა ბანაკში და მის ქოხში გაამწესეს. ქუჩის ქალებად იყვნენ ცნობილნი, მაგრამ ცოტას თუ ლაპარაკობდნენ მათზე. ოთახის კუთხეში აირჩიეს საწოლები.

მოგვიანებით გაიგო რომ დიანა და ფლორა დები ყოფილან. შავი და ძლიერი კომპლექსი, კარგი მანერები და წყნარი ხმა ჰქონდა ორივე გოგონას. პროსტიტუტები არიან, ამბობდნენ ისინი ვინც მათ იცნობდა. როგორც ყველა დანარჩენები, ესენიც მოხვეტეს, რათა "ადმინისტრაციული" სასჯელი მოეხადათ არხზე.

მწუხარებისა და მისტერიის აურა ერტყათ დებს. ბევრი არავინ იცოდა მათი წარსულის შესახებ, დები მონურად მუშაობდნენ და ეძინათ, და შესაძლოა კვლავ იდუმალებით მოცული ყოფილიყო ყველაფერი, ერთ დღეს რომ დიანას არ გაეგონა საბინას სახელი, როდესაც დაცვა ეძახდა მას.

სასწრაფოდ დიანა საბინასთან გაიქცა. "იცნობთ რიჩარდ ვურმბრანდს?" იკითხა მან.

"მისი მეუღლე ვარ," უპასუხა საბინამ.

"ოჰ!" თქვა მან. "რას ფიქრობ ჩემზე?"

"რას გულისხმობ?" იკითხა საბინამ.

"მამაჩემი საერო მქადაგებელი იყო," თქვა დიანამ ხმის კანკალით. "რიჩარდის წიგნებიდან გვიკითხავდა ხოლმე; იგი მას თავის 'სულიერ საზრდოს' უწოდებდა. მამაჩემი რწმენის გამო დააპატიმრეს, ცოლი და ექვსი შვილი დატოვა სახლში. ფლორა და მე უფროსები ვართ. ორივემ დავკარგეთ ქარხანაში სამუშაო, როდესაც მამა ციხეში ჩასვეს. ოჯახი შიმშილობდა."

საბინამ სითბოს ნიშნად ხელზე ხელი დაადო გოგონას, რომელმაც გულისგამგმირავი ამბის თხრობა გააგრძელა. "ერთ დღეს ახალგაზრდა კაცმა მთხოვა შეხვედრა. ჯერ კინოში წავედით, შემდეგ კი სადილად. მითხრა რომ მას შეეძლო მუშაობის უფლების აღდგენა. და შემდეგ ..."დიანამ თავი ჩაკიდა და ხელებით ცრემლების წმენდა დაიწყო. "ღვინო დავლიეთ, ძალიან ბევრი ღვინო, და მერე, მან... მან შემაცდინა."

მალე იგივე განმეორდა, თქვა მან, მაგრამ ამჯერად აღარაფერი თქმულა სამუშაოს შესახებ. მოგვიანებით კაცმა მას ფული მისცა. იცოდა რა, თუ როგორ სჭირდებოდა დედამისს ეს ფული, დიანამ თანხა აიღო. ერთი კვირის შემდეგ, ამ კაცმა თავისი მეგობარი გააცნო და ორივენი მარტო დატოვა. როდესაც ახალგაცნობილმა კოცნა დაუწყო, გოგონა გამძვინვარდა. მან უთხრა რომ მისი მეგობრის რჩევით მოქმედებდა რადგან, როგორც უთხრეს გოგონას ფული ძალიან სჭირდებოდა. დიანა უხალისოდ დანებდა.

მალე დიანას მყარი "კლიენტების" ნაკადი გაუჩნდა, სირცხვილი უარყო და მიეჩვია ახალ ცხოვრებას, ქარხანაში მძიმე მუშაობას ერჩია კიდეც.

საშინელი იყო დიანას ისტორია, მაგრამ საბინა მაინც გრძნობდა რომ გოგონა რაღაცას იტოვებდა უთქმელს. უცბად დიანა გაჩერდა და საბინას სახეს დააშტერდა. "ვიფიქრე, ზიზღს გამოიწვევდა თქვენში," თქვა მან. "განა ეს არ გაბრაზებთ, რომ ქრისტიანული ოჯახიდან ვარ და... პროსტიტუტი გავხდი?"

საბინამ თავაზიანდა თქვა, "შენ პროსტიტუტი არა ხარ; შენ პატიმარი ხარ. არავინ არის პროსტიტუტი ან წმინდანი მუდმივად, მზარეული ან ხუროც კი. რასაც შენ აკეთებ მხოლოდ ატრიბუტია, რომელიც შენი არსების ნაწილს წარმოადგენს და ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. მე მჯერა რომ შენ უკვე შეიცვალე ამ ამბის მოყოლით."

დიანას უნდოდა ერწმუნა საბინას სიტვები, მაგრამ აშკარად კომფორტულად ვერ გრძნობდა თავს. თავის ვიწრო საწოლზე დაჯდა და მუხლებს შორის ხელები მოკუმშა. სახე დაჭიმული ჰქონდა მწუხარებისა და დანაშაულისაგან.

"მარტო მე რომ ვყოფილიყავი," ამოთქვა ბოლოს, "ასე ცუდად არ იქნებოდა საქმე. მაგრამ ჩემი დაც შემოვიერთე. ჩემმა მეგობარმა კაცმა მირჩია. მან თქვა რომ სამრთლიანი არ იყო ოჯახის პასუხისმგებლობა მხოლოდ მე მეკისრა. ჩემი და გავაცანი და ნება დავრთე რომ სასეირნოდ წაეყვანა."

მალე აუღო ფლორამ ალღო ასეთი ცხოვრების წესს. დებისათვის რთული აღმოჩნდა დაემალათ თხუთმეტი წლის ძმისათვის საიდუმლო, რომელიც ორივეს აღმერთებდა. როგორც მამამისი, იგი ძალიან რელიგიური კაცი იყო, ბასრი, მგრძნობიარე

ტემპერამენტით, მაგრამ არაფერი იცოდა ქვეყნიერების. "პეპელაც კი არ უნდოდა რომ დატანჯულიყო," თქვა დიანამ თავის ქნევით.

"ვიცოდით ეს რომ გაეგო წუხილი და სიბრაზე გახდებოდა მისი განუყოფელი განცდა. ვეცადეთ რომ მისთვის დაგვემალა."

დები აგრძელებდნენ გვიან ღამით ცხოვრების გზას. მოულოდნელად ფულის გაჩენა აეჭვებდათ მეზობლებს. მალე ერთერთმა დაადგინა რაც ხდებოდა და ძმას უთხრა.

"შოკმა გააგიჟა იგი," თქვა დიანამ მწუხარებით. "ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა."

მალე მამამისი გაათავისუფლეს. როდესაც დაინახა სადამდე შეეტოპათ თავის შვილებს, თქვა, "ღმერთს მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვ, უკან გამაგზავნოს ციხეში რათა არ დავინახო რა ხდება ჩემს ოჯახში."

ცრემლები ღვარად მოედინებოდა დიანას სახეზე.

"მას თავისი გზა ჰქონდა არჩეული," თქვა მან. "ბავშვებს სახარებისეულ გაკვეთილებს უტარებდა და მალე პოლიციაში გამოიძახეს. მოგვიანებით ინფორმატორმა მითხრა რომ მან ეს იმიტომ გააკეთა, რომ ჩვენი 'საქმიანობისათვის' ხელი არ შეეშალა. ეს ის კაცი იყო, რომელმაც პირველად შემაცდინა."

საბინა გააქვავა ტრაგიკულმა ამბავმა, დიანას გადაეხვია. "გრცხვენია იმის რაც ჩაიდინე, და მართალიცა ხარ." თქვა მან. "ამ ტანჯულ ქვეყნიერებაზე, სადაც ღმერთიც კი გააკრეს ჯვარზე, არ შეგიძლია, როგორც ქრისტიანმა წაბილწო მისი სახელი. მაგრამ ტკივილისა და დანაშაულის ეს შეგრძნება წაგიძღვება ბრწყინვალე სინათლემდე. გახსოვდეს, რომ გოლგოთაზე ჯარისკაცებმა ქრისტეს ფერდი განგმირეს შენი და ჩემი ცოდვილებისათვის, რათა ადვილად შევიდეთ მის გულში და ვიპოვოთ პატიება."

დიანა დაფიქრდა მის სიტყვებზე და ნელა უპასუხა, "სირცხვილი და ტანჯვა–დიახ, განვიცდი. მაგრამ კიდევ არის რაღაც, რაც უნდა ვაღიარო. ყოველთვის არ მძულდა ის საქმე რასაც ვაკეთებდი. ახლა ცუდი აზრები მოდიან თავში გამუდმებით. არ შემიძლია მათი განდევნა."

ყოველ დღე ლოცულობდა საბინა დიანას ტანჯვებზე და საბოლოოდ სინამდვილეში გოგონა გათავისუფლდა

დანაშაულისაგან. საბინა გამუდმებით ფიქრობდა იმაზე, თუ როგრ სცოდავდნენ დები ლუკმა-პურის შოვნისათვის. ალბათ უდიდესი ცოდვა აწვათ თავისუფალი ქვეყნის ქისტიანებს კისერზე, რომლებმაც არანაირი დრო არ დაუთმეს მათთვის საზრდოს მიწოდებას, რათა დაეხსნა ისინი.

"საკუთარ თავს ვხედავ შენს თვალებში"

რამოდენიმე კვირის შემდეგ საბინა ბანაკის კომანდირის წარმომადგენელთან მიიყვანეს, წითელსახიანი ქალი მძიმე წინა მხარით და დიდი კბილებით. მისი ტევადი ფორმა როგორც ჩანს მოძრაობას ურთულებდა, თითქოს აბჯარი ესხა.

"თქვენ პატიმრებს ღმერთზე უქადაგებთ. უნდა შეწყვიტოთ!" გააფრთხილა მან.

"ვწუხვარ, მაგრამ ამას ვერაფერი შეაჩერებს," უპასუხა საბინამ.

კომანდირის წარმომადგენელმა მძვინვარედ აღმართა მუშტი საბინას დასარტყმელად. შემდეგ გაჩერდა და დააშტერდა.

"რატომ იცინიხართ?" თქვა მან მოთხოვნის ტონით და სახე გაუწითლდა რისხვისაგან.

საბინამ თქვა, "ვიცინი იმის გამო, რასაც თქვენს თვალებში ვხედავ."

"და რა არის ეს?"

"მე თვითონ," უპასუხა საბინამ. "როდესაც ადამიანები ახლოს მიდიან ერთმანეთთან, საკუთარ თავს ხედავენ მის თვალებში. თქვენს თვალებში ჩემს თავს ვხედავ. მეც იმპულსური ვიყავი. ვცოფდებოდი და ვურტყამდი სხვებს ბასრი სიტყვებით და ეგოისტური აზრებით–ვიდრე ვისწავლიდი რას ნიშნავს გიყვარდეს, შემდეგ შეგწევს ძალა შესაწირავის გაღებისა ჭეშმარიტებისათვის. მას შემდეგ, რაც მივიღე ეს გაკვეთილი, ჩემი ხელები არ მოხრილან მუქარის გამომხატველი მუშტისათვის."

ოფიცერი განცვიფრებული ჩანდა საბინას სითამამით. ჩუმად გააგრძელა, "თუ ჩემს თვალებში ჩაიხედავთ, ისეთად დაინახავთ საკუთარ თავს, როგორადაც ღმერთს თქვენი გარდაქმნა შეუძლია!"

კომენდანტის წარმომადგენელი გაქვავდა. გაბრაზებული ქცევა არ შეუცვლია, მაგრამ წყნარად თქვა, "მოშორდი აქედან."

საბინა აგრძელებდა პატიმრებში ქადაგებას.

თავისუფლება

მოულოდნელად გაათავისუფლეს. საბინა ეცადა კიდევ ერთხელ წაეკითხა გათავისუფლების ორდერი: "თავისუფლების ორდერი" იყო სათაური, მაგრამ მზე უკვე ჩასვლას ეპირებოდა და დანარჩენი ტექსტის წაკითხვა ვერ შეძლო. ძრავაზე შეაგდეს და ბანაკი დატოვა მანქანამ. მცირე ხნის შემდეგ გადმოსვეს მანქანიდან, ბუქარესტიდან საკმაოდ მოშორებით, გარეუბანში.

რამოდენიმე საათი მიდიოდა თავისი ზეთიან–სუნიანი ბოხჩით გარეუბანში. თითქმის სამი წლის მანძილზე პირველად დაინახა სამუშაოდან, თუ საყიდლებიდან სახლისაკენ აჩქარებით მიმავალი ხალხი, თითქმის ერთფეროვანი, ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც მასაც ჰქონდა დაპატიმრებამდე.

საბინამ ძლიერი სურვილით აუჩქარა ფეხი სახლისაკენ მიმავალ გზაზე და ფიქრობდა, ნეტავ თუ კიდევ არსებობდა მისი სახლი.

ფიქრობდა რამდენ ცვლილებას უნდა გამკლავებოდა. არ იცოდა რა დაემართათ მეგობრებსა და ნათესავებს. მიხეილი თოთხმეტის იქნებოდა უკვე. რა უყო ნეტავ მას ამ წლებმა? მართალია ერთი სული ჰქონდა როდის ნახავდა, თითქოს ეშინოდა კიდეც.

საბინამ გამარჯვების ქუჩას ჩაუარა. სამწუხარო მოგონებები აღეძრა პოლიციის განყოფილების დანახვისას, სადაც პირველად მიიყვანეს. არაფერი არ შეცვლილა. გიგანტური პორტრეტები, იმ ოთხი კაცისა, რომელსაც კომუნისტები კაცობრიობის ოთხ უდიდეს მოაზროვნეს უწოდებდნენ–მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი–კიდევ გადმოჰყურებდნენ ქუჩაში მოწანწალე ხალხს.

იმ ბინამდე მიაღწია რომელსაც კარგად იცნობდა და კიბეზე ავიდა. კარებზე დააკაკუნა, იმედოვნებდა რომ არც ეს არ იქნებოდა შეცვლილი. მუხლები მოეკეცა სიხარულისაგან, როცა კარები მეგობარმა გააღო.

"საბინა!" დაიყვირა მეგობარმა, ხელები პირზე მიიფარა და უკან დაიხია რომ კარგად შეეხედა მისთვის. "შესაძლებელია?"

ორი ქალი ერთმანეთს გადაეხვია და ატირდა. შემდეგ მიხეილი შემოვიდა ოთახში. საბინამ იფიქრა გული გაუსკდებოდა როდესაც შვილი დაინახა კარებში. სახე გაცრეცოდა, იმაზე მაღალი გამხდარიყო ვიდრე ციხეში ნახა ბოლოს და უფრო გამხდარი. მან შენიშნა რომ მიხეილი უკვე ახალგაზრდა კაცი იყო.

ერთმანეთს გადაეხვივნენ. საბინას სახეზე ცრემლები მოდიოდა. მიხეილმა უკან დაიხია და თავაზიანად მოწმინდა დედას ცრემლი თითებით. "არ იტირო დედა," თქვა მან.

საბინა ისეთი გახარებული იყო რომ კიდევ ჩაიკრა შვილი გულში, გაიფიქრა, ეხლა რომ გაჩუმებულიყო აღარასოდეს დაჭირდებოდა ტირილი.

მხოლოდ ერთი სიტყვაა საჭირო

პირველ დღეებში საბინა თითქოს სიკვდილიდან ახალმობრუნებულს ჰგავდა. ისეთი გახარებული იყო თავისუფლებით! სინამდვილემ მალე იჩინა თავი: პატიმარი აღარ იყო, მაგრამ მაინც საზოგადოებისაგან განდევნილად ითვლებდოდა, რადგან არა მარტო პატიმრის ცოლი იყო, არამედ ყოფილი პატიმარი.

კვების ტალონის გარეშე პურის ყიდვა არ შეეძლო. ტალონის მიღება კი შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთ დღეს ოთხი საათი იდგა რიგში სამთავრობო დაწესებულების ოფისში. როდესაც ფანჯარამდე მიაღწია, გოგონამ იკითხა, "სად არის თქვენი შრომის წიგნაკი? მის გარეშე ვერ მიიღებთ კვების ტალონს."

"მაგრამ მე ყოფილი პატიმარი ვარ. საშუალება არ მქონდა შრომის წიგნაკის აღების," ახსნა საბინამ.

"არ შემიძლია დაგეხმაროთ. არ არის შრომის წიგნაკის ნომერი, არ იქნება ტალონი," თქვა გოგონამ, უკვე საბინას უკან მდგარი პიროვნების ცქერით. "შემდეგი!"

კიდევ ერთხელ გახდნენ საბინა და მიხეილი იძულებულნი სხვების წყალობაზე დამოკიდებულიყვნენ.

ვურმბრანდის სახლი და საკუთრება კონფისკაციას დაუქვემდებარეს. საბედნიეროდ მეგობრები ცხოვრობდნენ საბინას კორპუსში და მათ შესთავაზეს საბინას და მიხეილს

თავის ოროთახიან სხვენში გადასვლა. ავეჯი ძველი და საწოლები დამტვრეული, წყალი არ მოდიოდა აბაზანაში. მაგრამ საბინა გახარებული იყო თავის შვილთან ერთად ყოფნით და გადაწყვიტა სახლად გადაექცია ეს ადგილი.

გათავისუფლებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, ერთ დილას, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ესტუმრა საბინას სხვენში. მსუქანი ბოხიანი ხმით და შუაში გაყოფილი შავი თმით. პორთფელი სავსე ჰქონდა საბუთებით.

კაცმა ყვირლი დაიწყო, რომ საბინა ცუდი დედაა და თავის შვილზე ჯეროვნად არ ზრუნავს. საბინა ჩუმად იჯდა და შეჰყურებდა. იცოდა რაც მოელოდა.

რა სარგებელია მოსალოდნელი, თქვა კაცმა ბოლოს, დარჩე იმ კაცის ქორწინებაში, რომელსაც ვეღარასოდეს ვერ ნახავდა. უბრალო წინათგრძნობა იყო საჭირო იმისათვის რომ ახალგაზრდა, ინტელიგენტი ქალი, როგორიც საბინაა უნდა განქორწინებოდა საბჭოთა მტერს. თუ ეხლა არა, მოგვიანებით მაინც მიხვდებოდა ამის აუცილებლობას. როდემდე შეძლებდა მდგარიყო ასე ბრმად და სულელურად საბჭოეთის დაუმორჩილებლობაში?

უდაოა რომ კაცი მოთაფლვასა და დაშინებას აპირებდა, მისი საცოდავი ბედის სურათის დახატვით. სიყვარული? დასცინა მან, სიყვარული? ყველაფერი სისულელეა. სიყვარული არ არსებობდა, ყველაფერი რაც საბინას სჭირდებოდა იყო ახალი ქმარი, ახალი მამა ბავშვისათვის, თქვა მან. სიყვარული არ არსებობდა კონტრრევოლუციონერისათვის.

საბინა დუღდა შინაგანად, ფიქრობდა, *როგორ ბედავ და ჩემს სახლში მეუბნები ამას? ჩემს ქმარს მხოლოდ ბედნიერი დღისათვის არ გავყევი ცოლად. სამუდამოდ ვიყავით გაერთიანებულები, და რაც არ უნდა მოხდეს, არ განვქორწინდები მასთან.*

კაცი ეკამათებოდა და ეხვეწებოდა ნახევარი საათის განმავლობაში, საბინას არაფერი უთქვამს. გაახსენდა ძველი ნათქვამი: ღმერთსაც კი არ შეუძლია შეეწინააღმდეგოს გაჩუმებულ ადამიანსო.

საბოლოოდ კაცმა მრგვალი თავის ქნევით დატოვა იქაურობა. “ადრე თუ გვიან მოხვალ ჩვენთან,” თქვა მან, როგორც კი კარი დაიხურა მის უკან. “იცი თუ არა რომ ყველა ამას აკეთებს.”

მიუხედავად არასასიამოვნო კაცის სტუმრობისა, ვერცხლისფერი გადაეფარა ღრუბელს. გაიფიქრა საბინამ სევდიანად: თუ კომუნისტებს ასე ძალიან უნდოდათ მათი განქორწინება, მაშინ რიჩარდი ცოცხალი უნდა ყოფილიყო!

საბინას კვლავ ესმოდა კიბეებზე მიმავალი კაცის ბუზღუნი შემდეგ მსხვერპლთან, სადაც მოსალოდნელი იყო რომ ვიზიტი წარმატებით დასრულდებოდა.

ხელისუფლებამ ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ პატიმრების მეუღლეებთან განქორწინების შეთანხმებისათვის მიეღწია–პირველ რიგში იმიტომ, რომ პატიმრებს სიცოცხლეც კი აღარ ენდომებოდათ როდესაც შეიტყობდნენ, რომ საყვარელმა ადამიანებმა მიატოვეს ისინი, მაშინ როდესაც ნებისმიერ მდგომარეობაში გვერდით დგომას დაჰპირდნენ. მეორე კუთხით, განქორწინება ხელს უწყობდა ცოლების კომუნისტურ ცხოვრებაში თანამონაწილეობას. როცა განქორწინება დასრულდებოდა, ქალებს თავიანთი მეუღლეები დანაშაულის შეგრძნების გარეშე ავიწყდებოდათ. ეს იყო უადვილესი გზა საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ მოქცევისა. საბინამ იცოდა იმ ქალების ჯილდოს შესახებ, რომელთაც თავიანთ პოლიტიკურ პატიმარ ქმრებს შეაფურთხეს, კაცებს, რომლებიც ერთ დროს ისე უყვარდათ რომ მათი შვილებიც კი გააჩინეს.

მესამე, უმამობავშვები საბჭოთა შეწყალებას იმსახურებდნენ, რათა განახლებული დოქტრინა მიეღოთ მცირე ასაკიდანვე.

მხოლოდ ერთი სიტყვა იყო საჭირო ამის შესასრულებლად. როდესაც ცოლი ეტყოდა დიახს განქორწინების ოფისის წარმომადგენელს, ის იზრუნებდა ყველა დანარჩენზე. რამოდენიმე დღის შემდეგ, ქმარს ეტყოდნენ თანაპატიმრელების წინაშე, "შენი ცოლი განქორწინებულია შენთან." შემდეგ კაცი იფიქრებდა, *ვინ ზრუნავს ეხლა ჩემზე? სულელი ვიქნები რომ არ დავნებდე და არ მოვაწერო ხელი ყველაფერ იმაზე, რაც ამათ სურთ და გავთავისუფლდე.* მაგრამ ხელიც რომ მოეწერა, შესაძლებელი იყო რომ რამოდენიმე წელი მაინც არ გაეთავისუფლებინათ. ამასობაში ცოლი სხვა კაცს გაჰყვებოდა ცოლად და ბავშვებიც ეყოლებოდა. ასე, სახლები, ოჯახები–და ცხოვრება–ინგრეოდა.

საბინამ გააფრთხილა პატიმრების ცოლები მოსალოდნელ ვიზიტზე და გაამხნევა მდგარიყვნენ ქმრების მხარეს,

ყვარებოდათ ისეთი ქმრები როგორ მდგომარეობაშიც ეხლა იყვნენ და არა მხოლოდ ისეთი როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ. ქალებს ურჩია ეფიქრათ ქორწინების ბედნიერ დროზე და ცდუნების დასაძლევად გამოეყენებინათ.

ძალისხმევის მიუხედავად ხშირად წარმატებას ვერ აღწევდა. ზეწოლა ძალიან დიდი იყო პატიმრების ცოლებზე.

შემდეგი ცდუნება

საბინა უკვე ორმოცდასამი წლის იყო. ახალი ცდუნება გაუჩნდა საბრძოლველად. მას ერქვა პოლი და იცოდა რომ საბინა უყვარდებოდა. კაცი მის ცხოვრებაში მაშინ შემოიჭრა, როდესაც რამოდენიმე თვის მანძილზე რიჩარდისაგან არაფერი სმენია და გრძნობდა რომ წლები ხელიდან გაეპარა. კვლავ ეჭვობდა, იყო თუ არა ცოცხალი. რამოდენიმე კაცი მოვიდა მასთან და უთხრეს, რომ ისინი ხუცეს რიჩარდ ვუმბრანდთან ერთად იყვნენ ციხეში და რომ იგი გარდაიცვალა. სიმართლე იყო თუ კომუნისტების ახალი მახინაცია?

როდესაც საბინა პოლზე ფიქრობდა, აღმოაჩინა რომ ძნელი იყო საკუთარი ბრძნული სიტყვებისათვის მოესმინა, რასაც ხშირად სხვებს ეუბნებოდა. პოლი ძალიან თავაზიანი და კეთილი კაცი გახლდათ, მის მსავსად ებრაელი მორწმუნე. იგი მოხუც მშობლებთან, ერთ ოთახში ცხოვრობდა, ხანდახან მიხეილს ან სამეცადინოდ, ან კინოში წაიყვანდა ხოლმე. საბინა ფიქრობდა, აი კაცი, რომელთანაც ქალმა შესაძლოა სიყვარულითა და ნდობით იცხოვროს.

ხანდახან პოლი მის ხელს შეეხებოდა ხელით საუბრის დროს და საბინამ აღმოაჩინა რომ სურვილიც კი არ ჰქონდა უკან დახევისა. მათი ურთიერთობა არასოდეს გადაზრდილა იმაში, რასაც ეკლესია თუ კანონი მრუშობას უწოდებდა. და მაინც იცოდა რომ სწორი არ იყო.

ერთ დღეს საბინას ხუცესი მოვიდა მასთან სერიოზული სახით. “საბინა, იცი როგორ მიყვარხარ და გაფასებ,” თქვა მან. “ეს არ შეიცვლება, რაც არ უნდა მოხდეს. შენ და რიჩარდს მრავალი წლის განმავლობაში გიცნობდით. ვიმედოვნებ იცი, რომ შესცოდავ თუ არა, რწმენას დაკარგავ თუ შეინარჩუნებ, მაინც

ვიზრუნებ შენზე, რადგან ვიცი რაცა ხარ და არა ის რასაც გააკეთებ.” ლაპარაკობდა იგი იშვიათი ემოციითა და გულწრფელებით; ვიდრე კითხვას დაუსვამდა ცოტა ხანს შეჩერდა. “ასე რომ მომიტევე თუ შეგეკითხები,” თქვა მან და პირდაპირ თვალებში შეხედა საბინას. “რა ხდება შენსა და პოლს შორის?”

ცოტა ხნით საბინა გაჩუმდა.

ხუცესმა გააგრძელა, “ნუ იფიქრებ, რომ მე არ მქონია ასეთი განსაცდელი. მაგრამ, გთხოვ უპასუხო შეკითხვას.”

“მას ვუყვარვარ,” თქვა ქალმა, და თავი ჩაკიდა.

“შენც გიყვარს?”

“არ ვიცი,” უპასუხა გულწრფელად. “ალბათ.”

ხუცესმა გააგრძელა, “რაღაც მახსოვს, რასაც რიჩარდი ხშირად ამბობდა ხოლმე: ‘ემოციებზე დაყრდნობით მიღებული მოულოდნელი გადაწყვეტილება ავნებს შენს ქმარსაც და ცოლსაც და ბავშვებსაც.’ ეხლა მინდა რომ ურთულესი გადაწყვეტილება მიიღო. აღარ შეხვდე პოლს ამის მეტად.”

ხუცესი მართალი იყო. ეს იყო “ურთულესი გადაწყვეტილება.” უნდოდა დაემორჩილებინა ემოციები და უარეყო პოლის მიმართ არსებული განცდები, მაგრამ ის დედა და ქალიც იყო. იცოდა რომ პოლი კარგი ქმარი იქნებოდა, და მგრძნობიარე კომპანიონი, რომელიც შეძლებდა მარტოობისაგან დაეცვა ქალი. ის კარგი მამა იქნებოდა მიხეილისათვისაც. ცდუნება იმაზე მეტი იყო ვიდრე საბინას ამისი ატანა შეეძლო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისმა ეკლესიის მეგობრებმა უთხრეს მას, “შენი ქმარი მკვდარია. საკმარისად მძიმე ცხოვრება გაიარე. ნება მიეცი ამ კაცს რომ შენზე იზრუნოს.”

მხოლოდ ხუცესი აღმოჩნდა საკმარისად თამამი, ეთქვა ის, რაც უნდა თქმულიყო. საბინამ იცოდა რომ იგი მართალი იყო. იცოდა სატანას უნდოდა დაემსხვრია მისი მოწმობა. დიდი სირთულით უთხრა პოლს რომ აღარასოდეს შეხვდებოდნენ ერთმანეთს, და მან კვლავ მიუძღვნა თავი რიჩარდის ლოდინს.

ათი ხაზი მისალოცბარათზე

რამოდენიმე კვირის შემდეგ საბინა ეკლესიაში იყო, იატაკს ხეხავდა, მისი მეგობარი მარიეტა შემოვიდა ოთახში მისალოცი

ბარათის ფრიალით. თვალებიდან ცრემლები მოდიოდა. “მე ვფიქრობ–საბინა, ვფიქრობ ეს არის...”

გაგრძელება ვეღარ შეძლო და საბინას გვერდით, სველ სკამზე ჩაიკეცა.

ბარათი გადააბრუნა. “ვასილე გეორგესკუ,” ხელმოწერა. მაგრამ რიჩარდის ხელნაწერი, დიდი, სტანდარტული და ლამაზი, უშეცდომო. საბინას თვალები გაუბრწყინდა და ბარათი გულში ჩაიკრა. მან იცოდა რომ პოლიტიკურ პატიმრებს მხოლოდ ცენზურის მიერ შემოწმებული ათ ხაზიანი წერილის დაწერის ნება ჰქონდათ. რა შეიძლებოდა ეთქვა რიჩარდს, როცა ამდენი წლის შემდეგ არ იცოდა მისი ცოლ–შვილი ცოცხალი იყო თუ არა? საბინამ ამოისუნთქა და ცრემლით სავსე თვალებით დაიწყო კითხვა. “დრო და მანძილი მცირედ სიყვარულს აპატარავებს, მაგრამ დიდებულს აძლიერებს,” დაუწერია მას. შემდეგ იგი სთხოვდა მის სანახავად წასულიყო გარკვეულ დროს თირგულ-ოცნას ციხის საავადმყოფოში.

რიჩარდის ბარათი იყო საუკეთესო, რაც კი შეიძლება საბინას მიეღო. გული გაუტყდა, როდესაც გაახსენდა რომ ქალაქის დატოვება არ შეეძლო პოლიციის ნებართვის გარეშე. ასე რომ მას არ შეეძლო დანიშნულ დროსა და ადგილზე თავისი საყვარელი ქმრის სახის ნახვა. მაგრამ გაუხარდა რომ მიხეილი დაიკავებდა მის ადგილს.

თირგულ–ოცნა არის ჩრდილო რუმინეთი, კარპატიის მთების მეორე მხარეს. ბუქარესტიდან მატარებელი რამოდენიმე ასეულ კილომეტრს შემოუვლის მთებს, პატარა ქალაქამდე მისასვლელად. საბინა შეუთანხმდა მეგობარს, სახელად “აუნტ ალისე”-ს რომ მის შვილთან ერთად წასულიყო ციხის საავადმყოფოში.

მხოლოდ მიხეილს ეძლეოდა რიჩარდის ნახვის ნება.

აღელვებული საბინა ელოდა. მიხეილი და აუნტ ალისე ორი დღის წასულები იყვნენ და ამ დროის განმავლობაში ათასმა საშინელმა ფიქრმა გაიარა მის გონებაში: მართლა ნახავდა თუ არა მიხეილი მამამისს? დართავდნენ თუ არა რიჩარდს რამოდენიმე თბილი ტანსაცმლისა და საჭმლის მიღების უფლებას, რომელიც მან გაუგზავნა? რადგან სააავადმყოფოში იწვა, ძალიან ცუდად უნდა ყოფილიყო. შეეძლო თუ არა ფეხზე

დგომა? შვილთან საუბარი? როგორი რეაქცია ექნებოდა მიხეილს მამის ამდენი წლის შემდეგ ნახვისას? გაანადგურებდა თუ არა მას რიჩარდის ასეთი ჯანმრთელობის მდგომარეობაში ხილვა?

ისინი სახლში დეკემბრის გვიან ღამით დაბრუნდნენ, საბინას კიბეებზე მომავალი ადამიანების ხმა შემოესმა, და შემდეგ, ვიდრე კარებში გაიხედავდა, ალისამ დაიყვირა, "ვნახეთ! ჩვენ ის ვნახეთ! ის ცოცხალია. ფეხზე დადის!"

მხრებზე თოვლი ეფინათ.

"მიხეილ", ჩაეხუტა მას დედა და ლოყით მისი პალტოს გაყინულ მატყლს მიეყრდნო.

"დედა, მამა კარგად არის, მან თქვა რომ მალე დაბრუნდება სახლში. რადგან ღმერთმა მოახდინა სასწაული და შევხვდი, ეხლა მეორე სასწაულსაც მოახდენს და მალე ყველანი ერთად ვიქნებით."

ყველანი ერთად ტიროდნენ. "რამოდენიმე საათი ველოდეთ თოვლში", თქვა ალისამ. "მთავარ ჭიშკარში შეგვიშვეს, სანატორიუმის შემოღობილ, მიშენებულ შენობასთან ვიდექით. პატიმრებს ცარიელი მანძილი უნდა გაევლოთ იმ შენობამდე, სადაც სტუმრების ნახვა შეეძლოთ. საშინელება იყო მათი დანახვა. შეშინებულები! როგორც ქურდები სიბნელეში ისე გამოიყურებოდნენ, თოვლის სინათლეზე სახეებს მალავდნენ– ნაცრისფერ სულებს ჰგავდნენ! მათ შორის დავინახე მომავალი რიჩარდი! არ შეიძლებოდა გამოგრჩენოდა, ისეთი მაღალია. როგორც გიჟი ისე ვიქნევდი ხელებს, მაგრამ ვერ შემამჩნია. მნახველები ერთმანეთში ირეოდნენ და ყველა ხელს იქნევდა. მე ის დავინახე–მაგრამ მხოლოდ მიხეილს დართეს მასთან საუბრის ნება."

ასეთ სიტუაციაში, არ შეუძლიათ ბევრი რამის თქმა, თქვა ბიჭმა. მაგრამ მამამისის მისადმი ნათქვამი ბოლო სიტყვები იყო, "მიხეილ, ერთადერთი საჩუქარი, რისი მოცემაც, როგორც მამას შემიძლია მხოლოდ ეს არის: ყოველთვის ეძიე ქრისტიანული სათნოებები, რომელიც არის–დაიცვა სწორი საწყაო ნებისმიერ სიტუაციაში."

საბინამ სიყვარულით ჩადო რიჩარდის ბარათი ბიბლიაში. ხანდახან ამოიღებდა და კითხულობდა ხოლმე. მოგვიანებით მან უთხრა საბინას, რომ იგი სანატორიუმში ისე დახელოვნდა

მოკლე და მრავლისმომცველი წერილის წერაში, რომ სხვებიც კი მოდიოდენნ მასთან დახმარების სათხოვნელად. ისინი ერთმანეთს ეკითხებოდნენ რჩევას, ასე რომ რიჩარდის სიტყვა მთელს შენობაში ვრცელდებოდა. შედეგად ათობით პატიმარი წერდა ბარათს, "დრო და სიშორე ამცირებს პატარა სიყვარულს, დიდებულ სიყვარულს კი აძლიერებს." რიჩარდის სიტყვა სიყვარულსა და იმედზე შორეულ ადგილებში იკითხებოდა. ციხის მქადაგებელი დაუბრუნდა თავის საქმეს.

ერთ ძვირფას დღეს

1956 წელი. მთელი კომუნისტური ბლოკი აჯანყების განწყობამ მოიცვა. საბჭოთა "ხუთწლიანი პროგრამა" შორს ვერ წავიდა. საჭმელი კვლავ არ იყო საკმარისი, ხელფასები კვლავ დაბალი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ იმედი გაჩნდა.

კომუნისტური პარტიის მეოცე კონგრესზე, თებერვალში, საბჭოთა პრემიერმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინი და მისი სამუშაო გეგმები საიდუმლოდ გააკრიტიკა. ეს განცხადება არასოდეს დაბეჭდილა, მაგრამ მალე, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანამ იგრძნო პოლიტიკური ცვლილების სიო მოსკოვიდან. "დესტაბილიზაციის" ნიშნები სწრაფად მოვიდა. მილიციისა და საიდუმლო პოლიციის ძალები საგრძნობლად შემცირდა. მილიონ დოლარიანი სავაჭრო გარიგება შედგა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ეკონომიკის გადასარჩენად. კოლექტივიზაციაზე მარწუხები შემსუბუქდა. ასობით პოლიტიკური პატიმარი თავისუფლდებოდა ყოველდღიურად, ამინისტიის შეხების საფუძველზე.

საბინას არც კი შეეძლო იმაზე ფიქრი გაებედა რომ რიჩარდი მათ შორის იქნებოდა. არანაირი სიახლე არ შეუტყვია რომ შეიძლება ვადაზე ადრე გაეთავისუფლებინათ. რამოდენიმე წელი კიდევ ჰქონდა დარჩენილი. 1956 წლის ივნისის ერთ ლამაზ დღეს საბინა მეგობრებს ესტუმრა, და უკან დაბრუნებულს რიჩარდი სახლში დახვდა. თავი გადახოტრილი ჰქონდა, ჩონჩხს უფრო ჰგავდა ვიდრე ცოცხალ ადამიანს, საბოლოოდ რიჩარდი სახლში დაბრუნდა. საბინა ქმარს გადეხვია და კინაღამ ჩაიკეცა. ეს იყო გადახვევა, რომლისაც ეშინოდა რომ არასოდეს

მოხდებოდა. ბუქარესტის შემოგარენიდან მეგობრები მოვიდნენ მის სანახავად იმ საღამოსვე. ერთად გაიზიარეს ცრემლებიც და სიცილიც–უფრო მეტი სიცილი და ტირილი ირეოდა ერთმანეთში.

რიჩარდი ძლიერ ეწამა ციხეში. მრავალგვარი იარაღებით აწამებდნენ, წამლებში ჩაფლეს. თვრამეტი ჭრილობა ეტყობოდა, მოგვიანებით ექიმებმა უთხრეს რომ უკვე განკურნებული ჭლექის ნიშნები ჰქონდა ფილტვებზე და უკვირდათ როგორ გადაურჩა რვა წელიწად ნახევარი ასეთ მდგომარეობას. ეხლა მას საავადმყოფოში საუკეთესო საწოლი მისცეს. გასაოცრად, გათავისუფლებულ პატიმრებს დიდი გულისყურით ეპყრობოდნენ, ყველგან სადაც კი წავიდოდნენ. ყველაზე პრივილეგირებულ ხალხად მიაჩნდათ რუმინეთში, სტატუსი, რომელიც ასე აღელვებდათ კომუნისტებს.

მალევე რიჩარდი გამოჯანმრთელდა და ქორწინების ოცი წლისთავიც იზეიმეს. არცერთს არ ჰქონდა კაპიკიანი ერთმანეთისათვის საჩუქრის საყიდლად, მხოლოდ ჩანაწერების რვეული, რომელშიაც რიჩარდი მუხლებს და სიყვარულის პოემებს წერდა ყოველ საღამოს, მისი ცხოვრების სიყვარულის მისამართით.

ორივენი გადაურჩნენ საცდურსა და ტანჯვას. ღმერთი იყო ორივეს გამაძლიერებელი. სიყვარული გახდა მათი მოტივაცია. მანამდე ვიდრე ტრაგიკული წლები მოგონებას ჩაბარდებოდა, ახალი განსაცდელი ელოდათ კართან.

“დააყენე შენი ანგელოზები მის ირგვლივ!”

1959 წლის **13** იანვრის საღამო. ერთი ქალი ტირილით მოვიდა საბინასთან ეკლესიიდან. ერთი კვირის წინ, მან რიჩარდიდან ითხოვა მისივე მსახურებების ასლები, ასობით ეგზემპლარი გადადიოდა ხელიდან–ხელში ეხლა რუმინეთში, სიტუაცია, რომელიც სასტიკად იკრძალებოდა კანონით. ეხლა, ეს აპოლოგეტი ქალი რიჩარდის გასაფრთხილებლად მოვიდა და უთხრა რომ, პოლიციამ სახლი გაჩხრიკა და დარჩენილი ასლები წაიღო. დიდი ხანი არ დასჭირდებოდათ რიჩარდთან მოსასვლელად. სხვა მეგობრის საშულაებით ისიც გაიგეს რომ რიჩარდი დასმენილ იქნა ახალგაზრდა ხუცესის მიერ, რომელიც მის მეგობრად

აცხადებდა თავს. მათ იცოდნენ რომ შესაძლოა ამ კაცს აშანტაჟებდნენ, აიძულებდნენ რომ ხელი მოეწერა დოკუმენტებზე, დაპატიმრების შიშით.

მომდევნო დღეს, პირველ საათზე, გაბრაზებული პოლიციელები შემოიჭრნენ ვურმბრანდების სხვენში.

“რიჩარდ ვურმბრანდი ხართ?” თქვა პასუხისმგებელმა კაპიტანმა ხმამაღლა.

“მეორე ოთახში შედით ყველანი და დამელოდეთ.”

კიდევ ერთხელ ყველაფერი გადმოაყირავეს, ამ პატარა ბინაში და იატაკზე მოფანტეს. რიჩარდის მაგიდაზე იპოვეს დაბეჭდილი მსახურებები და გაცრეცილი ბიბლიები. ყველა გაანადგურეს. შემდეგ საბინას ოცი წლისთავის საჩუქარი იპოვეს, რომელშიაც რიჩარდს სიყვარულის პოემები ეწერა.

“გთხოვთ ამას ნუ წაიღებთ. ეს პიროვნული საჩუქარია. თქვენ არაფერში არ გამოგადგებათ,” იხვეწებოდა საბინა. მაგრამ ამაოდ.

კაპიტანმა რიჩარდს ბორკილები დაადო და უკანა ოთახში გაიყვანა.

საბინა თამამად ლაპარაკობდა, “არ გრცხვენიათ უდანაშაულო ხალხს ასე რომ ეპყრობით?”

რიჩარდი მისკენ გამოემართა, მაგრამ მკლავი დაუჭირეს და უკან გაქაჩეს. “სახლს არ დავტოვებ პრობლემების გარეშე, თუ ჩემს ცოლთან გადახვევის უფლებას არ მომცემთ,” გააფრთხილა მან.

“გაუშვი,” თქვა კაპიტანმა. ერთერთმა პოლიციელმა ბორკილები შეხსნა.

ორივემ მუხლი მოიყარა და ილოცეს, საიდუმლო პოლიცია მათ გარშემო იდგა. შემდეგ იგალობეს და ხმა თანდათან ერწყმოდა სიტყვებს, “ეკლესიის საფუძველი არის იესო ქრისტე, მისი უფალი.”

დიდი ხელის შეხება იგრძნო რიჩარდმა მხარზე. “უნდა წავიდეთ. თითქმის ხუთი საათია,” თქვა კაპიტანმა ხმადაბლა. აშკარად შეძრა რიჩარდისა და საბინას არაჩვეულებრივმა სიყვარულმა. თვალები აწყლიანებოდა.

კიდევ ერთხელ დაადეს რიჩარდის მაჯას ბორკილები და პოლიციელი წინკარში გაუძღვა. საბინა მათ კიბეებზე ჩაჰყვათ,

კიბის ბოლოს რიჩარდმა თავი მოაბრუნა და თქვა, “გადაეცი ჩემი სიყვარული მიხეილს.” მცირე ხნით შეყოვნდა და დაამატა, “და ხუცესს ვინც დამასმინა”. შემდეგ წაიყვანეს. პოლიციის მანქანა მიდიოდა და საბინა უკან მისდევდა მოყინულ გზაზე, ხმამაღლა ეძახდა ვიდრე ფეხი არ დაუსრიალდა: “რიჩარ! ჩემო ძვირფასო რიჩარდ!”

მანქანა ქუჩის კუთხეში გაუჩინარდა და ისიც გაჩერდა, სუნთქვისა და გულის გარეშე. სხვენში კარები ღია იყო. საბინა იატაკზე დაეცა და ტირილით ლოცულობდა. “ღმერთო, შენს ხელებში გადმომიცია ჩემი ქმარი,” ღაღადებდა ის. “მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია. შენ შეგიძლია შენი ანგელოზები დააყენო მის გარშემო. შენ შეგწევს ძალა უკან დააბრუნო იგი!”

სიბნელეში იჯდა და ლოცულობდა, ვიდრე მზე ამოვიდოდა აუნტ ალისე მოვიდა და მაინც იატაკზე იყო გართხმული პატიმრის ცოლი. წითელი და აცრემლებული თვალებით, საბინამ მას შეხედა და თქვა, “კიდევ მოიპარეს ჩემი რიჩარდი.”

ეპილოგი

რიჩარდი ექვსი წლით წაიყვანეს, საბინას მხოლოდ ერთხელ მიეცა მისი ნახვის შესაძლებლობა. იგი სიამოვნებით აგრძელებდა მუშაობას იატაკქვეშა ეკლესიაში და ერთგულად ელოდა ქმრის დაბრუნებას, არასოდეს მიუცია თავისი თავისათვის ეჭვის დაშვების შესაძლებლობა, რომ ღმერთი სახლში არ დააბრუნებდა მას.

1965 წლის დეკემბერში რიჩარდი გამოსყიდულ იქნა, ნორვეგიული მისია ებრაელებისათვის და ებრაული ქრისტიანული ალიანსის მიერ, ათას დოლარად. საერთოდ პოლიტიკური პატიმრების გამოსყიდვა ათას ხუთასი დოლარი ღირდა. რიჩარდს და საბინას არ უნდოდათ მშობლიური მიწის დატოვება, მაგრამ იატაკქვეშა ეკლესიის წევრებმა დაარწმუნეს, რომ წასულიყვნენ და ყოფილიყვნენ ხმა მათთვის, ვინც რწმენის გამო იდევნებოდნენ და მოწმობდნენ ღვთის დაუჯერებელ სიყვარულსა და რთულ დროზე. მომდევნო წელს რიჩარდი, საბინა და მიხეილი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდნენ.

კომუნისტების სიკვდილის მუქარის მიუხედავად, ვურმბრანდის ოჯახი დაუყოვნებლივ გახდა იმ და–ძმების ხმა, რომელთა რწმენაც ცეცხლის გამოცდას გადიოდა.

1967 წლის ოქტომბერში, მხოლოდ ასი დოლარითა და სამზარეულოს მაგიდაზე ძველი საბეჭდი მანქანით, ვურმბრანდმა დაწერა პირველი გამოცემა, წერილი წამებულთა *ხმა*. ამ პირველი გამოცემის შემდეგ, ყოველკვირეული წერილი იბეჭდებოდა რეგულარულად ახალი ამბებით, დაახლოებით ათი მილიონი ასლი იქნა გავრცელებული მსოფლიოს გარშემო მრავალ ენაზე.

ამერიკის შტატებში ჩასვლისთანავე, რიჩარდი და საბინა დაუღალავად მუშაობდნენ, რათა გაეზიარებინათ დევნასა და წამებაში არსებული იმედითა და სიყვარულით სავსე რწმენა. მათი სიყვარული გამდიდრდა გადატანილი განსაცდელით.

საბინას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 2000 წლის აგვისტოში, მან რიჩარდს სთხოვა (რომელიც ძალიან ცუდად იყო) საწოლის თავთან დამჯდარიყო. მცირერიცხოვანი მეგობრების თანდასწრებით, საბინამ კვლავ უთხრა რიჩარდს, თუ როგორ უყვარდა იგი და პატიება სთხოვა დაშვებული შეცდომებისათვის. საბინა საშინელ ტკივილს განიცდიდა ამ დროს, წამლების მიღებაზე უარი განაცხადა, რათა შეძლებოდა ნათელი გონებით და სიფხიზლით შეხვედროდა დროებით ცხოვრებასთან გამომშვიდობებას, რომელმაც მრავალ ტკივილთან ერთად სიხარულიც მიანიჭა.

რომლის ცხოვრებაც იყო ქრისტეს სიყვარულის დადასტურება და სიყვარული, რომელიც მან გამოამჟღავნა ყველას მიმართ, ვისაც კი იცნობდა.

ტარა:
სირბილით ცხოვრება

პაკისტანი

1985 წლის ივნისი

ფოსტალიონმა ნაცნობი, დიდი სახლისაკენ შეუხვია და ფანჯარაში შეიჭყიტა. მარტო შესასვლელი იყო ისეთი ფართო, როგორც მრავალი სახლის მთლიანი ფართობი პაკისტანის სოფლებში. "ტარასათვის ამანათი მაქვს," თქვა ფოსტალიონმა, როგორც კი მსახურმა კარი გააღო. "მისი ხელმოწერა მჭირდება. შეიძლება შემოვიდე?" იღლიის ქვეშ საშუალო ზომის კარდონის ყუთი ეჭირა. კალამი უკვე მომარჯვებული ჰქონდა.

"არა, შემოსვლა არ შეიძლება," უპასუხა მსახურმა მკაცრად. "მომეცით ამანათი და მე წავუღებ ტარას. მამამისი არ რთავს კარებთან მოსვლის ნებას.

"კარგით," დაეთანხმა უხალისოდ ფოსტალიონი. "მაგრამ ტარას, ან მის მიერ ავტორიზებული პირისაგან მჭირდება ხელმოწერა. სხვა შემთხვევაში ვერ დავტოვებ ამანათს; გასაგებია?"

"დიახ, დიახ," თქვა მსახურმა მოუთმენლად ხელებგაშლილმა.

"გთხოვთ მომცეთ ამანათი."

ტარა ფანჯრიდან იყურებოდა, უკვირდა რაზე უნდა ყოფილიყო ფორიაქი, ვის უნდა გამოეგზავნა მისთვის ამანათი? "რა არის ეს?" ჰკითხა მან მსახურს. "ვისგან არის?" მსახურმა მხრები აიჩეჩა და ტარას ფურცელი გადასცა ხელის მოსაწერად. წერას მორჩა თუ არა ამანათს სწვდა. იმაზე მძიმე იყო ვიდრე მოელოდა. ორივე მკლავი შემოხვია და ფეხების თრევით კარები დახურა. ტარას ოჯახი ძალიან დიდი იყო, მას საკუთარი ავეჯით მოწყობილი ოთახი ჰქონდა. დიდი ფანჯრების გვერდით ტანსაცმლის კარადები იყო ამოშენებული, საწოლის ორივე მხარეს ლამაზი, ღამის ლამფები იდგა, ელეგანტური კრისტალის

ნათურებით. ტარას მამას სუსტი გული ჰქონდა ქალიშვილის მიმართ, რის გამოც ოთახი სავსე იყო იმ მდიდრული საჩუქრებით, მამამისი რომ თავზე აყრიდა.

ეხლა, თორმეტი წლის ბავშვივით იყო გახარებული ამ მოულოდნელი საფოსტო საჩუქრით. ყუთი იატაკზე დადო, მის წინ მუხლი მოიყარა და შეფუთვა გახსნა. შიგნით ჩაიჭვრიტა და შეჰყვირა. სიხარულით სავსე ინტერესი სწრაფად გადაიქცა თრთოლად.

ფეხზე წამოხტა და კარებთან დაბრუნდა, იმ ზომამდე გახსნა რომ თავი გაეყო, ჰოლი აათვალ–ჩაათვალიერა, რათა დარწმუნებულიყო რომ არავინ ჩანდა. კარები კვლავ დაკეტა, ამჯერად საკეტით. ვიდრე ოთახის შუაგულში მდებარე გახსნილ ყუთთან დაბრუნდებოდა, შინაგანი ხმა ეუბნებოდა რომ ამანათი ჯერ მამამისისათვის უნდა ეჩვენებინა. უსაფრთხო იქნებოდა ამის გაკეთება, უთხრა საკუთარ თავს. მას შეეძლო უბრალოდ ეთქვა მამამისისათვის, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რატომ მოვიდა მის სახელზე. სიმართლე ის იყო რომ, კარგად იცოდა ყუთის მოსვლის მიზეზი. იგი იმას შეიცავდა რაც მას უნდოდა. რამოდენიმე კვირის წინ პატარა კუპონი შეავსო ადგილობრივ გაზეთში და გააგზავნა. შეკვეთილი საგანი მოვიდა, ეშინოდა რა მოხდებოდა რომ დაეჭირათ. ახალგაზრდულმა გონებამ ფიქრი დაიწყო. უნდა გადაეწყვიტა, ეთქვა მამამისისათვის, თუ ჩუმად შეენახა.

ცნობისმოყვარეობამ სძლია შიში და ყუთიდან ერთ–ერთი პატარა წიგნი ამოიღო. წიგნს ერთ სიტყვიანი სათაური ეწერა სპილოს ძვლიან ყდაზე: *დაბადება*. საწოლზე ჩამოჯდა, წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო.

სასწავლო გეგმის მოსვლის პირველი დღიდანვე ტარა ორ ან მეტ კურსს ავსებდა თითქმის ყოველ კვირა. შევსებული ტესტი კონვერტში ჩადო და შინა მსახურს სთხოვა გაგზავნა. მცირე ხნის შემდეგ ახალი სერთიფიკატი მოვიდა, რომელიც კურსის წარმატებით გასრულებას ულოცავდა.

ტარას, რომელიც ძალიან მკაცრი პაკისტანის მუსულმანურ სამყაროში, კარგად ცნობილი ოჯახიდან იყო, რწმენის შეცვლის არანაირი ინტერესი არ ჰქონდა. უბრალოდ ბიბლიის სწავლამ გაიტაცა და განსაკუთრებით სიამოვნებდა ლამაზი

სერთიფიკატების მიღება. ადვილი და სასიამოვნო იყო, ამაღელვებელ ელემენტებსაც შეიცავდა, რადგან როგორც კი კითხვარს შეავსებდა, საწოლის ქვეშ დამალავდა.

მსახურები, რომლებიც წერილების გაგზავნა–მიღებაში ეხმარებოდნენ დაფიცებული ჰყავდა საიდუმლოს შენახვაში. ყველამ იცოდა რომ მამამისი აფეთქდებოდა ეს რომ გაეგო. ისიც იცოდნენ რომ ტარა მამამისის საყვარელი ქალიშვილი იყო. დიახ, გაგიჟდებოდა, სავარაუდოდ გალანძღავდა და საგამოცდო ქვითარს წაართმევდა. მას უბრალოდ უხაროდა ამის კეთება. *რას დამიშავებს სწავლა? ეკითხებოდა* საკუთარ თავს.

ტარამ საბოლოო ტესტი შეავსო ორ წლი ნახევრის შემდეგ. მთელი კურსი გაასრულა, ბიბლიის ყველა წიგნი შეისწავლა. კმაყოფილების გრძნობა დარჩა ასეთი დიდი სასწავლო გეგმის შევსების გამო, უხაროდა რომ უფასოდ მოახერხა ამის გაკეთება და გამოუმჟღავნებლად დასრულდა ყველაფერი. რამოდენიმე კვირის შემდეგ კიდევ უფრო გაკვირდა, როდესაც კიდევ ერთი ყუთი მოვიდა. ბოლო ამანათზე პატარა, მაგრამ მაინც საკმაოდ მძიმე. ტარამ იცოდა რომ იგივე ხალხისაგან იყო, ვინც საგამოცდო მასალასა და სერთიფიკატებს უგზავნიდა, ამჯერად წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რა იდო ამ პატარა ყუთში. მისდა განსაცვიფრებლად, ეს იყო ლურჯი ბიბლია, მოოქროვებული კიდურებით. ყველაზე ლამაზი წიგნი, რაც კი ოდესმე უნახავს. გადაშალა და, შეამჩნია რომ მისი სახელი იყო ამოქარგული ლამაზი ასოებით, მის მიერ სასწავლო კურსის წარმატებით გასრულების აღსანიშნავად. ტარამ ფრთხილად გადაშალა ხახვის ფურცლებიანი წიგნი, ვიდრე საწოლის ქვეშ დამალავდა სხვა წიგნებთან ერთად. სასწავლო გეგმა საკმაოდ საშიში იყო. რომ დაეჭირათ იცოდა რომ სიცოცხლის ფასად უნდა ეზღო.

სინამდვილეში, მისი ნახევარიც კი არ იცოდა.

ქრისტიანი

ათწლიანი საშუალო სკოლის წარმატებით გასრულებიდან მეორე წელს, ტარა მიიწვიეს შედარებითი რელიგიის კურსის სასწავლად ირანში. სადაც მისი ოჯახი ხშირად დადიოდა მოსალოცად. ტარას ძლიერი სურვილი ჰქონდა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა და

ესწავლა. სჯეროდა რომ ბიბლიის საიდუმლო შესწავლა შესაძლებლობას მისცემდა გასცნობოდა ქრისტიანობას.

ოჯახმა სასწავლებლად გააცილა, პირველად ირანში ყოფნისას შეხვდა ქრისტიანებს. ერთ შუადღეს, სასტუმროდან გასვლისას, ადგილობრივი მეჩეთისა და მისი ბაღის სურათის გადაღებისას, საკლასო დავალების შესრულების მიზნით. საშიში იყო ახალგაზრდა უცხოელი გოგონასათვის მარტო სიარული, სასტუმროსთან ახლოს იქნებოდა, დაჰპირდა თავის უფროს ძმას, რომელიც ზედამხედველობდა მას იმ დღეს, ისიც უხალისოდ დასთანხმდა წასვლაზე.

ეზოში სურათების გადაღებისას უცნაური ხედი დაინახა. კაცი იჯდა მიწაზე, გოგონას გვერდით, რომელიც ტარაზე რამოდენიმე წლით უმცროსი იქნებოდა. კაცს ხელები მჭიდროდ შეეკრა და ცაში იხედებოდა, აშკარად ვიღაცას ელაპარაკებოდა.

"რას აკეთებთ?" იკითხა ტარამ და რაღაც უცნაურმა გრძნობამ მიიზიდა ამ კაცის მიმართ.

"ღმერთს ველაპარაკები," უპასუხა კაცმა მარტივად.

"არ შეგიძლია ღმერთს ელაპარაკო," შეეკამათა ტარა, და უმწიკვლო სიცილით გაუსვა ხაზი აღნიშნულ აზრს. "ის არ ჩამოვა დაბლა თქვენთან სალაპარაკოდ, თქვენ მასთან ვერ წახვალთ ვიდრე არ მოკვდებით. ხოდა, როგორ შეიძლება თქვათ ასეთი რამ, რომ ღმერთს ელაპარაკებით?"

კაცმა მოთმინებით შეხედა ტარას და სიცილითვე დაამატა, "არა მარტო ველაპარაკე ღმერთს, არამედ პასუხიც მივიღე."

ახლა კი დარწმუნდა რომ კაცი ვერ იყო თავის ჭკუაზე. "პასუხი მიიღეთ?"

"თქვენ არც წინასწარმეტყველი ხართ და არც ანგელოზი. როგორ შეგიძლიათ რომ პასუხი მიიღოთ ღმერთისაგან?"

"გინდათ იცოდეთ როგორ შეიძლება ღმერთს ელაპარაკოთ?" "რა თქმა უნდა, მინდა რომ ვიცოდე," უპასუხა ტარამ. ჯერ არ დაეჯერა, მაგრამ უნდოდა რომ მოესმინა მისი ახსნისათვის, რომელიც ალბათ ამაო იყო.

"მაშინ ხვალ ოთხ საათზე შემხვდით." ჯიბიდან ფურცელი ამოიღო, ეკლესიის მისამართი და მიმართულება დაწერა. "მოხვალთ და გაიგებთ რომ არა მარტო ღმერთის მოსმენა შეგიძლიათ, არამედ ღმერთს რომ უყვარხართ."

როდესაც ტარა სასტუმროში დაბრნდა და ძმას გაუზიარა მომხდარი, ძმა აღელდა. “რას ფიქრობ?! ვერ წახვალ იმ ადგილზე. ეს ქრისტიანული ეკლესიაა! აქ ირანია, შენ მუსულმანი ხარ. ჩამოგკიდებენ თუ მოგატანეს!”

“მე განსხვავებული რელიგიების შესასწავლად გამამწესეს, როგორ შევძლებ სწავლის გასრულებას კვლევის გარეშე?” გააპროტესტა ტარამ.

კამათი იმით დამთავრდა, რომ ეკლესიაში წასვლის ოფიციალურ ნებართვას სთხოვდნენ ადგილობრივ პოლიციას.

საიდანაც სასამართლო დარბაზში გაავზავნეს, ნებართვებს მხოლოდ იქ გასცემდნენ. მოითხოვდნენ რომ მის ეკლესიში სტუმრობას თორმეტი დაცვის თანამშრომელი და საკუთარი ძმა ხლებოდა.

“არ შეგეშინდეს,” თქვა მისმა ძმამ. “პოლიციასთან ერთად ვიდგები გარეთ კარებთან, რამე რომ მოხდეს.” ტარას უკვირდა რა ხდებოდა ისეთი ეკლესიაში რომ გაძლიერებული დაცვა ესაჭიროებოდა.

მომდევნო დღეს, ოთხ საათზე, ტარა ეკლესიაში შევიდა, ცოტა არ იყოს თრთოდა, მაგრამ დაცვა და ძმა გარეთ ელოდა. გარდა მეჩეთის ეზოში შემხვედრი კაცისა, ტარას არასოდეს უნახავს ადამიანი რომელიც მუსულმანი არ ყოფილა. ფიქრობდა, ნეტავ როგორები იყვნენ ქრისტიანები, როგორ იქცეოდნენ. საშიშები არიან?

ეკლესიის დარბაზში, უკან, ადგილი დაინახა და დაჯდა. მთავარ გასასვლელთან ახლოს ადგილი აირჩია, რადგან ადვილად გაიქცეოდა რამე რომ მომხდარიყო. ხის სკამების უმეტესობა უკვე სავსე იყო ხალხით, გალობაც უკვე დაწყებული. დარბაზში მსხდომები სხვა პარტიას მღეროდნენ, და ტარას ლირიკის რამოდენიმე ადგილი ბიბლიის შესწავლის საგამოცდო ტექსტიდან ეცნო.

გალობის შემდეგ კაცი სცენაზე ავიდა და ლოცვაზე დაიწყო ქადაგება. მან თქვა, რომ თუ ვინმეს რაიმე ლოცვის საკითხი ჰქონდა წინ გამოსულიყო.

რამოდენიმე ადამიანი წინ წავიდა და ტარამ ის კაცი დაინახა, გუშინ რომ ეზოში შეხვდა. პატარა გოგონა ეჭირა ხელში, დაახლოებით რვა წლისა; ტარა ფიქრობდა რომ ერთ-ერთი მისი

ქალიშვილთაგანი უნდა ყოფილიყო. გოგონა დასახიჩრებული ჩანდა. მისი ხელები მოშვებით ეკიდა მამამისის ზურგს უკან. თვალები ცარიელი ჰქონდა, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა.

კაცი წინ გავიდა და ხმამაღლა დაიწყო ლოცვა, ღმერთს თავისი შვილის განკურნებას სთხოვდა. სხვებიც შემოუერთდნენ ლოცვაში. ტარამ კვლავ გაიფიქრა რომ ადამიანი სულელი უნდა ყოფილიყო, ღმერთთან ლაპარაკი რომ ეცადა. რატომ ჩამოვა ღმერთი დაბლა ამ ბავშვის განსაკურნებლად? ტარასათვის ამას არანაირი აზრი არ ჰქონდა. მიუხედავად მისი სკეპტიციზმისა, განცვიფრებული იყო მომხდარით და უნდოდა ყველაფერი დაემახსოვრებინა თავისი თეზისისათვის.

შემდეგ შენიშნა რომ საპყარმა გოგონამ მოძრაობა დაიწყო. ფეხები ნელ-ნელა გაუსწორდა, მამამისმა დაბლა ჩამოუშვა, იატაკზე, რომ ფეხზე დამდგარიყო. ღმერთო ჩემო! გაიფიქრა, არ მჯერა რომ ეს ხდება.

ეკლესია სადიდებელს გალობდა, როცა პატარა გოგონამ, ამჯერად უბედურებისაგან განკურნებულმა, ჰოლში ჩამოიარა, ტარას თვალებში შეხედა. როდესაც იგი ტარას სკამს მიუახლოვდა, უბრალოდ თქვა, "ემანუელ," შებრუნდა და უკან წავიდა მამამისთან.

ტარას შეეშინდა მომხდარის–ყველა იმ ფიქრებისა რაც მის გონებაში ტრიალებდა. რატომ მოვიდა მასთან ეს პატარა გოგონა, ამდენი ხალხია ეკლესიაში? როგორ გაუსწორდა ფეხები? ან რას ნიშნავს ემანუელ? რელიგიის საკითხების შესწავლა უფრო მეტ შეკითხვებს იწვევდა ვიდრე პასუხებს. გადაწყვიტა გაეგო რა ხდებოდა.

უჭირდა ძმისათვის ეთქვა რისი მოწმეც გახდა ეკლესიაში. მაგრამ ნამდვილად არ დაავიწყდებოდა იგი. მოგვიანებით, როდესაც იგი პაკისტანში დაბრუნდა, იმ ერთადერთ ადგილს დაუბრუნდა სადაც ფიქრობდა რომ პასუხს იპოვიდა. ლურჯი ბიბლია, რომელიც ტესტების შევსების შემდეგ აღარ წაუკითხავს; ყურადღებით ეძებდა ჭეშმარიტებას. ყოველ დღე სწავლობდა წმინდა წერილს, ცდილობდა შეესწავლა ბიბლიასა და ყურანს შორის არსებული განსხვავება, ცდილობდა გაეგო რატომ იყვნენ მუსულმანები ქრისტიანების წინააღმდეგ.

ქრიატიანების ღმერთი ნამდვილი უნდა იყოს, იფიქრა მან. *სხვაგვარად როგორ შეიძლება მან გაიგოს ლოცვა?*

გაცემული

საბოლოოდ ტარა დარწმუნდა რომ ამაზე შორს წასვლა აღარ შეეძლო მარტოს. რელიგიის კურსმა, მიუხედავად განათლებისა- და იმან რისი მოწმეც ეკლესიაში გახდა და რასაც ბიბლიაში კითხულობდა–დამატებითი კითხვები გამოიწვია. ერთი სული ჰქონდა გაეგო რა ხდებოდა.

"მამა, მეგობრებთან ერთად მივდივარ," უთხრა ტარამ მამას სახლიდან გასვლისას. თექვსმეტი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევა იყო რომ მამას მოატყუა, თან დანაშაულის შეგრძნებამ დაუარა ტანში, მდიდრული ოჯახიდან გამოსვლისას. უნდა გაეგო ქრისტიანული რელიგიის შესახებ. იცოდა რომ მხოლოდ ეკლესიას შეეძლო ამაში დახმარების გაწევა.

ქალაქის გადაღმა ეკლესიისაკენ აიღო გეზი და ტაძარში ჩუმად შევიდა. მსახურება იწყებოდა. დასასრულს, საკუთარი თავი წარუდგინა კაცს, რომელიც მსახურებას უძღვებოდა და უთხრა რომ რამოდენიმე შეკითხვა ჰქონდა. ხუცესიც დაეთანხმა. ტარა ვარაუდობდა რომ ეკლესია ეკლესია იყო, ქრისტიანი ქრისტიანი და ნებისმიერ მათგანს შეეძლებოდა მისი დახმარება. საუბედუროდ, ამ შემთხვევაში, ცდებოდა.

ხუცესი უხერხულად ჩავარდა ტარას შეკითხვებით, რადგან კვირეების განმავლობაში მოდიოდა მასთან სასაუბროდ. იგი საკუთარი თავის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, რამოდენიმეჯერ უთხრა, უკეთესი იქნებოდა თუ აღარ მოვიდოდა. "სხვაგან სად შეიძლება წავიდე ამაზე პასუხის მოსაძებნად?" უპასუხა ტარამ.

მისმა შეუპოვრობამ გაიმარჯვა ცოტა ხანს, საბოლოოდ ხუცესმა მოსალოდნელი რისკი იგრძნო. მომავალი საშიშროებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ტარას მამას შეხვდა და უთხრა რომ მისი ქალიშვილი ეკლესიაში მიდოდა მასთან ბიბლიის შესახებ შეკითხვებით. რამოდენიმე წუთში გაყიდა თინეიჯერი გოგონა, რომელიც მართლა ცდილობდა გაეგო ვინ იყო ღმერთი.

"როგორ ფიქრობ, რას აკეთებ?!" ყვიროდა შუადღისით სახლში დაბრუნებული მამა. "გაქვს თუ არა წარმოდგენა

როგორი სირცხვილი მოუტანე ოჯახს? როგორ შეგეძლო დაგეშვა და შეხვედროდი ამ კაცს? ის მუსულმანი არ არის. ის ქრისტიანია! რა, სულელი ხარ? ეხლა შენც ერთ-ერთი მათგანი ხარ?"

ტარა შოკში ჩააგდო მამამისის რისხვამ; ასეთი არასოდეს უნახავს. ცდილობდა აეხსნა, რომ უბრალოდ კითხვებს იძლეოდა და ქრისტიანობაზე მოქცევის არანაირი მცდელობა არ ჰქონდა, მაგრამ მას აღარ უსმენდნენ. ატირებული ტარა ოთახიდან დაითხოვა გაბრაზებულმა მამამ. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რაში გახვია საკუთარი თავი, ან როგორ უნდა გაექარვებინა მამამისის რისხვა.

ჯერ კიდევ ჰქონდა პასუხგაუცემელი კითხვები. მიუხედავად გადატანილი სცენისა, ოთახში ჩაიკეტა და პატარა, ლურჯ, ტყავისყდიან წიგნს მიუბრუნდა. ცრემლებს იწმენდდა, წიგნი გადაშალა მაგრამ წაკითხვა უჭირდა, თვალწინ ედგა რა მამამისის სიტყვები.

თანდათან წინაპართა გამოთქმებმა ჩაითრია, მღელვარება დაუცხრო და ამხნევებდა ღმერთის სიყვარულით. წმინდა წერილის კითხვაში ისე გაერთო, რომ რა დრო იყო აღარ ახსოვდა, და ვერ შენიშნა ოთახში შემოსული მამამისი. თავდაპირველად მისი სახის გამომეტყველება ასახავდა კაცს, რომელიც წუხდა ქალიშვილისადმი ბოროტი ყვირილის გამო. მაგრამ, როდესაც მან დაინახა, თუ რას კითხულობდა იგი, მისი მომნანიებელი სახე მძვინვარედ გადაიქცა. "შენ ქრისტიანი ხარ! ეხლა კი ვიცი რომ ხარ!" დაიყვირა მან. "მამიკო, გპირდები რომ არ ვარ. უბრალოდ ცნობისმოყვარეობაა. უნდა მერწმუნო!"

"ნუ მატყუებ! მაშინ რატომ კითხულობ ბიბლიას?"

"მამიკო, გთხოვ! ეს უბრალოდ წიგნია, რომელსაც ვკითხულობ. შენ იცი რომ ამ ბოლოს ბევრს ვსწავლობდი." სასოწარკვეთით ცდილობდა ტარა დაერწმუნებინა მამამისი საკუთარ უმწიკვლობაში როდესაც ძლიერი ხელი სახეში გამოუქანა.

"როგორ შეგიძლია ეს გაუკეთო შენს ოჯახს? ჩვენ მუსულმანები ვართ!" მან უკან დაიხია შოკისა და ტკივილისაგან, თვალები გაუფართოვდა მოულოდნელობისაგან. მამა არ მოეშვა და კიდევ ერთხელ უთავაზა. "ჩვენ მუსულმანებად დავიბადეთ,

და მუსულმანებად მოვკვდებით. ამის შემდეგ აღარა ხარ ჩემი შვილი!"

ტარას ღრიალზე მისი უფროსი ძმა შემოვარდა, რათა გაეგო რა ხდებოდა. "შენი და ქრისტიანი გახდა! ხუცესს სტუმრობდა, ეხლა კი ვნახე რომ ბიბლიას კითხულობს!"

მოისმინა რა ბრალდება, ტარას ძმის წუხილი მძვინვარებად გადაიქცა, მამამისს შეუერთდა ტარას საცემად. მისი თვალები ლურჯ ბიბლიას წააწყდა და ბოროტად დაიწყო მისი ოქროს კიდეებიანი ფურცლების ხევა. ტარას მამამ ნაჭრის ქამარი აიღო, ორად მოკეცა და სახეში გადაუჭირა, შემდეგ კი მხრებზე, იატაკზე მობუზულსა და ისტერიულად მომტირალს.

"მამა, ქმარი უნდა უპოვო. იჩქარე, ვიდრე შორს წავიდოდეს საქმე," თქვა მისმა ძმამ, დაძაბულობისაგან სახეგაწითლებულმა. ორმა კაცმა როგორც იქნა ოთახი დატოვა და მამამისი თავს იქნევდა ნიშნის მოგებით.

"ემანუელ, ემანუელ"

ტიროდა ტარა, ოთახის შუაგულში, იატაკზე, აღამაღლა პირველი ლოცვა: "ღმერთო, არ ვიცი რას ლაპარაკობენ მამაჩემი და ჩემი ძმა. მე ქრისტიანი არა ვარ; მუსულმანი ვარ. უკვე აღარ ვიცი რომელი გზით წავიდე. გთხოვ მიჩვენე გზა და გავყვები."

ლოცვის შემდეგ სიმშვიდე იგრძნო და იატაკზევე ღრმად ჩაეძინა. ცოტა ხნის შემდეგ იგრძნო რომ ვიღაცამ თავი აუწია და თბილად ეალერსებოდა სახეზე. ხმა მოესმა; თითქოს ვიღაც მოძრაობდა მის უკან. ხმა ამბობდა, "ემანუელ, ემანუელ", ტარა უცბად წამოდგა და ირგვლივ მიმიოხედა, ოთახი ცარიელი იყო. უცნაური სიზმარი გაიხსენა–სიზმარი იყო არა? ეცადა გაეხსენებინა ის უცნაური სიტყვები, რომელიც ეს–ესაა მეორედ მოისმინა: "ემანუელ."

ტარა საწოლზე წამოწვა და კვლავ დაიწყო ფიქრი ირანში მომხდარ შემთხვევაზე.

"რას უნდა ნიშნავდეს?" თქვა ხმამაღლა გაოცებულმა. "რატომ მესმის ეს სიტყვა გამუდმებით?"

საკუთარ სახეს ფრთხილად შეეხო, ჯერ კიდევ კრთოდა ტკივილისაგან. მამამისს არასოდეს უცემია იგი, მთელი

სიცოცხლის განმავლობაში, განადგურებული იყო მისი სიბრაზით და სურვილით რომ ეცემა იგი. ის და მამამისი ყოველთვის ახლოს იყვნენ. იცოდა რომ ეს აღარასოდეს იქნებოდა ასე. იცოდა რომ მამამისი რისხვას ასე ადვილად ვერ შეიკავებდა.

და არც მისი ჯიუტი ძიება ჭეშმარიტებისა.

რამოდენიმე დღის შემდეგ ტარას მამა ქალიშვილს მიუჯდა, ჯერ კიდევ დალურჯებული ჰქონდა სახე ცემისაგან. მამა მწუხარე სახით შეჰყურებდა თვალებში. "ტარა, ვწუხვარ რაც შენს მიმართ ჩავიდინე," თქვა მან. "სამარცხვინოა მამისათვის ცემოს საკუთარი ქალიშვილი. უნდა გაიგო რომ შენი ტკენა არ მქონია გულში განზრახული. ის, რა წარმოდგენაც შენ მომეცი აუტანელი გახდა ჩემთვის. გთხოვ, მაპატიო." ჩუმად იჯდა, არ ეჯერებოდა მამამისის ასეთი მოულოდნელი თავაზიანი ცვლილება. "ვიცი რომ დროა," გააგრძელა მან, "რომ გათხოვდე."

ტარას გაახსენდა რა თქვა მისმა ძმამ ცემის შემდეგ. იგი მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო და ჯერ განზრახული არ ჰქონდა გათხოვება. "მამიკო, ძალიან პატარა ვარ გათხოვებისათვის. მინდა რომ სწავლა დავამთავრო." ეცადა მშვიდი გამომეტყველება მიეღო.

მამამისი ადგა და უფრო მკაცრი ხმით თქვა. "მე ვთქვი რომ უნდა გათხოვდე. ეს რჩევა არ არის."

ტარა აცახცახდა, რადგან მამამისის ხმაში სიცივე იგრძნობოდა, მაგრამ არ უნდოდა ასე ადვილად დანებებოდა. "არა, მამა, არ მინდა. ძალიან პატარა ვარ, და პირველ რიგში მინდა რომ სწავლა დავასრულო. არ მინდა შეთანხმებით გათხოვება, მამა! ვინ არის ის? რა ქვია? რომელი რელიგიის წარმომადგენელია?"

სიტყვები დაუფიქრებლად წამოსცდა. სულელური იყო მუსულმანი გოგონასაგან ამის თქმა. მისი ოჯახისათვის მხოლოდ ერთადერთი რელიგია არსებობდა: ისლამი. მამამისი კვლავ გამძვინვარდა, ყვიროდა, "რას გულისხმობ, რომელი რელიგიიდან არის? აქ მხოლოდ ერთი რელიგია არსებობს! ჩვენ მუსულმანები ვართ!" მაჯაში სწვდა, თავისკენ მიიზიდა, რათა თვალებში ჩაეხედა პირდაპირ. "შენ ქრისტიანი ხარ! ეხლა კი დარწმუნებით ვიცი!"

ვიდრე ტარა სიტყვას იტყოდა დასაცავად, კვლავ მოხვდა მამამისის ძლიერი ხელი სახეში. მართლაც დარწმუნდა რომ

მისი ქალიშვილი ქრისტიანობაზე მოექცა, საპასუხოდ ის გააკეთა რასაც ფიქრობდა, რომ მის მოვალეობაში შედიოდა.

ოთახში შემოსულმა მისმა ერთ-ერთმა დამ დაინახა, როგორ გაარტყა კიდევ მამამ სახეში... დამ შიშისა და შოკისაგან დაიყვირა.

მის ახლო-მახლო მყოფი ოჯახის წევრები თუ მსახურები გაუნძრევლად იდგნენ, მამამისმა და მისმა ძმამ თავის ოთახში შეათრიეს და კარები მიუკეტეს მის გულშემატკივრებს. ტარა კუთხეში მოიბუზა და მომავალზე ფიქრისაგან კანკალებდა, რისთვისაც საკმარისი მიზეზი გააჩნდა.

მამამისმა და მისმა ძმამ იმით დაუწყეს ტარას ცემა, რაც კი სასწრაფოდ მოხვდათ ხელში: ღამის ნათურის ელექტრო თოკითა და მისი კარადიდან გამოღებული ტანსაცმლის საკიდი ჯოხით. შემდეგ მოაგროვეს და გარეთ–ჰოლში გამოყარეს მისი ოთახის–საწოლი, ფარდაგი, ელექტრო ხელსაწყოები და ყველაფერი. როდესაც საშინელი სცენა დასრულდა, ტარა ცარიელი ოთახის შუაგულში დაწვა სისხლიან იატაკზე. ვიდრე საბოლოოდ მამამისი კარებს მიიჯახუნებდა, ეს თქვა, "ან გათხოვდები, ან მოკვდები. აირჩიე. თუ ქრისტიანი ხარ, მაშინ ადგილი არ არის შენთვის ამ ქალაქში. თუ გათხოვდები, მაშინ შეიძელბა რომ ჩემი შვილი იყო. თუ, არა და აქ მოკვდები, მარტო."

გაქცევა

იწვა ცივ იატაკზე და უგონოდ აქეთ–იქეთ წრიალებდა. არავის არ ჰქონდა მისი დახმარების ნება. ოჯახი ფიქრობდა რომ ნამდვილად გაგიჟდებოდა უჭმელობისა და წამლების გარეშე. მესამე დღეს გაოცებული წამოჯდა, გასისხლიანებული თმები იატაკს იყო მიწებებული. ეცადა წარმოედგინა მომხდარი, გულისრევის ტალღა იგრძნო და დამწუხრდა, როდესაც ჭრილობები დაინახა სხეულზე. ვერასოდეს იფიქრებდა თუ ღმერთის ძიება აქამდე მიიყვანდა. ეხლა მხოლოდ ერთადერთი რამ ადარდებდა, გაქცეულიყო სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. აქამდე ერთი დღეც კი არ გაუთევია გარეთ, ოჯახის წევრის გარეშე, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რა გაეკეთებინა მარტოს. იცოდა რომ უნდა წასულიყო.

როგორღაც ტანსაცმლის კარადამდე მივიდა, ნახა რომ ირანიდან ჩამოტანილი სამგზავრო, პატარა ჩანთა დარჩენოდათ. მასში მცირეოდენი ჩასაცმელი, ფული, სამკაული და პასპორტი იდო. ნელა გამოიცვალა სისხლიანი ტანსაცმელი, ყოველ მოძრაობაზე ოხრავდა. როცა მზად იყო, ოთახის შუაში დადგა და ირგვლივ მიმოიხედა საბოლოოდ. იცოდა, თუ წავიდოდა ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა უკან. მის კულტურაში გაქცევა ისეთივე ცუდი იყო როგორც ქრისტიანად ყოფნა, და რომ მისი ოჯახი ვერასოდეს მიიღებდა ამ დამცირებას. გაქცევისას რომ მოეტანებიათ მოკლავდნენ, სულ ერთია.

მძიმე გულით გადაძვრა საძინებლის ფანჯრიდან და ავტობუსის სადგურისაკენ აიღო გეზი. დასიებული, გაშეშებული და გულნატკენი, ერთადერთი რაც აიძულებდა ევლო, იყო შიში, რას იზამდნენ მამამისი და მისი ძმა, რომ მიეგნოთ და ამოეცნოთ უფრო მეტი სურვილი მის გულში, რაც შეიძლება მეტი გაეგო ქრისტიანი ღმერთის შესახებ. როდესაც ავტობუსის სადგურს მიაღწია, ერთი მიმართულების ბილეთი შეიძინა, ქალაქიდან რამოდენიმე საათის მოშორებით, ადგილი, რომელიც ნაცნობი იყო მისთვის. სადაც რამოდენიმეჯერ ყოფილა ოჯახთან ერთად, დაგეგმა რომ იქ მოეძებნა თავშესაფარი, ეკლესიაში, რომელიც იქ დაუნახავს.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქრისტიანი აღმოუჩენდა დახმარებას, გაიფიქრა მან.

გრძელი მგზავრობისაგან უსაქმო ადამიანები, გაოცებული მიშტერებოდნენ თინეიჯერ გოგონას და ჩურჩულებდნენ, უყურებდნენ როგორც მომხიბვლელ, გამოჩენილი ოჯახის გოგონას. ტარა მოიკრუნჩხა დამცირებისაგან, იცოდა რა მგზავრების ფიქრი. ახალი გამოცდილება იყო მისთვის და იმედოვნებდა რომ ღვთის ძიება ღირდა ყველაფერ იმად, რაზეც მან უარი თქვა. ცდილობდა თვალი მოერიდებინა მგზავრების მზერისათვის, იმედოვნებდა რომ პოლიციაში არ წაიყვანდნენ. მის ქვეყანაში ქალებს თითქმის არა აქვთ უფლებები და შეუძლებელია ქუჩაში ნახო ქალი, მამაკაცის თანხლების გარეშე.

როდესაც ავტობუსმა დანიშნულების ადგილამდე მიაღწია, ტარა სწრაფად გადმოვიდა და ეცადა რომ ხალხს შერეოდა, არც

თუ ისე ადვილი იყო მისი დასივებულ და დასისხლიანებული მდგომარეობისათვის, მაგრამ იფიქრა რომ როგორც კი ეკლესიაში მივიდოდა მაშინვე გაიწმენდდა სახეს.

ეკლესიაში მისულს ხსნის არმიის ოფიცერი დახვდა კარებში მდგარი. გასაოცრად, კაცი ეცადა გადაეთქმევინებინა ტარასათვის იქ დახმარების ძებნა. "თქვენს ადგილას რომ ვიყო არ მენდომებოდა ამ ეკლესიის ხელმძღვანელთან მარტო შეხვედრა. რაღაც ჭორები დადის," თქვა მან.

ტარას ცრემლები ადგა თვალებზე. "რა არის ეს?" იკითხა მან. "მე ვიფიქრე რომ ქრისტიანი ქრისტიანია, ეხლა თქვენ მეუბნებით რომ ეს ეკლესია კარგი არ არის ჩემთვის? ამის გამო დავტოვე სახლი?"

"წამოდი ჩემთან სახლში," თქვა კაცმა თბილად. "მე შემიძლია დაგიცვა და დაგეხმარო."

მიუხედავად იმისა რომ ტარას კარგი შეხედულება არ ჰქონდა კაცთან სახლში სტუმრობაზე, მეტი გზა არ ჰქონდა და უხალისოდ დასთანხმდა. აღმოჩნდა, რომ მას ცოლი და ორი ვაჟი ჰყავდა. ოჯახში ყველა კარგად ეპყრობოდა–დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში. მალე ოჯახში ჭორი გავრცელდა; ცოლი ეჭვობდა რომ ქმარს შესაძლოა ამ ლამაზ, ახალგაზრდა სტუმართან რომანის გაბმა სურდა. საბოლოოდ ტარას აღარ შეეძლო ამდენი დაძაბულობის ატანა; მან კაცს სთხოვა რომ სადმე, სხვაგან წაეყვანა. "ვიღაცას უნდა იცნობდეთ სხვა ქალაქში, ვინც დამეხმარება," სთხოვდა ის. "თქვენ მარტო წამიყვანეთ, გთხოვთ და მე ვიშოვი სამუშაოს. ვაფასებ თქვენს დახმარებას, მაგრამ არ მინდა რომ რაიმე უკმაყოფილება მივაყენო თქვენს ოჯახს."

"მე ვიცნობ კაცს, ვისაც შეეძლება შენი დახმარება. სინამდვილეში ის შენი ქალაქიდანაა," თქვა ხსნის არმიის კაცმა.

ტარას შიშმა დაუარა ამ სიტყვების გაგონებაზე. "არ ვფიქრობ რომ ეს კარგი აზრია," თქვა მან. "გთხოვთ, მამაჩემმა არ იცის სად ვარ და არც მინდა გაიგოს. ძალიან გთხოვთ ამას ნუ გამიკეთებთ."

"ნუ გეშინია," არწმუნებდა კაცი. "მე ვიცნობ მას. ის დაგეხმარება."

უარყოფილი ბიძა

არჩევანი სწრაფად ამოიწურა, ტარა დასთანხმდა კაცთან შეხვედრას. პირველად, როგორც კი დაინახა იგი, წინასწარ დათქმულ შეხვედრის ადგილას, კინაღამ გული წაუვიდა. "ეს მამაჩემია! მომატყუეთ!" დაიყვირა მან.

"არა, ეს მამაშენი არ არის. გპირდები," თქვა კაცმა. "მიდი და შეხვდი."

ტარას უდიდესი განცვიფრება, აღმოაჩინა რომ კაცი სინამდვილეში ბიძამისი იყო, რომელსაც არასოდეს არ შეხვედრია, რომელსაც არასასიამოვნო დამოკიდებულება ჰქონდა მამამისთან. "რატომ არაფერი უთქვამს მამაჩემს შენს შესახებ?" ჰკითხა მას ტარამ.

"1952 წელს გავხდი ქრისტიანი, ვიდრე შარიას კანონი მოქმედებაში გამოვიდოდა," აუხსნა ბიძამ, მიმართავდა ქვეყანაში გადმოღებულ ისლამურ კოდს. "მაშინ ლეგალური იყო ქრიატიანად მოქცევა, საზოგადოებრივად არ იყო მიღებული. მამაშენმა უარმყო. მას შემდეგ აქ ვმუშაობ ხუცესად. ნუ გეშინია. მე ვიზრუნებ შენზე; შეგიძლია ჩემი შვილი იყო."

ტარას შვების ტალღამ გადაუარა; იგრძნო რომ იმედის ნაპერწკალმა დაიწყო მასში გაღვივება; შეიძლება დაფუძნდეს, სამუშაო იპოვოს, სწავლაც გააგრძელოს.

მალე დარწმუნდა რომ ბიძამისი ძალიან კეთილი და თბილი ადამიანი იყო. თანდათან გაიზარდა მის მიმართ არსებული სიყვარულის გრძნობა და პატივს სცემდა. იგი დიდ დროს ატარებდა ტარასთან ქრისტიანობაზე საუბარში, და უპასუხა ყველა მის შეკითხვას. ისიც უთხრა რას ნიშნავდა ემანუელ. ბიძამისთან რამოდენიმე თვის ცხოვრების შემდეგ, ტარა ფიქრობდა რომ უკვე მტკიცე საფუძველი ჰქონდა იმის თაობაზედ, თუ, ვინ იყო იესო, საბოლოოდ ილოცა, ღმერთს ყველა ცოდვის პატიება სთხოვა და მთელი გული მას მიუძღვნა.

ტარას ღვთის ძიებამ ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ტანჯვა ეხლა იწყებოდა...

განსაცდელი მაშინ დაიწყო, როდესაც ბიძამისთან ბიძაშვილი მოვიდა სტუმრად და ტარა იცნო. "ოჰ, არა," არწმუნებდა ბიძამისი. "ის უბრალოდ მეგობარია და ცოტა ხნით სტუმრობს."

ბიძაშვილის არ დაეჯერა. სახლში დაბრუნებულმა ტარას მამას დაურეკა და უთხრა, რომ მისი ქალიშვილი ბიძამისთან იმალებოდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ტარა სამზარეულოში საქმიანობდა, რომ წინკარიდან აჩქარებული ნაბიჯის ხმა შემოესმა. ტარა იმ მიმართულებით გაეშურა და დაინახა ბიძამისი, სასოწარკვეთით იქნევდა ხელებს, "მამაშენია. მოდის, უნდა წახვიდე–ეხლავე! წადი! ჩემი მეგობრის ფერმაში წადი, ქალქაგარეთ. ადრე გითხარი მის შესახებ. აი, ფული; *ეხლავე გაიქეცი!* ნუ სწუხხარ. არაფერს ვეტყვი მამაშენს შენს შესახებ. რამდენიმე დღეში მოგინახულებ."

ტარას მამა და ძმა უკვე წინკართან იყვნენ, როდესაც იგი უკანა კარებში გავიდა. ფიქრის დრო არ ჰქონდა, მხოლოდ უნდა ერბინა. ადრენალინმა მისცა ძალა, ისე სწრაფად ერბინა როგოც გარბოდა. ჯიბეში მისამართი მოძებნა, რომელსაც ბიძამისის თხოვნით მუდამ დაატარებდა, ამდაგვარი რამ რომ ოდესმე მომხდარიყო. მთავარ ქუჩას მიაღწია, გულამოვარდნილმა სიარული შეანელა. არ უნდოდა რომ ეჭვი აღეძრა ამ ხალხმრავალ ქალაქში. ტაქსი გააჩერა, დაჯდა და თვალები დახუჭა. არ ეჯერებოდა რომ ახლად ნაპოვნ ბიძასთან მოკლე, ორი თვის გატარების შემდეგ კიდევ გარბოდა. მიუხედავად იმისა რომ ადრენალინი სწრაფ სირბილში დაეხმარა, სამაგიეროდ გული ამოუგდო, ტარამ უცნაური სიმშვიდე იგრძნო სხეულში. ჩუმად ილოცა მამამისისა და ძმისათვის რომ დიდი მწუხარება არ მიეყენებინათ ბიძისათვის.

ტარა ათი დღე დარჩა ფერმაში, ვიდრე ქალაქში საქმე დაწყნარდებოდა. ბოლოს ბიძამისი მოვიდა მის სანახავად და ერთი სული ჰქონდა მასთან ერთად სახლში წასვლის. როდესაც ბიძამისის სახე დაინახა, გული მოეწურა. "რა ხდება, ბიძა?" ჰკითხა მან.

"იცი, როგორ გამიხარდა ეს ორი თვე შენი სტუმრობა," დაიწყო მან, თან თვალებს არ აშორებდა მის სახეს. "ისე ვგრძნობდი, თითქოს ღმერთმა მომცა გოგონა, რომელიც ყოველთვის ძალიან მინდოდა–ორგვარად სისხლითაც და სულითაც. შენ ვერ წამოხვალ ჩემთან უკან. ეს უბრალოდ ძალიან საშიშია. ვწუხვარ რომ მე ვარ ის, ვინც ამას გეუბნება, მამაშენმა თქვა რომ უნდა

მოკვდე. ეს მისი და მისი ოჯახის პატივის საკითხი იყო.”

ტარამ იცოდა რომ ბიძამისი სიმართლეს ეუბნებოდა. მამამისი და მისი ძმა არასოდეს შეწყვეტდნენ მის ძებნას, ეჭვიც კი არ ეპარებოდა რა მოხდებოდა, რომ ეპოვათ. საკუთარი თავის სიბრალულმა გადაუარა გონებას, ბიძამისის სახის მოწყენილობა გულში ჩარჩა, რაც დაეხმარა ყურადღება საკუთარი თავიდან, მასზე და მის საცოდაობაზე გადაეტანა.

“ბიძია, გთხოვ, ნუ იდარდებ,” თქვა მან, ხელების მტვრევით. “მე უნდა ვწუხდე რომ ამდენი ტანჯვა მოგაყენე. ღვთის მადლიერი ვარ, რომ თქვენამდე მომიყვანა. თქვენ მომეცით პასუხები იმაზე, რასაც ვეძებდი, ეხლა ისეთი სიმშვიდე მაქვს როგორიც არასოდეს განმიცდია. ვერასოდეს შევძლებ სიკეთის გადახდას.”

ცრემლიანი გამომშვიდობება. ტარა კიდევ ერთხელ ეთხოვებოდა ახალ სახლს. ბიძამისმა მოაგვარა, რომ მოშორებით ქალაქში იცხოვრებდა, ნაცნობის ოჯახში. ეცადა მწუხარება დაემალა ბიძამისისათვის განშორებისას. თავის გულში ფიქრობდა, ნეტავ თუ ოდესმე დასრულდებოდა სირბილი....

ლტოლვილი პატიმარი

ტარა ხელგაშლილებმა მიიღეს ახალ სახლში. ოჯახი შედგებოდა ადგილობრივი ხუცესის, მისი მეუღლისა და სამი ვაჟისაგან. ბიჭებმა ტარა მალევე აღიარეს, როგორც ახალი და. უფროსი ვაჟი, რუბინი, განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო ტარას მხნეობით.

ძმის და მამისაგან დაცვის მიზნით, რომლებიც აგრძელებდნენ მის ძებნას, ტარას ახალმა ოჯახმა სთხოვა, რომ თავის ოთახში დარჩენილყო დროის უმეტესი ნაწილი. დღისით და ღამით, როცა ვინმე მოდიოდა სტუმრად (რაც, როგორც ქმარი, მამა და ხუცესი ყოველ დღე ხდებოდა).

ტარას ოთახი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთი საძინებლად, მეორე სასწავლო განყოფილებად. ორივე ეს ოთახი, იმ ოთახის ნახევარსაც არ შეადგენდა სადაც ის გაიზარდა. სამაგიეროდ ამოისუნთქა, იმ ოჯახთან ყოფნით რომელსაც შეიძლება ნდობოდა, მაგრამ ასეთი პატიმრობის ატანა დიდხანს არ შეეძლო.

“ძალიან გთხოვთ, ნება მომცეთ ოთახიდან გამოსვლის,” იხვეწებოდა ერთ დღეს. “ვიცი რომ ჩემს უსაფრთხოდ დაცვაზე ზრუნავთ, თავს ისე ვგრძნობ როგორც პატიმარი. ამ გზით ცხოვრება აღარ შემიძლია.”

ხუცესს უნდოდა რომ ტარა გაეთავისუფლებინა, მაგრამ იცოდა რომ მამამისი და მისი ძმა კიდევ ეძებდნენ. ფაქტია რომ ისინი ქალაქში მოვიდნენ და ხალხს ეკითხებოდნენ და მისი მოკვლის სურვილს ამჟღავნებდნენ.

“ტარა, ცოტა ხანს კიდევ მოიცადე და გამოგიშვებთ,” უთხრა მან. “გთხოვ აგვიტანო. ეს შენთვის არის სასიკეთო.”

ტარამ იცოდა რომ არჩევანი არ ჰქონდა. ხალხს რომ დაენახა საშიში იქნებოდა არა მარტო მისთვის არამედ ოჯახისთვისაც, ვინც იშვილა. ეცადა რომ დრო ნაყოფიერად გამოეყენებინა და სწავლობდა, იყო დღეები, როცა არაფერს აკეთებდა გარდა ტირილისა. ეს პატარა ოთახი გახდა მისი სახლი მთელი წლის მანძილზე.

ერთხელ, სარამ ყური მოკრა ხუცესის საუბარს, რომ ეკლესიას ახალი მდივანი სჭირდებოდა. მომდევნო დღეს მას ოთახში ესტუმრა და ხვეწნა დაუწყო. “ხუცესო, გთხოვ, ძალიან გთხოვ, ნება მომცეთ რომ ეს სამუშაო დავიწყო! თქვენს ქადაგებებს ვბეჭდავ ერთი წელია, მას შემდეგ რაც აქ მოვედი. დარწმუნებული ვარ რომ მამაჩემი და ჩემი ძმა წავიდნენ ამ ქალაქიდან.”

ხუცესისათვის ადვილი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ იცოდა რომ მთელი ცხოვრება იმ ოთახში ვერ გამოამწყვრევდა. დასთანხმდა, ეკლესიის უფროსი ხუცესისათვის ეკითხა, თუ მიიღებდა ამ საქმეზე. მომდევნო კვირას ტარა ეკლესიის მდივანი გახდა. “ტარა გულდასმით მოისმინე,” მისცა ინსტრუქცია ხუცესმა. “შენ ჩემი დის შვილი ხარ, რომელიც სხვა ქალაქიდან მსტუმრობ, ეხლა უნდა დამიძახო “ბიძა” და ჩვენ დაგიძახებთ “რებეკას”. არავის არ უთხრა შენი ამბავი. გასაგებია?”

ტარამ არა მარტო გაიგო, არამედ გახარებულიც იყო.

ენთუზიაზმით შეუდგა ახალ საქმეს. ინგლისური ნასწავლი ჰქონდა და მალევე დაიმსახურა უფროსი ხუცესის მოწონება, რომელიც ბრიტანელი იყო. ეკლესიის ფინანსებზე წარმოდგენა მისცეს და საკვირაო სკალაში მასწავლებლობაც კი დაიწყო.

უფროსმა ხუცესმა იცოდა რა მისი მდგომარეობა, ნება დართა პირისპირ ემსახურა საიდუმლოდ გაქრისტიანებულ მუსულმანებთან. ტარამ იცოდა რომ ეს იქნებოდა მისი მსახურების გული, და მადლობდა ღმერთს რომ მანაც იგივე განსაცდელები გადაიტანა რაც ამ საიდუმლოდ მოქცეულებმა, რომელთა დამოწმებებიც უდიდესი გამხნევება იყო ყველასთვი.

ახალი საქმის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ, ტარა საიდუმლოდ იქნა მონათლული ეკლესიის შენობაში. მხოლოდ ნაშვილებ ოჯახს, უფროს ხუცესსა და ბიძამისს ეძლეოდათ დასწრების ნება.

ევანგელიზაციის წყურვილი

ახალ ოჯახში ორი წლის გატარების შემდეგ, ტარა უკვე თვრამეტი წლის იყო და სურვილი ჰქონდა გარეთ გასვლისა და უფრო მეტი მსახურებისა. უყვარდა თავისი საქმე როგორც ეკლესიის მდივანს, განსაკუთრებით, საევანგელიზაციო საქმიანობა. ევანგელიზაციის თანამშრომლების უმეტესობა ქრისტიანულ ოჯახებში იყვნენ დაბადებული, მაგრამ ტარას შეეძლო მუსულმანებთან ელაპარაკა როგორც მუსულმანის ოჯახში დაბადებულს. ტარა გადაურჩა ძმისა და მამის სისასტიკეს და ოჯახის მიერ იქნა საზოგადოებისაგან განდევნილი. ეს დამოწმება ჰქონდა გასაზიარებელი და იცოდა რომ მოუსმენდნენ.

“რუბინ, გთხოვ! გთხოვ, ნება მომცე შენთან ერთად წამოსვლის,” სთხოვა მან ერთ დღეს ხუცესის ვაჟს, საევანგელიზაციოდ გამგზავრების წინ.

“არა, ტარა,” თქვა მან და უჭირდა უარის თქმა, რადგან იცოდა როგორი სურვილი ამოძრავებდა ქადაგებისა. “ეს უბრალოდ ძალიან საშიშია. ვიღაცა განაწყენდება შენი დამოწმებით და პოლიციასთან დაგასმენს. მე შიეძლება დამაპატიმრონ, მაგრამ შენ მოგკლავენ.”

რუბინს საკუთარ დასავეთ უყვარდა ტარა და არ უნდოდა მისი საშიშროებაში ჩაყენება. მაგრამ იცოდა რომ დაიჟინებდა მასთან წასვლას და მართალიც იყო. არგუმენტი მზად ჰქონდა. “რუბინ, რა უფრო მნიშვნელოვანია,” თქვა მოთხოვნის ტონით მან, “ჩემი

უსაფრთხოება თუ, დაკარგული სულები, რომელთა გადასარჩენადაც შენ მიდიხარ?”

რუბინმა მარცხი აღიარა, რადგან ფიქრობდა რომ ტარა ევანგელიზაციის ხელოვნებას ფლობდა და ისიც მასთან ერთად გაემგზავრა.

მომდევნო ორ-წელ ნახევარმა განსაცდელის გარეშე ჩაიარა. ტარამ ცხოვრება მოაწყო როგორც ხუცესის დის შვილმა, კოლეჯში სწავლაც გაასრულა. ახალი როლიც აღმოაჩინა მუსულმანებისა და ჰინდუსების საიდუმლო ნათლობის საქმეში. რომელთა უმრავლესობა რუბინის და მისი ევანგელიზაციის ნაყოფს წარმადგენდა. იგი დაეხმარა აგრეთვე განათლების პროგრამისა და ბავშვების მსახურების წამოწყებაში.

ტარა მუდამ დაცვის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამდენი ხნის შემდეგ სიმშვიდეს გრძნობდა. ის დაფუძნდა ახალ ცხოვრებაში, ძმისა და მამის მუქარისაგან შორს. მისი ღელვა მხოლოდ ეკლესიის წევრებისაგან მოდიოდა, რომლებსაც არ ეჯერებოდათ რომ ხუცესის დის შვილი იყო და იმათგან, რომელბსაც მისი ეკლესიის ხელმძღვანელობასთან ერთად წამოწყებული მსახურების წინსვლა შურდათ. ეს ისეთი პრობლემა იყო, რომ შეეძლო გამკლავება. პრობლემა რომელსაც ვერ გაექცა, იყო ის, რომ ერთ კვირას ეკლესიიდან გამოსულს გარეთ შეხვდა კაცი...

კვლავ გაქცევა

ტარამ მაშინვე იცნო; თავისი ბიძაშვილი. ყველა ძარღვი დაეჭიმა დაძაბულობისაგან, ახალგაზრდა კაცმა თვალი გაუშტერა, გადაწყვიტა გვერდი ჩაევლო მისთვის ყურადღების მიქცევის გარეშე, თითქოს ვერ იცნო.

“მოიცადეთ! მინდა რომ დაგელაპარაკოთ,” დაუძახა მან.

ტარამ ხმაზევე შეატყო, რომ ბიძაშვილი ძალიან კმაყოფილი არ იყო მისი ნახვით. უკვე ოთხი წელია რაც წამოსულია და საკმაოდ შეიცვალა. უბრალოდ უარყო თხოვნა და გზა გააგრძელა, თითქოს ვერ გაიგონა. შემდეგ მოესმა სიტყვა, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდა...

“ტარა!”

ტარა შებრუნდა და მოჩვენებითი თავაზიანობით უპასუხა, “ოჰ, გამარჯობათ. მე მელაპრაკებით? ჩემი სახელია რებეკა. არ მგონია რომ გიცნობდეთ. იმედი მაქვს მაპატიებთ; ცოტა არ იყოს მეჩქარება.”

სახემ თუ არა, ხმამ მაინც გაყიდა. იცოდა რომ ბიძაშვილმა იპოვა რასაც ეძებდა. რამოდენიმე საათიღა რჩებოდა ვიდრე მამამისი და მისი ძმა გამოჩნდებოდნენ. გზა გააგრძელა და ცდილობდა მცირერიცხოვან ხალხს შერეოდა, პანიკამ მოიცვა. გულმა ისე სწრაფად დაუწყო ცემა, იფიქრა საგულედან ამოვარდებოდა.

ხალხმრავალ ქუჩაში ტაქსი გააჩერა. “აეროპორტში, გეთაყვა,” თქვა მან. საფულეში თანხა კი ჰქონდა, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა სად უნდა წასულიყო; მანამდე უნდა გასცლოდა იქაურობას, ვიდრე მამამისი და მისი ძმა იპოვიდნენ. აეროპორტში ფრენის ტაბლო შეამოწმა, სასოწარკვეთილი ფიქრობდა საით გადაეწყვიტა წასვლა. ბოლოს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის ერთ ქალაქში გაფრინდა; ფიქრობდა რომ საშიშროებიდან შორს იქნებოდა, ცოტა ხნით მაინც. წარმოდგენაც არ ჰქონდა სად წასულიყო თვითმფრინავის დაშვების შემდეგ, აეროპორტში გაათია ღამე. რუბინს დაურეკა რომ ნაშვილებ ოჯახს არ ედარდა. ამას გარდა, შეეძლო მხოლოდ თავის ფიქრებთან და მოგონებებთან ერთად მჯდარიყო და საკუთარი თავი ჩუმი ლოცვით დაეწყნარებინა. უარყო აზრი ეკითხა ღმერთისათვის, “რატომ მე?” მაგრამ დაიღალა გაქცევით ცხოვრებით, ნეტავ თუ ოდესმე უსაფრთხოდ სადმე დაფუძნდებოდა.

მომდევნო დღეს განადგურებული და ემოციურად დაღლილი ტარა ნაშვილებ ოჯახს დაუბრუნდა. მათ იმდენი დახმარება და სიყვარული მისცეს, რითაც საკუთარი ოჯახი და ეკლესიაც რისკის ქვეშ დააყენეს. რუბინმა უთხრა რომ ცდილობდა ვიზის აღებაში დახმარებოდა, რათა ქვეყანა დაეტოვებინა. ტარა ცოტა არ იყოს შეშინებული იყო, ამავდროულად გულს მოეშვა როგორც კი წასვლაზე ფიქრი დაიწყო. სულ რომ არაფერი სხვა ქვეყანაში ძვირფას მეგობრებს მაინც არ ჩააგდებდა განსაცდელში. მთავრობას რომ დაეჭირა, შეეძლოთ ეს შემთხვევა მთელი პაკისტანის ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. დიახ, უკეთესი იქნებოდა თუ წავიდოდა.

მოეჩვენა რომ ცოტა ხნით თუ გაჩერდებოდა ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ეკლესიის ორი წევრი შურით იყო შეპყრობილი, იმ ყურადღების გამო რასაც ტარა იღებდა ხუცესის ოჯახისაგან, მათ გადაწყვიტეს ყველაფრის თავის თავზე აღება. პაკისტანის პოლიციის სამსახურს დაურეკეს და აცნობეს, რომ ეკლესიის ერთი ახალგაზრდა წევრი, გოგონა, აქტიურ ევენგელიზაციას ეწეოდა.

რჯულგანდგომილი ქალიშვილი

მალე მილიციის ოფისში გამოიძახეს, სადაც უთხრეს რომ აგენტი ფაილს გახსნიდა მის სახელზე და მოაგროვებდა ყველა ინფორმაციას, რათა დარწმუნებულიყვნენ მტკიცებულების სისწორეში. ტარას არ ეჯერებოდა რომ ამდენჯერ დააღწია თავი საშიშროებას და ეხლა ეკლესიის წევრებმა გაყიდეს. ეკლესიის წევრების უმეტესობა გულკეთილი იყო, დარწმუნდა რომ წარსულზე არაფერი არ უნდა ეთქვა. მხოლოდ ერთი ან ორი ადამიანი დასჭირდა დინების მიმართულების შეცვლას. დინება დაბლა ეწეოდა, გრძნობდა რომ ვეღარასოდეს შეძლებდა თავის გართმევას.

ღმერთს შეღაღადებდა რომ კიდევ ერთხელ დაეხსნა. სიტყვა ემანუელი მოუვიდა თავში. იცოდა რომ ეს ღმერთის მასთან ყოფნას ნიშნავდა, ეს ფიქრიც კი საკმარისი იყო. სჯეროდა, თუ ღმერთმა თევზს ამოანთქმევინებინა იონა სანაპიროზე, ტარას პოლიციიდან დახსნასაც შეძლებდა!

ადვილი არ იქნებოდა. მათ ტარას პასპორტი ჩამოართვეს, დაკითხვას აგრძელებდნენ და ფორმას ავსებდნენ. რუბინი ხშირად მის გვერდით იყო და ცდილობდა პოლიცია დაერწმუნებინა, რომ გოგონა მისი და იყო, მაგრამ არ ტყუვდებოდნენ. გვარები არ ემთხვეოდა პასპორტში ერთმანეთს. ტარას პასპორტი მას როგორც მუსულმანს ისე ასახელებდა. რას აკეთებდა იგი ქრისტიან ოჯახთან?

სრული დღის პოლიციის მეურვეობის ქვეშ გატარების შემდეგ, ნება დართეს რომ სახლში დაბრუნებულიყო, მაგრამ არ დაეტოვებინა ქალაქი გაფრთხილების გარეშე. აგენტი მალე დაუკავშირდებოდა მას. ტარას ნიშანი სჭირდებოდა

ღმერთისაგან, რაღაც სჭირდებოდა რასაც ჩამოეკიდებოდა. პასპორტის გარეშე იყო დარჩენილი, მცირეოდენი დროღა რჩებოდა ვიდრე პოლიცია მის ნამდვილ ოჯახს შეატყობინებდა. საქმის ასეთი ბოლო მის აღსასრულს უდრიდა. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, რა მეთოდს გამოიყენებდა მამამისი მის მოსაკლავად.

ოფისიდან გარეთ გამოსვლისას, ერთ-ერთმა ოფიცერმა ჩასჩურჩულა. იგი იცნობდა მის ოჯახს, მაგრამ არაფერი უთქვამს, რადგან კარგად ესმოდა სიტუაციის სირთულე. "ტარა, მომისმინე," თქვა მან. "მე ერთ-ერთი შენი ბიძაშვილის მეგობარი ვარ. ვიცი ვინცა ხარ. ქვეყანა უნდა დატოვო, რაც შეიძლება მალე. მხოლოდ შენ არა ხარ საფრთხეში."

ტარა გაოცდა, მაგრამ ამოისუნთქა კიდეც. სასწაული იყო რომ ოფიცერმა არ დაასმინა. არა მარტო საიდუმლო შეინახა, არამედ დაარწმუნა კიდეც რა უნდა გაეკეთებინა. პაკისტანი უნდა დაეტოვებინა. როგორ? პასპორტი არ ჰქონდა. რომც ჰქონოდა სად უნდა წასულიყო?

რუბინი სასწრაფოდ წავიდა ერთი საელჩოდან მეორეში და ეცადა მისთვის ვიზის მიღებას. განუწყვეტლივ უარით აბრუნებდნენ. საელჩოები ამბობდნენ, რომ მას კავშირი უნდა ჰქონოდა ვინმესთან იმ ქვეყანაში, დასპონსორების მიზნით. ბოლოს, შუა აღმოსავლეთის ერთ საელჩოში წავიდა, რომელიც სამ თვიან ვიზას ათას ამერიკულ დოლარად დაჰპირდა. ტარა დიდად გახარებული არ იყო კიდევ ერთხელ მუსულმანურ ქვეყანაში მოგზაურობით, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა. იმავე დღეს თანხა გადაიხადა, გაიგო კიდეც რომ მის შესახებ დაპატიმრების ორდერს ამზადებდნენ. მათ აგენტებს შეუტყვიათ რომ ის აგვარებდა ყოფილი მუსულმანების ქრისტიანად ნათლობის საკითხებს. მისთვის განდგომილის სტატუსიც კი მიუნიჭებიათ. გაიგო რომ მშობლებსაც შეუვსიათ საბუთები მის წინააღმდეგ. დაუდასტურებიათ მისი გაქცევა და ისლამური კანონის მიხედვით, რჩევას იძლეოდნენ რომ ჩამოეკიდათ.

ღრმად ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, ბოლო დროს ოთახში იკეტებოდა. ყოველ დღე მოელოდა რომ მისი ოჯახი დაიჭერდა და მოკლავდა. უარესიც, მათ შეიძლება ახალი ოჯახიც ამოეხოცათ. და ეს ყველაფერი მის გამო. მისი ლოცვები მოკლე გახდა, მაგრამ ყოველთვის შეიცავდა ვნებიან ღაღადს, არ

დაეტოვებინა ღმერთს, ყოფილიყო მისი ემანუელი, მარყუჟის წინაშეც რომ მდგარიყო.

"ღმერთს რაღაც საქმე უნდა ჰქონდეს შენთვის"

ვიდრე ტარას იმედი ეწურებოდა, რუბინი დაკავებული იყო მისი პასპორტისა და პირადობის მოწმობის აღებით, რათა თან დაერთო ვიზის საბუთებისათვის. თმები შეაჭრევინა, მზის სათვალლეები გააკეთებინა, სურათის გადაღების დროს, საბუთი ჰქონდა, რომელიც ამბობდა რომ ძალიან ცუდად იყო და არ შეეძლო ოფისში საბუთების წამოსაღებად მისვლა. აღდგომის კვირა დღეს 1996 წელს, რუბინი ტარას ოთახში კარგი ამბით შევიდა: "ტარა, ყველა შენი სამგზავრო საბუთი ხელთა მაქვს. ქრისტე აღსდგა!"

"არ მჯერა!" თქვა ტარამ. "როგორ მოახერხე? ან რამდენი გადაიხადე?"

"ამაზე ნურასოდეს იდარდებ," უპასუხა მან ფართო სიცილით. "გითხარი რომ ღმერთის ხელი იქნებოდა ყველაფერში. აქამდე იმიტომ არ მოგიყვანა რომ პოლიციის ხელში ჩავარდნილიყავი. მას რაღაც მნიშვნელოვანი საქმე უნდა ჰქონდეს შენთვის, განსაკუთრებით იმ ტანჯვის გამო რაც შენ გამოიარე." მისი ღიმილი ამბობდა რომ მოხარული იყო ამ "ტანჯვაში" მონაწილეობის გამო.

ტარა დამდაბლდა მისი რწმენისა და შეუპოვრობის წინაშე. იგი ძმაზე მეტი იყო მისთვის; გასაჭირის დროს მისი მეგობარი იყო, არასოდეს არ რთავდა იმედგაცრუების ნებას. ამ ყველაფრის შემდეგ ახალი სადარდებელი დაეწყო ტარას, ქრისტიანულ ოჯახთან განშორებისა და ყველა იმ საეკლესიო პროექტთან, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა.

"წასვლამდე კიდევ ერთი თხოვნა მაქვს," თქვა მან. "მინდა მონაწილეობა მივიღო იმ ახალმოქცეულის ნათლობაში, რომელიც უკვე დავგეგმეთ."

რუბინი უარის თქმას აპირებდა, სიმართლე ის იყო რომ, უკვე გადაღლილი იყო ტარასთან ამდენი დავით. სულ ერთია იცოდა ვინც გაიმარჯვებდა. "რა თქმა უნდა," თქვა მან, მხრების ჩეჩვითა და სიცილით, "ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა

წახვიდე". ტარა მომდევნო საღამოს საიდუმლო ნათლობას დაესწრო.

ექვსივე მოქცეულს კარგად იცნობდა, ყოველმა მათგანმა იცოდა ტარას უდიდესი ისტორია. ტარამ იცოდა რომ მათი ნდობა შეიძლებოდა. ყველანი ერთ ბედ ქვეშ იყვნენ.

ზოგიერთი ახალმოქცეული პაკისტანიდან იყო, უმეტესობა სხვა ქვეყნებიდან, ერთი ჩინეთიდან, მეორე ავღანეთიდან, ორი დანარჩენი ირანიდან და ერაყიდან. უცხო არ იყო ახალმოქცეულებისათვის სხვა ქვეყნებიდან პაკისტანის გავლით მოგზაურობა.

განცვიფრებული იყო ტარა, თუ როგორ გამოიყენა იგი ღმერთმა. მომდევნო დღეს ის ქვეყანას დატოვებდა რწმენის გამო, მაშინ როცა სხვები მის ქვეყანაში მოვიდნენ და რწმენა იპოვეს. ქრისტიანების უმეტესობამ მის საზოგადოებაში და მის ეკლესიაშიც არ იცოდნენ რა ხდებოდა. ძნელი იყო ნდობოდი იმათ, ვინც ჩაბღაუჭებული იყო საკუთარ უსაფრთხოებას.

ხელახლა გაყიდული

ტარამ პაკისტანის პრობლემები მხოლოდ იმიტომ დატოვა რომ ახალ განსაცდელებს ნდობოდა. თავისუფალი იყო ოჯახის დევნის საფრთხისაგან, მაგრამ უნდა ეფრთხილა რომ საკუთარი ვინაობა არ გაემხილა. სხვა ქვეყანაშიც კი გამუდმებულ შიშში იყო, ისლამური პოლიციის მიერ დაპატიმრების და უკან პაკისტანში გაგზავნის საფრთხით თუ ოდესმე პაკისტანში დაბრუნდებოდა დაუყოვნებლივ მამამისს გადასცემდნენ. მისი ბედი დაიბეჭდებოდა.

სხვა გამოწვევასაც წააწყდა. მუსულმანურ სამყაროში მოელიან რომ ქალი ოცდახუთ წლამდე უნდა გათხოვდეს. თუ არა და მრუშად არის მიჩნეული და დაუყოვნებლივ, ხელახლა განათლებას მისცემენ და გარიგებით ქორწინებას მოაწყობენ. ტარას გათხოვების არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ასეთი ცხოვრების პირობებში და განსაკუთრებით მუსულმანური სამყაროს ოფიციალური პირების მიერ მოწყობილი ქორწინების. ამას თან ისიც ერთვოდა, რომ ნაშვილები ოჯახის დახმარების გარეშე დარჩა და მხოლოდ სამი თვის ვიზა ჰქონდა.

მალევე მიხვდა რომ სინამდვილის თვალის გასწორება იმ იმედს დააკარგვინებდა, რასაც გულში ატარებდა. *ყველაფერი დავკარგე, ეუბნებოდა საკუთარ თავს, მაგრამ ღმერთი ვიპოვე–დანაკარგი მცირედია ასეთ დიდ აღმოჩენასთან. ემანუელ–ღმერთი ჩემთან არს. ვის შეუძლია ჩემს წინააღმდეგ ყოფნა? იმაზე მეტი შევიძინე, ვიდრე ოდესმე შეიძლება დავკარგო. ემანუელ. ღმერთო იყავი ჩემთან. ეს* გახდა მისი ლოცვა, რომელიც მას ამოძრავებდა, კიდევ ერთხელ, ჯოჯოხეთისაკენ და უკან...

რუბინმა ისე მოაწყო რომ მას ეკლესიის მდივნად დაეწყო მუშაობა, ახალ ქვეყანაში. რაშიაც საკვებისათვის საკმარის თანხასაც ვერ იღებდა, არა თუ ქირის. ხანდახან ხუცესის მეუღლესთანაც მუშაობდა მზარეულად, რომელიც მოდასა და სამკაულებზე უფრო ლაპარაკობდა ვიდრე ქრისტეზე. ნუთუ ეს იყო რწმენა, რომლის გამოც სიცოცხლეს რისკავდა, და კიდევ ერთხელ დაეწყო მოუსვენრობა. საკუთარი დეპრესიის წინააღმდეგ იბრძოდა როცა უიმედობას დაეპყრო მისი სული.

შემდეგ სხვა სამუშაო იშოვა ტანსაცმლის დიზაინერთან და სამ წლიანი ბინადრობის უფლება მისცეს. ერთი პრობლემა მოგვარდა, უდიდესი რამ მოდიოდა.

ბინადრობის მოწმობის მიღებით დაცულად გრძნობდა თავს ახალ ქვეყანაში და მოხალისედ დაიწყო სიარული ზოგიერთი ეკლესიის მიერ წამოწყებულ საევანგელიზაციო გასვლებში. ახალ ადამიანებთან დამეგობრება ადვილი იყო, გამოგეცნო რომელს ნდობოდი, ცოტა არ იყოს რთულ საქმეს წარმოადგენდა. მაშინვე ვერ გააცნობიერა, რომ ერთ–ერთი მისი ამხანაგი კაცი, რომელიც პაკისტანის ქრისტიანული ჟურნალისათვის მუშაობდა, მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მან იცოდა, იმ კავშირების მეშვეობით რომელიც მას პაკისტნში ჰქონდა, რომ ტარა არ იყო ის, ვისაც ამბობდა ვარო. სურდა რა "ამ ამბის ხელში ჩაგდება", ერთხელ ეკლესიის შემდეგ გამოელაპარაკა. "ტარა, ვიცი რომ ძალიან ძნელია შენთვის აქ, ამ უცხო ქვეყანაში, ოჯახისაგან მოშორებით," თქვა მან. "რატომ არ წამოხვალ ჩვენთან სახლში, სადილზე? ნება მოგვეცი დაგეხმაროთ."

ტარა დასთანხმდა. სასიამოვნო იქნება ახალი მეგობრების გაჩენა, უთხრა მან თავის თავს.

პირველი რამოდენიმე სტუმრობის განმავლობაში ჟურნალისტი მართალი იყო თავის სიტყვაში. მასპინძელმა მისი ასაკის რამოდენიმე ახალგაზრდაც დაპატიჟა სადილად და საურთიერთობოდ. რატომღაც ყოველი ვიზიტისას რეპორტიორი ტარას მეტ კითხვებს უსვამდა–განსაკუთრებით–მისი წარსულის შესახებ.

“გთხოვთ, უკეთესი იქნება თუ არ ვისაუბრებთ ჩემს წარსულზე,” უპასუხა მან თავაზიანად, არ უნდოდა ახალი მეგობრის განაწყენება. მომდევნო მიპატიჟებაზე ტარამ უარი განაცხადა.

რეპორტიორი ასე ადვილად არ დანებდა და მეორე დღეს დაურეკა. “ვიცი რომ ფინანსური სირთულე გაქვს, მე და ჩემს მეგობრებს ნამდვილად გვინდა რომ დაგეხმაროთ,” უთხრა მან. “გთხოვ რომ ერთხელ ჩვენთან მოხვიდე, შენი ამბავი გვიამბო და, თანხას შევაგროვებთ შენთვის. შეგიძლია რომ გვენდო.”

ტარა მაშინვე დასთანხმდა. ამ დროისათვის, ვინც მისი თავადასავალი სრულად იცოდა, იყო ოჯახი, რომელმაც ის იშვილა. ფრთხილობდა არავისთვის ეთქვა ვინ იყო. პიროვნულობის დამალვა მისთვის სიკვდილ–სიცოცხლის საკითხი იყო.

ერთი თვის განმავლობაში ტარა რამოდენიმე რეპორტიორმა დაკითხა. ვინც კი ინტერვიუ ჩამოართვა, ყველა დამწუხრდა მისი ამბის მოსმენით და დაჰპირდნენ რომ რაც კი შეეძლოთ ყველაფერს გააკეთებდნენ მის დასახმარებლად. მომდევნო თვემაც განვლო ინტერვიუებსა და ტირილში, დახმარება არსად ჩანდა. ტარამ დაიწყო იმაზე ფიქრი თუ, რა ხდებოდა. ბოლოს ერთმა ქალბატონმა დაუძახა და ჰკითხა, რა თანხას იღებდა იგი ყოველ თვე ბანკიდან.

“რას ლაპარაკობთ? მე საბანკო ანგარიში არა მაქვს. დანამდვილებით ვიცი რომ ფული არავის გამოუგზავნია ჩემთვის. რატომ უნდა გაეკეთებინა ეს ბანკს?” ჰკითხა ტარამ ქალს.

“ოჰ, რაღაც შეცდომას ექნება ადგილი,” თქვა ქალმა. “ხალხი აგზავნიდა თანხას ამ ანგარიშზე შენთვის. როგორც ვფიქრობ საკმაო თანხა იქნება დაგროვილი.”

ტარა გამოიყენეს; დაადგინა საშინელი სინამდვილე. ბიზნესი მოაწყვეს, მისი დამოწმებით სხვები სარგებლობდნენ. მალე

ჟურნალი ნახა. ყდაზე იყო თინეიჯერი მუსულმანი გოგონას სურათი, რომელმაც სასწაულებრივად აღმოაჩინა ქრისტე და საკუთარი ოჯახისაგან გარბოდა, რომელიც მოსაკლავად ეძებდა. ამბავი მის სახელსაც მოიცავდა! ტარა თვალებს არ უჯერებდა.

"როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?" ამოთქვა მან. მეტად მნიშვნელოვანზე სწუხდა, "როგორ შევძლო რომ ჩემმა ოჯახმა არ გაიგოს ჩემს შესახებ?"

ტარას მოთმინება ელეოდა. ფიქრობდა რამდენი ტყუილისათვის უნდა აერიდებინა თავი, როდესაც სხვა კაცი, ეკლესიიდან გამოელაპარაკა კვირის მსახურების დასრულების შემდეგ. იგივე ისტორია: "გაგვიზიარე შენი ამბავი," თქვა მან, "და შევძლებთ შენს დასახმარებლად თანხის შეგროვებას." კაცი გაორებული ჩანდა და ხელების გრეხით ეხვეწებოდა. მან თქვა, რომ ტარა ძალიან ლამაზი გოგონა იყო და ვარაუდობდა რომ მარტო უნდა ყოფილიყო.

სულ ეს იყო. ტარამ უკან დაიხია, კაცს ხელები გამოსტაცა ხელიდან და სახეში უთავაზა. "შენ შენი ცოლი და ქალიშვილი გყავს!" გალანძღა იგი.

"შენ ქრისტიანი ხარ! როგორ შეიძლება რომ ასე მოიქცე?"

კაცი დააბნია ასეთმა აგრესიამ. ხელი გაწითლებულ ლოყაზე მიიდო და იღრინებოდა, "გადაგიხდი ამისათვის." ვერ გაბედა დიდი ალიაქოთის ატეხვა რადგან, არც თუ ისე შორს, ქუჩაში ხალხი მიმოდიოდა.

"კარგი," უპასუხა ტარამ, ჯერ კიდევ კაცის შემოთავაზებისგან აღელვებულმა. "მითხარი რამდენი უნდა გადაგიხადო და გადავიხდი. ოღონდ ჩამომშორდი!"

პრობლემა იმაში იყო რომ მას ფული აზრადაც არ ჰქონდა.

სამი ღამის შემდეგ ტარას ფანჯარას აგური ესროლეს. ტარას ესმოდა კაცების ქუჩაში საუბარი. მნიშვნელობა არ ესმოდა, რადგან დამტვრეული არაბულით ლაპარაკობდნენ. კაცები ქვებს აგროვებდნენ ქუჩაში, რათა ყველა მინა ჩაემსხვრიათ მის ბინაში. ტარამ ფარდის უკან გამოიჭყიტა. ეხლა კი ყური მოჰკრა რამოდენიმე სიტყვას: "მუსულმანი... ეხლა კი ქრისტიანი!... განდგომილი! პოლიცია! პოლიციას დაუძახეთ..."

კიდევ ერთხელ გამოიხედა ფარდიდან და დაინახა ორმა კაცმა ტაქსი გააჩერა და გაქანდნენ. იმ კაცის მეგობრები იყვნენ სახეში რომ გაარტყა.

ილოცა რომ მათი მუქარა პოლიციის გამოძახების შესახებ ტყუილი ყოფილიყო, მაინც მიაღწიეს შედეგს. შეეშინდა. ტყუილი არ იყო. რამოდენიმე საათის შემდეგ კარზე პოლიციამ დაუკაკუნა და ეკითხებოდა მომხდარის შესახებ. მათ ტარა პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

ყველაფერი გადაეცი ღმერთს

“როგორც გვაცნობეს, თქვენ მუსულმანი ხართ, მაგრამ ქრისტიანად მოექეცით და მარტოხელა ხართ,” დაიწყო შეკითხვები. პოლიციას ადვილად შეეძლო მის კვალს გაჰყოლოდა და ნამდვილ ოჯახამდე მიეღწია.

მოკლე, ერთ სიტყვიან პასუხს აძლევდა. კითხვებს შორის საკუთარ თავს ამხნევებდა: ემანუელ.

რამოდენიმე საათში პოლიციამ წასვლის ნება დართო, მაგრამ დაჰპირდა რომ თვალყურს ადევნებდნენ. ეკითხებოდნენ რატომ არ იყო გათხოვილი და მტკიცედ მოითხოვდნენ რომ ქმარი ეპოვა. ერთი, მათთვის ნაცნობი კაციცკი შესთავაზეს, ვინც ფიქრობდნენ, ცოლად წაიყვანდა მას.

გასაოცრად, ტარა დაზარალებულის როლიდან მალე ბრალდებულის როლში გადავიდა, ვისი ბინაც დააზიანეს. ასეთია ქრისტიანების “უფლებები” მუსულმანურ ქვეყანაში.

ქმარი ტარასათვის

ოთხმა თვემ ისე ჩაიარა რომ არაფერი არ მომხდარა. ტანსაცმლის დიზაინერად მუშაობდა და საეკლესიო პროგრამებში აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა. სხვა მუსულმანებსაც ეხმარებოდა, რომლებიც მის მსგავსად გარბოდნენ, მას უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა, ვიდრე ათი წლის მისიონერს. იცოდა რომ კაცი, რომელსაც სახეში გაარტყა კმაყოფილი არ იყო შედეგით. მეტი უნდოდა. ტარა ამას მის გამოხედვაში გრძნობდა. სურდა რომ ან ხელში ჩაეგდო ტარა, ან გაენადგურებინა.

ტარასათვის არცერთი არ იყო უკეთესი.

თავის ბინაში იჯდა, როდესაც ტელეფონმა დარეკა. იგივე კაცი იყო, ახალი ამბით. ამაყობდა იმით რაც გააკეთა. აცხადებდა

რომ დაწერა სტატია და ეკლესიის განცხადებების დაფაზე გამოაკრა. ცნობა ამბობდა, რომ ტარა პროსტიტუტი იყო. ამიტომ ეცვა ლამაზი ტანსაცმელი და ჯერ კიდევ გასათხოვარი იყო. ტარას ეპატიჟებოდა მისი ნამოქმედარის სანახავად.

აღელვებულმა ტელეფონის ყურმილი დაკიდა. კაცი არ აპირებდა დანებებას. დიდად არ აწუხებდა რას იფიქრებდნენ ეკლესიის წევრები. ვინც მას იცნობდა, სიმართლეც იცოდა მის შესახებ. არ შეეძლო გათხოვება რადგან გამუდმებულ საშიშროებაში იყო: ლამაზი ტანსაცმელი კი მისი დიზაინერობის ნახელავი და ნიმუში იყო. ნამდვილი პრობლემა იქნებოდა პოლიციასთან; მცირეოდენი დრო რჩებოდა ვიდრე მათ შეატყობინებდნენ. მათ უთხრეს რომ გათხოვილიყო, ეს განცხადება ცეცხლს აღვივებდა მათ პოზიციაში. როდესაც გაიგებენ, გამოიძახებენ.

ერთი კვირის შემდეგ ტარას შიში გამართლდა. ისლამის დაყოვნების ცენტრში გამოიძახეს, სადაც გადაამზადებდნენ ისლამურ რელიგიაში და დაუყოვნებლივ გაათხოვებდნენ მუსულმან კაცზე. პატარა ოთახი მიუჩინეს, სადაც ჩუმად ლოცულობდა. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა როგორ შეძლებდა ამ ცენტრის დატოვებას გათხოვებაზე თანხმობის მიცემის გარეშე. როგორც ჩანდა ყველაფერი წრიულად ტრიალებდა. მამამისს უნდოდა მისი გათხოვება და წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლა. დაყოვნების ცენტრშიც არ იქნებოდა დიდი განსხვავება. თუ, "რეაბილიტაციას" არ გაივლიდა, პაკისტანში გააგზავნიდნენ მშობლებთან. ტარამ უარყო მამამისის გეგმები, და არც ამ ცენტრის ოფიციალურ პირებზე აპირებდა დანებებას. სხვა არჩევანიც არ არსებობდა, ილოცა, ყველაფერი ღმერთს მიანდო.

თითქმის სამი თვე გავიდა. ყოველ დღე ასწავლიდნენ ყურანს. საკლასო ოთახს მიღმა პატიმარი იყო. ერთ დღეს, ოფიციალურმა პირმა სიჩუმე დაარღვია და განაცხადა: "ტარა, სტუმარი გყავს."

"როგორ შეიძლება რომ ვინმე მესტუმროს? არავინ იცის რომ აქ ვარ." "ამბობს რომ შენთან საუბარი სურს. ჩვენ ვფიქრობთ, კარგი აზრი იქნება თუ, მასთან ერთად წახვალ."

"მასთან ერთად წასვლა?" იკითხა ტარამ. "არც კი ვიცნობ ამ კაცს და მასთან ერთად მაგზავნით?" ტარა აშკარად გაბრაზებული ჩანდა, სჯეროდა რომ მორიგი მახე იყო მის გასათხოვებლად.

კაცი დაჰპირდა რომ სადილის შემდეგ უკან მოაცილებდა. დიდად არ უხაროდა, მაგრამ ამავდროულად ოთახიდან გასვლაც კარგი აზრი იქნებოდა. გადაწყვიტა რომ წასულიყო და ყურადღება არ მიექცია კაცისათვის.

კაცი მისი ასაკისა იქნებოდა, მოხდენილი, წყნარი და სასიამოვნო ხმით საუბრობდა. "ტარა, მე ვიცი ვინცა ხარ," თქვა მან. "შენს შესახებ მუსულმანი მეგობრისაგან გავიგე." რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა კაცი, უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა.

"მეც ქრისტიანი ვარ," თქვა მან, დაბალი ხმით. "მაგრამ არავინ იცის. მეც ისევე გამოვიქეცი პაკისტანიდან როგორც შენ. სინამდვილეში, იმავე ქალაქიდან, საიდანაც შენ. ისიც ვიცი რომ ცენტრმა შენი გათხოვება გადაწყვიტა კაცზე, რომელსაც სამი ცოლი ჰყავს."

ტარამ ამოიგმინა. მისთვისაც ჰქონდათ ეს გეგმა ნათქვამი. ეცადა ინტერესი არ გამოეჩინა კაცის მიერ ნათქვამზე და თითქმის წარმატებასაც მიაღწია, ვიდრე კაცმა არ თქვა, "თუ უარს იტყვი, პაკისტანში გაგგზავნიან მამაშენთან."

ტარამ აღარ იცოდა რა ერწმუნა. როგორ შეიძლებოდა რომ ცენტრს მოეგვარებინა ამ უცოლო კაცთან მისი შეხვედრა, მისივე ქალაქიდან?

"ხოდა, რა გინდა?" იკითხა ტარამ საბოლოოდ.

"მინდა რომ შენზე დავქორწინდე," თქვა მან.

სასწაული სხეულში

როდესაც ტარა ცენტრში დაბრუნდა, სამი ოფიციალური პირი ელოდებოდა. "ჩვენ გადავწყვიტეთ, ტარა," თქვა ერთერთმა. "ზეჰიდს უნდა მისთხოვდე. უკვე სამი ცოლი ჰყავს, სურს რომ შენც წაგიყვანოს. კარგი კაცია. ჩვენ მოვაგვარებთ ყველაფერს. არაფერზე არ იდარდო. თუ უარს იტყვი, პაკისტანში გიკრავთ თავს."

სულ ეს იყო: გადაწყვეტილების მომენტი. არაფერი არ თქვა სადილის დროს მიღებულ შემოთავაზებაზე. ეს ყველაფერი ძალიან ბევრი იყო რომ გაგეგო. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა, დრო სჭირდებოდა რომ ელოცა. როგორ უნდოდა რომ

ნაშვილებ ოჯახთან ესაუბრა–ვინმესთან, ვინც მთელი მისი ისტორია იცოდა, ვინმესთან ვისაც კი რჩევის მიცემა შეეძლო.

"ზაჰიდს არ მივთხოვდები," უპასუხა ტარამ გაკვირვებულ ოფიციალურ პირებს.

"მაშინ აიკარი გუდა–ნაბადი. პაკისტანში მიდიხარ, უკან."

"ავიკრავ გუდანაბადს, მაგრამ სხვა მიზეზით. ვთხოვდები. არა ზაჰიდზე. იმ კაცს გავყვები, სადილზე რომ მელაპარაკა," უასუხა ტარამ. ოფიციალური პირები გაოცდნენ, მაგრამ დასთანხმდებდნე ნებისმიერ რამეს, რაც ამ ქალს მორჩილებაში მოიყვანდა.

ტარა დაუკავშირდა კაცს, რომელთანაც ისადილა და ახალი ამბავი გაუმხილა. მას მისთხოვდებოდა. ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული რომ მოტივი ნამდვილი იყო, ასე რომ სარისკო საქმე იყო. არა ისეთი როგორც ზაჰიდს მითხოვება. იცოდა სადაც იდგა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ტარა ისევ ემანუელს შეჰღაღადებდა, ღმერთს, რომელმაც აქამდე მოიყვანა. თითქმის ოცდაშვიდი წლის იყო, და ათ წელზე მეტია გარბოდა. თუ მისი ქმარი მას გაყიდიდა იცოდა რა განსაცდელის წინაშეც უნდა წარმდგარიყო. თუ გულწრფელი იყო, მაშინ სასწაული იქნებოდა სხეულში. მისი მეშვეობით თავს დააღწევდა დაყოვნების ცენტრს და ჭორებს პროსტიტუციაზე. დამხმარეც კი ეყოლებდა მსახურებაში, მუსულმანების მოქცევის საიდუმლო საქმეში. თუ, მომდევნო მარცხისათვის ამზადებდა საკუთარ თავს? მრავალი კითხვა ირეოდა ერთმანეთში.

ბოლოს ტარას გაახსენდა ლოცვა, რომლითაც ილოცა დაყოვნების ცენტრში მოსვლისას. ყველაფერი ღმერთს გადასცა. რადგან, რაიმეს გაკეთება მის ძალას აღემატებოდა. "ემანუელ, ღმერთი ჩვენთან არს," ილოცა, "იყავი ორივესთან."

ეპილოგი

კაცი, რომელსაც ტარა მისთხოვდა, მართლაც სასწაული აღმოჩნდა სხეულში. შეწირული ქრისტიანი, ტარასთან ერთად ეწეოდა მსახურებას, ეხმარებოდა ქრისტიანობაზე მოქცეულ მუსულმანებს.

მას და ტარას ეხლა ჰყავთ ვაჟი, ჯეიმსი და კიდევ გასაქცევად არიან მზად. ის და მისი ქმარი გამუდმებით დაკვირვების საგანს წარმოადგენენ დაყოვნების ცენტრისათვის, ოფიციალური პირებისათვის. ხშირად იძახებენ და ეკითხებიან საქმიანობის შესახებ. "ვინ დადის თქვენთან სადილად? რატომ დარჩა ის ქალბატონი თქვენთან წუხელ ღამით? რატომ იყავი სახლიდან დღეს ოთხი საათით გასული?"

ტარასთვის ცხოვრება გამუდმებული კატა–თაგვობანას თამაშია.

მისი უდიდესი განსაცდელი შესაძლოა ჯერ კიდევ წინაა, რამოდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მის ვაჟს ლაპარაკი შეეძლება, უდაოა რომ მასაც დაკითხავენ ისლამის ოფიციალური პირები. მომდევნო გამოწვევა კარსაა მომდგარი. რამოდენიმე თვით ადრე, ვიდრე ანთებული გულებისათვის ინტერვიუს ჩამოართმევდნენ, ტარა მისმა ერთერთმა ბიძაშვილმა შენიშნა, რომელიც მის მოსაძებნად დაიქირავეს, რათა უკან დააბრუნონ და "სამართალი" მიუზღან.

მეტი არაფერი არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ სად ცხოვრობს ტარა ან რა ქრისტიანულ საქმიანობას ეწევა, მისი დაცვის მიზნით. ერთი რამ ცხადია: ის ცხოვრობს ქრისტიანებისაგან შორს. საკუთარი ეკლესიის უმეტესობისაგანაც კი უარყოფილია როგორც გაქრისტიანებული მუსულმანი, იმ რისკის გამო, რასაც ის ყოველ დღე აწყდება. ალბათ მათთვის შეუძლებელია ამის გაგება. სწორედ ამიტომ სჭირდება ღმერთს ტარასნაირები, რომლებიც განდგომილ და–ძმებს გაუნათებენ გზას.

ლინგ: წამების სკოლაში

ჩინეთი

1973

ცხრა წლის ლინგმა მთელი დილა სოფელში გაატარა, თავის უფროს დასთან ერთად, საჭმლისათვის მათხოვრობდა. დიდი ხის, გინკოს ჩრდილის ქვეშ ისვენებდნენ, როდესაც დედამისმა დაუძახა. "ლინგ, მალე მოდი, მამაშენს უნდა შენი ნახვა."

ის და მისი დები დღის უმეტეს ნაწილს გარეთ, ბამბუკის ჩრდილში და ბალახზე ატარებდნენ, ეხლა ოჯახი ეძახდა. დროის უმეტეს ნაწილს ან მათხოვრობაში ატარებდნენ, ან რკინის ქარხნის მახლობლად ნახშირის მოგროვებაში; ნახშირს მშობლებს აძლევდნენ რომ გაეყიდათ, ან სადილის მოსამზადებლად გამოეყენებინათ. რაც ლინგს თავი ახსოვს, მისი ოჯახი მუდამ ღარიბი იყო, მოგვიანებით მდგომარეობა გაუარესდა, რადგან მამამისის ჯანმრთელობის მდგომარეობაც მკვეთრად შეიცვალა. ლინგი დარდობდა რას მოიტანდა მომავალი, დარდობდა დედამისზე.

"ლინგ, გთხოვ ნუ დაალოდინებ მამაშენს," იხვეწებოდა დედამისის შეწუხებული ხმა. ლინგმა დაუყოვნებლივ დატოვა მშვიდობიანი ადგილი, ბებერი ხის ქვეშ და დედამისს, დებს და ძმას შეუერთდა, მამამისის საწოლის ირგვლივ, საწოლი, რომელსაც ექვსივე იზიარებდნენ. ეს იყო მთავარი ავეჯი ამ პატარა, ერთ ოთახიან ქოხში.

"ლინგ, ახლოს მოდი," უთხრა მამამ. "მოდი დავინახო შენი ლამაზი სახე." ლინგი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ეცადა გაეცინა. სძულდა მამამისის ამ მდგომარეობაში დანახვა. მას შემდეგ რაც საბოლოოდ საავადმყოფოდან დაბრუნდა, ისეთი უძლური გახდა... დედამისი ამას არ ამბობდა, მაგრამ იცოდა რომ მამა კვდებოდა. კიბო მოდებოდა მთელს სხეულს, უკვე

რამოდენიმე თვეა მუშაობა აღარ შეეძლო.

მამამ ხელი ასწია და ცოლისა და ბავშვების მიმართულებით დაიქნია, უმეტესობა ტიროდა. "ბავშვებო, დამპირდით რომ დედაზე იზრუნებთ და ერთმანეთს მიხედავთ. დიდხანს ვეღარ ვიქნები აქ, მაგრამ ყოველთვის გახსოვდეთ რომ მიყვარხართ." ცოლის სახისაკენ წაიღო ხელი მოსაფერებლად და პირდაპირ თქვა: "დამპირდი რომ ვიღაცას უფრო დამოუკიდებელს მისთხოვდები, ვინც ჩემზე უკეთ იზრუნებს შენზე და გთხოვთ გახსოვდეთ რომ ილოცოთ ღმერთზე."

ამ ორ ადამიანს შორის სიყვარული აშკარა იყო ყველასათვის, ვინც მათ იცნობდა. ლინგს არასოდეს გაუგონია რომ ისინი ერთმანეთს უყვიროდნენ ან უხეშად მიმართავდნენ. არ შეეძლო მამამისის სიკვდილის ყურება აეტანა, სძულდა განადგურებული დედის დანახვა და გზა, რომლითაც ისინი მუდამ საუბრობდნენ ღმერთზე, თუ ლოცულობდნენ, არასოდეს ესმოდა. ლინგს ხშირად უნახავს მისი მშობლები საწოლთან მუხლმოყრილი. ერთხელ მან ჰკითხა, თუ რას აკეთებდნენ ისინი, თქვეს რომ "ღმერთს ელაპარაკებოდნენ."

მაშინ სად არის ღმერთი ეხლა? ფიქრობდა დაეჭვებული. *თუ ღმერთი მართლა არსებობს, რატომ კვდება მამაჩემი?* ბოღმა ყელში მოაწვა და გარეთ გამოვარდა.

იმავე დღეს დედამ ბავშვებს უთხრა, რომ მისი დედამთილ-მამამთილი, მათი ბებია–ბაბუა მოვიდოდნენ სტუმრად. ლინგი გაოცდა; იცოდა რომ ბებიასა და ბაბუას არ ადარდებდა თავისი ვაჟი და მისი ოჯახი. სინამდვილეში ეს იყო ის რაც იცოდა, ბებიამ ოჯახი დაწყევლა, რადგან უძლური აღმოჩნდა მეტი ვაჟის შობაში!

ბებია–ბაბუა რამოდენიმე დღის შემდეგ მოვიდნენ, თითქმის ფეხიც კი არ შეუდგამთ იმ პატარა ქოხში, სადაც მათი ვაჟი გარდაიცვალა. უარი განაცხადეს დაკრძალვაზე დახმარების აღმოჩენაში.

დედას კუბოს საყიდლად ფული არ გააჩნდა და არანაირი დახმარება არ ჰქონდა დედამთილ–მამამთილისაგან, ფრთხილად შეახვია გარდაცვლილი ქმარი საუკეთესო ლურჯ ნაჭერში, რაც კი შეეძლო სახლში ეპოვა. "უბრალო დასაფლავება" იქნება, ღარიბებში ყველაზე საწყლებისათვის შესაფერისი.

ლინგი, დამწუხრებული დედამისი და და-ძმები ფიქრობდნენ რომ ამაზე უარესი აღარ იქნებოდა, მაგრამ ცდებოდნენ. წასვლის წინ ბებიამ და ბაბუამ განაცხადეს რომ ლინგის პატარა ძმას წაიყვანდნენ თავისთან. დედამ და ბავშვებმა გააპროტესტეს, მაგრამ ამაოდ. პატარა ბიჭი წაიყვანეს.

სამი გოგონა დარჩა მარტო დედასთან ერთად, ამ პატარა ქოხში, ყველა ერთი და იმავეს ფიქრობდა, რამდენ ხანს გაუძლებდნენ.

"ლინგ, გთხოვ, მუხლი მოიყარე და ჩემთან ერთად ილოცე." სასწრაფოდ შეუერთდა ლინგი დედას საწოლის გვერდით. ზამთარი იყო და მისი მუხლებისათვის იატაკი ცივი იყო. ლინგი აღაშფოთა დედამისის თხოვნამ, ფიქრობდა რომ უკვე საკმარისი ტანჯვა გამოიარეს. ნაზად ტიროდა დედამისი.

პირველად იფიქრა რომ მწუხარებისაგან; შემდეგ კი გააცნობიერა რომ, დედა საკუთარ გულს ღვრიდა ღვთის წინაშე. ლინგს არაფერი ჰქონდა სათქმელი. მას მხარდაჭერის მიზნით შეეძლო მსხვერპლი გაეღო მუხლებზე დგომით, სულ ეს იყო რისი გაკეთებაც შეეძლო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა აზრი ჰქონდა ჰაერში ლაპარაკს? ღმერთი კიდეც რომ არსებულიყო, სურვილიც კი არ ჰქონდა მასთან საუბრის. ყველაფერ იმის შემდეგ რაც მათ გამოატარა. მამამისის გარდაცვალებიდან რამოდენიმე თვე ლინგის ოჯახმა თავი გაიტანა მეზობლების დახმარებით, მაგრამ ცხოვრება თანდათან რთულდებოდა. ბოლოს ლინგის დედამ განაცხადა რომ ისინი საცხოვრებლად მის მშობლებთან გადავიდოდნენ, ჰენანის პროვინციაში. ქალი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო კაცზე, ჩინეთის კულტურაში. ნორმალური არ იყო მათთვის მარტო გარეთ ყოფნა და სახელმწიფომ უარი განაცხადა მათ დახმარებაზე.

როდესაც ლინგი ბებია–ბაბუასთან ჩავიდა, გააოცა მათი სახლის სიდიდემ. დედამისის მშობლები მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ სასახლე ჰქონდათ, იმასთან შედარებით სადაც ლინგი გაიზარდა. ბებია გოგონებს ვიწრო სამზარეულოთი გაუძღვა უკანა ოთახში. პატარა ოთახი იყო, ადრე საწყობად გამოყენებული. "ყველას შეგეძლებათ აქ დარჩენა," თქვა ბებიამ უხეშად. ლინგმა მოუწყობელ ოთახში მიმოიხედა და უკვე თავი საკუთარ სახლში იგრძნო.

ახალმა ცხოვრებამ გამუდმებული დავა მოიტანა დედამისსა და ბებიამისს შორის. კონფლიქტი გამოიწვია დედას სურვილმა, მიემართა (ადგილობრივ მშრომელთა ბიუროსათვის) ჯგუფისათვის საკუთრი სახლის თაობაზედ, ლინგის ბებიას სურდა რომ მისი ქალიშვილი ხელახლა გათხოვილიყო.

მამინაცვალი

ერთ დღეს, როდესაც ლინგი სკოლიდან ბრუნდებოდა, სახლის კარებთან მიახლოვებისას კამათის ხმა შემოესმა. "დედა, აღარ მინდა მეორედ გათხოვება!" ამბობდა დედამისი ემოციით სავსე ხმით. "არ შემიძლია ვინმე ოდესმე ისე შევიყვარო, როგორც ჯუნი. შენ იცოდი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, ვიდრე აქ გადმოვიდოდი, რომ გაუთხოვარი დავრჩებოდი. თუ, შრომის ბიუროს ეტყვი რომ მუშაობის ნება დამრთან და საკუთარი სახლის შეძენაში დამეხმარებიან, ჩემს შვილებს მოვუვლი. გთხოვ, დედა! გთხოვ, ნუ იზამ ამას."

"ორი წელია რაც აქ ხარ," დაიყვირა ბებიამ საპასუხოდ. "მეტის ატანა აღარ შემიძლია! ასე არ ხდება. შუ–ტანი ღირსეული კაცია და იზრუნებს შენს შვილებზე. ამას გარდა, მამაშენმა უკვე მოაგვარა საქმე: მომავალ კვირას თხოვდები."

მომდევნო კვირას ლინგს უკვე მამინაცვალი ჰყავდა.

ლინგს უხეშად ხვდებოდა ყურში მამინაცვლის ხმა და მამამისის ნაზი ხმის გაგონება ენატრებოდა, რომლითაც იგი მუდამ ლაპარაკობდა. შუ–ტანი გერებს როგორც ცხოველებს ისე ეპყრობოდა, ლინგს ჩუმად ეზიზღებოდა იგი. ღარიბად ყოფნა ერთი იყო და უარესი–ყოფილიყავი ღარიბი და გეცხოვრა მამინაცვალთან, რომელიც მოსამსახურეზე მეტად არ გთვლიდა.

მიუხედავა ამისა, ლინგი შეუპოვრობდა და გულში ინავხავდა საიდუმლოს. რადგან დედა ხელახლა გათხოვდა მუშაობის ნება ეძლეოდათ და როცა ლინგი სკოლაში არ იყო, მინდორში, მეცხვარეებთან ერთად მუშაობდა, მშრომელთა ჯგუფებში. ადგილობრივ ოფიციალურ პირებს ქულების სისტემა ჰქონდათ შემუშავებული მუშების ანაზღაურების მიზნით. მაგრად მომუშავე კაცს ათი ქულის გამომუშავება შეეძლო დღეში. ახალგაზრდა ლინგს კი ცხრის.

ლინგმა დახმარება გაუწია მანქანის დიზაინის შექმნას ტაფუს დასამზადებლად. როდესაც ხარი შემობრუნდებოდა მანქანას სოიოს მარცვლების განიავება შეეძლო ორ ქვას შორის. შუ–ტანს მოეწონა იდეა, მაგრამ ხარის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა. ამის ნაცვლად გოგონებს დააკისრა მისი მოვალეობა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში "ხარის საქმე" გახდა მათი ყოველდღიური დავალება.

მძიმე სამუშაოს შესრულების გამო, თხუთმეტი წლის ასაკში ლინგი ჯანმრთელი და ძლიერი იყო და ერთი სული ჰქონდა როდის შეძლებდა მარტო წასვლას. მამინაცვალისადმი ზიზღი დღითი დღე იზრდებოდა, რადგან იმ შრომის შემოსავლით სარგებლობდა რომელსაც ლინგი და მისი და ეწეოდნენ. მიუხედავად ამისა მაინც უარყოფდა ერთი ხარის ყიდვას. რატომ იყიდიდა? გერი გოგონები ჰყავდა ამ მძიმე საქმისათვის. ქორწინების პირველ კვირეებში შეუბრალებლად შეღაღადებდა დედამისი შუ–ტანს, ეხლა კი უფრო ნაკლებად ლოცულობდა. შუ ტაინის სოფელში რამოდენიმე იატაკქვეშა მორწმუნე იყო და ერთი ბიბლია ჰქონდათ, რომლის წაკითხვაც არ შეეძლო დედას, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო. ერთადერთი ლოცვაღა შემორჩა მის ბაგეებს, რომელიც ხანდახან, ღამის სიჩუმეში ესმოდა ლინგს: "ღმერთო, გთხოვ, დაიცავი ჩემი შვილები, განსაკუთრებით ლინგი და მისი და. აიძულებენ ასე მძიმე შრომას. გთხოვ მოხედო. სულ ეს არის რასაც გთხოვ."

უკვირდა რატომ ელაპარაკებოდა დედამისი ღმერთს მონურ შრომაზე, როცა შეიძლებოდა მონების ბატონს დალაპარაკებოდა პირადად! ღმერთი აშკარად არ ერეოდა საქმეში სასიკეთოდ, ლინგი მწარედ ფიქრობდა მამინაცვლის ყოველ ძალდატანებაზე. ალბათ ისიც ეჭვობდა ლინგის მისადმი სიძულვილის ზრდაზე და ერთ დღეს ურჩია რომ ქმარი ეპოვა. ყმაწვილის შერჩევაც კი შესთავაზა. ეს "ყველასათვის უკეთესი იქნება," თქვა მან.

ლინგმა იცოდა რომ უბრალოდ მისი მოშორება უნდოდა. ერთით ნაკლები პირი იქნებოდა გამოსაკვები.

უხილავი ღმერთი

ლინგი გამოჭერილი იყო საკუთარ გადაწყვეტილებასა და ოჯახის მორჩილებას შორის. თუ გათხოვებაზე უარს იტყოდა, პატივს

აყრიდა მთელს ოჯახს და დედამისს სირცხვილს აჭმევდა, ტკივილი რომლის ატანაც გაუჭირდებოდა. გათხოვების ეშინოდა, ვაი თუ მისი ქმარიც შუ–ტანივით ყოფილიყო. მხოლოდ ერთადერთი არჩევანიღა ჰქონდა: თავს მოიკლავდა. სიკვდილი ჩანდა ერთადერთი გზა მონობიდან გასაქცევად, რაც ნელ–ნელა ტკივილად გადაიქცა მის გულსა და გონებაში.

დედამ იცოდა რომ შვილი ღრმა დეპრესიაში იყო ჩავარდნილი, და სწუხდა მის ჯანმრთელობაზე. "ლინგ, შენ ბუნებრივადა ხარ დაბადებული ლიდერად," უთხრა თავის ქალიშვილს, სულიერი მდგომარეობის ამაღლების მიზნით. "დარწმუნებული ვარ რომ ღმერთს გეგმა აქვს შენთვის."

არ სურდა მოესმინა დედამისის უხილავ ღმერთზე ლაპარაკი. ყველაფერი ამაოდ გამოიყურებოდა. დედამისის ცრურწმენასა და მამინაცვლის ძალდატანებულ შრომასთან ვითარების მოგვარებამ, უიმედობის საწყაო აავსო.

დედამისმა იცოდა როგორ შეიცვალა მისი ქალიშვილის ხასიათი, ეშინოდა რომ თავი არ მოეკლა და გარეთ მარტო არ უშვებდა. ერთ დღეს, როგორც იქნა მიაღწია წარმატებას და გოგონა სოფლის პატარა საოჯახო შეხვედრაზე მიიყვანა. ლინგი ეთანხმებოდა რომ იქ ყოფნა უკეთესი იყო, ვიდრე ტოფუსათვის სოიოს მარცვლების ფქვა სინამდვილეში კმაყოფილიც კი იყო შეხვედრით. მხოლოდ ოთხი ადამიანი ესწრებოდა: ლინგი, დედამისი და ორი სხვა.

იჯდა და უსმენდა როგორ გალობდა ეს სამი ადამიანი და დედამისის რწმენაზე დაიწყო ფიქრი. როგორ შეუძლია ირწმუნოს ასე ბრმად ღმერთი, რომლესაც ვერ ხედავს? უკვირდა მას. მიუხედავად მისი სკეპტიციზმისა, არ შეეძლო უარეყო დედამისის სახეზე აღბეჭდილი აღტაცება. ისეთი გამოხედვა ჰქონდა გეგონება უხილავ ანგელოზებს უგალობდა.

გახდე იმად რადაც ღმერთს შეუძლია გამოგიყენოს

რამდენიმე დღის შემდეგ, ლინგმა კვლავ მოისმინა რომ დედამისი მისთვის ლოცულობდა, ამჯერად მისმა სიტყვებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. "ოჰ, ღმერთო," ლოცულობდა თბილად, "გთხოვ, დაიცვა ჩემი შვილები,

განსაკუთრებით ლინგი. იცი როგორი მტკიცე შეიძლება იყოს გადაწყვეტილებაში. გთხოვ შეცვალო მისი გადაწყვეტილება იმად, რადაც შეიძლება რომ გამოიყენო." დედამისის ლოცვის ეს ნაწილი ნაცნობი იყო, იგივე სიტყვები ესმოდა განმეორებით, ლინგს არ შეეძლო სიცილისაგან თავის შეკავება. ლოცვის მეორე ნაწილმა მიიპყრო მისი განსაკუთრებული ყურადღება. "გამიგია აბრაამის ამბავი, თავისი შვილი რომ შემოგწირა, ისააკი, როგორც მსხვერპლი," გააგრძელა დედამისმა. "ეხლა მეც მინდა რომ ერთ-ერთი ჩემი შვილი შემოგთავაზო. მინდა რომ ლინგი შემოგთავაზო."

ლინგი შეცბუნდა. *მე შემწიროს?* დედაჩემი გაგიჟდა?

რამდენიმე დღე დარჩა დედამისის ლოცვა მის გონებაში, ტანჯავდა და აცბუნებდა. მომდევნო დილით, როდესაც კიდევ ერთხელ მოისმინა იგივე ლოცვა, დედამისის ოთახში შეიჭრა პირზე წასაყენებლად. "კიდევ შენს ღმერთს მწირავ, დედა? ეს კაცი იმიტომ გყავს რომ ან მძიმე შრომით ამომხადოს სული ან მეხი დამცეს? ან სად არის ეს უფალი იესო, რომელზეც გამუდმებით ლაპარაკობ? დააყენე ჩემს წინაშე რომ შევეხო და მერე დავიჯერებ! ან როგორი ხალხი მიდის სამოთხეში? ან როგორ მოხვდები იქ? ფიქრობ რომ შეგიძლია ხეზე აცოცდე, ან კიბეზე და სამოთხეში მოხვდე?" ლინგმა დედამისის სახეზე დაინახა მისი ნათქვამისაგან გამოწვეული ტკივილი. სძულდა მისი ყწენინება, მაგრამ ყელში ამოუვიდა ყველაფერი.

ლინგმა იგივე უხეში ხმა გაიგონა, რომელსაც თავის დებთან იყენებდა. მან თვითონ დანიშნა თავისი თავი დედმამიშვილების უფროსად, თამამი და შეუპოვარი ტაქტიკის მეშვეობით. როგორც წესი, დები ყოველთვის ემორჩილებოდნენ ლინგის მოთხოვნებს; იცოდნენ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები შეექმნებოდათ. ახლა დედამისისადმი საყვედურისა და ლანძღვის საკუთარი ხმა ესმოდა, და ნანობდა რომ ასეთ წყენას აყენებდა. მაგრამ არ შეეძლო შეჩერება. აღარ შეეძლო დედამისის არარსებული ღმერთისადმი სასაცილო ლოცვების მეტად მოსმენა.

დრო გადიოდა და ლინგი კვლავ აგრძელებდა მძიმე შრომას. როგორღაც წარმატებით მოახერხა მამინაცვლის გათხოვებაზე რჩევისათვის თავის არიდება, ისიც დანებდა და უბრალოდ გერის იგნორირება არჩია. ლინგმა იგრძნო რომ მამინაცვლის ასეთი ცვლილება დედამისის გავლენა უნდა ყოფილიყო. თავისუფლად

გრძნობდა თავს, ამავდროულად სინდისი ქენჯნიდა რომ დედამისს ასე უტიფრად დაადგა პირზე. იმედოვნებდა რა, რომ გამოისყიდდა აფეთქებას, აგრძელებდა კვირაობით დედამისთან ერთად საეკლესიო შეხვედრაზე სიარულს.

ამასობაში გაზაფხულიც მოვიდა, ლინგმა მიივიწყა თვითმკვლელობის იდეა.

ერთ დღეს, როდესაც ჩვეულებისამებრ ტოფუს საფქვავზე მუშაობდა, დედამისმა დაუძახა, "ლინგ, ის აქ არის!"

"ვინ ის?" იკითხა მან.

"ევანგელისტი, რომლის შესახებაც ბევრი რამ გვსმენია!" უპასუხა დედამ. "არ გახსოვს, რომ გეუბნებოდი? ამაღამ აქ იქადაგებს, სხვებს ვუთხარი რომ ჩვენც დავესწრებოდით. წადი გამოიცვალე. ჩქარა!"

ვიდრე ლინგი შეწინააღმდეგებას მოახერხებდა, დედამისი უკვე წავიდა.

ეჰ, რა დიდებულია, გაიფიქრა ლინგმა, *თვითგამოცხადებული ღვთის ავტორიტეტი.*

იმ საღამოს ეკლესიაში ნაწილობრივ დედამისის საამებლად წავიდა. მოხუცმა მქადაგებელმა მჭერმეტყველურად და პასიურად, კი არ იქადაგა, უბრალოდ ესაუბრა ადამისა და ევას შესახებ, აუხსნა როგორ შემოვიდა ცოდვა ქვეყნიერებაზე, ირწმუნებოდა, ისე შეიყვარა ღმერთმა ისინი რომ საკუთარი ძე გამოაგზავნა ჯვარზე სასიკვდილოდ, მათი ცოდვების მისატევებლად. ლინგს გული მოულბა, როგორც კი ამ სიტყვებმა მის სულში შეაღწია. არასოდეს სმენია ასეთ სიყვარულსა და მსხვერპლშეწირვაზე. აქამდეც გაუგია ეს ამბავი, მაგრამ ასეთი მნიშვნელობა არასოდეს მიუნიჭებია–როგორც ეხლა.

იმავე საღამოს, მოგვიანებით, ფიქრები ირეოდა მის გონებაში და უცბად თვალწინ დაუდგა ჯვარცმის სურათი, დეიდამისის სახლში გაკრული. მისკენ წაიწია, ხელი გაიწოდა, რომ სურათს შეხებოდა და თან მქადაგებლის სიტყვები ყურში უწიოდა. *თუ იესო ჩემთვის მოკვდა, რა გავაკეთე მე მისთვის?* ჰკითხა მან საკუთარ თავს და მონანიების განცდამ დაუარა სხეულში. იატაკზე დაეცა და აქვითინდა, ეღაღადებოდა უხილავ ღმერთს, რომელსაც ასე მკვეთრად უარყოფდა. მალე დედამისის ხელი იგრძნო მხარზე.

“ოჰ, დედა! მაპატიე,” ტიროდა ლინგი. “ვწუხვარ ყველა იმ ცუდ სიტყვაზე, რომელიც შენი ღმერთის წინააღმდეგ ვთქვი, დაგცინოდი და არ მეჯერებოდა რასაც მეუბნებოდი. ძალიან ცუდი ადამიანი ვარ. როგორ შეიძლება რომ ღმერთმა მომიტევოს მე?”

დედას თვალები გაუბრწყინდა სიხარულის ცრემლით და გადეხვია ქალიშვილ–ახალ დას უფალში. “ლინგ, ჩემო ძვირფასო, მოტევებულია,” თქვა მან. “ღვთის მადლმა მოგიყვანა დღეს აქ, ამის შემდეგ მისი შვილი იქნები სამუდამოდ. არაფერს არ შეეძლო ამაზე მეტად ჩემი გახარება. მჯერა რომ მას განსაკუთრებული გეგმა აქვს შენთვის; ასეც ვფიქრობდი დიდი ხანია.”

ლინგს მამის გარდაცვალების შემდეგ ამდენი აღარ უტირია.

ცხვრები მგლებს შორის

დედასთან ერთად ეკლესიაში სიარული გააგრძელა მომდევნო წელს, ამჯერად არა როგორც მაყურებელი, არამედ როგორც წევრი. დეპრესია შინაგანმა სიხარულმა შეცვალა, სჯეროდა რომ განსაცდელი უკან ჩამოიტოვა. მერე სიზმარი ნახა: *ვიწრო ბილიკი იყო გადაჭრილი მინდორზე. მარცხენა მხარეს მწვანე ხორბალი იყო აღმართული, ადვილად ირხეოდა ქარზე. მარჯვენა მხარეს მწიფე იყო თავთავი და ზოგიერთი ღერიდან მწიფე ხორბალი ცვიოდა. ლინგი აქეთ–იქით იხედებოდა და მოშორებით მოულოდნელად თავთავი უჩინარდებოდა. უკვირდა, როგორი ცუდი უნდა ყოფილიყო ნიადაგი და ამინდი, რომ ასეთი ხორბალი წარმოექმნა.*

დილით ლინგმა სიზმრის შესახებ უთხრა დედას. მისდა გასაოცრად, დედამისსაც იგივე სიზმარი უნახავს. მან ნახა მძიმე, მწიფე ხორბლის თავთავები; პატარა ლობიოს ღერო შენიშნა, მინდვრის შუაში და შემოესმა ხმა “მორწყევი ნორჩი ღერო, თორემ გახმება.”

არცერთმა მათგანმა არ იცოდა რას ნიშნავდა სიზმარი, ორივე დარწმუნებული იყო რომ არსებობდა მიზეზი, რატომაც ჰქონდათ ერთნაირი ხედვა.

პასუხი მომდევნო კვირას მიიღეს ლოცვის შეხვედრაზე, საკითხავი ლუკას სახარების მეათე თავიდან: "სამკალი ბევრია,

მუშაკი-ცოტა. ამიტომ ევედრეთ სამკალის პატრონს, რომ გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში. წადით, აჰა, გაგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის."[1]

ფიქრობდა, ნუთუ ეს უნდა ყოფილიყო სიზმრის მნიშვნელობა, ლინგი ერთდროულად აღფრთოვანებულიც იყო და შეშინებულიც, რა ჰქონდა ღმერთს მისთვის მომზადებული. უკვირდა, თუ რას გულისხმობდა ადგილის მეორე ნახევარი."როგორ შემიძლია მქადაგებელი ვიყო?" ჰკითხა დედამისს, ადგილის განხილვისას. "ძალიან პატარა ვარ და არაფერი ვიცი მომავლის. ბიბლიაც კი არა მაქვს."

დედამ ლინგს შეხედა და გაიღიმა. ეხლა მან ზუსტად იცოდა რას ნიშნავდა სიზმარი: მისი ქალიშვილი სახარებას გაუზიარებდა დაკარგულ სულებს, ჩინეთში. დარწმუნებული იყო ამაში.

ჩვიდმეტი წლის შესრულების შემდეგ, მალევე, მცირეოდენი საგზლით გაემგზავრა ლინგი სახარების საქადაგებლად ჩინეთში, მიმართულებისა და ბიბლიის გარეშე. უნდოდა მანამდე მოეცადა ვიდრე ცოტას კიდევ ისწავლიდა, მაგრამ დედამისმა დაიჟინა. "არ არის საჭირო ბევრის ცოდნა. უბრალოდ გაუზიარე იესოს ამბავი. ის უთხარი ხალხს რაც იცი. ღმერთი დალოცავს შენს მსახურებას." დედის გამხნევებით ლინგი გზას გაუდგა.

უბრალოდ თავის რწმენას უზიარებდა ხალხს სოფლიდან სოფელში. როცა კი ისეთ სოფელში შევიდოდა სადაც ბიბლია ჰქონდათ, რამოდენიმე ადგილს დაიმახსოვრებდა მომავალი დამოწმებისათვის. საგალობლებიც ისწავლა. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ ასე ლამაზად შესძლებდა სიმღერას. მანამდე მღეროდა, ვიდრე მსმენელში ინტერესს არ აღძრავდა და ხალხი სიამოვნებით რჩებოდა ახალგაზრდა მქადაგებლის მოსასმენად, ნეტავ რა აქვსო სათქმელი. ის ფაქტი, რომ ეს ახალგაზრდა გოგონა მარტო დადიოდა სოფლიდან სოფელში საქადაგებლად, საკმარისი იყო მათში ინტერესის გასაღვივებლად.

ღმერთმა აკურთხა მისი მსახურება. რაც უფრო მეტს დადიოდა და ქადაგებდა, მსმენელთა რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა. გაკვირვებული იყო ჯგუფების სწრაფი ზრდით. შვიდ კაციანი ჯგუფი მომდევნო კვირის სტუმრობისას სამოცდაათით ხვდებოდა. წმინდა წერილი მართალი იყო: მინდვრები მზად იყო სამკალად. ხალხს სწყუროდა მოსმენა, ღმერთმა მოუწოდა მას

ყოფილიყო ერთ–ერთი მისი მაცნეთაგანი. დაუძლეველი აზრი იყო, ლინგი გამუდმებით ლოცულობდა რომ მოწოდების ღირსი გაეხადა ღმერთს. ყველაზე მეტად უნდოდა რომ მაგალითი ყოფილიყო. უნდოდა ის ექადაგა, რაც იცოდა და გამოსცადა.

ერთი სული ჰქონდა ბიბლია ჰქონოდა და ღმერთსაც ამას სთხოვდა. "როგორ შეიძლება რომ ღმერთის სიტყვის მქადაგებელს ბიბლია არ ჰქონდეს?" ჰკითხა ღმერთს.

განსაკუთრებით ახალგაზრდა ხალხი იყო მოხიბლული მისი ქარიზმატული პიროვნულობითა და ღვთის სიყვარულით. ზოგიერთმა მათგანმა თანამშრომლობა შესთავაზა. დიდი სიხარულით მიიღო წინადადება.

ჯგუფის ზრდასთან ერთად სახარებისადმი ვნებაც გაიზარდა, იცოდა რომ შორს ვეღარ წავიდოდა ბიბლიის უქონლობის გარეშე. სოფელს ესტუმრა, სადაც მხოლოდ მათეს სახარების ნაწილები ჰქონდათ, ოცდამეხუთე თავში ათი ქალწულის ამბავი წაიკითხეს. ხუთი გოგონა ჭკვიანი გამოდგა და მგზავრობისას დამატებით ზეთი წაიმძღვარეს ლამფებისათვის, დანარჩენი ხუთი კი დაუფიქრებელი აღმოჩნდა და არ წაიღეს ზეთი. ეკლესიის წევრებმა ეს ადგილი სიტყვა სიტყვით გაიგეს და ყოველთვის დამატებით ზეთს ატარებდნენ, რომ იესოს მოსვლას უზეთოდ არ შეხვედროდნენ.[2]

ლინგს ძალიან უნდოდა რომ საკუთარი ბიბლია ჰქონოდა, რადგან თვითონაც წაიკითხავდა და სხვებსაც დაეხმარებოდა გაგებაში. როცა შეიტყო რომ ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით ერთ ქალს ბიბლიები ჰქონდა, მისკენ გაემართა. დროულად ვერ მივიდა ადგილზე. როგორც აღმოჩნდა, მისიონერული ორგანიზაციის წევრები იძულებულნი გახდნენ ბიბლიები გემიდან წყალში გადაეყარათ და წიგნები დასველდნენ. სანაპიროზე მცხოვრებმა მორწმუნეებმა ბიბლიებს მოუარეს და ამ ქალბატონმა სათითაო ფურცელი გააშრო მზეზე.

როდესაც ამ ქალს ბიბლია სთხოვა და აუხსნა, თუ როგორ მოუწოდა ღმერთმა საქადაგებლად, ქალი აღშფოთდა. "არა, არა, არა!" უპასუხა მან. "ეს ბიბლიები ძალიან ძვირფასია. იცი რა ძნელია ბიბლიის შოვნა? მე რა ვიცი რომ შენ მორწმუნე ხარ?"

ლინგი ახსნა–განმარტებას ეცადა და ბევრს იხვეწებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ქალს არცერთი ბიბლიის ხელიდან გაშვება

არ უნდოდა. საწყალი, ისე დანაღვლიანდა რომ ქალმა უთხრა, თუ ღმერთის ლოცვას უშეცდომოდ, ზეპირად ეტყოდა მაშინ გადაწყვეტილებას შეიცვლიდა.

ლინგმა იმედით დატოვა სოფელი, სადღაც შემლებდა წიგნის შოვნას. იმ სოფელს ესტუმრა სადაც იცოდა რომ ერთ მოხუცებულ მორწმუნეს ბიბლია ჰქონდა. ძმა ბიბლიას დიდი მოწიწებით ეპყრობოდა. როდესაც წიგნი დაინახა, მიხვდა რატომაც. მოხუცი კაცის ბიბლია ხელით იყო გადაწერილი. სინამდვილეში, კაცს თითები დაკვრანჩხოდა ათასობით საათის განმავლობაში გამუდმებული წერისაგან.

ოცნება ჩაისახა, მისია დაიწყო

როდესაც კაცს თხოვნა გააცნო, მოხუცმა ფრთხილად გადაშალა ბიბლია უფლისეული ლოცვის ადგილზე, რათა სტუმარს გადაეწერა და დაესწავლა. გაოგნებული იყო სუფთა ნაშრომით და ფიქრობდა, თუ რამდენი წელი უნდა გაეტარებინა კაცს ამ საქმის შესრულებაში. მოგზაურობის გაგრძელებისას კიდევ ნახა ამდაგვარი ბიბლიები. სიყვარულის ასეთმა შრომამ ახალი გზით დაანახა ბიბლია და უფრო მეტად დააფასა ღვთის სიტყვა, გადწყვეტილება მიიღო რომ რაც შეიძლება მეტი ადგილი დაემახსოვრებინა ზეპირად. აღთქმა დაუდო საკუთარ თავს, რომ ბიბლიებს გაავრცელებდა ჩინეთში... თუ ღმერთი ამ ოცნებას შესაძლებელს გახდიდა.

ქალის სახლისაკენ მიმავალ გზაზე ლინგმა წუხილი დაიწყო, ვაი თუ, უფლის ლოცვა კარგად ვერ დაიზეპირა. ვაი თუ, კაცმა კარგად ვერ გადაწერა? შეცდომა რომ დაეშვა?

დარდი საჭირო არ იყო. გამოცდა ჩააბარა, რადგან სრულყოფილად იცოდა ლოცვა. ქალმა სთხოვა ხმამაღლა ელოცა, რათა დარწმუნებულიყო რომ გოგონა გულწრფელი იყო. შემდეგ კითხვების კორიანტელი დააყარა, როგორ გახდა მორწმუნე და რა მსახურებას ეწეოდა. როგორც იქნა დაკითხვა დამთავრდა, ქალმა ლინგთან ერთად მუხლი მოიყარა, ბიბლია გულში ჩაიკრა და შემდეგ მას გადასცა. ბოდიში მოიხადა ასეთი საქციელისათვის, რომელიც იმით ახსნა რომ, "მას შემდეგ, რაც ჩვენმა ძმებმა ბიბლიები მოაგროვეს სანაპიროდან, ჩინეთში

გავრცელება დაიწყეს. ძალიან საშიში იყო, ზოგიერთებს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. მახსოვს რა მათი შესაწირავი, უფრო მეტად ვაფასებ წიგნებს.”

ლინგმა ბიბლიით გააგრძელა გზა. ზოგიერთი ადგილი ჯერ კიდევ სველი იყო, რადგან ქალს ვერ დაესრულებინა გაშრობა. ლუკას მეათე თავზე გადაშალა სველი ფურცლები და ნაცნობი ადგილი ცრემლმორეულმა წაიკითხა: “სამკალი მზად არის, მუშაკნი კი მცირედნი....”

სრულად გაიგო იესოს მიმართულება პირველ ნაწილში. მარტო წავიდა საქადაგებლად, როგორც ღმერთის მუშაკი და მკაც დიდებული იყო. ეხლა, უკვირდა როგორ უნდა შესრულებულიყო მეორე ნაწილი და ძალისათვის ილოცა.

იძებნება

აფიშა ავისმომასწავებლად გამოიყურებოდა: “სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის იძებნებოდა,” ჩამოხრჩობით იმუქრებოდნენ. “ქვემოთ დასახელებული ადამიანების დანახვისთანავე ეცნობოს ადგილობრივ ხელმძღვანელობას. მპოვნელი დაჯილდოვდება.” ლინგმა სიტყვები წაიკითხა და როგორც კი სიას გადახედა, ტუჩები აუკანკალდა ნაცნობი სახელების ამოცნობისას. მრავალი მისი ამხანაგი და თანამშრომელი იყო. ქვევით მისი სახელიც ეწერა. არ გაკვირვებია მაგრამ აღმოჩენისაგან ფშლუკუნებდა. საქმე კარგად მიდიოდა ცოტა ხანს. მსახურება საკმაოდ ეფექტურად წარიმართა. გაახსენდა როგორ იქადაგა მოხუცმა კაცმა მის სოფელში ადამსა და ევაზე, ცოდვაზე, იესო ქრისტეს უდიდეს შესაწირავზე, რამაც მისი ცხოვრება შეცვალა, მის მაგალითს მიჰყვებოდა. მალე აღმოაჩინა ეფექტური მსახურების ერთ-ერთი მეთოდი, უბრალოდ შერჩეული ადგილების ხმამაღლა სახარებიდან წაკითხვა. მრავალმა ჩინელმა იცოდა რა იშვიათობას წარმოადგენდა ბიბლია, და დიდი ინტერესით უსმენდნენ ამბებს, სწრაფად იწოვდნენ უწყებას.

მისდა გასაოცრად სირთულე მისი ნათესავებისაგან დაიწყო. როცა ლინგი სოფლებში დადიოდა, მისი მსახურების შესახებ ამბავი მალე გავრცელდა და ლინგის ნათესავები მას

ოჯახისათვის სირცხვილის მოტანაში ადანაშაულებდნენ. “ბერდება,” ბუზღუნებდნენ ერთმანეთში. “უნდა გათხოვდეს და არა მთვარეულივთ დადიოდეს აქეთ-იქეთ!”

ლინგს მხედველობაში ჰქონდა სახლში დაბუნება, მაგრამ სხვა მიზეზის გამო. მამინაცვალი აღელვებული იყო ტოფუს დამამზადებლის გაუჩინარებით. თავიდან ფიქრობდა რომ მაშინვე დაბრუნდებოდა როგორც კი მოშივდებოდა. როგორც კი თვეები გავიდა, მიხვდა რომ ლინგი სასიკეთოდ წასულა. რაღა თქმა უნდა იგი ხანდახან უკან ბრუნდებოდა, მაგრამ მხოლოდ შუადღის სტუმრად.

რადგან მუშახელის დაქირავებაზე, ან ხარის ყიდვაზე უარს ამბობდა, ლინგის დედა შეაბა საფქვავში. ლინგმა მამინაცვლის სისასტიკის შესახებ გაიგო, სახლში მივიდა და დედას უთხრა, “ეს მეტისმეტია შენთვის. მე დავრჩები სახლში.”

“არა! არავითარ შემთხვევაში,” უპასუხა დედამისმა. “უნდა დამპირდე რომ ერთგული დარჩები ღვთის მოწოდების. შემიძლია თავის გართმევა. ეს მცირედი გადასახადია იმისათვის რომ შენ მყავდე მქადაგებლად. გაიგე? შენ უნდა გააგრძელო ღვთის სამკალში მუშაობა.”

ისე მოიქცა როგორც დედამისმა უთხრა. მალე სხვა პრობლემები გამოუჩნდა. ზოგიერთ სოფლებში პოლიციამ “არაავტორიზებული შეხვედრების” და “კულტის ქმედებების” დარბევა დაიწყო. ბევრ მორწმუნეს ეშინოდა ლინგისათვის მათ სოფელში დარჩენის ნება დაერთო; ზოგიერთ ადგილებში ერთჯერად კვებაზეც კი უარს ამბობდნენ.

ლინგი თანდათან უფრო შორს მოგზაურობდა ფეხით, უფრო ღრმა სოფლებისაკენ მიდიოდა. ავტობუსით უფრო შორს შეეძლო წასვლა ორმოცდაათ ცენტად, ეს იმაზე მეტი იყო ვიდრე მას საერთოდ გააჩნდა.

საბედნიეროდ, როდესაც მისმა მხარდამჭერებმა შეიტყვეს მისი მოგზაურობის შესახებ, ფეხსაცმელები გაუგზავნეს. სიხარულით მიიღო.

მიუხედავად მთის წნევისა, ლინგმა დიდი წარმატების გამოცდილება მიიღო მსახურებაში. ხანდახან ას კაცზე მეტი იყო ჯგუფში, მისი ხმა ისეთივე ძლიერი იყო ღია სივრცეში, როგორც დარბაზში. საშინაო ეკლესიები გაიხსნა მრავალ სოფელში,

რამაც პოლიციის ყურადღება მიიპყრო. თავდაპირველად ქრისტიანები ამბობდნენ რომ არ უარყოფდნენ ოფიციალურ სახელმწიფო ეკლესიაში სიარულს, რომელსაც თავისთავად სამ პატრიოტ მოძრაობად მოიხსენიებდნენ. მართლაც რომ ჰქონოდათ ქრისტიანებს სურვილი ამ მოძრაობას შეერთებოდნენ, ასი კილომეტრის რადიუსში ერთი ეკლესიაც კი არ იყო!

მალე პოლიციამ ქრისტიანების დევნა დაიწყო. საპასუხოდ ქრისტიანებმა მსახურებების გამართვა უდაბურ ადგილებში დაიწყეს და გალობისა და ქადაგების ხმას დაუწიეს. ლინგს სიფრთხილე უნდა გამოეჩინა ადამიანებთან ნდობის საკითხში, და უარს ამბობდა ერთ ადგილზე დიდხანს დარჩენაზე. მრავალი უცხოელი მისიონერისათვის გახდა გოგონა ცნობილი და ისინიც სთხოვდნენ რომ მათ შეხვედრებს დასწრებოდა. ლინგმა იცოდა, რომ ეს შეხვედრები დამატებით ყურადღებას გამოიწვევდა პოლიციის თვალში და საშიში იყო, მაგრამ დიდი სურვილი ჰქონდა შეხვედროდა უცხოელ და-ძმებს და გაეზიარებინა მათთვის, თუ რას აკეთებდა ღმერთი ჩინეთში. მისიონერებმა მოიტანეს ბიბლიები, რომელსაც იგი დიდი სიხარულით ურიგებდა ახლად ჩამოყალიბებულ საოჯახო ეკლესიებს. ხელით გადაწერა ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

ტალახიანი მუხლები, სავსე გულები

1983 წლის ზამთარში ქრისტიანების დევნა და დაპატიმრება გახშირდა. ლინგი სულ გაქცევაზე იყო, რადგან იცოდა რომ ის და მისი თანამშრომელები სახელმწიფოსათვის სასურველი ხალხის სიას წარმოადგენდნე. ეხლა დედამისის სანახავად სახლში წასვლაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა. უდაოა რომ სახლს პოლიცია უთვალთვალებდა. თოუკილში სტუმრობისას ლინგი მინდორში წაუძღვა მსმენელებს, სახარების უსაფრთხოდ გაზიარების მიზნით. თავსხმა იყო და არანაირი გადახურული, ყველა დარჩა, მოსმენილით დაინტერესებულნი, ყოველ სიტყვას იწოვდნენ.

როდესაც მათ მონანიების ლოცვისაკენ წაუძღვა, მსმენელებმა ტალახში მოიყარეს მუხლი. ლინგის მუხლები მთლიანად ტალახში იყო ჩაფლული–როგორც დანარჩენების. ასზე მეტმა

ადამიანმა მიიღო ქრისტე იმ დღეს, ლინგის გული სიხარულით იყო სავსე, თუმცაღა მომავლის ეშინოდა. ისიც იცოდა რომ დევნის ცეცხლს სული წმინდის ქარი მოჰყვება და უფრო ძლიერად და შორს უბერავს. საკუთარ თავს აღუთქვა რომ ერთგული დარჩებოდა მოწოდებისადმი, რაც არ უნდა მომხდარიყო.

ოცდაათიოდე კილომეტრის მოშორებით, სოფელ დატვინში, სხვა მქადაგებლებს შეხვდა, რომელბიც მივარდნილ სოფლებში ქადაგებდნენ სახარებას, დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი იყო როგორც ბიძია ფუნე, მან და დანარჩენებმა გაიზიარეს ლინგის მოწოდება; მრავალი წლის განმავლობაში მსახურებოდნენ ღმერთს. ბიძია ფუნე ყველაზე უფროსი იყო ჯგუფში. მას უკვე ხუთი წელი გაუტარებია შრომა-გასწორების კოლონიაში.

ლინგი და დანარჩენი ცხრა ევანგელისტი ერთად შეიკრიბნენ: ცხრა კაცი და ერთი გოგო. პირობა დადეს რომ გაეგრძელებინათ ქრისტეს მარტივი უწყების ქადაგება, ვიდრე საოჯახო ეკლესიაში ადგილობრივი ხელმძღვანელი არ გაიზრდებოდა. იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ვინც ჯერ კიდევ მარტო იყო, როგორც ლინგი, ასე დარჩებოდა მანამდე ვიდრე მათი საქმიანობა მტკიცედ ჩამოყალიბდებოდა.

ყველაზე დიდი გამოწვევა რასაც ქრისტიანები განიცდიდნენ დევნა კი არა, ბიბლიების საჭიროება იყო. შეთანხმდნენ რომ ლინგი გააგრძელებდა ბიბლიების შემოტანას, რადგანაც უკვე ჩამოეყალიბებინა ურთიერთობა იმ უცხოელ მისიონერებთან, ვისაც ჩუმად შემოჰქონდა ბიბლია ქვეყანაში. როდესაც სოფელში არ იყო მსახურებაზე, ბიძია ფუნეს დახმარებით კვალში მიჰყვებოდა გავრცელებულ ხმას, თუ სად შეიძლებოდა ბიბლიების შოვნა.

მძიმე მუშაობა, საშიშროების ზრდა

ლინგი ორმოცამდე კილომეტრს გადიოდა ყოველ დღე, ბიბლიების გასავრცელებლად თუ საქადაგებლად–უმეტესად მოტოციკლეტით. მგზავრობა ძალიან საშიში ხდებოდა; იცოდა რომ პოლიცია უთვალთვალებდა. მოელოდა რომ დროს

იხელთებდნენ და დააპატიმრებდნენ. სამზადისისათვის, უფრო და უფრო მეტ ადგილებს კითხულობდა სახარებიდან დევნის შესახებ, სოფლის ეკლესიებში. სურდა ხალხი მომზადებული შეხვედროდა მის დაპატიმრებას, თუ ეს მოხდებოდა უნდოდა რომ კარგი მაგალითი ყოფილიყო.

სამუშაო გართულდა. ხშირად მთელი დღე საჭმლის გარეშე რჩებოდა, ზოგიერთი ეკლესიის წევრები აკრიტიკებდნენ. ის მხოლოდ ოცი წლის არის, მარტოხელა, ამბობდნენ ისინი. რა ხელი აქვს ასეთ საქმესთან? ზოგიერთები მის ტრადიცულ აღზრდასაც აკრიტიკებდნენ; დანარჩენებს შური კლავდათ. ნებისმიერი კუთხით რთული იყო ამ კომენტარების მოსმენა.

1980-იან წლებში, ლინგი და მისი თანამშრომელები აგრძელებდნენ მუშაობას და ესმოდათ რომ მრავალი ქრისტიანი დაპატიმრებული და ნაწამები იქნა ხელმძღვანელობის მიერ. ჩინეთის მთავრობა შეწუხებული იყო საშინაო ეკლესიების სწრაფი ზრდით, მაშინ როცა, ეკლესიები ხალხს კარგავდა. ლინგისა და დანარჩენებისათვის კი აშკარა იყო, რომ მორწმუნეები ღვთის სულის განახლებულ გადმოღვრას ეძებდნენ, რომლის შედეგადაც ეკლესია იზრდებოდა. საპასუხოდ, მთავრობამ ეროვნული მასშტაბით წამოიწყო ეკლესიების ზრდის ხელის შემშლელი მოძრაობა. დევნა განსაკუთრებით მკაცრი იყო იმ ადგილეში, სადაც პოლიციას სრული ძალაუფლება ეძლეოდა საკუთარი ნებისამებრ მოპყრობოდნენ ქრისტიანებს, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელებს, როგორც აირჩევდნენ. ეს ხშირად გულისხმობდა წამებასა და დაპატიმრებას გასამართლების გარეშე.

1990-იან წლებში, ლინგი კარგად იყო ცნობილი ათასობით მორწმუნისათვის, როგორც ბრძენი და შემბრალებელი ლიდერი. როგორღაც ხელიდან დაუსხლტა ხელისუფლებას–ყოველ შემთხვევაში ამჯერად მაინც.

პირობის დაცვა

1994 წლის აპრილში ლინგი ფიზიკურად გადაღლილია. “ცოტა უნდა დაისვენო,” უთხრა ბიძია ფუნემ. “შეიძლება ღვთის დროა შენი დაქორწინებისათვის.”

უარყო შემოთავაზება. “იცი რომ პირობა დავდე ხელმძღვანელების ჯგუფთან. ვთქვით რომ არ დავისვენებდით, ან არ დავქორწინდებოდით მანამდე, ვიდრე ეკლესია მტკიცედ არ დადგებოდა ფეხზე. მორწმუნეებს სჭირდებათ ხელმძღვანელობა, რათა გააძლიერონ ისინი მიმდინარე დევნის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას გარდა, ბიბლიების გემი მოვიდა გუანგზაუში. “შენი და იანი მიმყავს წამოსაღებად. რამოდენიმე დღეში დავბრუნდებით.”

მოხუცი ფუნე ცოტა არ იყოს შეწუხდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა რომ არ შედავებოდა. შესაძლოა გაჯიუტებულიყო, სწორედ რომ ეს იყო მიზეზი მისი თავიდან ჯგუფში აყვანისა. იცოდა რომ ღმერთს მისი გამოყენება სურდა საოჯახო ეკლესიების ზრდაში. ამას გარდა, ფუნეს და მის მეუღლეს გოგონა საკუთარი შვილივით უყვარდათ.

იცოდა ლინგის ტანჯვები, ხანდახან როგორ უხდებოდა ბრძოლა ეკლესიის წევრების შურის წინააღმდეგ მისი პოზიციის გამო და როგორი განაწყენებული იყო ყველას მიმართ ვისაც ვერ გაეგო თუ რატომ არ თხოვდებოდა. ფიქრობდა რა მის წინაშე არსებული განსაცდელების შესახებ, ბიძია ფუნემ ჩუმი ლოცვა წარმოსთქვა გამგზავრების წინ.

დაპატიმრება

ადრე საღამო იყო, ლინგმა და მისმა თანამშრომელებმა ბიბლიები აიღეს და მეგობრის სახლისაკენ გაუდგნენ გზას ღამის გასათევად. გაიხარეს ერთმანეთთან თბილი ურთიერთობით, უკვე გვიანი იყო, ვიდრე დასაძინებლად წავიდოდა ტელეფონზე უნდა დაერეკა. მიჩუმებულ ქუჩაში გავიდა, კაცმა დაუძახა სახელით. ლინგის პირველი ინსტინქტი იყო გაქცევა, მაგრამ მეორე ოფიცერი წინ დაუხვდა.

კარგი, გაიფიქრა მან, საბოლოოდ დამიჭირეს. რაც საკუთარი სახელი აფიშაზე დაინახა, მას შემდეგ სულ ელოდა ამ დღის დადგომას. მტკიცედ სჯეროდა, რომ ვიდრე მისთვის ღმერთის დრო არ მოვიდოდა არ დაიჭერდნენ; იმედი მიეცა ამ ფიქრში.

“ჩვენთან უნდა წამოხვიდე,” უთხრა ერთ-ერთმა ოფიცერმა მოწმობის ჩვენებისას. ცხადია რომ ელოდებოდნენ, საკმაო

წარმოდგენა ჰქონდა რაც მოელოდა, ღრმად ამოისუნთქა, ფიქრობდა რომ მარტო მას აიყვანდნენ, და სხვა მორწმუნეების გაჩხრეკით თავს არ შეიწუხებდნენ.

მანქანისაკენ წასვლის ნაცვლად, ოფიცრებმა იმ ბინისაკენ წაიყვანეს საიდანაც გამოვიდა.

"სად მიგყავართ?" იკითხა მან.

"შიგნით," უპასუხა პირველმა ოფიცერმა. ისეთივე მაღალი იყო, როგორც ლინგი, მშვიდი, გამაღიზიანებელი ხმით ლაპარაკობდა. შენობისაკენ დაცვით მიმავალი ფიქრობდა: *შენი და იანი დაქორწინებულები არიან; რა თქმა უნდა პოლიცია მათ ციხეში არ გააგზავნის. რამდენი ბიბლია შეიძლება რომ იპოვონ?გავანადგურე თუ არა კვალი, მას შემდეგ რაც ბიბლიები წამოვიღე ხუცესის ოჯახიდან?*

ბინაში ოფიცრებზე წინ შევიდა და შენს და იანს ჩასჩურჩულა, "თქვით რომ მე დაგიქირავეთ და არაფერი არ იცით. მე ავიღებ პასუხისმგებლობას."

პოლიციამ სასწრაფდ დააშორა ლინგი დანარჩენებს, სკამზე დასვეს და ოფიციალური დოკუმენტები *გაშალეს მის წინ მაგიდაზე.* საკუთარი სახელი დაინახა პირველ აბზაცზე. "ხელი მოაწერე," დაიღრინა ბატონმა, მაღალმა კაცმა. საწერი ხელში მიაჩეჩეს, ლინგმა სწრაფად გადაავლო თვალი ნაწერს. ფურცელი ამბობდა, რომ მათ ყველაფერი გაჩხრიკეს და "სამხილი" ამოიღეს მისი ოთახიდან. ხელი მოაწერა და შიშისაგან გათავისუფლდა. იცოდა რომ გრძელი ღამე იქნებოდა...

ოფიცრებმა თავდაყირა დააყენეს ყველაფერი. უყურებდა როგორ აბნევდნენ მის ტანსაცმელს აქეთ-იქეთ. შემდეგ კი რამოდენიმე ყუთი ბიბლია იპოვეს...

ლინგი ჩინეთის ოთხი ცნობილი ციხიდან ერთ-ერთში წაიყვანეს 91-ში. ოფიცრებს, რომლებიც მის დაკითხვას აწარმოებდნენ მხოლოდ სამი რამ უნდოდათ: სახელები, სახელები და რაც შეიძლება მეტი სახელები. "ვინ გეხმარებათ? ვინ არიან სხვა ლიდერები? ვინ მოგცა ეს ბიბლიები?" იცოდა თუ რა მოჰყვებოდა ჯგუფიდან ვინმეს დასახელებას, უარს ამბობდა პასუხზე.

დაკითხვა მომდევნო ორი თვე გაგრძელდა.

დაკითხვის გარდა თანაპატიმრებთან ერთად სხვა საქმეც უნდა გაეკეთებინა. სიგარეტის სანთებელებს ამზადებდნენ,

ხარისხს მკაცრად ამოწმებდნენ, რადგან პროდუქტი დასავლეთში უნდა გაეგზავნათ. ლინგი ცუდად გახდა; მაღალი სიცხეები ჰქონდა და დასუსტდა. მაგრამ, თუ დღიურ ნორმას არ შეასრულებდა, სცემდნენ.

"ვიცით როგორ უნდა ავალაპარაკოთ"

ივლისში ლინგი გადაიყვანეს. მის ქალაქში პოლიციას მისი დაპატიმრების შესახებ შეეტყო და გადაყვანა მოითხოვეს. თითქმის ათწლიანი დევნის შემდეგ, როცა აღმოაჩინეს რომ ვიღაცა მეურვეობდა, აღელდნენ. მისი ქალაქის პოლიციელები უფრო გამოცდილნი იყვნენ პატიმრების დაკითხვაში. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა, "ვიცით როგორ გავხსნათ პირები."

91-ე ციხეში მთელი კვირა მაღალი სიცხეებით ძალდატანებით მუშაობდა, ძალიან იტანჯებოდა დაკითხვის პროცესით. ცივი ტუჩები, გრძნობდა რომ ეცემოდა. დაკითხვის პროცესი მკაცრი იყო, მაინც არაფერს არ ამბობდა. ადრინდელ დაკითხვასთან შედარებით, ახლები სხვა ტექნიკას იყენებდნენ, მათაც იგივე ინფორმაციის მოპოვება სურდათ: სახელები. "ვინ არიან დანარჩენები?" ეკითხებოდნენ განმეორებით.

"ვისთან გაქვს ურთიერთობა საზღვარგარეთ?" კითხვები თავბრუს ახვევდა, დროდადრო ისევ ძალას იკრებდა და არავის არ ასახელებდა, მიუხედავად იმისა, რომ ცდუნება ძალიან დიდი იყო. ხანდახან დაკითხვაზე თავის სურათებს აჩვენებდნე სხვა თანამშრომელებთან ერთად გადაღებულს. თუ უკვე იცოდნენ ვისთან ვმუშაობდი; რატომ უნდათ რომ მე დავასახელო? უკვირდა ლინგს. გამოიწვევდა თუ არა უარეს საშიშროებას?

ერთ საშინელ დღეს, ათი კაცი შემოვიდა დაკითხვის ოთახში. ერთს ორივე მხარეს გახსნილი, პატარა რკინის მაშა ეჭირა ხელში. დაცვის ორმა თანამშრომელმა მუცლით დასცა ლინგი იატაკზე. ხელები ზურგს უკან ამოუგრიხეს, ისე რომ ხერხემლიდან რამოდენიმე ინჩით იყო დაშორებული. მერე სხვა დაცვის თანამშრომელმა ჩექმიანი ფეხი ზურგზე დააბიჯა, მაშა ცერ თითებზე მოუჭირეს და ხელებით მაღლა ეწეოდნენ. მაგრად უჭერდნენ მაშას თითებზე.

საკუთარი ზურგის ძვლების ტკაცა-ტკუცი ესმოდა, ამ არაჩვეულებრივ მდგომარეობაში. შემდეგ კაცმა მკლავები გაუხსნა, ტანჯვისაგან მიყენებულმა ტკივილმა ელექტრო შოკივით დაუარა მთელს სხეულში.

"თითების დამჭერი" სასტიკი რამ იყო, მთავრობა არალეგალურად იყენებდა ამ იარაღს ქალებზე. ტანჯვისაგან კვნესოდა, წამებაში ირონია შენიშნა: სოფლებში მრავალი ადამიანი არ უწონებდა მსახურებაში მონაწილეობას, იმის გამო რომ ქალი კაცის საქმეს აკეთებდა. ეხლა კი, როგორც კაცს ისე აწამებდნენ.

იცოდა რაც მოელოდა. იმ წუთში გაიფიქრა რომ ჯერ კიდევ ჰქონდა არჩევანი: ან სიკვდილი ან ძმების დასმენა. გადაწყვიტა რომ სიკვდილი უფრო ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა.

"ადექი!" ოფიცერმა დაუყვირა და ფეხი გაჰკრა. ცდილობდა მუხლებზე წამომჯდარიყო, როცა რეზინის ჯოხი გადაარტყეს ზურგში სასტიკად. კიდევ ერთხელ მეხივით დაუარა ტკივილმა სხეულში. სუნთქვა შეეკრა; ვეღარ მოძრაობდა. მაჯები დაუსივდა, მკლავები მოეკრუნჩხა ზურგს უკან დაჭერით.

"გთხოვთ! არ შემიძლია..." ცახცახებდა ხმა გონების შენარჩუნების საბრძოლველად. ცივი ოფლის წვეთები შუბლიდან თვალებში ჩადიოდა და უწვავდა, აგონიაშიც კი ღმერთს შეღაღადებდა. ფიქრობდა, ნეტავ თუ ასე გრძნობდა იესოც თავს გეთსიმანიაში ლოცვისას, იცოდა რა რომ უნდა ტანჯულიყო და მომკვდარიყო. ნეტავ თუ მოკვდებოდა...

მთელი სამი საათი გააგრძელეს დაკითხვა, ხელები ზურგს უკან და ცერებზე მოჭერილი სამაგრი, სხეული აგონიაში ჩავარდა. საბოლოოდ ტკივილსაც ვეღარ გრძნობდა.

როდესაც გამოიღვიძა, თავის ჭუჭყიან საკანში იყო, იატაკზე პირით დამხობილი. გარშემო მყოფების ხმა ესმოდა, სინამდვილეში ვიღაც შემოვიდა ოთახში და ლინგი ხის საწოლზე დააწვინა. განძრევა არ შეეძლო; დიდი იყო ტკივილი. საჭმელად და ვედრის გამოსაყენებლადაც კი არ შეეძლო ადგომა. თხუთმეტი დღის განმავლობაში ასე იწვა, ვიდრე ოფიცრები განაჩენს გამოუტანდნენ.

თანდათან გამოდიოდა მდგომარეობიდან, და ხუთი თვე კიდევ გაუძლო ციხის აუტანელ მდგომარეობას.

შემდეგ, რადგანაც ხელისუფლებას რეალური საბუთი არ

ეპყრა ხელთ მის წინააღმდეგ და ვერ აიძულეს თანამშრომელთა დასახელება, უხალისოდ გაათავისუფლეს.

ტანჯვა არის სკოლა

1995 წლის იანვრის ცივი, მძაფრი დღე იყო, როდესაც თანამშრომლის კარზე დააკაკუნა "ლინგ!" წამოიძახა მისმა მეგობარმა რუთმა, კარის წინ მდგარი მოჩვენების დანახვისას. სწრაფად შეიყვანა სტუმარი სახლში, ხელები გადახვია და კითხვები დააყარა. "რატომ არ დაგვიკავშირდი? რა გამხდარი ხარ! ყველაფერი რიგზეა? პოლიცია არაფერს არ გვეუბნებოდა შენს შესახებ. როგორ გადარჩი? როგორ დააღწიე თავი?"

როგორც კი ლინგის გათავისუფლების ამბავი გავრცელდა მორწმუნეებში, მაშინვე ექსპრომტული ზეიმი მოეწყო. ლინგი განადგურებული იყო, მაგრამ ამვდროულად და-ძმებში ყოფნით გახარებული. როგორც კი მის გარშემო შეიკრიბნენ სამადლობელი ლოცვისათვის, ლინგმა თქვა, "დიდი მადლობა თქვენი გულწრფელი ლოცვისათვის ბოლო თვეების განმავლობაში. ვიცი რომ თქვენი ლოცვითი მხარდაჭერისა და ღვთის დახმარების გარეშე ვერ შევძლებდი ამის ატანას. მერწმუნეთ, მრავალი დღე იყო როცა ვფიქრობდი რომ გაგრძელებას ველარ შევძლებდი, ერთგული იყო ღმერთი და მუდამ მახსენებდა მისი სიყვარულის შესახებ. ვფიქრობ რომ ტანჯვა არის სკოლა. თუ ამ სკოლას წარმატებით გაასრულებ, შენი საქმეც შეგისრულებია. თუ დამარცხდი, განადგურებული ხარ. ჩემთვის ციხე ეს სკოლა იყო. ვიდრე იქ ვიყავი, ღმერთში ვცხოვრობდი სრული დამოკიდებულებით, ამ დამოკიდებულებას მივყავდი ღმერთთან უფრო ახლოს. ყოველთვის გასწავლიდით რომ ძლიერი ყოფილიყავით ღვთისთვის და გადაგეტანათ ყოველი განსაცდელი. ახლა უფრო მეტი დარწმუნებულობით შემიძლია გითხრათ, რომ იესო ყოველთვის თქვენთან იქნება, მნიშვნელობა არა აქვს, რა განსაცდელიც არ უნდა გაიაროთ."

მისი დაპატიმრებიდან გამომდინარე, სწავლობდა და ქადაგებდა პავლესა და იმ სხვა ადამიანების ცხოვრებას, რომლებმაც იესოს გამო ტანჯვა გაიარეს. ეხლა ის ხუმრობდა

თანამშრომელებთან, როდესაც სამოთხეში მივალ მინდა რომ იესოს მივესალმო, პავლეს ხელი ჩამოვართვა და შევეკითხო, "როდესაც დედამიწაზე ცხოვრობდი, შენი ცხოვრებაც ისეთვიე მძიმე იყო როგორც ჩემი?"

ოცდაათი წლის ლინგის სხეული ნორმალურად არ ფუნქციონირებდა იმდენი ფიზიკური ძალადობის გავლის შედეგად. მიუხედავად ამისა, მაინც უნდოდა რომ კარგი მაგალითი ყოფილიყო, საშინაო ეკლესიებში მაშინვე გააგრძელა მუშაობა, ასწავლიდა და უძღვებოდა ბიბლიის შესწავლის კურსს, ხვდებოდა უცხოელ მისიონერებს კოორდინირებისა და ინფორმაციისათვის, რათა ჩინეთის მიწაზე მოხვედრილიყო ბიბლია. 1980-იან წლებში მთავრობის მიერ სასტიკი დევნის გამო ქრისტიანები მიმოიფანტნენ მთელს ჩინეთში, საშინაო ეკლესიების ქსელი გაიზარდა და მისწვდა მილიონამდე ადამიანს. ეხლა უფრო მეტი თავგამოდებით მუშაობდა, რათა დარწმუნებულიყო რომ ყველა ეკლესიას ჰქონდა სულ მცირე, ერთი ბიბლია მაინც.

1996 წლის ერთ საღამოს, ლინგი ევროპელ მისიონერ წყვილს გამოემშვიდობა და სახლში დაბრუნდა, დაახლოებით 10:00 საათზე კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

კაცის ხმამ დაიძახა, "ჰელოო, ჩვენ უბრალოდ გვინდა რომ თქვენი ბინადრობის მოწმობა შევამოწმოთ."

ლინგმა ფუნეს და იანს გადახედა და თავი გააქნია. იცოდა რომ პოლიცია იქნებოდა. კარები გააღო და ხუთი ოფიცერი შემოცვივდა ოთახში. "დაპატიმრებული ხართ!" განაცხადა ერთმა ოფიცერმა, მეორე კი ლინგს და მის მეგობრებს ხელებზე ბორკილებს ადებდა. ლინგმა კიდევ ერთხელ უცქირა ნივთების გადმოყრის სცენას. კიდევ ერთი გრძელი ღამე იქნებოდა.

ძველი მეგობრები

როდესაც პოლიციის განყოფილებაში დაბრუნდნენ, ლინგი საგანგებო რწმუნებულს წარუდგინეს, სასიამოვნო ხმის მქონე კაცი, რომელსაც ეხებოდა მისი საქმე პირველი დაპატიმრებისას. "ბატონო, ეს მის. ლინგია...," დაიწყო სუბორდინაციის დაცვით.

“დიახ, ვიცნობ,” უპასუხა კაცმა ქვეშ-ქვეშა სიცილით. “ძველი მეგობრები ვართ. კარგი, ამჯერად, არ მგონია რომ სადმე წახვალ მცირე ხნით. შენი და შენი მეგობრების საქმე საკმაოდ მომხიბვლელად გაიზარდა. ამაღამ შენი ორი სხვა ლიდერიც ავიყვანეთ. საბოლოოდ შემიძლია ვთქვა რომ კარგი სამუშაო დღე იყო.” ნიკაპი დათხოვნის ნიშნად შეიშმუშნა. “ჩასვი მეთორმეტე საკანში,” თქვა მიმავალმა უკანმოხედვით. “სახლში მივდივარ.”

ერთი კვირის შემდეგ ლინგის გაოცება გაიზარდა, ოფიცრების სუსტი დამოკიდებულების გამო. რატომ არ უწყობენ დაკითხვას? რატომ იყვნენ ასე მოდუნებულები? როგორ გაიგეს იმათ შესახებ ვინც დააკავეს? პანიკის წინააღმდეგ იბრძოდა, როცა გააცნობიერებდა თუ რამდენი შეიძლებოდა პოლიციას ცოდნოდა. ფიქრობდა ისიც იცოდნენ თუ რამდენად უფრო გავლენიანი გახდა ლინგი ადრინდელთან შედარებით. ალბათ პირველი დაპატიმრების შემდეგ კვალში ედგნენ და ზეპირად იცოდნენ რამდენჯერ შეხვდა უცხოელ მისიონერებს. დარწმუნებით იცოდნენ ყველა იმ ადამიანის შესახებ, რომლებიც სოფლებიდან სტუმრობდნენ, საშინაო ეკლესიის საკითხებთან დაკავშირებით.

კარგი, ფიქრობდა ლინგი, ყველაფერს აზრი აქვს. ეკლესია საგრძნობლად გაიზარდა, ადრე თუ გვიან პოლიცია მაინც შეიტყობდა დეტალებს. დაემორჩილა ციხის ცხოვრებას, შეკრთა იესოს სიტყვების გახსენებაზე–“გაგზავნით როგორც ცხვრებს მგლებს შორის”... ყველაფერი ცხადი ხდებოდა მისთვის.

მომდევნო ოთხი თვე აგონია იყო ლინგისათვის. “გთხოვთ,” ეხვეწებოდა ხანდახან დამტყვევებლებს, “თუ გინდათ რომ მომკლათ მომკალით, თუ გინდათ რომ დამაპატიმროთ მომისაჯეთ. თუ გინდათ რომ გამათავისუფლოთ გამათავისუფლეთ! აქ ნუ დამტოვებთ უმიზეზოდ, როგორც ადრე გააკეთეთ.”

ის ამბობდა ამას, მაგრამ ყურადღების ღირსადაც არავინ აგდებდა, გარდა იმისა როცა ოფიცერი შეაფურთხებდა ან დასცინებდა.

ხანდახან ლინგი ფიქრობდა რომ გაგიჟდებოდა. ყოველი დღე ხის პატარა საწოლზე, პატარა საკანი, მხოლოდ დროებითი

დაკავების საკნად გათვალისწინებული, გამუდმებით სველი იყო. ხანდახან ოცამდე ქალი შემოჰყავდათ, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს იატაკიდან წყლის ახაპვას ანდომებდნენ.

აგრეთვე სხვა პატიმრები ხშირად მიდი-მოდიოდნენ დროებითი დაყოვენბის საკანში, ვიდრე სხვაგან გადაიყვანდნენ, ან გაათავისუფლებდნენ, ლინგი უარყოფილი იქნა ხელმძღვანელების მიერ და სამადლოდ ეჭირა საკანში მცირედი ადგილი. უფლება არ ჰქონდა საწოლზე დაწოლილიყო ან კედელს მიყრდნობოდა, დგომას ან საწოლზე ჯდომას აიძულებდნენ. კოღო-ბუზებისაგან დაბინძურებული საკანი უბადრუკ ადგილად იყო გადაქცეული.

საბოლოდ, პოლიციის ოფიცერი გამოჩნდა მისი საკნის კართან, რაღაც ფორმით ხელში. "მოაწერე ხელი," უბრძანა მან.

ლინგმა გისოსებში ხელი გაყო და ფორმას მისწვდა. "რა არის ეს?" იკითხა მან,

"შენ ხელი მოაწერე," დაიღრინა ოფიცერმა და ფურცელი მიაჩეჩა. "გადადიხარ."

ლინგს გული ამოუვარდა როდესაც ფურცელზე წაიკითხა, რომ სამი წლით გადაჰყავდათ "შრომა გასწორების კოლონიაში." ჩინეთი თხუთმეტ დღეს აძლევდა პატიმრებს ასეთი განაჩენის შემდეგ გასაჩივრების ან თავდაცვისათვის, ლინგს, ეს კანონი არ ეხებოდა. "დღეს დატოვებ აქაურობას," უთხრა კომანდირმა.

ვიდრე ლინგი გააპროტესტებდა პოლიციელი გაუჩინარდა, მისი ბზინვარე ფეხსაცმელების მნიშვნელოვანი კაკუნი ისმოდა ცემენტის კალიდორში.

სამი წელი.

ოჰ, ღმერთო, უპატრონე ეკლესიებს, ჩუმად ლოცულობდა ციხის მანქანით თვრამეტ-კილომეტრიანი მდინარის სახელით ცნობილი ბანაკისაკენ მიმავალი. მადლიერი იყო, რისი გაკეთებაც მან და მისმა თანამშრომელებმა შეძლეს, ამავდროულად, ისიც აღელვებდა თუ რა ხდებოდა ეხლა მათ თავს. საოჯახო ეკლესიების ათი ლიდერიდან ოთხი დაპატიმრებული იყო, როგორც მან იცოდა. მის გარდა ბიძია ფუნეც კი ადგილობრივ ციხეში გამოამწყვდიეს, ორი ლიდერი სხვაგან იქნა გადაგზავნილი.

ადგილზე მისვლისას, ლინგს ჯამით ბრინჯი და პატარა ყუთი მისცეს პირადი ნივთებით. შემდეგ კამერისაკენ გაუძღვნენ.

ციხეში ლოცვა: ისეთივე სასიცოცხლო როგორც სუნთქვა

"კეთილი იყოს შენი მობრძანება, ლინგ! გვითხრეს რომ მოდიოდი!" მიესალმა ხმა კარების მიხურვისთანავე. ისე მოხდა რომ მისი ერთ-ერთი ჯგუფის წევრები თანასაკნელები იქნებოდნენ. გაეცინა მათ ომახიან მისალმებაზე. ბედნიერები ჩანდნენ რომ ისიც დააპატიმრეს, იცოდა ის უხაროდათ რომ მათ საკანში მიუჩინეს ადგილი. ერთმანეთს გადაეხვივნენ და ჩურჩულით ლოცვა წარმოთქვეს, ლინგი ფიქრობდა ნეტავ რამდენი მორწმუნე შეუერთდებოდათ.

მაღლა საწოლი მიაკუთნეს. იმ ღამით ლინგმა გაიღვიძა და ხმამაღლა ლოცვა დაიწყო. "ჰეი!" დაიყვირა ერთმა თანასაკნელმა. "აქ არ შეიძლება ამის გაკეთება. თუ დაგიჭირეს დაგსჯიან."

"არ არსებობს ისეთი რამ რაც ქრისტიანებს ლოცვას დაუშლის. ეს იმას ნიშნავს რომ სუნთქვა აუკრძალონ," უპასუხა ლინგმა.

"ზუსტადაც რომ ასეა," თქვა ერთმა ქალმა. "არა მარტო ეს, არამედ გრძელი თმის ქონის უფლებაც კი არა გაქვს."

ლინგმა შავ, გრძელ თმაზე თითები ჩამოისვა. დიდად არ ადარდებდა გარეგნული გამოხედვა, მაგრამ თმების შეჭრა ვერ წარმოედგინა. ყოველთვის გრძელ თმას ატარებდა. ფიქრობდა რა საშინელი იქნებოდა გადახოტრილი თავით. ჩუმად თვალებზე ცრემლმომდგარი ლოცულობდა და ღმერთს თმების შენარჩუნებას სთხოვდა. ლოცვის გასრულებამდეე იცოდა რომ სისულელე იყო. საკანში მიმოიხედა და დაინახა რომ ყველა ქალს მოკლე თმა ჰქონდა და ყველა საშინლად გამოიყურებოდა.

ბანაკის ცხოვრება ციხის ცხოვრებისაგან განსხვავდებოდა. ლინგი ბედნიერი იყო დღის განმავლობაში გარეთ გასვლის შესაძლებლობით, დიდი ხნის პატიმრობის შემდეგ. საჭმელიც ცოტა უკეთესი იყო, მხოლოდ სამთვიანი გამოსაცდელი ვადით, თხუთმეტი-თექვსმეტი საათი უნდა ემუშავა პარიკების გასაკეთებლად. კიდევ ერთხელ გაიფიქრა ირონიაზე, როცა მუშაობისას ხელს დაჩერებოდა. პარიკების კეთების საქმე ადვილი არ იყო. არც თანამშრომელების გულისრევა იყო იშვიათი, დღიური ნორმის შესრულების მძიმე სტრესში. ლინგისათვის ძნელი იყო სხვა რამეზე ეფიქრა.

მონოტორული გახდა ყოველდღიური რუტინა, შრომა, ჭამა, და ძილი–შემდეგ გაღვიძება, ჭამა, მუშაობა. ხანდახან თანასაკნელები ღამითაც კი მუშაობდნენ, თუ სამუშაო ბევრი იყო, ან დღიური ნორმა ვერ შეასრულეს. ლინგისათვის ყველაზე ძნელი იყო ყურადღების ღმერთზე გადატანა და ლოცვა, ისე როგორც აქამდე აკეთებდა. იმდენი წლის ცენტრალურ ჩინეთში თავისუფლად მოგზაურობის, ქადაგების, სწავლების და ხალხზე ზრუნვის შემდეგ, ეს ახალი ცხოვრება მთელი თავისი წესებითა და ლიმიტით გასაგიჟებელი იყო.

"ღმერთს მიზანი აქვს ჩვენს აქ ყოფნაში"

ყოველ დილით, თანასაკნელები ხუთ საათზე იღვიძებდნენ საფსტვენის ხმის გაგონებაზე, ათი წუთი ჰქონდათ საწოლის გასასწორებლად და ბანაკის ეზოში რიგში მოსაწყობად, თხუთმეტი წუთი საჭმელად და მთელი დღე ქარხანაში სამუშაოდ. კვირაში შვიდი დღე მუშაობდნენ ამ გეგმის მიხედვით. უმეტესი მათგანისათვის, ლინგის ჩათვლით, ცხოვრება გახდა მონოტორულად დამქანცველი. მუშაობდა პროსტიტუტებთან, ქურდებთან, გამტაცებლებთან და სხვებთან, რომლებსაც მიკრული ჰქონდათ იარლიყი–"საზოგადოების ნაგავი."

გრძელ დღიანი მუშაობისაგან დაქანცულს უფრო და უფრო უჭირდა ღამით ლოცვა, ერთი სული ჰქონდა როდის დაიძინებდა.

რამოდენიმე კვირის შემდეგ, რატომღაც ისევ იგრძნო თავისი ძველი ბუნება, რადგან ღმერთს ჩააბარა მდგომარეობა. კიდევ ერთხელ იგრძნო იძულება, გაეზიარებინა რწმენა სხვა მორწმუნეებისათვის. "ღვთის ულტიმატური მიზანი ნებისმიერ ჩვენს მდგომარეობაში არის-ვისწავლოთ მისი მორჩილება, მართალია?" უთხრა მათ. "ასე რომ ვიცი, ღმერთს ჩვენს აქ ყოფნაში რაღაც მიზანი აქვს. კრიმინალებითა ვართ გარშემორტყმულნი, რომელთა პირი ჭუჭყიანია და არანაირ საქციელზე უკან არ იხევენ, დარწმუნებული ვარ, ღმერთს უნდა რომ გვიყვარდეს ეს ხალხი და მათაც ვაჩვენოთ ღვთის სიყვარული. ადვილია გიყვარდეს გარეთ მყოფები, მეგობრები და თანამშრომელები. მაგრამ ღმერთს უნდა, ვისწავლოთ თუ როგორ გვიყვარდეს ესენიც."

ლინგი მადლიერი იყო ბანაკში მყოფი ერთი მუჭა ქრისტიანების. როდესაც ერთი მორწმუნე დაეცემოდა, მეორე იდგა მის ასაყენებლად. ლინგი იმედგაცრუებას გრძნობდა რომ ნება არ ეძლეოდათ ერთად ლოცვისა და გაზიარების შეხვედრისათვის. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას ლოცულობდა ქალების გასამხნევებლად–როდესაც ტვალეტისათვის ეძლეოდათ შესვენება მუშაობის დროს ან სადილის რიგში დგომისას.

დიდი ხანი არ დასჭირვებიათ ციხის უფროსობას რომ შეემჩნიათ ლინგის ლიდერობის უნარი, რის გამოც დივიზიის ხელმძღვანელობა ჩააბარეს, როგორც ჯგუფის ლიდერი. ამდაგვარმა დაწინაურებამ, მეტი შესაძლებლობა მისცა დაემოწმებინა იმ ორმოცდაათ ქალთან, რომლებიც მის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და სხვა დანარჩენ ორას ქალთან, რომლებიც პარიკების გასაკეთებლად მუშაობდნენ მასთან ერთად ქარხანაში. შრომა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და ხანდახან პატიმრებს შორის ატეხილი ჩხუბი აოცებდა, ლინგი ყოველთვის შესანიშნავად ასრულებდა თავის მოვალეობას და სინამდვილეში მის დივიზიონში რამოდენიმე ადამიანის გულიც მოიგო.

“რატომ ხარ აქ?” ეკითხებოდნენ ქალები. “ისეთი კეთილი და კარგი ლიდერი ხარ. კარგი კარიერა გექნებოდა გარეთ.”

ლინგი არც ერთ შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რომ გაეზიარებინა ციხეში ყოფნის მიზეზი, რის შედეგადაც მრავალი გახდა საიდუმლო მორწმუნე. მიუხედავად იმისა რომ ბიბლია არ ჰქონდათ, ლინგი ასწავლიდა მათ ადგილებს წმინდა წერილიდან და საგალობლებს და როგორ ელოცათ. გაახსენდა მოხუცი ძმის ხელნაწერი ბიბლია და პირობა, რომ ზეპირად ისწავლიდა ადგილებს ბიბლიიდან. ეხლა მადლიერი იყო ეს რომ გააკეთა.

“შეიძლება ჩემნაირმა პიროვნებამ ირწმუნოს?”

ციხის უფროსები აგრძელებდნენ ლინგის საქმეში მისი საუკეთესო საქციელისა და მისი ჯგუფის წარმატების შესახებ შენიშვნების გაკეთებას. როგორც ჩანს მის ჯგუფს სხვებთან

შედარებით უპირატესობასაც ანიჭებდნენ. ერთ დღეს, ზედამხედველმა ტაომ გააჩერა ჰოლში.

"ლინგ, შენი ფაილი ვნახე," თქვა მან. "ვიცი შენი საქმიანობისა და იმის შესახებ რომ გავლენის მქონე ქრისტიანი ლიდერი იყავი. უკვე თერთმეტი თვეა რაც აქ ხარ და სხვა პატიმრებთან ურთიერთობაშიც გხედავ, განსაკუთრებით მათთან ვინც ადვილად იწვევს პრობლემებს. როგორც ჩანს უდიდესი გავლენა გაქვს ამ პატიმრებზე, მიუხედავად იმისა რომ მათ მსგავსად არ იქცევი. რატომ?"

ლინგმა ნერვიული აღელვება იგრძნო უფროსთან საუბრისას, "მათსავეთ არ ვიქცევი, იმიტომ რომ მორწმუნე ვარ და ჩემი მთელი ცხოვრება ქრისტეს ჩავაბარე. ის არის ჩემი სიცოცხლის მიზეზი. ის არის მიზეზი რატომაც შეიძლება მიყვარდეს ეს ძნელად შესაყვარებელი ხალხი. ქრისტიანობაზე საუბარს შესაძლოა გაემართლებინა მისი საქმე, ან უფრო მეტი წლები მიეცათ, ან "ყუთში" ჩაეკეტათ, განმარტოებულ საპატიმრო საკანში. ლინგისაგან გასაკვირად უფროსი მოულოდნელად ალაპარაკდა, "შეიძლება ჩემნაირმა პიროვნებამ იესო ირწმუნოს?"

"რა თქმა უნდა!" უპასუხა ლინგმა. "მაგრამ არ გეშინია შენი თანამდებობის დაკარგვა? არ გეშინია რომ მთავრობა სამხედროში გაგაგზავნის?"

"შენ არ გეშინია რომ წლების დამატებით დაგსაჯო ასეთი სისულელის ლაპარაკის გამო?" ესროლა ქალბატონმა ტაომ უკან, ისე რომ არცერთი სირტყვა არ გამოპარვია.

"მანამდე ვიდრე ვიცი რომ ჩემს აქ ყოფნას მიზანი აქვს– მანამდე ვიდრე ვიცი რომ იესოს ირწმუნებ–შემიძლია სამუდამოდ აქ დავრჩე."

"მოგწონს აქ ყოფნა?"

"სრულებითაც არა," უპასუხა ლინგმა. "მაგრამ იმიტომ ვარ აქ რომ იესოს უყვარხარ. ჩემი და შენი სიცოცხლე ღვთის მიერ არის ბოძებული."

ქალბატონმა ტაომ ცოტა ხანს კიდევ იკამათა, ლინგმა ყველა მის დასმულ შეკითხვას უპასუხა და უთხრა თავის უფროსს ღვთის სიყვარულის შესახებ.

ქალბატონი ტაო დაინტერესდა, მაგრამ ადვილად ვერ დააჯერებდით, რამდენიმე თვის განმავლობაში აგრძელებდნენ

საიდუმლო საუბარს. ბოლოს, ლინგს უთხრა, "რომც დავიჯერო, საიდუმლოდ უნდა მწამდეს. იცი, ჩემს მეზობლად ქრისტიანები არიან, არასოდეს გამოვლაპარაკებივარ მათ. ძალიან ძნელია ჩემი პროფესიის გამო. პირველი ქრისტიანი ხარ, რომელსაც ოდესმე ვიცნობდი."

ლინგმა საპასუხოდ გაიღიმა და გულში ქალბატონი ტაოსათვის ლოცვა დაიწყო.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში ლინგი ისე ერთგულად ემსახურებოდა ღმერთს როგორც შეეძლო. მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა მძიმე სამუშაოს შესრულებისა და კარგი კვების ნაკლებობის გამო. ხანდახან ფიქრობდა, ნეტავ როდემდე გაუძლებდა ამ ყველაფერს. დეკემბრის ერთ დღეს ქალბატონმა ტაომ კაბინეტში გამოიძახა. მაგიდასთან იჯდა გაქვავებული სახით და ხელში ფურცელი ეჭირა,

"რა არის ეს?" იკითხა ლინგმა.

"ახალი სასჯელის რეკომენდაცია გადმომცეს შენზე და მთხოვეს ხელი მოვაწერო," უპასუხა ქალბატონმა ტაომ.

ლინგმა ხმა ვერ ამოიღო. გონებაში გადაჩხრიკა ის შემთხვევები რასაც შეიძლებოდა სასჯელის გაზრდა გამოეწვია. რა თქმა უნდა, საამისო არაფერი ახსოვდა. შესაძლოა ვიღაცამ დააბეზღა უფროსებთან. ქალბატონი ტაო და ლინგი დამეგობრდნენ, ლინგმაც გააგრძელა მასთან ქრისტეზე საუბარი. ალბათ ვიღაცამ ყური მოჰკრა და ჩაუშვა.

გონებაში ფიქრობდა, მალე ახლანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა როგორც კი ყური მოჰკრა სიტყვებს, "... თქვენი სასჯელი ერთი წლით."

ლინგის გული სადღაც ჩაიძირა. შემდეგ ქალბატონმა ტაომ მაღლა აიხედა და გაოცებული სახით შეხედა. "ლინგ, გესმის ჩემი?" იკითხა ქალბატონმა ტაომ მკვეთრად. "მათ რეაბილიტირებულთა სიაში მოგახვედრეს და ერთი წლით შეგიმცირეს სასჯელი!"

ლინგი გაშრა.

"უნდა ვთქვა, რომ პირველად გხედავთ უსიტყვოდ." ეხლა ქალბატონი ტაო იცინოდა. "გილოცავ, ლინგ; სამ კვირაში გაგათავისუფლებენ."

ქვეყნიერების მიღმა

სამი კვირის შემდეგ, ზამთრის ცივ დილას, მუხლებამდე თოვლში, ციხის გარეთ მოუთმენლად ელოდებოდა ლინგი ბიძია ფუნეს. *რეაბილიტირებული,* ჩაიბუტბუტა მან. რაც იმას ნიშნავდა რომ თანაპატიმრების სწავლებასა და ევანგელიზაციაზე ვერ დაიჭირეს. ეს იმასაც ნიშნავდა, ყოველ შემთხვევაში, იმედოვნებდა რომ ცოტა ხანს თავს დაანებებდნენ.

ლინგი აღფრთოვანებით ელოდა ევანგელიზაციისა და ეკლესიის წევრების გამხნევების საქმიანობის კვლავ დაბრუნებას, ისიც იცოდა, რომ მისი ფიზიკური ჯანმრთელობა უწინდელს არ ჰგავდა. ციხის მრავალი კომპონენტი ძნელი დასავიწყებელი იქნებოდა. *ოჰ, ღმერთო, დამეხმარე რომ მოვერგო ცხოვრებას ციხის გარეთ. გთხოვ დაეხმარო იმ დებს, რომლებიც ჯერ კიდევ ციხეში არიან.*

ლინგმა დაინახა თუ არა პატარა მანქანიდან გადმოსული ფუნე და შენი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რადგან დიდ სირთულეებს შეუქმნიდა ნებისმიერ მორწმუნეს მისი ციხეში ნახვა, მცირეოდენი მნახველი თუ ჰყავდა ორი წლის განმავლობაში. ეხლა გაიგო რომ ზოგიერთი ეკლესიის წინამძღოლი დაქორწინებულა, სხვა ეკლესიის წევრებს უკვე ბავშვებიც ჰყავდათ, რამოდენიმე ახალი ჯგუფიც გახსნილა.

როგორც კი მანქანა მიმავალ ავტომანქანებს შეუერთდა ტრასაზე, ლინგს გულის რევის შეგრძნება დაეუფლა. დიდი ხანია ეს არ გამიკეთებია, გაიფიქრა მანქანაში მჯდომმა. ოთხ საათიანი მოგზაურობა საშინელი აღმოჩნდა მისთვის, ნაცვლად იმისა რომ თავისუფლებაზე ფიქრით დამტკბარიყო, მანქანის საზურგეს მიყრდნობოდა და თავბრუს ხვევას ებრძოდა.

გაუჭირდა ნორმალურ ცხოვრებასთან შეგუება, როგორც მოელოდა. ციხე ქვეყნიერების მიღმა იყო. შრომა-გასწორების კოლონიაში, ზედამხედველები არასოდეს რთავდნენ ნებას რომ სინათლე გამოერთათ. სამუშაო მაგიდები ყოველთვის დაკავებული იყო, კამერებიც მუდამ განათებული. ეკლესიის ხელმძღვანელობა მის გარეშეც კარგად დაფუძნებულა, ლინგისათვის რთულიც კი გახდა ხელმძღვანელის მოვალეობის გაგრძელება. განსაკუთრებით იმის გამოც რომ იგი ქალი გახლდათ. დაღონდა, როდესაც იგრძნო რომ ეკლესიის

ხელმძღვანელობას შორის მისი ადგილი აღარ იყო. ისიც იცოდა რომ უნდა დაესვენა და მსუბუქი პასუხისმგებლობა ეტვირთა, ვიდრე სხეული გამოჯანმრთელდებოდა. შესაძლოა მისთვის ასეც ჯობდა.

ყოველი მათგანი დაპატიმრებულია

ერთ-ერთ ქრისტიან ხელმძღვანელთან დაიდო ბინა. ცენტრალურ ჩინეთში, დიდ სახლში ცხოვრობდნენ, ლინგს მეორე სართულზე მიუჩინეს ოთახი. ლიდერები საიდუმლოდ ხვდებოდნენ ამ სახლში ცხრამეტი აგვისტოდან ოცდასამი აგვისტოს ჩათვლით, რომელზე დასწრებას ლინგიც ლამობდა, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმე დაავალეს დასავლეთ ჩინეთში ზუსტად ამ შეხვედრის დროს. ეჭვობდა რომ ლიდერები მისი გულისტკენის აცილებას ცდილობდნენ, სავსებით დარწმუნებული არ იყო. ოცდაათზე მეტი ეკლესიის ხელმძღვანელს ელოდნენ ამ შეხვედრაზე, უდიდესი შესაძლებლობა იქნებოდა განეხილა ძველი და მიეღო ახალი მოვალეობები, როგორც ხელმძღვანელს. მაგრამ ეს არ მოხდებოდა.

აგვისტოს 23-ში დაამთავრა თავისი საქმე დასავლეთ ჩინეთში, როდესაც სასწრაფო ცნობა მიიღო. "ლინგ, სასწრაფოდ დაბუნდი," უთხრეს მას. "ყველა ლიდერი დააპატიმრეს-ყოველი მათგანი. მხოლოდ შენ დარჩი!"

მეორე დღეს სახლში დაბრუნდა და პანიკაში ჩავარდნილი მორწმუნეები ნახა, ზოგიერთი ეკლესიის ხელმძღვანელის მეუღლეები ცდილობდნენ ლინგზე ეყარათ გულის ჯავრი, რატომღაც, ფიქრობდნენ, რომ ის იყო პასუხისმგებელი... სადღაც ექვს თვეზე ცოტა მეტი იყო, რაც ციხიდან გასამოსულიყო და მეგობრებმა უთხრეს რომ მილიცია მასაც ეძებდა.

ლინგმა უცბათ აიღო სიტუაციაზე ხელმძღვანელობა. პირველ რიგში, ადგილობრივ მორწმუნეებს მოუყარა ერთად თავი და თითოეულ ჯგუფს დავალება მისცა, თვალყური ედევნებინათ დაპატიმრებული ლიდერების ადგილ-სამყოფელისათვის. მათ უნდა შეეგროვებინათ ტანსაცმელი, საკვები, თანხა და გადაეცათ პოლიციის განყოფილებაში "თავისი" ლიდერებისათვის.

დაპატიმრებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელს ჩინეთზე, რადგან ხუცესები მთავარი ქრისტიანი ლიდერები იყვნენ, მათ მიერ წარმოდგენილ რეგიონებში. ეს ამბავი მალე გავრცელდა საზღვარგარეთ, იმეილის საშუალებით და მთელ ჩინეთშიც დაუყოვნებლივ შეიტყვეს ამერიკის ხმის რადიო გადაცემის ემშვეობით. ლინგმა მოიფიქრა შეეგროვებინა ყველა ინფორმაცია, რადგან ჩინეთიდან და საზღვარგარეთიდან ხალხმა დაიწყო რეკვა ბოლო-ახალი ინფორმაციების მისაღებად. მალე ხუცესების ოჯახებიც მოვიდნენ, ლინგი მასპინძლობდა თითოეულ მათგანს, როგორც შეეძლო ისე პასუხობდა მათ კითხვებს.

ექვსი ლიდერი გაათავისუფლეს, ხუთი კვირის შემდეგ, არა ქრთამის გადახდის გარეშე (ათი ათასი იენი თითოეული მათგანისათვის), რომლის შოვნაზეც ლინგი იყო პასუხისმგებელი. მორწმუნეები იმდენად ღარიბები იყვნენ, რომ მათთვის შეუძლებელი იყო ამდენი ლიდერისათვის ამ თანხის შეგროვება. მაგრამ ლინგი არას არ იღებდა პასუხად. მისი დაპატიმრებული ძმები ნებისმიერ თანხაზე უფრო ძვირფასები იყვნენ, მანამდე ითხოვდა ვიდრე საჭირო თანხას არ შეაგროვებდა.

გადაიღალა და გრძნობდა რომ ეს-ესაა დაიმსხვრეოდა წნევისაგან, მანამდე არ მოისვენებდა ვიდრე ყველაფერს არ გააკეთებდა ციხეში დარჩენილი ექვსი ხუცესის გათავისუფლებისათვის, მათ ორგანიზაციაში ყველაზე გავლენიანი ლიდერებისათვის, თან ეშინოდა რომ მათთვის სიკვდილი არ მიესაჯათ.

ერთადერთი რამ დარჩა გასაკეთებელი. ლინგმა პოლიციის განყოფილებაში დარეკა.

“პოლიციის რწმუნებულს მინდა ვესაუბრო, გეთაყვა.”

“ვინ კითხულობს?” იკითხა მორიგემ.

“ჩემი სახელია ლინგი. რწმუნებულმა იცის ვინც ვარ; ის მე მეძებს.”

“ლინგ, ჩემო ძველო მეგობარო! გამიკვირდა შენი ხმის გაგონება,” გაისმა რწმუნებულის ნაცნობი, რბილი ხმა ყურმილში. “საიდან რეკავ?”

“მნიშვნელობა არა აქვს. მინდა ჩემი მეგობრების შესახებ გელაპარაკო, დაკავებულები რომ გყავს.”

“რატომაც არა, მობრძანდით განყოფილებაში.”

“არა, მხოლოდ “ბრაით მუნ ჰოტელში” შეხვედრაზე დაგთანხმდებით. მარტო უნდა მოხვიდეთ. გითვალთვალებთ, თუ ვინმე გახლდებათ თან, არ გამოვჩნდები.”

იცოდა რომ დასთანხმდებოდა. სხვა თუ არაფერი ცნობისმოყვარობა მაინც მოიყვანდა. რატომ დაპატიჟებდა შეხვედრაზე ევანგელისტი, რომელიც ბოლო რამოდენიმე თვეა მას ემალებოდა?

“კარგით. როდის გნებავთ რომ შეგხვდეთ?”

“ამაღამ შვიდზე,” თქვა მან.

საუბრის დასრულების შემდეგ ლინგი შეხვდა ერთ-ერთ ძმას, რომელსაც იცოდა რომ შესაძლოა ნდობოდა. სიტუაცია აუხსნა და სთხოვა, თუ შესძლებდა სასტუმრომდე მიეცილებინდა და გარეთ დალოდებოდა. “თუ აღარ გამოვედი, გეცოდინება რომ დამაპატიმრეს.”

საღამოს შვიდს რომ ათი წუთი აკლდა, ლინგი და მისი ერთი ძმა სასტუმროს ახლოს იდგნენ, დამალულები უთვალთვალებდნენ. რწმუნებული ოფიცრების ჯგუფის თანხლებით გამოჩნდა. ლინგს გული აუჩქარდა; წასასვლელად მოემზადა, რომ დაინახა მხოლოდ რწმუნებული შევიდა სასტუმროში და ოფიცრები გარეთ დარჩნენ. უკანა კარის გავლით რწმუნებულს შეუერთდა რესტორანში.

“ლინგი, სასიამოვნოა შენი ნახვა,” თქვა მან თბილად, ისე თითქოს ძველი მეგობრები იყვნენ. “მაგრამ, არ გეშინია რომ დაგიჭირო?”

“რომ შემშინებოდა, არ მოვიდოდი. მაგრამ აქ ვარ.”

ორივემ შეუკვეთა და ლინგმა მიმტანს უთხრა რომ ის გადაიხდიდა. დასხდნენ და საქმეს შეუდგნენ. “რას უპირებ ჩემს მეგობრებს? სხვები ჯარიმით გაათავისუფლე. თუ ფული გინდა, მოგცემ. რამდენი გინდა?”

“ნუ აჩქარდები, ლინგ!” თქვა რწმუნებულმა. “ჯერ არც კი გვიჭამია. ამას გარდა, არაფრის გაკეთება არ შემიძლია მათთვის, რაც შენი ბრალია. შენა ხარ ის, ვინც ეს ყველაფერი *სახალხო სპექტაკლად გადააქცია.”*

იცოდა მის დამცირებას ცდილობდნენ, მაგრამ უარი თქვა უკან დახევაზე. უნდოდა სხვა გზა მოესინჯა. მომდევნო ორი

სააათი ისაუბრეს ვახშამზე, თავისი რწმენის შესახებ წინადადებები შეაპარა; ახსნა, თუ რატომ უზიარებდნენ ის და მისი მეგობრები ხალხს იესო ქრისტეს სიტყვის შესახებ, ასეთი მგზნებარებით. რწმუნებული პატივისცემით უსმენდა, ხედავდა რა მის თვალებში მეგობრებისადმი წუხილს, მაგრამ ამაოდ. არანაირ იმედს არ იძლეოდა მათი განთავისუფლებისათვის.

ლინგმა ხელი გადაისვა შავ თმაზე. წარსულის მოგონებებში გადაეშვა. გაახსენდა დედამისის ლოცვა, შესაწირავად გახდომის შესახებ და გონებაში წმინდა წერილის ის ადგილი გაიმეორა აქამდე რომ მოიყვანა: *"სამკალი მზად არის... მუშაკნი მცირეა... ცხვრები მგლებს შორის."*

ლინგი ფიქრობდა, ნეტავ ტანჯვის სკოლაში მისი დაბრუნების დრო ხომ არ დადგა.

კვლავ სკოლაში

რწმუნებული ვახშამს მორჩა თუ არა, იგრძნო რომ დრო იწურებოდა. იცოდა რომ ოფიცრები სასტუმროს შესასვლელში ელოდებოდნენ. საბოლოო შეთავაზება გააკეთა.

"კარგით, თქვენ მე მეძებდით, მეც აქა ვარ. წამიყვანეთ და ჩემი მეგობრები გაუშვით."

რწმუნებულმა თავი გადააქნია და რბილად გაიცინა. "ლინგ, თქვა მან გულწრფელად, "დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თქვენა ხართ ყველაზე უნიკალური ქალი, რომელსაც კი ოდესმე შევხვედრივარ."

შემდეგ ადგა და რესტორანი უსიტყოდ დატოვა.

ლინგი წყნარად იჯდა რამოდენიმე წუთი, გრძნობდა რომ დამარცხდა. გული დამძიმებოდა და სახლში სასოწარკვეთილების განცდით დაბრუნდა. იცოდა რომ კარგად ვერ წავიდოდა საქმე მისი მეგობრების–თანამშრომელების–ციხეში დარჩენილებისათვის.

დრო გადიოდა, შეიტყო რომ ორი სხვა ქრისტიანიც დააპატიმრეს და ადგილობრივ ხელისუფლებას გადასცეს, სადაც სასტიკად აწამეს. მათი სასჯელი თორმეტიდან ოცდაოთხ თვემდე მძიმე შრომა გასწორების კოლონიას ითვალისწინებდა.

ლინგი თავის საქმეს აგრძელებდა მარტოობის დიდი შეგრძნებით. ჯერ კიდევ ცუდად იყო პატიმრობის გამო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დანახვისას, ბევრი ლიდერი ურჩევდა პასუხისმგებლობებზე თავის არიდებას. რაზეც უარს ამბობდა, ახსენდებოდა რა, როგორ ამხნევებდა დედამისი და როგორ მუშაობდა სოიოს საცეხვში, იმისათვის რომ მის შვილს მსახურება შესძლებოდა. დედა მოენატრა. წლები გავიდა რაც აღარ უნახავს. საშიში იყო მის სანახავად ეხლა წასვლა.

მარტოსულად რჩებოდა, ლიდერების გარემოცვაში, ხშირად ტიროდა თავის ოთახში და ღმერთს ძალას სთხოვდა გზის გასრულებისათვის.

2002 წლის 16 აპრილს, ლინგის ტელეფონმა კვლავ დარეკა. მისი ჯგუფის ოცდაათი წევრი იქნა მოტაცებული ჩინური ფანატიკური კულტის მიერ. ისევ "მეგობარს" დაურეკა პოლიციის განყოფილებაში. კვლავ სამუშაოდ...

ეპილოგი

ლინგმა გააგრძელა რთული ცხოვრება. მისი მუშაობის შედეგი სახეზეა; მის მიერ რწმუნებულთან "მოწყობილ" შეხვედრაზე, ღმერთმა კარი გახსნა და საშუალება მისცა ესაუბრა ჩინეთის საშინაო ეკლესიების სახელით. მისმა ხელისუფლებასთან კავშირმა საწინააღმდეგოც მოუტანა, მრავალი ქრისტიანი ეწინააღმდეგება იმას, რასაც ის აკეთებს. მათი კრიტიკის საპასუხოდ, ლინგი ამბობს, "ჩვენ შიძლება ქრისტიანები ვართ, მაგრამ, ეს ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყანაა."

ლინგს არასოდეს უკან არ დაუხევია ევანგელისტური საქმიანობიდან. არც დაპატიმრების რისკს შეუშინებია გამოეყენებინა ყოველი შესაძლებლობა, თავისი და-ძმების დასაცავად. კვლავ რჩება მთავრობის მიერ სათვალთვალო სიის წევრად, ამავდროულად ის ღმერთის მეთვალყურეობის სიაშიც არის, რომელმაც იგი სასწაულებრივად დაიცვა და კიდევ ერთხელ ციხეში მოხვედრას გადაარჩინა.

ლინგი ამისათვის მზად არის, თუკი ეს საჭირო გახდება. "მზად ვარ სკოლაში კვლავ წასასვლელად." ამბობს ის. "ვიცი რომ, თუ

ღმერთი ჩემს თავზე თმებსაც კი თვლის, მას თავისი გზა ექნება ჩემთან, მე კი მის ნებაში დავრჩები.”

ლინგისათვის გამოწვევად რჩებოდა მის მიერ გაუთხოვრობაზე პირობის დადება, მანამდე ვიდრე ეკლესიის ხელმძღვანელობა მტკიცედ არ დადგებოდა ფეხზე. სავარაუდოდ ეს დრო ათი წელი იქნებოდა, ლინგი ფიქრობდა რომ ამის შემდეგაც საკმარისი დრო ექნებოდა გათხოვებისათვის. (ამ დროისათვის ის მხოლოდ თინეიჯერი იყო). რატომღაც, ოცდაათ წელს გადაცილებული ქალისათვის, ჩინეთში ძალიან ძნელია გათხოვება–იმ ასაკობრივი ჯგუფისათვის, რომელსაც ლინგი ეკუთვნის.

გამუდმებით ეუბნებოდნენ (იმ საოჯახო ეკლესიის ლიდერებიც კი, რომლის დაფუძნებაშიაც ლინგს დიდი წვლილი მიუძღოდა) რომ ქალის როლი არის სახლში, დალაგება, მზარეულობა და ბავშვების მოვლა-პატრონობა. არ უარყოფს ამ სასიცოცხლო როლს, მაგრამ ისიც იცის, რომ ხანდახან ღმერთს იმაზე განსხვავებული გეგმა აქვს ჩვენთვის, ვიდრე ამას მოველით. გამკრიტიკებლებს ახსენებს რომ, საშინაო ეკლესიების ზრდისას, ქალი იყო რომელმაც საშიშ საქმიანობას მოჰკიდა ხელი. იმასაც მიუთითებს, როგორც ჩინეთის ბევრმა ლიდერმაც იცის, საევანგელიზაციო ჯგუფების ორი-მესამედი, რომლებიც ჩინეთის შორეულ ადგილებში გაიგზავნენ, ქალები იყვნენ.

ეხლა, ლინგს 2008 წლის საერთაშორისო ოლიმპიადაზე აქვს ხედვა და სჯერა რომ, ეს იქნება საშინაო ეკლესიების გაფურჩქვნა-აყვავების დრო.

კვლავ სამუშაოდ...

გლედის:

მაშველი თოკი მიტევებისათვის

ინდოეთი

1981 წლის ნოემბერი

თბილი, ნოტიო დღე იდგა, როდესაც ოცდაათი წლის გლედის ვეზერჰედი მაიურბჰანჯის რეგიონში ჩავიდა, სამხრეთ-დასავლეთ კალკუტადან დაახლოებით **110** მილის მოშორებით, ორისას შტატში. რომელიც ბენგალს ესაზღვერება. *არ მჯერა, თუ მართლა აქ ვარ,* გაიფიქრა მან, როგორც კი მისმა თვალმა იქაურობის განცდა შეიგრძნო. მწარე წიწაკის გამაბრუებელი არომატი, სახლის ღია ფანჯრებიდან თუ მაღაზიებიდან, სანაგვეებიდან მომავალი სუნი და წმინდა ძროხები, ასე თავისუფლად რომ დადიოდენენ ქუჩებში. სიცხე ამძაფრებდა სუნს, გლედისი მოხარული იყო თბილ ამინდში ყოფნით, ჩრდილოეთის სიცივეს მიჩვეული.

პაკისტანის საზღვრიდან მიმავლისათვის, რწმენის მგზავრობის გამოცდილება ჰქონდა, მძღოლი ზიგზაგისებურად ატარებდა მანქანას ტაქსებში, ძროხებში, მოტოციკლეტებში, სატვირთო ავტომანქანებსა თუ ხალხის დაუსრულებელ ბრბოში, ყველანი ერთად გამუდმებულ ქაოსს ქმნიდნენ სამანქანო გზაზე. ავსტრალიის სოფელში გაზრდილი გლედისისათვის გასაოცარი სანახაობა იყო ის, რაც როგორც ჩანდა, ინდოეთისათვის ყოველდღიურ-ჩვეულებრივ მდგომარეობას წარმოადგენდა.

სასტუმროს ფანჯრიდან უყურებდა ამაღელვებელ სცენას, ყოველთვის, როგორც კი დედა ბავშვებთან ერთად ნაბიჯს გადადგამდა გადატვირთულ ქუჩაზე, გლედისს სუნთქვა ეკვროდა, ჩუმად ლოცულობდა, როცა კი მოტოციკლეტზე გვერდულად მჯდარ ქალებს დაინახავდა, თავის ბარგთან ჩახუტებულებს, მძღოლზე ჩაჭიდების ნაცვლად. ყოველთვის ერთი ნაბიჯით ახლოს მიდიოდნენ ავტობუსებთან თუ სატვირთო მანქანებთან.

ინდოეთის მოსახლეობა თითქმის ერთ ბილიონს უახლოვდებოდა, გაოცებული იყო ხალხის რაოდენობით, რომლებიც თითქმის ყველგან იყვნენ. განცვიფრებული იყო ხალხის სხვადასხვაობით, რომლებიც გარს ეხვივნენ ქუჩაში: ფეხშიშველი ბავშვები, ჭუჭყიანი სახეებით, დედები ბრდღვიალა სარში შემოსილები და შუბლზე ჰინდუს ტრადიციული ნიშნით, მოხუც კაცებს კანი გამხმარ ტყავს მიუგავდათ, ყოველი მათგანი ღმერთის ქმნილებაა.

მოსწონდა რასაც ხედავდა. თორმეტი წლის იმედგაცრუების შემდეგ, როგორც იქნა მისი ოცნება სისრულეში მოვიდა და ღვთის მოწოდებისამებრ მიუყვებოდა გზას: მსახურებოდა ღარიბებს უცხო ქვეყანაში. ხშირად უკვირდა, ეს დღე ოდესმე თუ დადგებოდა...

მსახურებაში ჩართვა

გლედისი მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო, როდესაც ქრისტიანულ-მისიონერულ კონფერენციას დაესწრო მშობლიურ ავსტრალიაში და მისიონერობისათვის ღმერთის მოწოდებას უპასუხა. ქუინსლენდში, ფერმერის ოჯახში იზრდებოდა. მრავალი მსახურება მოუსმენია ეკლესიაში, მრავალ მისიონერსაც შეხვედრია, მშობლების მიერ სახლში მოპატიჟებულს. შაბათობით დედამისი ბავშვებს შემოიკრებდა და მისიონერების შესახებ ამბებეს უკითხავდა. აფრიკა, ინდოეთი, ჩინეთი... გლედისი გაოცებული იყო შორეული ადგილების ცხოვრების შესახებ ამბების მოსმენით და მოხიბლული მისიონერების ვალდებულებით.

მისიონერობის ასეთი დიდი გავლენის შემდეგ, გასაკვირი არ იქნებოდა, რომ მისიონერულმა კონფერენციამ ასეთი დრამატული გავლენა მოახდინა მასზე. ეჭვგარეშე იყო რომ ღმერთი მას უცხო ქვეყანაში მსახურებისაკენ მოუწოდებდა; ამაში იმ წუთიდან დარწმუნდა, როგორც კი რაღაც განსხვავებული იგრძნო გულში. ნელ-ნელა დაიწყო იმის გაგება, თუ რატომ ჰქონდათ მისიონერებს ასეთი მგზნებარე ცეცხლი საქმისადმი.

კიდევ ერთხელ გადასინჯა გადაწყვეტილება მისიონერად გახდომის შესახებ, ოცი წლის ასაკში. საექთნო კურსები გაიარა,

უცხოური ჰუმანიტარული დამხმარის საჭირო პროფესია, ცდილობდა პოტენციური შეყვარებულები გვერძე ჩამოეტოვებინა, თუ მისნაირი მოწოდებით არ იყვნენ დაინტერესებულნი. ეს ნაწილი ძალიან რთული აღმოჩნდა, გლედისმა იცოდა, ღმერთს არ უნდოდა რომ მას ეს ფოკუსი დაეკარგა. კარიერას გამოედევნა და დაწინაურდა კიდეც თავის სამსახურში. ხელმძღვანელის როლი მიიღო პატარა კლინიკაში. საკვირაო სკოლაშიც ასწავლიდა და როგორც კი შეეძლო ეკლესიას ეხმარებოდა.

განსაკუთრებული ენერგიით ივსებოდა, როცა მათ პატარა ეკლესიას ჰუმანიტარულ-ქრისტიანული საქმიანობის თანამშრომელი ეწვეოდათ ხოლმე; თითოეულ სიტყვას გულში იმარხავდა, რათა ადვილად წარმოედგინა, თუ როგორი იქნებოდა ცხოვრება მისთვის ერთ დღეს. უკვირდა, ნეტავ თუ ოდესმე შეძლებდა და სახალხოდ ილაპარაკებდა; მისიონერობის ეს ნაწილი, დიდად ამაღელვებელი ვერ იყო მისთვის. არა იმიტომ რომ ძალიან ხათრიანი იყო, არამედ თვლიდა რომ ღმერთს ამ კუთხით არ დაუჯილდოვებია. კმაყოფილი ვიქნები ღვთის სიყვარულის პრაქტიკული ფორმით გამოხატვით, ექთნობით, ეუბნებოდა საკუთარ თავს.

1980 წელს გლედისი უკვე ოცდაცხრა წლის იყო და ფიქრობდა, ნეტავ თუ ოდესმე აუსრულდებოდა ეს ოცნება. ღრმად, გულში სჯეროდა რომ ღმერთის განგება გარდაუვალია და ყველაფერი მისი დროის შესაბამისად მოხდებოდა. მიუხედავად ამისა, მისი გონება სავსე იყო კითხვებით, შინაგანად იბრძოდა, ფიქრობდა სხვა მიმართულებით წასულიყო და გათხოვილიყო. აღარ ახალგაზრდავდებოდა, მისიონერებს ხშირად უთქვამთ დამოწმებაში, თუ როგორ აღმოჩენილან მსახურებაში ოცი წლის ასაკიდან, ან თინეიჯერობიდან. ამასობაში გლედისის ბევრი თანამშრომელი ქორწინდებოდა, ბავშვებიც ჰყავდათ; მათი ბედნიერი ოჯახების შემყურეს, ძალიან უჭირდა პირობის დაცვა და ოცნების გამოდევნება-უცხო ქვეყანაში მსახურება.

იმ წელს, მოგვიანებით გლედისი შეხვდა მაიკ ჰეის, "ოპერეიშენ მობილიზეიშენის" თანამშრომელს. რომელიც ბოლო რამოდენიმე წელი აქტიურ მსახურებას ეწეოდა ინდოეთში, გოგონა დაინტერესდა მისი ენთუზიაზმით. კითხვებიც

დააყარა მისი ინდოეთში მუშაობის შესახებ: "როგორია ხალხი? დართულია თუ არა ქადაგების ნება? გახსნილი არიან თუ არა უცხოების მისაღებად, საიდან იღებ დახმარებას? როგორი ფორმებით მოქმედებ?"

მაიკმა გაიღიმა, მიხვდა რომ ინტერესი აღძრა, კითხვებზე პასუხის გაცემის შედეგად.

შეიძლება ეს ის არის, გაიფიქრა გლედისმა. *შესაძლოა, ეს არის მთელი ამ წლების ლოდინის პასუხი!* მომდევნო რამოდენიმე კვირის განმავლობაში, ამ ორგანიზაციის თითქმის ყველა წიგნი წაიკითხა. გაიგო რომ ორ წლიანი მსახურება "სავალდებულო" იყო და ყოველ ადამიანს ამ დროის განმავლობაში უნდა ეძია ღვთის ნება მის ცხოვრებაში, თუ რომელ ქვეყანაში უნდა ემსახურა. ჩასწვდა რა, ამ ორგანიზაციის სიღრმეს, მიხვდა მისი ხელმძღვანელი პირების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, დარწმუნდა რომ ეს ორგანიზაცია მისთვის იყო. გულში მშვიდობამ დაისადგურა და შეუდგა სათანამშრომლოდ მზადებას.

1981 წლის მაისში, გლედისი მზად იყო ავსტრალიის დასატოვებლად, პირველად თავის სიცოცხლეში. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა სად უნდა ემუშავა ორი წლის განმავლობაში, ეს ზაფხული ევროპაში უნდა გაეტარებინა ორიენტაციისა და მზადებისათვის. გული მოლოდინით ჰქონდა სავსე, მშობლებთან და ახლობლებთან გამომშვიდობებისას. გულში ინდოეთში მსახურება ჰქონდა ამოჭრილი, მაიკ ჰეისთან საუბრის შემდეგ, მაგრამ უნდოდა თავისუფალი ყოფილიყო და ღმერთის ნებისათვის მიენდო ყველაფერი. გაცილების საღამოს, ოჯახი და მეგობრები შეიკრიბნენ და იგალობეს ჰიმნი, "რადგან ის ცოცხლობს."

"შემიძლია შევხედო ხვალინდელ დღეს," უთხრა მათ გლედისმა, როდესაც სიმღერა დამთავრდა, "რადგან ვიცი რომ მას უპყრია მომავალი."

ის ზაფხული, ნამდვილი სწავლის გამოცდილება იყო ევროპაში გლედისისათვის, და ყველაფერი იმ მოწოდების ღირსად შეისრუტა რამაც ის აქამდე მოიყვანა. ცივ იატაკზე ძილი, კვირაში ერთხელ ბანაობა, სახალხო ადგილებში ტვალეტების რეცხვა, აზიელებისადმი მსახურება ინგლისში.

ღვთის ნების ძიება, სადაც უნდა წასულიყო ორი წლით ამ სწავლების გასრულების შემდეგ, იყო ერთ-ერთი მიზანი ამ კურსისა. გლედისი ყველა გამოწვევას მგრძნობიარედ ხვდებოდა, მაინც ინდოეთზე ფიქრობდა. ბევრი არაფერი იცოდა ქვეყნისა თუ მისი ხალხების შესახებ, ინტერესი მაინც არ ნელდებოდა.

გაფხულის სწავლების გასრულებისას, გლედისი სადილობდა წყვილთან, რომლებმაც კოორდინირება გაუწიეს მსახურების ჯგუფებს ინგლისში. მათ ჰკითხეს, თუ რომელ ქვეყანაში აპირებდა ორი წლით წასვლას.

გლედისმა აუხსნა "ოპერეიშენ მობილიზეიშენ"-ის (ოემ)-ის მსახურების გეგმებზე და უთხრა რომ ინდოეთში წასასვლელად შეიტანა განაცხადი. "მთლად დარწმუნებული არა ვარ, რა მიმართულებით უნდა წავიდე ამჯერად," თქვა მან. "უბრალოდ, იქ მინდა წავიდე, სადაც ყველაზე მეტად გამომიყენებს ღმერთი."

"შენ ასაკიანი ხარ," თქვა ცოლმა თბილად. გლედისი შეცბუნდა ამ სიტყვის გაგონებაზე. შესაძლოა სხვებზე მოგვიანებით შეუდგა უცხო ქვეყანაში მსახურებას, მაგრამ ჯერ მხოლოდ ოცდაათი წლის იყო. ქალმა დაინახა რა, მისი გაოცებული გამოხედვა, ეცადა აეხსნა. "არა, არა. მოხუცი კი არ ხარ. შენ უბრალოდ ბევრ (ოემ)-ერზე უფროსი და ზრდასრული ხარ. უფრო მეტი ბიბლიის შესწავლისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება გაქვს ცხოვრებაში. ინდოეთს შენისთანა ხალხი სჭირდება."

გლედისმა გაიცინა და ღმერთს მადლობა შესწირა ქალის სიბრძნისა და გამამხნევებელი სიტყვისათვის. თითქმის იგივე რჩევა იყო, რაც მაიკ ჰეიმ მისცა, ეხლა იგრძნო გადამეტებული დამაჯერებლობით პასუხი, რისთვისაც ამდენი ხანია ლოცულობდა, საგალობლის სიტყვებმა, რომელიც მისი ცხოვრების თემა გახდა, გონებაში გაულევა: "ვიცი რომ მას უპყრია ჩემი მომავალი, და ცხოვრება ღირს იმად რომ იცოცხლო, რადგან ის ცოცხალია."

კეთროვანთა სახლი

კუტაკი, ინდოეთი, "ოემ"-ის პირველი ოფისის გზას ადგა, როდესაც მძღოლმა გზიდან გადახვევა მოითხოვა. გაუთავებელი ქალების, კაცებისა და ბავშვების ბრბოს ცქერით დაინტერესებულს,

თითქმის არც გაუგია მძღოლის თხოვნა, მანამდე ვიდრე არ მოესმა. “მაიურბანჯის კეთროვანთა სახლში არ შეწუხდებით არა, გლედის? დიდხანს არ გავჩერდებით.”

მძღოლი, ერთ, მაღალ კაცს შეხვდა კეთროვანთა სახლში, მოხდენილ ავსტრალიელ თანამშრომელს, სახელად გრაჰამ სტაინესს. გაიგო რომ სხვა ავსტრალიელებიც მუშაობდნენ ამ რეგიონში, რომელთა სახელებიც უცნობი იყო მისთვის. გრაჰამი სახლში შეუძღვა გოგონას, სადაც მარტო იცდიდა, ვიდრე ორი კაცი თავის საქმეზე ლაპარაკობდა.

აქეთ-იქით მიმოიხედა და პატარა ბუკლეტი აიღო, სახლის პირველი თანამშრომლი-კატიე ალლენბაის შესახებ, დიდად დაინტერესდა ამ სახლის ისტორიით. სამოცდაათი წლის ბუნგალო მშვიდობიანად გამოიყურებოდა, შენიშნა მან. შენობის ყოველი ნაწილი მალავდა თავის ასაკს, ცემენტის იატაკიდან თვრამეტი ინჩის სისქის კედლებამდე, დაფარული იყო საღებავებით, ვერანდამდე, რომელიც აუტანელი სიცხისაგან იცავდა შენობას.

ვიდრე ელოდებოდა, უკვირდა, რატომ არ გამოვიდა გრაჰამის მეუღლე და ჩაი არ შესთავაზა სტუმარს, როგორც მალევე შეიტყო რომ ეს ინდოეთის ტრადიციაა. ცოლი არ გამოჩენილა და მალე მძღოლთან ერთად სამხრეთ კუტაკასაკენ გაემართა.

დასაწყისისათვის “ოემ”-ის ჯგუფებთან ცხოვრება შესანიშნავი იყო, ცდილობდა ადგილობრივი ენისა და ტრადიციების შესწავლას. პირველი ექვსი კვირა კუტაკში გაატარა, ადგილობრივი თანამშრომელების ჯგუფთან. ექვსი ქალი ორ პატარა ოთახში ცხოვრობდა. ლიტერატურით სავსე ყუთები ყველგან, საჭმელი რომელიც გამუდმებით ყვითელი იყო, ჭიდან ამოღებული წყალი და ტვალეტი, რომელიც არაფერი იყო გარდა ცემენტში ამოჭრილი ხვრელისა. ღმერთს მადლობდა რომ სოფელში, ფერმაში გაიზარდა და იცოდა მძიმე მუშაობის ფასი, ხანდახან იმედი უცრუვდებოდა და იბრძოდა “რაც ღმერთს ჩემთვის სურს” დამოკიდებულების შენარჩუნებისთვის.

ყოველ დღე კარდაკარ დადიოდნენ, ორ-ორად, ქრისტიანულ ლიტერატურას ჰყიდიდნენ და ხალხს უფალზე ესაუბრებოდნენ. უყვარდა ქალაქის მცხოვრებლებთან სტუმრობა, მისი გული

მაინც სანტალის შორეული სოფლებისაკენ მიიწევდა, რომელიც ბარიპადას მთებზე იყო მიმოფანტული. მათ ეს სოფლები პირველი მოგზაურობის დროს გაიარეს. სწორი, ტალახის კედლებიანი ქოხები, თივით გადახურული, გზასთან ძალიან ახლოს იდგა და ხეებით იყო გარემოცული. ხელით ამოთხრილი, პატარა ჭა იყო საკმარისი მთელი სოფლისათვის. უამბეს სანტალის ტრადიციისა და სულების მსახურების შესახებ, ხანდახან როგორ სწირავდნენ ადამიანსაც კი სულის პატივსაცემად. ცხოვრების პირობები პრიმიტიული. ბავშვების დიდი რაოდენობა მარტივი დაავადებებით იხოცებოდა, რომლის თავიდან აცილებაც ადვილად შეიძლებოდა თანამედროვე მედიცინით. სანტალის ოჯახები ფულს დასაწვავი საკმევლის ყიდვაში ხარჯავდნენ, სულს ცხოველებს უკლავდენენ, რათა შვილების სიცოცხლე როგორმე გამოესყიდათ.

როგორც ექთანმა, იცოდა გზა, ამ ხალხის დასახმარებლად, და როგორც ქრისტიანმა, იცოდა ქრისტე, რომელსაც მათთვის ყველაზე დიდი დახმარების გაწევა შეეძლო განკურნებაში, გაეთვისუფლებინა მათი სულები ტყვეობისაგან. რაღაც ძლიერი ამოქმედდა მის გულში, როგორც კი მათ შავ-ბნელ მდგომარეობაზე ფიქრი დაიწყო და ერთი სული ჰქონდა როდის მივიდოდა სოფლელებთან და ეტყოდა იესოს უწყების შესახებ, რომელიც ასე იწვოდა მის გულში.

1982 წლის იანვარში გლედისს ამის შესაძლებლობა მიეცა. მისი ჯგუფის მომდევნო გასვლაში რამოდენიმე სოფლის მონახულებაც შედიოდა, სადაც მისიონერებს, რომლებიც ჯუნგლების ბანაკში მონაწილეობდნენ, ადგილობრივი ქრისტიანები მასპინძლობდნენ. ერთ-ერთ სოფელს, რომელსაც ისინი ესტუმრნენ, შვიდ კილომეტრიანი ცუდი გზა ჰქონდა ფეხით გასავლელი, მაღალ მთაზე. მაგრამ გახარებული იყო იქ სტუმრობით. დიდი ენთუზიაზმით იღებდა მონაწილეობას ადგილობრივი გზით ყველაფრის გაკეთებაში, ჭიდან წყლის ამოღება, მდინარეში ბანაობა, საძილე მეშოკში ძილი. ადგილობრივ ქალებს ძალიან უყვარდათ მაღალ, მკრთალი სახის ავსტრალიელ ექთანთან ყოფნა, ისინიც დიდი გულმოდგინებით ასწავლიდნენ მას ადგილობრივი ცხოვრების წესებს.

მცირეთა შორის ყველაზე მცირეს სიყვარული

სოფელი ძალიან შორს არ იყო მაიურბჰანჯის კეთროვანთა სახლიდან და გლედისს რამდენიმეჯერ ჰქონდა შესაძლებლობა გრაჰამის ნახვისა. რომელიც, როგორც გაიგო არასოდეს არ ყოფილა ქორწინებაში. მათი შეხვედრების უმეტესობა სამისიონერო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ გრაჰამისადმი ინტერესს გრძნობდა, მიუხედავად ამისა მაინც ეცადა პირადი ინტერესი გვერდზე გადაედო და საქმისათვის მიეხედა.

მალე მომდევნო მგზავრობაც მოახლოვდა. უხაროდა რომ ინდოეთის ნახვის საშუალება მიეცა, "ოემ"-ის ჯგუფებთან ერთად მოგზაურობისას, კეთროვანთა სახლის მონახულებამ და სანტალის ხალხთან ცხოვრებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მასზე. ხედავდა რა, როგორ ეპყრობოდნენ გრაჰამი და მისი თანამშრომელები პაციენტებს–კეთროვანთა სახლის მცხოვრებლებს და სოფლიდან განდევნილებს–გული უჩუყდებოდა. ინდუიზმი საწყალ კეთროვნებს არწმუნებდა, რომ მათ მიერ წარსულში ჩადენილი ცოდვების გამო იტანჯებოდნენ. ეუბნებოდნენ რომ უბრალო, ჭიქა წყლის ღირსიც კი არ იყვნენ. შედეგად, კეთროვნები საცოდავი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ოჯახიდან და სოფლიდან განდევნილები ქუჩებში ათევდნენ. კეთროვნებზე დაბალი ხალხი არ იყო მათ წარმოდგენაში და არავინ იმაზე მეტ სიყვარულს არ აძლევდა მათ, ვიდრე გრაჰამი.

ტანჯულები, რომლებიც კეთროვანთა სახლში მოვიდნენ, იღებდნენ წამლებს ავადმყოფობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, თანამშრომელებისაგან თანადგომასა და ზრუნვას, რომლებიც ასწავლიდნენ რომ დაავადება განკურნებადია და არა ღვთის წყევლა. გლედისი გაოცებული იყო გარდაქმნით, რომელიც პაციენტებში დაინახა, უბრალოდ წუხილის გამომხატველი ადამიანური შეხებისა და სიყვარულით სავსე სიტყვების შედეგად. წამალი თავისას აკეთებდა-ჭრილობას კურნავდა, თანამშრომელების თანაგრძნობა- სულებს.

გლედისი აღტაცებული იყო ამ სახლში ჩატარებული სამუშაოს გამო, ხანდახან კითხვის ქვეშ აყენებდა საკუთარ

მოტივს. გრაჰამი უფრო იზიდავდა თუ საქმე? თუმცა გრძნობა თანდათან ღვივდებოდა მის მიმართ, მაგრამ იცოდა რომ ის არ იყო მისი ინდოეთში ყოფნის მთავარი მიზეზი. ამას გარდა, არ იცოდა ჰქონდა თუ არა, გრაჰამს რაიმე გრძნობა მის მიმართ. მერე რა, რომ ჰქონოდა? ჩაიბურტყუნა მან. იგი "ოემ"-ის ხელმძღვანელობას უნდა დალაპარაკებოდა ამის შესახებ, ვიდრე რაიმე ურთიერთობა დაიწყებოდა. ასეთი იყო წესი.

ადრე გაზაფხულზე, აღარ სჭირდებოდა ეწუხა გრაჰამის მისადმი ინტერესზე. გაიგო რომ გრაჰამმა "ოემ"-ის ხელმძღვანელობისაგან თანხმობა მიიღო ურთიერთობის დაწყებაზე, აღფრთოვანდა! გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ერთმანეთის უკეთ გაცნობა წერილების საშუალებით მოახერხეს. გაოცდნენ როცა გიგეს, რამდენი რამ ჰქონიათ საერთო. ორმოცი მილის დაშორებით გაუტარებიათ ბავშვობა და თითქმის ერთნაირი ცხოვრების ფონით, ორივენი ახალგაზრდულ ასაკში ყოფილან მოწოდებულნი მისიისათვის. რაც უფრო გრძელდებოდა კავშირი, მით უფრო რწმუნდებოდნენ რომ ღმერთს ერთად მიჰყავდა ისინი.

1983 წლის აგვისტოს ექვსში იქორწინეს ავსტრალიაში, გახარებული ოჯახისა და მეგობრების თანდასწრებით.

ყველა ბედნიერი იყო გრაჰამითა და მისი მეუღლით კეთროვანთა სახლში. "დადა", როგორც მას სიყვარულით მოიხსენიებდნენ ადგილობრივები, თითქმის ოცი წელი დაუღალავად და ერთგულად ემსახურებოდა მაიურნჰანჯს, ეხლა, უხვად დააჯილდოვა ღმერთმა, მის მეუღლესაც ისეთივე უპირატესობით უყვარდა ღმერთი და იზიარებდა ინდოელი ხალხის წუხილს. გრაჰამისა და გლედისის ქორწინება ღვთის სიყვარულის გასაოცარი დამოწმება იყო, სოფლის მცხოვრებლებისა და პაციენტებისათვის, დიდი იმედით ელოდნენ ქალბატონი და ბატონი სტაინესების ავსტრალიიდან დაბრუნებას.

ეს ასე ადვილი არ იყო. ახალდაქორწინებულებმა პირველი გამოცდა გაიარეს, როგორც წყვილებმა, როდესაც ინდოეთის მთავრობამ უარი თქვა გლედისისათვის ვიზის განახლებაზე. უჩვეულო ჩანდა, ოფიციალურმა პირებმა უბრალოდ უარი განაცხადეს მის უკან დაბრუნებაზე. საბოლოოდ გადაწყვიტეს

რომ ქმარი მარტო წავიდოდა და ინდოეთიდან იმუშავებდა მეუღლის ვიზისათვის.

რამოდენიმე თვის შრომა და ლოცვა დასჭირდა, ვიდრე ინდოეთის მთავრობა გლედისის ჩამოსვლას დასთანხმდებოდა, მას ვიზა მისცეს როგორც გრაჰამის მეუღლეს და არა როგორც ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომელს. მას პირობა უნდა დაედო, რომ არ ეცდებოდა ჰინდუსების გაქრისტიანებას. ისიც დასთანხმდა. აქამდეც, გრაჰამმა და გლედისმა იცოდნენ რომ არ შეეძლოთ არავისთვის ძალის დატანება ქრისტეს მისაღებად. მათი მთავარი მიზანი იყო, ეჩვენებინათ სიყვარული კეთროვან პაციენტებთან მუშაობით და თუ ეს ადამიანები თვითონ გადაწყვეტდნენ ეპასუხათ ამ სიყვარულისათვის, მათი ნება იქნებოდა.

გულის წადილი

გლედისი 1984 წლის ბოლოს დაბრუნდა ბარიპადაში, მადლიერ და შვება მოგვრილ გრაჰამთან. ისიც გახარებული იყო ქმართან დაბრუნებით და მალე შეეგუა ახალ როლს, როგორც ცოლი და მენეჯერი. ძალიან ენატრებოდა ძველებურად სოფლებში გასვლა, მაგრამ ისეთივე დამოკიდებულებით შეუდგა ახალი როლის შესრულებას როგორც ადრე.

ძველი, ლამაზი მისიონერული ბუნგალოს კედელზე ჩამოკიდებული მუხლი აიღო ცხოვრების ლოზუნგად "გაიხარეთ.. ღმერთში და იგი მოგცემთ გულის წადილს".[1] უყვარდა ახალი სახლის გარშემო მუშაობა და კეთროვანი პაციენტებისათვის დახმარების გაწევა. განსაკუთრებით უხაროდა გრაჰამთან ერთად დრო გამოშვებით სანტალის ეკლესიაში სტუმრობა, მსახურებაზე დასწრება და ქალების გამხნევება.

1985 წელს პირველ შვილს შეეგებნენ, ესთერ ჯოი, რომელსაც ორი ძმა მოჰყვა, ფილიპი 1988 წელს და ტიმოთი 1992-ში. მოსწონდა გლედისს პატარა კლანის დედობა და მსახურების სრულიად ახალი სფერო გადაიშალა მის თვალწინ, როცა მისი შვილები გაიზარდნენ და სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობდნენ სოფელში.

ჩააბარო ღმერთს ყველაფერი

1990-იან წლებში გლედისი და გრაჰამი აგრძელებენ კეთროვანთა სახლში და სანტანის სოფელში ერთგულად მუშაობას. გლედისს უხაროდა შვილების თანასოფლელ ბავშვებთან სათამაშოდ წაყვანა, ბავშვებს კი მამასთან ერთად ჯუნგლების სხვადასხვა ბანაკში წასვლა კონფერენციებზე დასასწრებად, რომელიც ყოველწლიურად ეწყობოდა ადგილობრივი ხუცესის მიერ. გრაჰამი ხუცესებს სწავლებასა და ქადაგებაში ეხმარებოდა.

გლედისმა და გრაჰამმა იცოდნენ, რომ სანტალის მრავალი სოფელი, დროდადრო დევნას განიცდიდა ქრისტიანული რწმენისათვის. ცდილობდნენ ყოველთვის მგრძნობელობით მოკიდებოდნენ სოფლის საჭიროებას და გამუდმებით ლოცულობდნენ სიბრძნისათვის, როცა კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდათ მათთან. გრაჰამი არასოდეს წასულა სოფელში ვინმეს დასარწმუნებლად, თუ რწმენის შეცვლევინების მიზნით. ამის ნაცვლად დახმარებას უწევდა ღმერთის ნებით დაარსებული ადგილობრივი ეკლესიის ხუცესებს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, სანტალის ეკლესიებს მაინც ჰყავდათ ოპოზიცია, რომლებიც ხშირად ადანაშაულებდნენ ქრისტიანებს ვინმეს ძალით მოქცევასა და უცხოელებიდან ფულის აღებაში.

ერთი თორმეტი წლის ბიჭს თავს დაესხნენ ქრისტიანობის გამო. ბიჭი ხეზე აძვრა საქონლის მოძებნის მიზნით, მისი გაქრისტიანებით გაღიზიანებული თანასოფლელი ბიჭები გარს შემოერტყნენ ხეს და ძირს ჩამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. მისი რწმენის დაცინვისა და ფურთხების შემდეგ, უკანალში მანამდე შეურჭვეს ჯოხი ვიდრე არ მოკვდა. დაქვრივებული დედა გაანადგურა ამ ამბავმა.

ინდუსებმა ჩაქოლეს და წყალში ჩაძირეს, ახალგაზრდა ბიჭი, რწმენის გამო. ფიზიკური შეურაცხყოფის გარდა, ქრისტიანებს ყოველდღიურად უნდა აეტანათ ადგილობრივებისაგან დამცირება. მათ საკუთრებას ხანდახან ძარცვავდნენ ან არბევდნენ ან საკუთარ მინდორში მუშაობის ნებას არ რთავდნენ, სოფლის ჭიდან წყალს არ აღებინებდნენ. წლები გადიოდა და დევნის ფაქტები არ კლებულობდა. გლედისსა და გრაჰამს

არანაირი ძალადობა არ განუცდიათ და არასოდეს უფიქრიათ რომ ოდესმე ისინი ფანატიკოსების სამიზნე გახდებოდნენ. გლედისი პასუხობდა, "ჩვენ კეთროვან ხალხს ვემსახურებით. როგორი ძალადობაა ეს?"

1999 წლის იანვრის ხუთშაბათ დილით, გლედისს წყნარი დრო ჰქონდა და ყოველდღიური მსახურების სპეციალურ წიგნს კითხულობდა. იმ დღის საკითხავი იყო, თორმეტი წლის გოგონას შესახებ, რომელიც მხედველობას კარგავდა. ხუცესი მას საავადმყოფოში ესტუმრა, გოგონამ უთხრა: "ხუცესო, ღმერთს ჩემი მხედველობა მიაქვს."

ცოტა ხნით ხუცესი დაფიქრდა და თქვა. "იესო, ნუ დართავ ნებას ღმერთს რომ სინათლე წაიღოს."

გოგონა დაიბნა და შემდეგ ბრძენმა ხუცესმა გააგრძელა. "მიეცი ის მას," თქვა მან.

ეს ამბავი გლდისს გულში მოხვდა და იგრძნო რომ ღმერთი ეკითხებოდა, სურდა თუ არა მისი გულისათვის დაეთმო ყველაზე ძვირფასი ადამიანები-ქმარი, შვილები და საკუთრება. გული იბრძოდა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სახეზე ცრემლები ჩამოდიოდა. ცამეტი წლის იყო როდესაც ღმერთს გული მისცა. უკან არაფერი დაუტოვებია ინდოეთში ჩამოსვლისას, ის და გრაჰამი მთელ სიცოცხლეს სწირავდნენ მსახურებასა და ღმერთს ნებდებოდნენ. ფიქრობდა, რომ მან უკვე ყველაფერი მისცა ღმერთს, გულში იცოდა რომ ყველაზე საყვარელი ვინც კი ჰყავდა მათ მაგრად ებღაუჭებოდა.

საბოლოოდ ილოცა და ღმერთს ის პასუხი გასცა რასაც ფიქრობდა, რომ ის იმსახურებდა. "დიახ, უფალო იესო. დიახ, მსურს. ყველაფერი წაიღე რაც მაქვს და შენ გინდა რომ გამოიყენო-ჩემი ქმარი, ჩემი შვილი, ყველაფერი რაც კი გამაჩნია. ყველაფერს შენ გაბარებ." როგორც კი ამინი თქვა, სულიწმინდის გარემოცვა და მისგან ავსება იგრძნო, გაახსენდა აბრაამის ისტორია, ისააკის ღმერთისადმი შეწირვა. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რაც ელოდებოდა მის ოჯახს, დარწმუნებული იყო რომ მათთან იქნებოდა ღმერთი.

გრაჰამი მანოჰარპურის სოფელში, ჯუნგლების ბანაკში წასასვლელად ემზადებოდა მომდევნო კვირისათვის. განსაკუთრებით უხაროდა ათი წლის ფილიპისა და ექვსი წლის

ტიმოთის წაყვანა, ბიჭებიც მასავეთ აღფრთოვანებულები იყვნენ. დაახლოებით დიდ თავგადასავალს ჰგავდა, ჯიპში დაბანაკება, "რთული ცხოვრება" სინათლისა და წყლის გარეშე. ბიჭებს მამასთან დროის გატარება უყვარდათ ძალიან. საშობაო არდადეგები დაკავებული ჰქონდათ, გამუდმებული სტუმრობა... და გლედისმა იცოდა, რომ კარგი იქნებოდა ბავშვებისათვის მამასთან განმარტოებით დროის გატარება. ოთხ საათიანი მგზავრობა შესაძლებლობას მისცემდათ ხელის შეშლის გარეშე ესაუბრათ.

ცამეტი წლის ესთერს კი ორი მეგობარი გოგონა ჰყავდა ინტერნატიდან, ასე რომ კმაყოფილი იყო სახლში დარჩენით, მეგობრებთან და დედასთან დროის გატარებით.

იანვრის 20-ში, ოთხშაბათს, გლედისი აქეთ-იქით დარბოდა, ცდილობდა ყველა გაემზადებინა და მალე გაესტუმრებინა. "ფილიპ, დაამთავრე ჩალაგება?" დაუძახა უფროს ვაჟს. ისეთი პრაქტიკული და მოხერხებული იყო, ზუსტად როგორც მამამისი, და შესანიშნავი "კონტაქტური პიროვნება," ყოველთვის მგრძნობიარე სხვების განცდების მიმართ. ამაყობდა მისი ყველას მიმართ გამოჩენილი სიყვარულის გამო. უჭირდა დაეჯერებინა რომ რამოდენიმე თვეში თერთმეტი წლის გახდებოდა. ყოველთვის ისეთი დაკავებულები იყვნენ, გეგონებოდათ პატარების ცხოვრებაც ისე სწრაფად გარბის, რომ სრულად ვერ გაიხარეს ბავშვების მოცემულ ასაკში ურთიერთობითო.

"ბიჭებო, წასვლის დროა," თქვა გრაჰამმა. გლედისმა ბავშვები მანქანამდე მიაცილა, სადაც უკვე მამა ელოდებოდა. ორივე ბიჭს აკოცა და მაგრად ჩაეხუტა, შემდეგ გრაჰამისაკენ მობრუნდა იგივეს გასაკეთებლად. ყოველთვის უთმობდნენ დროს ნორმალურ გამომშვიდობებას, რადგან არ იცოდნენ როდის რა მოხდებოდა, განსაკუთრებით ინდოეთის გიჟური ტრანსპორტის მოძრაობაში. ტიმოთი ცოტა არ იყოს ნერვიულობდა მგზავრობაზე, გასულ ნოემბერში ავარიაში მოხვედრის გამო. მანქანაში წინა მინისაკენ გადავარდა, სერიოზულად არ დაზიანებულა, მაგრამ საკმაოდ შეშინდა. ერთი კვირის შემდეგ კი სატვითო მანქანა ისე ახლოს მივიდა ჯიპთან, რომ კინაღამ მთიდან გადაიჩეხა. გლედისს კარგად ესმოდა ტიმოთის

მგზავრობის შიში და ეცადა განშორებამდე დაერწმუნებია, რომ არაფერი მოხდებოდა.

“კარგ დროს გისურვებთ! ორშაბათს გნახავთ,” მიაძახა მიმავლებს.

როგორც კი ბუნგალოსაკენ შებრუნდა მაშინვე გაახსენდა, რომ ფილიპის ჩანთა არ შეუმოწმებია. ვიმედოვნებ, რომ საწვიმარი ჩადო, ჩაიჩურჩულა თავისთვის.

შემდეგ მისი ფიქრები ტიმოთის დაუბრუნდა. გაცივებული იყო და დამატებით რამოდენიმე თბილი ტანსაცმელი ჩაუდო, იცოდა რა, როგორ აცივდებოდა მთაში საღამოობით და გაეცინა, იმედოვნებდა რომ იოგებს ძალიან არ დაძაბავდა გალობის დროს. მგალობელი და მქადაგებელი იყო იგი სახლში. მამამისივით ქადაგება უყვარდა, ხანდახან ხედავდა როგორ თამაშობდა მისაღებ ოთახში ეკლესიობანას, სკამებს ალაგებდა და ქადაგებდა. დიდი ხანი გავიდა რაც აღარ უთამაშია. შემდეგ, ორშაბათს, გლედისი მისაღებ ოთახში შევიდა და დაინახა, რომ ტიმოთი ქადაგებდა და გალობდა ცარიელი სკამების წინ, მის წარმოსახვაში კრებულის წინაშე.

უნდოდა როგორც კი საქმეს მორჩებოდა, მოსულიყო, დამჯდარიყო და მოესმინა, რას აკეთებდა, მაგრამ როცა უკან დაბრუნდა, უკვე სხვა საქმეზე წასული დაუხვდა.

წარმოდგენაც არ ჰქონდა რომ ეს იქნებოდა საბოლოოდ ტიმოთის მიერ ეკლესიობანას თამაში.

იანვრის 23-ში, შაბათს, ტელეფონმა დარეკა დილის ხუთის ნახევარზე. ნამძინარევი ბორძიკით მივიდა ტელეფონამდე სიბნელეში და უპასუხა. ცოტა ხანს უსმენდა, ეცადა სიმშვიდრე შეენარჩუნებინა, მაგრამ შიშმა მახვილივით დაუარა ხერხემალში. ესთერს და მის მეგობრებს ტელეფონის ხმაზე გამოღვიძებოდათ და კარებში გამოვიდნენ, როგორც კი ყურმილი დაკიდა.

“დედა, რა ხდება?” იკითხა ესთერმა.

“ვიღაცამ მისიონერების ჯიპი დაწვა,” უპასუხა გლედისმა. “სხვა არაფერი არ ვიცი, ვეცადოთ არ ვინერვიულოთ. ვილოცოთ და დავიძინოთ. დარწმუნებული ვარ ყველანი კარგად არიან, ჩვენ კი დატვირთული დღე გვიდევს წინ. როგორც კი რაიმე ახალს შევიტყობ მაშინვე გეტყვით.”

როცა ეს დეტალები გაიაზრა, ისეთი საზარელი იყო, რომ ესთერს არასოდეს შეეძლო ამის წარმოდგენა...

რისხვის ანთება

მანოჰარპურის პატარა სოფელი გაყოფილი იყო კულტურულად. დაახლოებით 22 სოფლიდან 150 ოჯახი გაქრისტიანდა, წლების განმავლობაში... ეს ორი ნაწილი მშვიდობიან თანაცხოვრებას ახერხებდა ხშირ შემთხვევაში, მოგვიანებით, ეს ტომი გამაღიზიანებელი გამხდარა ქრისტიანებისათვის.

1998 წელს დაძაბულობა ჩამოვარდნილა ტომის ბელადსა და ქრისტიანებს შორის, რომლებსაც რაჯას ფესტივალის დროს მინდორში მუშაობა არ შეუწყვეტიათ, დრო, როდესაც სანტანელები ფიქრობენ რომ მიწა მენსტრუაციის პერიოდშია. სანტალის ტრადიციულ მოსახლეობასა და ქრისტიანებს შორის დავა შეწყდა, დაძაბულობა მაინც დარჩა. რამოდენიმე კვირის წინ, ვიდრე გრაჰამი და მისი შვილები ჯუნგლების ბანაკში მიიღებდნენ მონაწილეობას, შემდეგი უთანხმოება ჩამოვარდა, როდესაც სანტალის ტომის ბელადმა უარი განაცხადა ქრისტიანების ქორწილზე ქრისტიანული სიმღერის შესრულებაზე. ტომი ტრადიციების დაცვის დიდი გულმოდგინებით გამოირჩეოდა, ასე რომ, ამ კულტურულმა უთანხმოებამ უფრო მეტი ტრადიციონალისტი გააღიზიანა და მათი რისხვა აანთო.

გაბრაზებულ სანტანელებს გრაჰამის მოსვლამ, მოლოდინი გაუმართლა. ეხლა იმათაც შეიძლებოდა გასწორებოდნენ ვინც ბედავდა და მათი ტრადიციის წინააღმდეგ მოსახლეობას ამხედრებდა. არასინგისტებმა მომხრეებს მოუხმეს, ცნობილ რელიგიურ ფანატიკოსებს, რომლებიც დახელოვნებულნი იყვნენ სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოწვევაში. მათი ქმედება, როგორც წესი, ვანდალიზმში გადადიოდა, ქრისტიანებისა და მუსულმანების წინააღმდეგ ერთნაირად.

დილით ადრე, იანვრის 23-ში, მათმა საშინელმა ქმედებამ ახალი ძალადობის სიმაღლეს მიაღწია.

წინა საღამოს, გრაჰამი და ბიჭები ვახშამს მორჩნენ თუ არა თანამშრომელებს დაემშვიდობნენ. ხუთის ნახევარი იქნებოდა,

როდესაც სამივენი ჯიპის უკან ახტნენ და დასაძინებლად მოიკალათეს. ღამე ცივი იყო და გრაჰამმა თივის ლეიბები დააფარა მანქანას ზემოდან, სითბოს შენარჩუნების მიზნით. მუდამ ცდილობდა, როგორც კი შეეძლო ბიჭებისათვის კომფორტი შეექმნა და ყოველთვის ლოცულობდა მათთან ერთად დაძინებამდე.

ჯიპი ლოცვის ხეივნის წინ იდგა, მისი მეგობრის, დოქტორ ღოშის მანქანის პირდაპირ, მეგობარს კი მახლობელი ქრისტიანის ოჯახში ეძინა. რომელმაც შუაღამისას ყვირილის ხმაზე გამოიღვიძა, საწოლიდან გადმოხტა და ფანჯარას მიასკდა. შეშინდა მინდორში ხალხის ბრბოს დანახვაზე-კაცები ნაჯახებით, ჯოხებითა და დანებით ორი ჯიპისაკენ გარბოდნენ, თავებს ზემოთ აღმართული ცეცხლმოკიდებული ბამბუკებით. გაბრაზებულები ყვიროდნენ, გაგიჟებული კაცები სასოწარკვეთით დაეტაკნენ გრაჰამის ჯიპს, საბურავები დაჭრეს და ფანჯრები ჩაამტვრიეს. თავზარდაცემული მანქანის მფლობელნი სასტიკად სცემეს არსებული იარაღებით და გრაჰამი ამაოდ ცდილობდა ორი ძვირფასი შვილის მათგან დაცვას.

დოქტორი ღოში კარებისაკენ გაიქცა, მაგრამ გარედან ჩახერგილი არმოჩნდა. გაბმულს, მხოლოდ ფანჯრიდან შეეძლო აგონიით თვალწინ გადაშლილი საშინელი სურათის ყურება.

აბობოქრებული ბრბო უმოწყალოდ ეპყრობოდა გრაჰამს და მის შვილებს. გასაქცევი არსად იყო, ამ სასტიკი მკვლელობიდან. ქოხების კომპლექსის გარშემო ბრბომ დაცვა დააყენა, რათა დანარჩენებს მსხვერპლის დახმარების შესაძლებლობა არ მისცემოდათ, ეხლა კი ისინი ისედაც უსასოო თანასოფლელებს უყვიროდნენ. "გარეთ არ გამოხვიდეთ, თორემ თქვენც მათსავეთ მოგკლავთ!"

ჰასდა, გრაჰამის თანამშრომელი, (ოც წუთზე მეტია) განწირული ყვიროდა სასტიკი შეტაკების შესაჩერებლად. შეშინებული უყურებდა თავდამსხმელებს, თუ როგორ დააწყვეს ნამჯა ჯიპის ქვეშ; დარა სინგი იყო პირველი, ვინც ცეცხლი მოუკიდა. როცა ჰასდა ცეცხლის წყლით ჩასაქრობად გაიქცა, სასტიკად სცემეს. უგულო ბრბო მანამდე იდგა და სანახაობას უყურებდა, ვიდრე გრაჰამის, ფილიპისა და ტიმოთის განწირული

ყვირილი ცეცხლის ალმა არ ჩაახშო და სხეულები ფერფლად არ აქცია.

ვანდალური აქტის მიმდინარეობის დროს, ასი იარდის მოშორებით, სანტალის ახალგაზრდული ჯგუფი, ტრადიციულ, დანგრის ცეკვას ასრულებდა, დოლების დაკვრით, ისე იქცეოდნენ თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ერთი საათის შემდეგ, ბრბო მინდვრებში გაუჩინარდა. გაოგნებული ხასდა, ბანდიტების მიერ ცოტა ხნის წინ გაძევებული, სოფლის თავკაცთან მივიდა დახმარების სათხოვნელად. მაცნე გააგზავნეს პოლიციასთან, სოფლიდან თხუთმეტი მილის მოშორებით. უკვე ძალიან გვიან იყო. როცა ხასდა მომხდარის ადგილზე დაბრუნდა, მწუხარებისაგან გაშეშდა, ფერფლად ქცეული გრაჰამის ჯიპის დანახვაზე. დამწვარი მანქანის შიგნით, აშკარად ჩანდა სამი ჩონჩხი, როგორ ჩაკვროდა ერთმანეთს. მან იცოდა, რომ ეს იყო სურათი, რომელიც თავის ცხოვრებაში არასოდეს დაავიწყდებოდა.

როგორც კი ქოხში მომწყვდეულ ქრისტიანებს გარეთ გამოსვლის შესაძლებლობა მიეცათ, მომხდარის გარშემო შეგროვდნენ და მცირე ხნით უსიტყვოდ უცქერდნენ სურათს. *შინაგანად ყველა ფიქრობდა, როგორ უნდა ვუთხრათ ეს ამბავი გლედისს და ესთერს?*

მწუხარების ტალღა

დილის შვიდ საათზე გლედისი ახალი დღის საქმიანობისათვის ემზადებოდა, როდესაც ტელეფონმა მეორედ დარეკა. ჟურნალისტი იყო, გრაჰამისა და ბიჭების ასაკს კითხულობდა.
“რაზე ლაპარაკობთ?” იკითხა გლედისმა.

მიხვდა, რომ დიასახლისმა არაფერი იცოდა, არ უნდოდა პირველი მაცნე ყოფილიყო, რეპორტიორი დაემშვიდობა და ყურმილი დაკიდა. ტელეფონის ხმა არ წყდებოდა, მეზობელი სოფლებიდან რეკდა ხალხი კითხვებზე პასუხის მოსასმენად. “გლედის, ამბობენ რომ გრაჰამი და ბიჭები დაკარგულები არიან,” უთხრა მას ერთმა მეგობარმა.

“დაკარგულები? ოჰ, ღმერთო ჩემო!” წამოიძახა აღელვებულმა. “რა დაემართათ ჩემს ძვირფას ბიჭებს? მარტო არიან?”

ბოლოს, მისი მეგობარი გაიტრი მოვიდა და მან აიღო ტელეფონზე პასუხისმგებლობა. მოვლენები გიჟურად განვითარდა, გლედისმა მაინც არ იცოდა რა მოხდა. მისი გული იტანჯებოდა, ნებისამიერ წუთს ელოდა გრაჰამს და ბიჭებს, რომ ოთახში შემოაბიჯებდნენ. მისი გონება არ უშვებდა აზრს რომ რაიმე ცუდი შეიძლებოდა დამართვოდათ და ოპტიმისტად რჩებოდა, რომ ისინი მალე დაბრუნდებოდნენ სახლში.

მომდევნო რამოდენიმე საათის განმავლობაში, მოგობრებმა დაიწყეს მოსვლა, უფრო მეტი რეპორტიორები მოდიოდნენ სურათების გადასაღებად. ათეულობით ადამიანს მოეყარა თავი-შინ და გარეთ, ვერანდაზე, ყველგან. ყელაფერი ქაოტურად მიდოდა, გლედისი სტუმრების მისალმებითა და ესთერზე ზრუნვით იყო დაკავებული. ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდომოდა მომხდარის სიღრმეს და არავინ იცოდა როგორ ეთქვათ ეს საშინელი ამბავი.

ბოლოს, დაახლოებით ცხრის ნახევარზე, გაიატრიმ აიღო მისი ხელი და თქვა, "გლედის, უნდა დაგელაპარაკო". ერთი ოთახი გაათავისუფლეს და შიგნით შევიდნენ, გაიატრიმ თქვა, "გლედის, არ მინდა ისე იყო როგორც ქვა, მაგრამ ესთერის გამო უნდა გამაგრდე".

გლედისმა დაუჯერებელი ამბავი მოისმინა. მის გონებას უნდოდა უარეყო, რასაც მეგობარი ეუბნებოდა, მაგრამ... სიტყვები ნათქვამი იყო და უკან ვერასოდეს დაბრუნდებოდნენ. *არა!* დაიყვირა მისმა გონებამ. *ეს მართალი არ იქნება! ჯიპში არ იქნებოდნენ. შეცდომას აქვს ადგილი. არ იქნებოდნენ-ცოცხლად არ დაწვავდნენ. როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს? ვის შეეძლო ასეთი ბოროტების ჩადენა?*

მწუხარების ტალღის ზეწოლამ დაახრჩო, კიდევ ერთხელ უნდა დაეკითხა მეგობარი. შესაძლოა შეცდომაში შეიყვანეს. შეიძლება ამბავი იყო მცდარი...

"გაიატრი... შენ გულისხმობ რომ ისინი მკვდრები არიან? გრაჰამი, ფილიპი და ტიმოთი-აღარ არიან?"

გაიატრის დამწუხრებულმა თვალებმა უთხრეს, რომ შეცდომას ადგილი არ ჰქონია და დამარცხებული დაჯდა.

"როგორ უნდა უთხრა ესთერს?" ამოიგმინა მან.

დრო გაჩერდა, მაგრამ სიცოცხლე გაგრძელდა. მომდევნო

რამდენიმე წუთი მწუხარე დუმილში გავიდა, საკუთარ თავს ამზადებდა ესთერთან ამ დაუჯერებელი ამბის სათქმელად. ტელეფონი არ ჩუმდებოდა, ხალხი რეკავდა ავსტრალიიდან, აინტერესებდათ რა მოხდა. უფრო მეტი მეგობრები და მეზობლები მოდიოდნენ მწუხარების გასაზიარებლად, რეპორტიორების კამერებიდან სინათლე კიდევ გამოკრთოდა, გლედისი მხოლოდ საკუთარ ქალიშვილზე ფიქრობდა.

"დედა, რა ამბავია?" იკითხა ესთერმა.

გლედისმა ესთერის ხელი აიღო და გოგონას უმწიკვლო თვალებში ჩახედა. "როგორც ჩანს მარტო დაგვტოვეს," უთხრა მშვიდად. შემდეგ, დაფიქრების გარეშე დაამატა, "მაგრამ მივუტევებთ"."დიახ, დედა, ჩვენ ამას გავაკეთებთ."

ესთერის თვალებზე სევდამ დაისადგურა. დედამ გულში მაგრად ჩაიკრა და ცდილობდა როგორმე თავი გაერთვა იმ დრამატული ცვლილებისათვის, ცხოვრებამ ასე სწრაფად რომ მოუტანა. ემოციურად გაბრუებული იყო მომხდარის გამო, მოვლენების სწრაფად განვითარება ეხმარებოდა თავის შეკავებაში. ბოლოს, ადგილობრივი ექიმი მივიდა და უთხრა, "აინტერესებთ, რა უყონ გვამებს".

საბოლოო განცხადებამ სავსებით გადაუწურა იმედი, რომ რაიმე შეცდომას შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. "მოიტანეთ ისინი ბარიპადაში. გრაჰამმა ამ ქვეყნისათვის გაიღო თავისი სიცოცხლე. ენდომებოდა რომ აქ დამარხულიყო," თქვა მან.

მომდევნო კვირის განმავლობაში გლედისი რეპორტიორებთან, სტუმრებთან და ქალაქის ოფიციალურ პირებთან ურთიერთობით იყო დაკავებული. ბოლოს გრაჰამის თანამშრომელებიც მოვიდნენ მანოჰარპურიდან და საშინელი ინციდენტის დეტალებიც გახმაურდა. გაიგო რომ ბევრი იქაური ადასტურებდა, სვეტისებური კაშკაშა ნათელი დავინახეთ დამწვარი მანქანის თავზეო. ისიც შეიტყო, თუ როგორ შეაკავეს ქოხებში მყოფი ქრისტიანები მათ მისაშველებლად. მამაცი ჰასდას მიერ ცეცხლის ჩაქრობის მცდელობაც.

უცბათ მიხვდა, რომ ეს ინციდენტი არ იყო მთვრალი ან იმედგაცრუებული სოფლის მცხოვრებლების მიერ ჩადენილი. ეს იყო, საიდუმლო გეგმა ქრისტიანულ საზოგადოებაზე თავდასხმისა და შეთქმულებს გრაჰამი და მისი შვილები აურჩევიათ სამიზნედ.

საწყალი ჰასდა მის გვერდით იყო ამ განსაცდელში. მისი მშობლები კეთროვანთა სახლის მცხოვრებლები იყვნენ, ჰასდაც იქვე დაბადებულა. გლედისმა იცოდა, რომ გრაჰამი და ბიჭები მას ძალიან უყვარდა, გულით ეცოდებოდა იგი.

მამაო აპატიე მათ...

დაკრძალის ცერემონიალი ორშაბათს, დილის ათ საათზე დაიწყო, იმ დროს, როცა გრაჰამი და ბავშვები უნდა დაბრუნებულიყვნენ ჯუნგლების ბანაკიდან. სამი კუბო მოიტანეს, ყვავილებით დაფარული, მალე თითქოს მთელი ბარიპადა მოვიდა საგლოვად. სკოლები და სხვა დაწესებულებები დაიკეტა, ქალაქის მრავალი ოფიციალური პირი მოვიდა გრაჰამისა და ბავშვებისათვის პატივის მისაგებად. გლედისი და ესთერი მიშტერებოდნენ ათასობით სტუმარს, რომლებსაც კეთროვანთა სახლის მცხოვებლებთან ერთად მიწაზე დგომა აურჩევიათ, რომლებიც ფრიად დამწუხრებულან საყვარელი "დადას"'დაკარგვის გამო. ტრადიციული ინდური მსახურება როგორც ჩანდა დაუგეგმიათ, მრავალმა ადამიანმა სპონტანურად წარმოსთქვა სამძიმრის სიტყვა, თუ ადგილი წმინდა წერილიდან. გლედისს სთხოვეს რამოდენიმე სიტყვის თქმა, მომზადებული არ იყო ამდენი ხალხის წინაშე სალაპარაკოდ. ამის ნაცვლად, ესთერს სთხოვა, "შეგიძლია, ჩემთან ერთად დადგე და იმღერო?"

ხალხი დადუმდა, როგორც კი დედაშვილმა პლათფორმისაკენ აიღეს გეზი. ის საგალობელი შეასრულეს, რომელმაც გლედისი აქამდე მოიყვანა.

"რადგან ის ცოცხლობს შემიძლია შევხედო ხვალინდელ დღეს..." მიუხედავად მისი ესთერთან გალობაში დაჯერებულობისა, სინამდვილეში გლედისი გონებაში ფიქრობდა, რადგან ის ცოცხლობს შემიძლია დღევანდელ დღეს შევხედო. სიმართლე ის იყო, რომ მომავალში მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა შეეძლო ერთ მოცემულ მომენტში. ეს საკმარისი იქნებოდა თავის გასატანად. დროთა განმავლობაში, მისი ცხოვრება გაჭირვებაში რწმენის შეურყევლობის დამოწმებად იქცა. მიუხედავად თავზარდამცემი მწუხარებისა,

შინაგანად სიმშვიდეს გრძნობდა და უნდოდა მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ მისი წამებული ქმარ-შვილისათვის, სიკვდილი პატივი იყო ქრისტეს სახელის გამო.

პრესასთან განცხადებაში მამაცმა ესთერმა თქვა, "მადლიერი ვარ, რომ ღმერთმა მათ მისი სახელის გულისათვის წამების ნება დართა," გლედისმა ესთერის გამონათქვამს დაამატა: "ნამდვილად ვლოცულობ, მამაო მიუტევე, რადგან არ იციან რას ჩადიან! და მჯერა რომ ყველაფერი სასიკეთოდ მოქმედებს მათთვის, რომ შეიყვარონ ღმერთი, რომლებიც მოწოდებულნი არიან მისი მიზნისამებრ, ღმერთი დაასრულებს თავის საუკუნო გეგმას. დიდება მის სახელს".[2]

მრავალი ოჯახის წევრი და მეგობარი სთხოვდა გლედისს ჩაბარგებულიყო და უსაფრთხოდ ეცხოვრა ავსტრალიაში, ნათესავების გარემოცვაში. ისინი იმასაც ფიქრობდნენ რომ კეთროვანთა სახლში მუშაობა შეწყდებოდა, მანამდე ვიდრე გრაჰამის შემცვლელს არ იპოვიდა. უცნაურ შეკითხვებსაც იძლეოდნენ: "აპირებ თუ არა გვამების ავსტრალიაში ჩამოტანას? რას იზამთ შენ და ესთერი ეხლა? რა ეშველება კეთროვანთა სახლს?"

გლედისი გაოცებული იყო მათი შეხედულებებით. მან ინდოეთი სახლად გადააქცია და არასოდეს უფიქრია წასვლაზე. როდესაც ჟურნალისტებმა მომავალზე ჰკითხეს, უპასუხა, "ჩემი ღმერთი ყველა სიტუაციისა და მდგომარეობის კონტროლშია. იგი მხოლოდ კარგს გააკეთებს. ის არის ჩემი ძალა და დარჩენა. ის დაგვპირდა 'არასოდეს დაგვტოვებს და არ მიგვატოვებს.'[3] ამ იმედით ვემსახურები ინდოეთს."

მიტევებას მოაქვს განკურნება

ორი თვის შემდეგ, გლედისი მოემზადა ინდო-ავსტრალიური ჯილდოს მისაღებად გრაჰამის სახელზე. ცერემონიალზე სიტყვის წარმოთქმა სთხოვეს, სამასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა დარბაზში, როდესაც შეიტყვეს, რომ გლედისი იქ იქნებოდა. მას შემდეგ, რაც გრაჰამი და ბავშვები გარდაიცვალნენ, პირველად დასთანხმდა საჯაროდ საუბარზე. პოლიციის დიდი რაოდენობა იყო გლედისის დასაცავად.

სიტყვისათვის სამზადისში, ჩუმად იჯდა და ჯონსონის პოემის ნაწყვეტს კითხულობდა, რომელმაც ამ ბოლოს განსაკუთრებული ძალა შეჰმატა:

ის გვაძლევს მეტ მადლს როგორც კი ტვირთი იზრდება,
ის გვიგზავნის მეტ ძალას როგორც კი ჩვენი სამუშაო მატულობს;
ტანჯვის მატებასთან ერთად მისი წყალობაც იმატებს.
გამრავლებულ განსაცდელებთან ერთად მშვიდობასაც ამრავლებს.

მის სიყვარულს საზღვარი არა აქვს,
მის მადლს საზომი,
მისი ძალის ზღუდე ჯერ კაცისათვის არ არის ცნობილი;
იესოშია მისი დასაბამი სიმდიდრე.
ის გვაძლევს, და გვაძლევს, და კვლავ გვაძლევს.

როგორც კი წამყვანმა მისი წარდგენა დაასრულა, ბოლო სტრიქონის წაკითხვას მორჩა.

პლატფორმასთან მივიდა და დაიწყო, თუ რამდენად მარტივად მოდიოდა გრაჰამში წუხილის განცდა. “თუ ვინმე ავად იყო, ისიც იქ იყო,” თქვა მან. “ეს შეიძლება დილით ადრე ან ღამით გვიან ყოფილიყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა. არ სჭირდებოდა ეფიქრა, რა გაეკეთებინა, როდესაც ვინმე განსაცდელში იყო. იგი უბრალოდ მოქმედებდა”.

სიტყვა დაასრულა და ჯილდო მიიღო, შემდეგ სადილად დარჩენა შესთავაზეს. არავინ წასულა, ყველა იქ მყოფთაგანს სურდა მისალმებოდა მხნეობით სავსე ქვრივს, რომელსაც არც ერთი ცუდი სიტყვა არ ჰქონდა მათ მიმართ, რომლებმაც ასეთი სისასტიკით მოკლეს მისი ქმარი და ორი შვილი. სადილობისას ერთმა ქალმა უთხრა გლედისს. “არ ვიცი, როგორ შეგიძლია აპატიო”.

დაფიქრების გარეშე უპასუხა გლედისმა, “უნდა აპატიო. პატიებას განკურნება მოაქვს.”

გლედისს მანამდე არც კი გაუცნობიერებია ეს ჭეშმარიტება, ვიდრე ბაგეებს არ დასცდა. მან ქმარ-შვილის სასტიკ მკვლელებს იმ მომენტიდანვე აპატია, რა წუთშიაც გაიგო. პატიება მართლაც

რომ განკურნების კატალიზატორი იყო და იმ წუთში გადაწყვიტა რა იქნებოდა მისი სამომავლო სიტყვა.

მოწვევები მოწვევებზე მოდიოდა, როცა კი შეეძლო თანხმდებოდა, ყოველთვის მიტევებაზე საუბრობდა. ყოველთვის ამბობდა, "სიყვარული გულწრფელი უნდა იყოს. ერთმანეთს პატივი უნდა დავდოთ, როგორც რომალეთა 12 გვეუბნება: 'აკურთხეთ თქვენი მდევნელები, აკურთხეთ და ნუ დაწყევლით. მოხარულებთან იხარეთ და მოტირალებთან იტირეთ. ერთსულოვანნი იყავით ერთმანეთში. ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ მორჩილებს მისდიეთ, ბრძენი ნუ გეგონებათ საკუთარი თავი. ნურავის მიაგებთ ბოროტის წილ ბოროტს. ცდილობდეთ კეთილს ყველა ადამიანის წინაშე. თუ ეს შენთვის შესაძლებელია მშვიდობაში იყავი ყველასთან.'"[4]

მისი დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ გლედისი უამრავ სკოლაში, ეკლესიაში, სახალხო ღონისძიებებზე მიუწვევიათ, ხანდახან ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში ექვს შეხვედრაზე უსაუბრია. დღეს, მისი დამარწმუნებელი სიტყვა მიტევების შესახებ, ემსახურება უამრავ ერს-სადაც ქრისტიანებზე ვანდალური თავდასხმები იზრდება-და არავინ შეიძლება იყოს უფრო მეტად კვალიფიციური, ვიდრე გლედის სტაინსი ამ სიტყვის სათქმელად.

ეპილოგი

გლედისი ჯერ კიდევ მაიურბჰანჯის კეთროვანთა სახლში ცხოვრობს, მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა, ინდოეთში ქრისიტიანების დევნისა და მიტევების სიტყვის გასაზიარებლად. ინდოეთის ხალხი შოკმა მოიცვა, მისმა მოწმობამ და იესო ქრისტეს სიყვარულის სიტყვამ; უცხოელი... ქვრივი... უბრალო ქალისაგან, რომლის მიზანიც არის ემსახუროს ღარიბებს და ყველაზე მცირეს.

სამწუხაროა რომ, ერის ყურადღების მიქცევას ქმრის და მისი ორი ძვირფასი შვილის სიკვდილი დასჭირდა. მაგრამ გლედისი ერთგულად მსახურებდა, როგორც ღვთის მოლაპარაკე, ამტკიცებდა რომ "ვისაც ღმერთი უყვარს ყველაფერი სასიკეთოდ ეწევა."[5] მისი სიტყვის საპასუხოდ ათასობით წერილი მოდიოდა

ინდოეთიდან, ჰინდუსებიდანაც კი, ბოდიშს იხდიდნენ მის ოჯახში მომხდარი საშინელებისათვის.

საკუთარი გამოცდილებიდან ისწავლა მიტევების ძალაუფლება, მან იცის, რომ ეს რჩება ძალიან მნიშვნელვან სიტყვად, ეკლესიაში მყოფებისთვისაც კი. ქალების შეხვედრაზე, სადაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა უთხრეს, რომ ერთი ოთხმოცდაათი წლის კაცი ელოდებოდა გარეთ და მასთან შეხვედრას ითხოვდა, ვისაც თავის ქმარ-შვილის მკვლელობის პატიება შეეძლო. როცა საბოლოოდ გლედისს დაელაპარაკა, თქვა, რომ მისი გოგონა გარდაიცვალა მრავალი წლის წინ, წამლის უკმარისობის გამო და ვერასოდეს შეძლო ექიმისათვის ეპატიებინა. გლედისი მას პატიებაზე ესაუბრა და ილოცეს კიდეც ამისათვის.

თავდასხმიდან ერთი წლის შემდეგ, დარა სინგი და სხვა თოთხმეტი ადამიანი დააპატიმრეს, გრაჰამ, ფილიპ და ტიმოთი სტაინესების მკვლელობისათვის. 2002 წლის ივნისში, გლედისს სთხოვეს სასამართლოზე დაემოწმებინა და აეტანა ყველაზე რთული განსაცდელი, მას შემდეგ რაც მისი ქმარ-შვილის მკვლელობის ამბავი გაიგო. უყურებდა რა მკვლელებს, კიდევ ერთი პატიების გაკვეთილი გაიარა.

შინგის ადვოკატი ამტკიცებდა რა კლიენტის უმწიკვლობას, ცდილობდა გრაჰამის რეპუტაციის შელახვას, ამბობდა რომ გრაჰამმა გაუფრთხილებლად დააყენა მანქანა ქვაბისათვის დანთებული ცეცხლის ადგილზე. ადვოკატი ლაპარაკს აგრძელებდა, გლედისმა დარა სინგს შეხედა და შემდეგ კი საკუთარ გულს. ღმერთს სთხოვა მიეცა ძალა სიყვარულისა და სიბრალულისათვის და არასოდეს შეეხედა მისთვის სიძულვილით. იმ დროს, როდესაც ეს წიგნი დასაბეჭდად გადაეცა, სასამართლო ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

ჩვენ გლედისს და ესთერს კალკუტაში შევხვდით, გამგზავრებამდე გლედისმა სხვა პოემა წაგვიკითხა, რომელიც დიდი გამხნევება იყო მისი ქმარ-შვილის მკვლელობის შემდეგ. აწ გარდაცვლილი ედგარ გესტის მიერ დაწერილი, "უსაფრთხო სახლში".

სახლში ვარ ზეცაში, ჩემო ძვირფასებო;
ისეთი ბედნიერი და ნათელი!
აქ არის სრულყოფილი სიხარული და სილამაზე
ამ სამუდამო ნათელში.

ყველა ტკივილი და წუხილი დასრულდა,
ყველა ბრძოლამ გაიარა;
სამუდამო მშვიდობაში ვარ,
უსაფრთხო სახლში საბოლოოდ.

გიკვირს ასე მშვიდად რომ დავდივარ
სიკვდილის ჩრდილში?
ოჰ! მაგრამ იესოს სიყვარული
ანათებს ყოველ ბნელ და საშიშ ტყეს.

ის მოვიდა ჩემს შესახვედრად
ძნელად სავალ გზაზე;
იესოს მკლავზე დაყრდნობილს
შეიძლება შემეპაროს ეჭვი ან ცუდის წინათგრძნობა?

მაშინ ასე მძაფრად არ იდარდო,
რადგან ჯერ კიდევ ძალიან მიყვარხარ:
ეცადე იცქირო მიწიურ სიკვდილს მიღმა,
ეცადე მიენდო მამის სურვილს.

საქმე გელოდება,
ნუ იდგები უმიზნოდ
იმოქმედე ვიდრე სიცოცხლე გრძელდება
იესოს მიწაზე უნდა დაისვენო.

როცა საქმე გასრულდება,
სახლში მოგიწოდებს;
ოჰ, შეხვედრის დიდო სიხარულო
ოჰ, სიხარული შენი მოსვლის!

მაი:

უკან ვიეტნამში... სახარების ქადაგება

ვიეტნამი

1989 წელი, ნოემბერი

ოკეანე მანამდე იყნოსეს ვიდრე დაინახავდნენ. მაი უფროს ძმას-ჰონგს მიჰყვებოდა, თითქმის უყურებდა მის ნაბიჯებს ცალმიმართულებიანი მატარებლის რელსების გასწვრივ. კიდევ ერთი გადასალახი მთა. მარილიანმა ჰავამ დაუბერა თმაზე და აღამაღლა მათი სულები. მაიმ ამით იგრძნო როგორ აღინთო მასში ინტერესი. თითოეული ნაბიჯი თავისუფლებასთან აახლოვებდათ!

ბოლოს მთის წვერზე ავიდნენ და ნავი დაინახა, სახელდახელო პლატფორმით, რომელიც უცბად ასანთის ჯოხებად დაიშლებოდა ვინმეს რომ ხელი ეკრა. გაჩერდა და ჰონგს ხელი მოჰკიდა, რათა უფრო შორს წასვლისაგან შეეჩერებინა.

“არ შემიძლია იმ რაღაცაზე გავლა!” უთხრა მას, მხარში მანამდე ექაჩებოდა ვიდრე მისკენ სახით არ შემობრუნდა.

“ნავსაყუდელის გარეშე ვერ შევძლებთ ამის გაკეთებას, ჰონკონგამდე წავიდეთ”.

“უნდა გაიარო მაი,” უთხრა ჰონგმა, წყლისაკენ შებრუნდა და თან დას მიათრევდა. მაიმ კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი, იგრძნო, რომ შიში კვლავ აღიძრა გულში. ბამბუკის ქოხის გარდა გემბანი ნათელი და სწორი იყო. სხვა ვიეტნამელი ლტოლვილები ადიოდენნ ნავზე, ზოგიერთები მგრძნობიარედ იყურებოდნენ უკან, ფიქრობდნენ, ნეტავ თუ ჩინეთის პოლიცია ამ მომენტს აირჩევდა და ყველას ვიეტნამში დააბრუნებდა.

“მე... მე არ შემიძლი, ჰონგ,” წიაბორძიკა მან. “მე... მზად არა ვარ ამისათვის.”

“ჩინეთის საზღვარზე გამოპარვისთვისაც არ იყავი მზად და ჩვენ ეს მაინც გავაკეთეთ. ეხლა წამოდი. უნდა წავიდეთ. არ იცი რაზე თქვა მამამ უარი ამ ყველაფრისათვის?”

ჰონგმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ამოტვიფრული ხელსახოცი ამოიღო. ფრთხილად გაშალა და მხრებზე ამოწმებდა, ორი ოქროს მონეტა აჩვენა დას. თითოეული ნახევარ უნცზე მეტს იწონიდა და თითოეულს შეეძლო ერთი გზა ნავის ბილეთის შეძენა ჰონკონგამდე, მათი ბილეთი თავისუფლებისაკენ.

"იცი რამდენი დრო დასჭირდა მამას ამ ფულის შესაგროვებლად?" გააგრძელა მან. "წლები ელოდა და გეგმავდა ამ დღეს. მას თვითონ არასოდეს განუცდია თავისუფლება, შენი გზა კი გამოისყიდა. ეხლა ადი ნავზე!"

"ჩემთვის კი არ იყიდა. ტრანგის ბილეთი იყო," უპასუხა მაიმ დაუფიქრებლად. სხვა ძმა უნდა ყოფილიყო სავარაუდოდ ჰონგის თანამგზავრი. მამა ორი ვაჟის თავისუფლებაში გაგზავნას გეგმავდა, იმედოვნებდა, რომ დანაზოგით შეძლებდნენ დანარჩენი და-ძმების ვიეტნამიდან წაყვანას.

"ეს ტრანგის ბილეთი იყო, დიახ. მაგრამ მის ცოლს ეს-ესაა ბავშვი შეეძინა. ეხლა მას ქვეყნის დატოვება არ შეეძლო, ხოდა შენ აღმოჩნდი იღბლიანი. თავისუფალი იქნები ამერიკაში ან ავსტრალიაში. უკეთესი განათლების შესაძლებლობა გექნება. და ერთ დღეს მდიდარი გახდები!"

მას კვლავ ეჭირა მაის ხელი, ნაწილობრივ თავისკენ მიათრევდა და ნაწილობრივ ნავისაკენ.

"სად გამოვიყენებთ ტვალეტს?" ჩაიბურდღუნა მან. "იმ რაღაცაზე ტვალეტი არ არის."

"ტვალეტი ყველგან იქნება ჩვენს გარშემო," თქვა დამცინავი ღიმილით. ბოლოს გაჩერდა და მისკენ შებრუნდა. "ეს არის ჩვენი შანსი, მაი," თქვა მან. "ეს არის ის, რაც მამას ჩვენთვის სურდა, წავსულიყავით ვიეტნამიდან. რათა თავისუფლები ვყოფილიყავით. მიგვეღო განათლება. გვესარგებლა ჩვენი მუშაობიდან. ცუდად ხდებოდა ეფიქრა, რომ მისი შვილები სიღარიბეში იცხოვრებდნენ. შენი ყოყმანის დანახვაც ასევე ცუდად გახდის. მოდი რა!"

უკვე ნავზე იყვნენ, სახე დაღმანჭულმა კაცმა ორივეს შეხედა, ხელი მაღლა ასწია. ჰონგმა იცოდა რაც უნდოდა–ოქროს მონეტები. კაცს ხელში ცხვირსახოცი ჩაუდო, რომელიც ჰონგს ცალი კუთხით ეჭირა, ვიდრე მონეტები მის ხელისგულზე არ გადმოცვივდებოდნენ. კაპიტანმა მონეტებს ახლოდან დახედა,

ერთი პირში ჩაიდო და თითქოს კბეჩდა, რათა შეემოწმებინა ნამდვილი იყო თუ არა.

“ადით,” ჩაიბურდღუნა მან.

ისინიც მისი ნათქვამისამებრ მოიქცნენ. როგორ უნდოდა მაის რომ წასვლამდე კიდევ ერთხელ მაგრად ჩახუტებოდა დედას! ან მამასთან ცოტა უფრო მეტხანს ესაუბრა. დარდობდა–ნეტავ ეს ნავი, როგორც საბოლოოდ გადაწყვიტა ასე ეწოდებინა მისთვის–დანიშნულების ადგილამდე მიიყვანდა და სასწრაფოდ ილოცა ბაბუისა და დიდი ბაბუის სულზე მშვიდობიანი მგზავრობისათვის.

წინა მხარე დახურეს, რათა მოტორის ხმაური შეემცირებინათ. მაი უკვე ცუდად იყო აღელვებისა და ტალღების მოძრაობისაგან, ვიდრე ნავი ადგილიდან დაიძვროდა. როგორც კი დაინახა, რომ ნავმა სანაპირო შორს ჩამოიტოვა, ტირილი დაიწყო.

მოსაწყენი აღმოჩნდა ნავზე გატარებული დღეები, მაი და ჰონგი მიხვდნენ, რომ მგზავრობისათვის საკმარისი საკვები არ წამოუღიათ. საკვების გათავების შემდეგ იძულებულნი გახდნენ სხვა, ორმოცდასამი მგზავრისათვის დაეწყოთ თხოვნა. დღეები იწელებოდა და იწელებოდა, თითქოს ერთი მარცვალი დროის აღმნიშვნელი ქვიშა ვარდებოდა ერთ საათში.

შტორმი

მაი კიდევ ამოვიდა ზემოთ, წყლის ზედაპირზე, აფურთხებდა მარილიან წყალს და წყურვილის მომკვლელი მოძრაობით პირს აცმაცუნებდა.

“მიშველეთ!” დაიყვირა მან, სასოწარკვეთილებით შესცქეროდა ღამის სიბნელეს, ნავის, რამის ან ვინმეს დასანახად. მომდევნო ტალღა შეეჯახა, კიდევ ერთხელ ეცადა ჰაერი ჩაესუნთქა, ვიდრე წყლის ქაფიდან თავი ჰქონდა ამოწეული.

ერთხელ კიდევ ამოყურყუმალდა და მკლავი იგრძნო სხეულის გარშემო. “იცურე ნაპირისაკენ,” ჩაჰყვირა კაცის ხმამ ყურში. მაიმ ნახევრად დაშლილი ნავის ერთ-ერთ თანამგზავრად შეიცნო იგი, რომელიც მასავეთ სამშობლოდან გარბოდა. ორივემ ერთად გაცურეს. მომავალ ტალღებს უკან შეხედა, გაფრთხილების მიზნით წინასწარ ყვიროდა, ვიდრე ტალღა თავზე გადაუვლიდა. მისი თვალები სანაპიროსაკენ იყვნენ ფოკუსირებულნი.

ბოლოს, როგორც იქნა, ფეხზე დადგნენ; რამოდენიმე ნაბიჯი გადადგეს და გადაღლილები ქვიშაზე დაეცნენ. დანარჩენებიც სანაპიროზე იკრიბებოდნენ, ძლიერი ქარის წყალზე ქროლვისაგან კანკალებდნენ. ქვიშა მოსასხამივით ეკვროდა მათ სველ ტანსაცმელს. მაიმ შვების მომგვრელი ხმით შეჰყვირა, როდესაც ჰონგის ხმას მოკრა ყური, ორივენი ერთმანეთს გადაეხვივნენ. შტორმში შეუძლებელი იყო ცეცხლის დანთება, ისე რომ ერთად მოგროვდნენ, ამაოდ ცდილობდნენ გამთბარიყვნენ და სასოწარკვეთილებით ელოდნენ მზის ამოსვლას.

მაი გაოცებული იყო მისი ცხოვრების ასეთი შემობრუნებით. რამოდენიმე დღის წინ ჩვიდმეტი წლის გახდა ჩრდილო ვიეტნამის საშუალო სკოლაში, ბედნიერად ცხოვრობდა დედ-მამასთან, წითელი კრამიტის სახურავიან სახლში ჩინეთის საზღვართან. ეხლა მომწყვრეული იყო ჩინეთის ქარწაღებულ სანაპიროზე, ფიქრობდა, ნეტავ თუ ოდესმე შეძლებდა ჰონ კონგამდე მიღწევას და თავისუფლებას.

მამას ყოველთვის უნდოდა მის შვიდ შვილს იმაზე უკეთესი ცხოვრებით ეცხოვრათ, ვიდრე თვითონ. მაის იმდენჯერ მოუსმენია მისი საუბარი განათლების შესახებ, რომ ზეპირადაც კი დაისწავლა. მაგრამ საუბარი არასოდეს არ მოიცავდა გემის მსხვრევის ამბავს...

ეხლა დედაზე ფიქრი დაიწყო, მისი ღიმილი ქმრის მიერ შვილების განათლებაზე ამბიციის გამო; ის ფიქრობდა, რომ სკოლა ფულისა და დროის ტყუილ უბრალოდ ხარჯვა იყო და სხვა არაფერი. ის აკონტროლებდა ოჯახს, ფინანსებს და უარყოფდა ბავშვებისათვის წიგნების შეძენას ან სწავლის ფულის გადახდას. ხშირად მამამისი ქათამს ან სხვა ცხოველს გაჰყიდდა, რომ შვილებს კიდევ ერთი მომდევნო კვირის სკოლის გადასახადი დაეფარათ. როდესაც მისი ცოლი აღმოაჩენდა, რაც მომხდარა, ორივენი ცხარე კამათს გამართავდნენ, დამამცირებელი სიტყვებითა და წყევლით უყვიროდნენ ერთმანეთს. ბავშვები ცდილობდნენ არასოდეს ჩარეულიყვნენ ამ გაუგებრობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ისინი აგრძელებდნენ სკოლაში სიარულს.

ერთ-ერთ ძმას ვიეტნამი დაეტოვებინა და ბულგარეთში მუშაობდა მუშად. სხვა სამყარო ნახა და მისი ნაამბობი

მამამისში აღძრავდა სურვილს, სხვა შვილების გაქცევისათვის.

ეხლა, მაი ქვეყნის გარეთ იყო, მაგრამ არა იქ, სადაც მამამისი წარმოიდგენდა. სანაპიროზე იკრუნჩხებოდა, ადიელის აბობოქრებულ ზღვაზე დაკარგვის გამო. შტორმმა ყველა მგზავრი აიძულა ნაპირამდე გაეცურათ. კაპიტანი ნავზე დარჩა, კიჩო მიმართული ჰქონდა ტალღებისაკენ და ცდილობდა თავი დაეღწია. როგორც იქნა დასრულდა ის, რაც საუკუნოდ მოგეჩვენებოდა და ზღვა დაწყნარდა, მზე ამოიწვერა წყალს მიღმა. მაი ასე არასოდეს ყოფილა მადლიერი ახალი დღის დაწყებისათვის.

ლტოლვილები გროვად შეგროვილიყვნენ სანაპიროზე, ვიდრე კაპიტანი ნავზე ასვლის ნიშანს მისცემდა. უკან გასცურეს მოტივტივე თავისუფლების ნავზე ასაცოცებლად. კიჩო შტორმს გაუტაცია. ყველაფერი რაც კი გააჩნდათ, ტანსაცმელი, საჭმელი, ადიელები, ჯამ-ჭურჭლი–ყველაფერი ქარს წაუღია. მაი და ჰონგი დაბლა დაეშვნენ და იმედოვნებდნე, რომ ჰონ კონგამდე მეტი ქარიშხალი აღარ ამოვარდებოდა. უკვირდათ, ნეტავ კიდევ თუ გაცურავდა ნავი ამდენი მგზავრის უკან დაბრუნების შემდეგ.

ნავზე ასვლიდან, უსასრულო ორმოცდაორი დღის შემდეგ, ჰონ კონგში ჩავიდნენ. სადაც, დიდი სიხარულით არ შეხვდნენ; პოლიცა გადმოსვლის ნებას არ რთავდა. ამის ნაცვლად, კაუს კუნძულზე გააგზავნეს, დაუპატიჟებელ მიწის ნაწილზე, სადაც მცხოვრებლები ძროხებს ზრდიდნენ. საბოლოოდ მაი, ჰონგი და დანარჩენები ნავიდან გადმოვიდნენ. რაც მათ ელოდათ, ისეთივე არასასიამოვნო იყო, რაშიაც უწინ ცხოვრობდნენ. ყოველ დღე, ასობით ნავი იცლებოდა ხალხისაგან კაუს კუნძულზე. ჰუმანიტარული სამსახურის თანამშრომელები კონსერვებს არიგებდნენ, მაი არ იყო ასეთ საკვებს ჩვეული და ყოველი ჭამის შემდეგ ცუდად ხდებოდა.

ბანაკში ცხოვრება

მაი და ჰონგი ლტოლვილთა კარავში განაწესეს, ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ. ერთი თვის შემდეგ, ისევ სხვაგან გადაიყვანეს, ამჯერად, მეცხრე ბანაკში. ერთი წლის შემდეგ მესამე ბანაკში იქნენ გადაგზავნილნი.

ყოველ ახალ ბანაკში გადასვლის შემდეგ თვითონ უნდა ეპოვათ დასაძინებელი ადგილი. მრავალი ბანაკის მცხოვრები დაუნდობლობას იჩენდა, და-ძმას გამუდმებით თვალ-ყური უნდა ედევნებინა ერთმანეთისათვის შეტაკების წინააღმდეგ თავდასაცავად. მესამე ბანაკი განსაკუთრებით სასტიკი იყო, სიტყვიერი ბრძოლის ზონა. ვიეტნამის ერთი ზონის ლტოლვილები ერთიანდებოდნენ მეორე ზონის ლტოლვილების წინააღმდეგ. ყველაფერი-აგურები, ნათურები, ელექტრონული შნურები, საწოლის ნაწილები და ნებისმიერი სახის ბასრი რკინა–იარაღად გადაიქცა. ხანდახან ბრძოლები დღეების განმავლობაში გრძელდებოდა, სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ბანაკის კონტროლის ხელში ჩაგდების მიზნით. ჰონ კონგის პოლიციას ძალა არ შესწევდა ბანაკის გასაკონტროლებლად, ასე რომ ღობის შიგნით ცხოვრება კონტროლდებოდა დარვინიანების ანარქიის მიერ.

ბრძოლის დროს ქალები და ბავშვები იმალებოდნენ, ცდილობდნენ თვალთახედვას მიფარებოდნენ კაცების ჩხუბის განმავლობაში. ზოგიერთი კი დანარჩენების მსგავსად საწოლზე იწვა–იქვე ქვების გროვით და იმედოვნებდა რომ ჩხუბი მალე დამთავრდებოდა. მაი ნატრობდა რომ ბანაკის გარეთ გასულიყო და ნამდვილი თავისუფლება მიეღო.

“ღმერთმა ისე შეიყვარა ქვეყნიერება”

ერთი განსაკუთრებული ჩხუბის შემდეგ, მაი და ჰონგი კიდევ ახალ ბანაკში გადაიყვანეს, ლანგ გინ. ეს იყო დამსჯელი ბანაკი, განსაკუთრებით მოწყობილი “შფოთის ამტეხთა” იზოლაციის მიზნით და მაიმ არ იცოდა რა მიზეზით გადაიყვანეს ისინი იქ. ვერცხლის ლინინგი იყო “დასასჯელად”, რადგან ბანაკს ჰქონდა შენობა, რომელიც ეკლესიას ემსახურებოდა. არ იცოდა რა ეკლესიას. ერთხელ შენობასთან მოხვდა და ერთ-ერთ ოთახში შევიდა. დიდი, განიერი, თეთრი ბაირაღი ეკიდა კედელზე, რაზეც წითელი ჯვარი იყო გამოსახული. ჯვრის ქვემოთ რამოდენიმე ვიეტნამური სიტყვა. ოთახში შეიჭყიტა მის წასაკითხად: “ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება.”

დაინტრიგებული კარებში შევიდა. შიგნით მყოფი ხალხი ისეთ

ტონზე მღეროდა რაც არასოდეს მოუსმენია. შემდეგ კაცი ადგა და ვიეტნამურად დაიწყო ლაპარაკი, მაი გულმოდგინედ უსმენდა. მოეწონა მოსმენილი, როგორც მან აღწერა ღმერთი იყო ის, ვინც ზრუნავდა, სინამდვილეში უყვარდა ხალხი დაშინებისა და მათზე ბატონობის ნაცვლად. უნდოდა უფრო მეტი გაეგო ამ უცნაური სწავლებისა და ხალხის შესახებ, მაგრამ სურვილიც კი არ ჰქონდა იმ რელიგიის მიტოვების რომელიც მშობლებისაგან მიიღო. მან ღმერთი დაინახა, რომელსაც უყვარდა ქვეყნიერება და როგორც მორიგი რამ, რასაც შეიძლებოდა მსახურებოდა, მის წინაპრებსა და კერპებთან ერთად.

ლტოლვილთა ბანაკში ყოფნიდან ორი წლის შემდეგ მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა წაიყვანა მკითხავთან. იგი ქალის გასწვრივ დაჯდა, იმედოვნებდა ეტყოდნენ რამდენად სწრაფად წავიდოდნენ ის და მისი ძმა ბანაკიდან თავისუფალ ქვეყანაში. ქალმა თვალი გაუშტერა თვალებში, შემდეგ მისი ორივე ხელი აიღო.

“ეჰ, დიახ. ეხლა ვხედავ. შეყვარებული გყავს.” მაიმ გაკვირვებულმა შეხედა. “არა, არ მყავს შეყვარებული.”

შეწუხებულმა მკითხავმა შეხედა. “ეჰ, თქვა მან, სწრაფად თავის ქნევით, “ეს შეიძლება იყოს შეყვარებული ძველი ცხოვრებიდან, რომელიც ახალ ცხოვრებაშიც მოგყვება.”

“მე მომყვება?” იკითხა მაიმ, დაეჭვებული გადახედავდა მკითხავს და მეგობარს. იფიქრა, ქალი ამბობდა რომ დემონი მოდევდა. “რა უნდა?” როგორ შეიძლება რომ თავი დამანებოს?”

“უნდა წახვიდე სახლში და ემსახურო მას. ილოცო და შეეხვეწო რომ მარტო დაგტოვოს.”

პირველი არ იყო როდესაც ბრალს სდებდნენ დემონის ყოლაში. შვიდი წლის ძალიან ცუდად გახდა, მაღალი სიცხით, სხეული იბრძოდა, საჭმელ-სასმელი არ ერგებოდა. დედამისმა ბიძას დაუძახა-ჯადოსან ექიმს, რიტუალის შესასრულებლად, რათა ავადმყოფობის გამომწვევი სული განედევნა. ბიძამ როდი ჩაარტყა გოგონას, ამბობდა რომ ამით ეშმაკი გამოვიდოდა მისი სხეულიდან. მაი შველას ითხოვდა, მაგრამ ოჯახის წევრები აკავებდნენ ვიდრე ბიძა სცემდა. შემდეგ თმებით დაითრია და საწოლის რკინის ჩარჩოს მიანარცხა, სატანის გამოდევნის მიზნით, ხანდახან ეს ცემა მთელი ღამე გრძელდებოდა. მაი

ტკივილისაგან კიოდა, მისი აგონიური ყვირილი ბიძამისს მხოლოდ უფრო მეტად ცემის სტიმულს აძლევდა და იძახდა, "ეხლა გამოდის ეშმაკი მისგან." მას პატარა მეტალის ცხენიც ჰქონდა, რომელსაც კანზე უსვამდა ეშმაკის გარეთ გამოსასვლელად.

ძალისხმევამ ამაოდ ჩაიარა, გოგონა ავადმყოფობას აგრაძელებდა. ბოლოს მამამისმა საავადმყოფოში წაიყვანა. ექიმის დანიშნული წამლის მიღებიდან რამოდენიმე დღეში მაის სიცხემ გაუარა. პაციენტს უკვირდა მოგვიანებით, თუ რატომ იყო ექიმის წამალი უფრო ძლიერი ვიდრე ჯადოქრის მეთოდი. ეხლაც ფიქრობდა, ნეტავ თუ მკითხავი მართალს ეუბნებოდა. ნუთუ "შეყვარებულის" პატივისცემა დაარწმუნებდა დემონს მის დატოვებაში?

მაი დიდ ბუდისტურ ტაძარში შევიდა, ისე როგორც ამას მშობლებისაგან ხედავდა. მკითხავის ნათქვამში დიდად არ იყო დარწმუნებული, განსაკუთრებით ეს "შეყვარებული" რომელსაც შეეძლო ვიზის მიცემა შეეფერხებინა და თავისუფლებისაკენ წინსვლაში ხელი შეეშალა. საკმეველი აანთო და თავაზიანად სთხოვა სულს დაეტოვებინა იგი მშვიდობით.

რაც უფრო მეტს ლოცულობდა სამსხვერპლოსთან, უფრო ნაკლებ მშვიდობას გრძნობდა. შინაგანად იცოდა, რომ მის განცდას არაფერი საერთო არ ჰქონდა სულიერ სამყაროსთან. ჩაჭერილად გრძნობდა თავს ბანაკში, მოუთმენლად ელოდა წასვლას. მაი წასვლაზე გამუდმებულმა ფიქრმა შეჭამა, მისი ბუნებრივი მეგობრულობა უიმედობაში გაიცრიცა. არ ესმოდა, რატომ გაიდგა ფესვი მოწყენილობამ მის გულში. ერთი სული ჰქონდა მიეღო რაღაც განსხვავებული და ხანდახან ფიქრობდა კიდეც, ნეტავ თუ თავისუფლებაში წასვლა შეუვსებდა ამ სურვილს.

მომდევნი დღეს კვლავ ეკლესიასთან ახლოს აღმოაჩინა თავი. ღმერთის სიყვარულის ნიშნის დანახვა სურდა, უკვირდა, ვინ იყო ეს ღმერთი, რომელსაც "ისე უყვარდა ქვეყნიერება." ისიც ასე "უყვარდა"?

შიგნით შევიდა და წიგნების თაროებიდან ყველაზე დიდი წიგნი ჩამოიღო რაც კი დაინახა, იმედოვნებდა რომ იგი შეძლებდა რაიმე ეთქვა ღმერთის სიყვარულზე. გადაშალა და წაიკითხა, "დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა..."

ეს ისტორიის წიგნია, გაიფიქრა მან რამდენიმე ხაზის წაკითხვის შემდეგ. სძულდა ისტორიის გაკვეთილები სკოლაში, მთელი წლებითა და ხალხით, დასამახსოვრებელი ადგილებით. სწრაფად დახურა წიგნი და უკან დაარუნა. თაროს ხელის ფათურით ჩამოყვა და ყველაზე პატარა წიგნი აიღო, მარტივი, ტყავის ყდაში. გადაშალა და ერთი თვალის გადავლებით წაიკითხა დასაწყისი–სახელების გრძელი ნუსხა–შემდეგ უფრო დაკვირვებით დაიწყო კითხვა. ეს იყო ახალგაზრდა წყვილის ისტორია რომელნიც ბავშვს ელოდებოდნენ. ახალშობილი აშკარად განსაკუთრებული იყო, რადგან ვარსკვლავი ჰქონდა ამ შემთხვევის აღსანიშნავად და უდიდესი მოაზროვნეები მოვიდნენ მისი მოვლენის შესახვედრად.

ვინ არის ეს ბავშვი? უკვირდა მას. *ვინ არის იესო?*

მოსიყვარულე ღმერთის გაქცევა

იმ კვირას მაი დარბაზში მივიდა, სადაც მქადაგებელი ღმერთის სიყვარულზე საუბრობდა. "ეშმაკს", თქვა ხუცესმა, "არ ეშინია არავისი და არაფრის. გარდა ერთი პიროვნებისა. მას ეშინია ღმერთის. სადაც ღმერთია, იქ ეშმაკი ვერ იქნება."

მაის თვალები გაუფართოვდა. ნეტავ თუ რამე იცოდა მისი შეყვარებულის შესახებ წარსული ცხოვრებიდან, რომელიც სავარაუდოდ დასდევდა. როგორც კი მოისმინა ღვთის სიტყვა, მაშინვე უნდოდა მისი რწმენა. აღარ უნდოდა ის სულიერი სამყარო, რომელმაც ამდენი ტკივილი და შიში მიაყენა ბავშვობიდან. უბრალოდ მშვიდობა სურდა.

ხუცესმა სიტყვის ბოლოს მონანიებისაკენ მოუწოდა, მაი წინ წავიდა. დარწმუნებული არ იყო დეტალებში, მაგრამ იცოდა რომ უნდოდა ღმერთს მსახურებოდა, რათა ეშმაკი გაქცეულიყო მისგან, ღმერთს რომელსაც უყვარდა და გაათავისუფლებდა.

იმ მომენტიდან, როგორც კი შიშს იგრძნობდა–როცა საწოლში იწვა, ესმოდა რომ მის გარშემო იბრძოდნენ–ახალ აღთქმას წაიკითხავდა და ილოცებდა ღვთისადმი. ხუცესმა უთხრა, რომ ეშმაკს ეშინოდა ღვთის სიტყვის მოსმენის, ასე რომ ისიც ყოველ დღე ერთგულად აგრძელებდა მის კითხვას!

ბანაკის უმეტესი ხალხი ბუდისტურ ტაძარში დადიოდა, მაიც

მათთან ერთად წავიდა, მას შემდეგ რაც ის ეკლესიაში წინ გავიდა და მონანიებით ილოცა, ეშმაკს შეიძლება ეშინოდა როცა ის ბიბლიას კითხულობდა, იფიქრა მან, მაგრამ ჭკვიანური იქნებოდა მსხვერპლიც შეეწირა მათთვის, ყოველ შემთხვევაში. ჯერ კიდევ ჰქონდა კერპები კარავში და ყოველ დღე ლოცულობდა ქრისტიანული ღმერთისა და საკუთარი ღმერთის მიმართ. ერთი რელიგია თუ კარგი იყო, იფიქრა მან, ორივე უკეთესი იქნება. დანარჩენებიც იგივეს აკეთებდნენ ბანაკში, იმ ნაწილებს ირჩევდენ თითოეული რელიგიიდან რომელიც მოსწონდათ.

ერთ კვირას ხუცესმა იქადაგა სხვა ღმერთების არ ქონის საჭიროებაზე და სხვა რელიიგის გამოდევნებაზე. მან თქვა, რომ ქრისტიანები მხოლოდ ერთ რელიგიას უნდა მისდევდნენ და ჩაეჭიდონ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს. მსახურების შემდეგ მაი კარავში დაბრუნდა და კერპები გადაყარა. ზოგიერთმა ბუდისტმა მისი შეჩერება სცადა. თუ ღმერთს უნდოდა, რომ მხოლოდ მას გაჰყოლოდა, იგი გვერდზე გადადებდა წარსულის რელიგიის ყოველ გადმონაშთს.

"გამომიყენე მხოლოდ მე"

მომდევნო კვირას, კერპების გადაყრიდან მალევე, მსახურება იყო იესო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილის შესახებ, მისი ჩვენი ცოდვების გადახდის თაობაზედ. მაი კვლავ წინ გავიდა, უფრო ღრმად ესმოდა თავისი ცოდვები და ინანიებდა."მაპატიე ღმერთო," ილოცა მან. "გამომიყენე. იმ გზით როგორითაც შენ გნებავს, სადაც შენ გსურს. მხოლოდ გამომიყენე."

თუმცა, ბევრი არაფერი იცოდა ბიბლიასა და სწავლებაზე, მაგრამ ყველასთან დაიწყო ლაპარაკი ბანაკში. გააგრძელა ბიბლიის ინტერესით კითხვა და სული წმინდა ეხმარებოდა მას ცოდნის ზრდაში; რაც უფრო მეტს სწავლობდა უფრო მეტს ამოწმებდა ქრისტეზე.

ჰონგს აინტერესებდა რაში გაება მისი და და ისიც დაესწრო რამოდენიმე ბანაკის ეკლესიის მსახურებას. სინამდვილეში მანაც მიიღო ქრისტე, მისი პირობა არ იყო ისე ღრმა როგორც დის. მისი ფოკუსი თავისუფლებაზე იყო, ბანაკიდან წასვლაზე და იმ ქვეყანაში ცხოვრებაზე, სადაც საბოლოოდ თავისუფალი

იქნებოდა. გონებაში მრავალი გეგმა დასახა სამუშაოდ, ბიზნესმენად გახდომა და წარმატების მიღწევა. ფიქრობდა, შესაძლოა ქრისტიანად გახდომა დასავლეთის ვიზის სწრაფად მოპოვებაში დაეხმარებოდა.

მაი ეკლესიაში თავისზე ათი წლით უფროს კაცს მოეწონა და მასთან შეხვედრები დაიწყო. ისიც დასავლეთში წასვლის ნებართვას ელოდა, იმედოვნებდა რომ მალე ბიზნესს ააწყობდა და ფულს იშოვიდა.

ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად მაი გრძნობდა, რომ მისი პრიორიტეტები შეითვისა. სახარებისადმი შიმშილი მინავლდა და ლოცვა დაშრა. იმაზე უფრო მეტს ფიქრობდა, როგორ დახარჯავდა ფულს, როცა თავისუფალი იქნებოდა, საკმარისს ლოცულობდა მხოლოდ იმისათვის, რომ ეგრძნო იესო მიიღებდა და სამოთხეში შესვლის ნებას დართავდა.

გულის სიღრმიდან მომავალი ლოცვები, რომელიც ერთხანს ღმერთმა ჩადო მასში გაუჩინარდა. ეხლა უმეტესად იმისათვის ლოცულობდა, რომ ბანაკიდან წასულიყო და თავისუფლებისაკენ გზა გახსნოდა. შეყვარებული ჰყავდა, ვისთანაც ქორწინების საკითხებზე მსჯელობდა და ცოლად გაყოლასაც აპირებდა.

ერთ ღამეს, როდესაც საწოლში იწვა, მაის ხმა შემოესმა. მე არ დაგტოვებ, უთხრა მას ხმამ. როცა მოვალ ჩემთან წაგიყვან.

გამოეღვიძა და როგორც ჩანს სხვა რამ მოისმინა: ხმამაღალი, მკვეთრი, აგონიზებული ყვირილი.

გაიგონე ეს ყვირილი? სული წმინდა ესაუბრებოდა პირდაპირ მის გულს. "დიახ," უპასუხა მაიმ. "ეს რა იყო?"

ეს არის მიტოვებულთა ყვირილი, ეს არის ტკივილისა და წყენის ყვირილი.

"მოდი ბანაკს გარეთ გავიდეთ"

მომდევნო *დღეს მაიმ სულიერი სიზარმაცე გვერდზე გადადო.* ლოცვა ადრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდა, რაც იმაზე უკეთესი იყო ვიდრე წარმატება და ბილეთი დასავლეთში. მშობლების ოჯახისა და ვიეტნამის მიწაზე არსებული ქრისტესთვის ტანჯული ქრისტიანებისათვის ლოცვა დაიწყო.

ერთ დღეს, ბიბლიაში ებრაელთა 13:12-15 წაიკითხა:

"ამიტომ იესოც, რათა განეწმინდა ხალხი თავისი სისხლით, კარიბჭის გაერეთ იტანჯა. მაშ, გავიდეთ მასთან ბანაკის გაერთ და ვიტვირთოთ მისი შეურაცხყოფა. ვინაიდან არ გაგვაჩნია აქ მუდმივი ქალაქი, მომავალს ვეძებთ."

"მოდი, მივიდეთ მასთან, ბანაკს გარეთ." როგორც ჩანდა სიტყვები ფუცლებიდან ამოხტნენ და მაის სულში შევიდნენ. განცვიფრებული იყო ღვთის მოწოდებით, რაც მან მის გულში ჩადო: წადი უკან ვიეტნამში. გაუზიარე იქ დარჩენილებს ჩემი სიტყვა.

მაიმ იცოდა, რომ ვიეტნამში მსახურება უდიდეს საზღაურთან იქნებოდა დაკავშირებული, ეწამებოდა, თუ ღმერთს ამ მოწოდებაზე დასთანხმდებოდა. წასვლა უნდოდა. ღმერთს უთხრა, იმას გააკეთებდა რასაც ის სთხოვდა-თუ ვიეტნამში წასვლას, მზად იყო წასასვლელად.

ვიეტნამში არსებული სიბნელის შესახებაც იცოდა; საკუთარ ოჯახშიც კი უნახავს. ბავშვობაში, მის ოჯახს მუქი წითელი სამსხვერპლო ჰქონდა სამი ვაზით. ზედ საკმეველი იწვებოდა იმ სამი წინაპრისათვის, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ: ბაბუა, დიდი ბაბუა და დიდი ბაბუის ბაბუა. როდესაც მამამისი მოკვდებოდა, ოჯახი უძველესი წინაპრისათვის განკუთვნილ ჭურჭელს მის სახელზე შეცვლიდა.

ვიეტნამელებს და მათ მსგავსად ყველა ბუდისტს ეუბნებოდნენ, რომ სულები იყვნენ ყველგან. მაის ოჯახი ცდილობდა მათ დაწყნარებას. ისინი ქათამს ან ღორს კლავდნენ შესაწირად და შემდეგ სამსხვერპლოზე საჭმელს მიიტანდნენ. ბუტბუტით წინაპრებს მოიწვევდნენ სუფრასთან მონაწილეობის მისაღებად, იმედოვნებდნენ რა მათი გულის მოგებას. მაის ერთი სული ჰქონდა ოჯახის წევრებისათვის გაეზიარებინა ღვთის სიტყვა და სხვებთან რომლებიც სრულ სიბნელეში ცხოვრობდნენ ვიეტნამში.

მომდევნო ქრისტიანულ შეხვედრაზე თქვა, რომ განცხადება ჰქონდა გასაკეთებელი. სიცილით ადგა. "ღმერთისაგან მოვისმინე," თქვა მან.

“ის დამელაპარაკა”.

ოთახში ირგვლივ მიმოხედა იმ ხალხს, რომლებიც მისი მეგობრები გამხდარიყვნენ, თითქმის ისეთივე ახლობლები, როგორც მეორე ოჯახი.

“ღმერთმა მომიწოდა უკან, ვიეტნამში წასასვლელად. სურს რომ მისი სიყვარულის შესახებ გავუზიარო იქ მყოფ ხალხს, ვუთხრა მათ ჭეშმარიტების შესახებ.”

მრავალი მორწმუნის რეაქცია ნაჩქარევი იყო-მაგრამ არა ისეთი როგორსაც ელოდა.

“ეს ეშმაკის ხმაა!” დაიყვირა ერთმა კაცმა.

“ეს არ იქნება ღმერთისაგან,” თქვა მოხუცებულმა ქალმა, ბიბლიის მკვეთრი დახურვით. “ღმერთმა მოგიყვანა ჰონ კონგში, და ღმერთი წაგიძღვება უსაფრთხოდ თავისუფლებისაკენ. ის დაგეხმარება წარმატებაში, რათა შესძლო შენი ოჯახის დახმარება. ღმერთს არ ენდომება შენი უკან წასვლა.”

“თუ უკან წახვალ, დაიტანჯები,” თქვა მეორე კაცმა. “ვიცი, მინახავს. ტანჯვამ შესაძლოა ღმერთს სულ ჩამოგაშოროს. ის არასოდეს გთხოვდა შენ უკან წასვლას.”

შეყვარებულს შეხედა, იმედოვნებდა რომ მხარდაჭერის ნიშნად ღიმილს დაინახავდა მის სახეზე. მაგრამ არანაირი ღიმილი, არავითარი დახმარება. ზურგი შეაქცია და ოთახიდან გავიდა, სანამ ზოგიერთები მაის აზრს ეთანხმებოდნენ. ჰონგიც უკმაყოფილო იყო არსებული საკითხის განხილვით. როცა მაიმ თავისი გადაწყვეტილების შესახებ უთხრა, სახეში გაარტყა. “როგორ შეგიძლია მამაშენის ოცნებას შეაფურთხო?” ჰკითხა მან. “მთელი წლები აგროვებდა, რომ ამ მგდომარეობამდე მოეყვანე, რათა თავისუფლების კიდესთან მიეყვანე. ეხლა ყველაფერს წყალში ყრი? საკუთარი მშობლების გულზე აბიჯებ? მეტად აღარ ილაპარაკო უკან წასვლაზე! არც ერთი სიტყვა!”

მაი გაოცებული იყო. როგორ შეიძლებოდა საკუთარი ძმა ასე მოპყრობოდა, როგორ შეეძლოთ მომძე ქრისტიანებს მისი სურვილი, გაეზიარებინა სახარება სხვებისათვის, გაეკრიკიტებინათ. სიბრძნისათვის და მისეული გარემოცვისათვის ილოცა, რათა ძმა ყვარებოდა მიუხედავად მომხდარისა. დარწმუნებული იყო ღმერთის მოწოდებაში,

ლოცულობდა სხვებსაც მიცემოდა ამის გაგების ხედვა.

ჰონგის ფიზიკური აღელვება არ ყოფილა ერთადერთი მტკივნეული დაბრკოლება. ყველაზე მძიმე დაბრკოლება ემოციური აფეთქება იყო, რომელიც მისი შეყვარებულისაგან მოდიოდა.

"ღმერთმა გამოგიყვანა ვიეტნამიდან," უთხრა მაის. "რატომ ენდომებოდა შენი უკან წასვლა? არ წახვალ!"

მაიმ გადაწყვეტილება არ შეიცვალა და მათი ურთიერთობა შეწყდა.

"არ შემიძლია იმ ქალთან ვიქორწინო, რომელიც თავის ოცნებებზე უარს იტყვის."

"მე ვოცნებობ ჩემი ქვეყნის ხალხს ვუთხრა იესოს სიყვარულზე. მინდა ვუთხრა, რომ აღარ სჭირდებათ ცხოველების დაკვლა, რადგან შესაწირავი უკვე გაკეთებულია მათთვის!"

"მაშინ ჩვენ სხვადასხვა ოცნება გვაქვს," თქვა მან ცივი ხმით. "ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია."

მაის ცრემლები ჩამოდიდა სახეზე და ისე უყურებდა მიმავალ სატრფოს.

არასაკმარისი ნატრიუმისა და ცუდი პირობების გამო, მაის ჯანმრთელობა ირღვეოდა. მაგრამ, მისი სულიერი მდგომარეობა ამაზე უკეთესი არასოდეს ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებულმა მიატოვა და ეკლესიას ეჭვი ეპარებოდა მასში. იცოდა რა უნდა გაეკეთებინა. ღმერთი ეძახდა ვიეტნამში წასასვლელად.

ერთადერთი სახელი სიაში.

მაი ბანაკის ოფისში მივიდა შეხვედრაზე, სადაც ვიეტნამში დასაბრუნებლად განცხადების დაწერა შეეძლო. შეხვედრის წინა ღამეს საწოლში იწვა და თითქმის არ სძინებია, გადაწყვეტილებაზე ფიქრობდა. უკვირდა რატომ იყო ბანაკში ასე ცოტა ადამიანი, რომელიც მის მხარდაჭერას გამოხატავდა. კვლავ ილოცა და ღმერთს პირობა მისცა რომ ყველგან წავიდოდა სადაც მას სურდა, ყველაფერს გააკეთებდა რასაც ეტყოდა. სრულ მშვიდობას განიცდიდა და პირიქით აღფრთოვანებულიც კი იყო როცა ვიეტნამში იესოს გაზიარებაზე ფიქრობდა.

ბოლოს ჩაეძინა და სიზმარში ვიეტნამში დაბრუნებული საკუთარი თავი ნახა, მაგრამ მარტო არ იყო. ქალი მოგზაურობდა მასთან ერთად, მისი ჯგუფის წევრი. ეს იყო ღვთისაგან დარწმუნებულობა რომ მარტო არ შეუდგებოდა გზას. როდესაც მეორე დილით ბანაკის ოფისში მივიდა, დარწმუნებული იყო რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. კარი გააღო და მაგიდას შეხედა.

"ვიეტნამში მინდა დაბრუნება."

მაგიდასთან მჯდომ კაცს, სიმპათია და დაბნეულობა გამოეხატა სახეზე. "თქვენ გსურთ უკან წასვლა?"

"დიახ."

"რამდენი წელია რაც ჰონ კონგში ხართ?"

"თითქმის ხუთი წელი."

"უკვე აქ ყოფნის დასასრულს მიუახლოვდი. ალბათ რამოდენიმე თვეში ვიზასაც მოგცემენ. შეგეძლება ამერიკაში ან ავსტრალიაში წასვლა, ნუ დანებდები ეხლა."

"მე არ ვნებდები," უპასუხა მაიმ მტკიცედ. "აღარ მინდა დასავლეთში წასვლა. ჩემს სამშობლოში მინდა დაბრუნება."

"ძალიან ბევრი არ გვყავს ვისაც ეს სურს. სინამდვილეში, მათ ეხლა დაუწიეს ფასები ამ ფორმის შესავსებად, რადგან არავინ აკეთებს ამას. იცი ეს რას ნიშნავს?"

"ვიცი რასაც ნიშნავს," თქვა მაიმ დარწმუნებით. "ღმერთმა მომიწოდა უკან."

"ღმერთმა მოგიწოდა?" ჰკითხა მან გაკვირვებული სახით. "მესმის. მაშინ ვიზისათვის განაცხადი გაუქმდება. ისე იქნება თითქოს არასოდეს ყოფილხარ აქ... ისე თითქოს ხუთი წელი არ არსებულა."

"ვიცი, არ მივდივარ დასავლეთით."

"და იცი რომ ვიეტნამის მთავრობა დიდი სიხარულით არ ხვდება ხალხს უკან. განსაკუთრებით მათ, ვინც გაიპარნენ."

"ეს გაცნობიერებული მაქვს". კაცმა მკარცად შეხედა მცირე ხანს, გაშტერებული შესცქეროდა მაის გრძელ და ვიწრო სახეს. შემდეგ უჯრა გამოხსნა და ფორმა ამოიღო. "შენი ბანაკის პირადობის მოწმობა მჭირდება".

პირადობა გადასცა, საწერი აიღო და ფორმა შეავსო. კმაყოფილების, ასე გასინჯეთ, სიხარულის განცდამაც კი აავსო მისი გული, როცა შეყოვნების გარეშე მოაწერა ხელი ფურცელს,

უარი განაცხადა დასავლეთში წასვლის შესაძლებლობაზე.

კაცმა შტამპი ამოიღო. ქაღალდის მაღლა ეწერა-ვიეტნამში დაბრუნება. ფრთხილად დაწერა რიგის თავში მაის სახელი. სხვა სახელები არ ყოფილა სიაში.

როცა ჰონგმა გაიგო, რომ დამ ხელი მოაწერა დაბრუნების ფორმას, კიდევ ერთხელ სცემა.

ქრისტიანმა მეგობარმა, ქალბატონმა ხუიენმა უთხრა მაის რომ გიჟი იყო. ხუიენმა მეორე დილით მაი დაინახა, მისი საუბრის შინაარსი შეიცვალა. "შენ გიჟი არა ხარ," არწმუნებდა. "მაპატიე, რომ ეს გითხარი."

"რა მოხდა?" ჰკითხა მეგობარს. "გუშინ მითხარი რომ გიჟი ვიყავი, დღეს კი სრულიად ნორმალური გადაწყვეტილება გახდა?"

"ღმერთი დამელაპარაკა, წუხელ," თქვა ქალბატონმა ხუიენმა. "ისიც მითხრა, რომ მეც უნდა დავბრუნდე ვიეტნამში, რათა მისი უწყება გავუზიარო იქ მყოფ ხალხს."

მაის გული სიხარულით აძგერდა, რადგან იცოდა, რომ მგზავრობაში მარტო არ იქნებოდა. გაახსენდა სიზმარი, სადაც სხვა ქალი მიდიოდა მასთან ერთად. სიზმარში კაციც ახლდათ და ფიქრობდა, ნეტავ ვინ იყო, რომელთანაც ეხლა ღმერთი მუშაობდა.

ქალბატონი ხუიენი ბანაკის ოფისში წავიდა და იგივე ფორმა შეავსო, რაც მაიმ. მისი სახელი მეორე იყო სიაში.

რამოდენიმე დღის შემდეგ, მათი პატარა ეკლესიის სხვა წევრი, ბატონი ტრუონგი, მივიდა მაისთან და თქვა, ღმერთისაგან გრძნობდა რომ ისიც ვიეტნამში უნდა დაბრუნებულიყო. "მაგრამ ძალიან ძნელია იქ ცხოვრება," როგორ შემიძლია ელემენტარულად ვიარსებო და თან ღმერთს ვემსახურო?"

"ნუ სწუხხარ," უთხრა მაიმ. "ღმერთი იზრუნებს ყველა ჩვენთაგანზე."

როგორც კი მაი გასამგზავრებლად მზადებას შეუდგა, ხედავდა, თუ როგორ იღებოდა სხვა კარიც მის წინაშე. 1994 წ თითქმის ხუთი წელია რაც ჰონ კონგში იყო. როდესაც ეკლესიის წევრები შეიკრიბნენ სამი მორწმუნის გასაცილებლად, მრავალი მათგანი აცრემლებული კიდევ ერთხელ ცდილობდა მათ დარჩენაში დარწმუნებას.

ჰონგმა ბანაკის ნაცრისფერ ჭიშკრამდე მიაცილა.

“როგორ შეგიძლია ამის გაკეთება?” ჰკითხა კვლავ. “მე მივწერე მამას შენი სისულელის შესახებ. მას არ სურს შენი უკან ჩასვლა. შენი თავისუფალება უნდა. იცი რამდენი ტანჯვა გექნება ვიეტნამში? ისინი ქრისტიანებს არ იღებენ, დევნიან და სცემენ. ჯერ კიდევ არ არის გვიან, აზრის შეცვლისათვის.”

“გადაწყვეტილება მიღებული მაქვს,” უთხრა მან მტკიცედ.

“არ მჯერა რომ მე მოგიყვანე აქ,” თქვა მან გაბრაზებით. “ვინ, გპატრონობდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში? ვინ, წუხდა მიიღე თუ არა შენი წილი ბრინჯი, როცა სხვებს სურდათ მისი წართმევა? ნეტავ ტრანგი წამოსულიყო შენს ნაცვლად. ის არ შეურაცხოფდა მამას და მე, ისე როგორც შენ. ტრანგს აქვს პატივისცემა. როგორ შეგიძლია ამის გაკეთება?”

მაი დამწუხრებული უყურებდა თავის ძმას. “ამის გაკეთება იმიტომ შემიძლია რომ ღმერთმა მომიწოდა,” თქვა მან. “შენ გინდა რომ თავისუფალი იყო, თავისუფალ ქვეყანაში წასვლით. ნუთუ ვერ ხედავ რომ ეს უფრო მეტად მნიშვნელოვანი რამ არის, ვიდრე პოლიტიკური თავისუფლება ან ფულის კეთება? ვინ ეტყვის ჩვენს ოჯახს იესოს შესახებ? ვინ ეტყვის მათ როგორ შეიძლება გახდე თავისუფალი, როგორ მოხვდე სამოთხეში. ღმერთმა მთხოვა ამის გაკეთება და მეც გავაკეთებ. შეიძლება ვერასოდეს გავხდე ისეთი მდიდარი როგორც შენ, მაგრამ მე ვაკეთებ იმას, რაც ღმერთმა მთხოვა. ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს გაიგებ.”

ძმა დაღვრემილად უყურებდა, თეთრი მარშუტკისაკენ მიმავალ სამ ადამიანს, რომელიც მათ აეროპორტში წაიყვანდა. მას ხელი არ დაუქნევია. სხვა ქრისტიანებიც ლოყებზე ცრემლ მომდინარი იჭვრიტებოდნენ ჭიშკრიდან. მანქანა დაიძრა და მაიმ უკან მოიხედა, სასოწარკვეთილი ცდილობდა თითოეულის სახის დამახსოვრებას, ფიქრობდა, ნეტავ თუ კიდევ ოდესმე რომელიმე მათგანს ნახავდა.

საიდუმლო სამუშაო

მას შემდეგ, რაც თვითმფრინავი ვიეტნამში დაეშვა, მაის საკუთარი ძალით უნდა ეპოვა სახლამდე მისასვლელი გზა.

იმედოვნებდა რომ თბილად შეხვდებოდნენ; ამის ნაცვლად საწინააღმდეგოს წააწყდა. მამამისმა, რომელიც ასე მაგრად მუშაობდა მისი უკეთესი მომავლისათვის, სრულებით უარყო იგი. არ ელაპარაკებოდა და მის იქ არსებობას არ აღიარებდა. დედამისმა ნორმალურად მიიღო. ქალიშვილს ეკითხებოდა, რატომ გააბრაზა ოჯახის სულები წინაპართა მსახურებაზე უარის თქმით.

ოჯახის მკაცრი რეაქციის მიუხედავად, ცდილობდა პოზიტიური დამოკიდებულება შეენარჩუნებინა. ხშირად ლოცულობდა და ჩუმად საგალობლებსაც მღეროდა, თავის ოთახში. დამოწმებითა და თავისი საქციელით, მალე პირველი მოქცეულიც შეიძინა ვიეტნამში, რადგან მისმა დამ დაიწყო შეკითხვების დასმა და სინამდვილეში მიიღო კიდეც ქრისტე, როგორც საკუთარი მხსნელი. ეხლა, ორივე და ხშირად ლოცულობდა და კითხულობდა ერთად.

მშობლების მხრიდან სისასტიკე გრძელდებოდა, მაის დაბნეულობა იზრდებოდა. *ვფიქრობდი რომ ჩემი ვიეტნამში უკან დაბრუნება გინდოდა,* ლოცულობდა ის. საპასუხოდ ღვთის ინსტრუქციას იღებდა: *შეკრიბე ჩემი ცხვარი ერთად. წადი ვან დონგის პროვინციაში.*

არასოდეს ყოფილა ვან დონგში, სმენია რომ იქ არიან ხალხი, რომელთაც იპოვეს ქრისტე ჰონ კონგში და ვიეტნამში დაბრუნდნენ. გზას გაუდგა და გამუდმებით ლოცულობდა გზად მიმავალი. ეცადა რაც შეიძლება ცოტა ელაპარაკა მგზავრობის დროს. არანაირი დოკუმენტი არ ჰქონდა და ეშინოდა, პოლიციას რომ შეეტყო მისი ქრისტიანობის შესახებ დააპატიმრებდნენ.

ქრისტიანებს შეხვდა ვან დონგში. საიდუმლო შეხვედრები დაიწყეს ტყეში, რათა პოლიცას არ შეეტყო მათი შეკრების შესახებ. მაი გრძნობდა ღვთის მოწოდებას დაკარგული ცხვრის მოსაძებნად და უფრო მეტი საევანგელიზაციო მუშაობა გააჩაღა. ჯერ კიდევ თავის მშობლებთან ცხოვრობდა, მაგრამ რეგულარულად დადიოდა შეხვედრებისათვის. მალე პატარა ეკლესია დაარსდა ვან დონგში და ეკლესიის ზრდასთან ერთად მასზე ზეწოლაც გაიზარდა.

მამამ იცოდა ტყეში მისი შვილის სხვა ქრისტიანებთან შეხვედრის შესახებ და გადაწყვიტა რაც შეიძლება მეტი საქმე

დაევალებინა მისთვის. დაკავებული ჰყოლოდა, საეკლესიო საქმიანობისთვის ჩამოშორების მიზნით. ხედავდა როგორი სიჯიუტით იყო მისი ქალიშვილი ამ ახალ რელიგიაზე ჩამოკიდებული, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ნებას რთავდა დასწრებოდა რეგულარულ საეკლესიო მსახურებას, მაგრამ არა ლოცვით შეხვედრებს ან სხვა მორწმუნეებთან ურთიერთობას. მაიმ გააგრძელა აკრძალულ შეხვედრებზე სიარული და თავისი ქრისტიანული საქმიანობა, მამამისმა სახლიდან გამოაძევა. რამოდენიმე დღის შემდეგ კვლავ ნება დართო სახლში დაბრუნებისა, მაგრამ იგივე პროცესმა დაიწყო წრიული განვითარება.

პოლიცამ დაიწყო თვალთვალი. მისი ქრისტიანული საქმიანობის შესახებ სიტყვა გავრცელდა და მამაზე მიიტანა ზეწოლა, რათა საქმე წამოეწყოთ მისი ქალიშვილის წინააღმდეგ. "სად დადის ის?" ეკითხებოდნენ გამუდმებით. "ვის ხვდება? რას ამბობენ? რატომ რთავ ნებას შენს ქალიშვილს ამის გასაკეთებლად?"

"თუ შენი შვილის გაკონტროლება არ შეგიძლია," ეუბნებოდნენ ისინი, "მაშინ ჩვენ გავაკეთებთ ამას."

მისი და ქალიშვილის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მაის უბრძანებდა სახლიდან ფეხი არ მოეცვალა.

"ვერ წახვალ," ეუბნებოდა მამამისი. "იცი, რას გამიკეთებენ ისინი? იცი რას გიზამენ შენ?"

თავდაპირველად, ამბობდა რომ მეგობრებთან მიდიოდა, ან ხელგარჯილობის შესასწავლად. რაც უფრო თამამი გახდა დამოწმებაში, რწმენაშიც გათამამდა: "ღმერთის საქმის გასაკეთებლად მივდივარ," ეუბნებოდა ის უბრალოდ.

ყოლოდა მოწინააღმდეგე მამა, იმაზე მეტი იყო ვიდრე ამის ატანა შეეძლო. ლოცვები უფრო მგრძნობიარე გახდა. ღმერთო, ილოცა ერთ ღამეს. ყველაფერს გავაკეთებ შენთვის. მზადა ვარ შენთვის ციხეში წასასვლელად. მაგრამ, ღმერთო, ნუ დაუშვებ რომ მამაჩემი მდევნიდეს. ეს იმაზე ემტია ვიდრე შემიძლია ავიტანო.

დევნა არ შეჩერებულა. წლების შემდეგ, მაი მიხვდა, რომ ღმერთი ამ დროს მისი წვრთნის საფუძვლად იყენებდა. თუ საყვარელი მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც არ დაანებებდა თავს ღვთის იმ საქმეს, რომლისთვისაც იგი მოწოდებულ იქნა, მაშინ სხვა ვერაფერი შეაჩერებდა.

კვლავ თავისუფლების შეწყვეტა

რამოდენიმე ამერიკელ მისიონერს შეხვდა, ვიეტნამში. როდესაც მისი მტკიცე გადაწყვეტილება და სურვილი დაინახეს, გულთბილად შესთავაზეს ამერიკაში ბიბლიის სკოლაში წასვლა. ეს იყო შესანიშნავი შესაძლებლობა. ხუთი წელი ელოდა ჰონ კონგის ლტოლვილთა ბანაკში დასავლეთში წასვლის შესაძლებლობას. ეხლა, ვიეტნამში, ამერიკაში წასასვლელად ეპატიჟებოდნენ–მთელ ხარჯებს გადაიხდიდნენ!

როდესაც მშობლებს შემოთავაზების შესახებ უთხრა, მამამისი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა სიახლეს. "ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა," თქვა მან. "შენს 'ამერიკელ მშობლებს' სურთ ამერიკაში წაგიყვანონ, სადაც თავისუფლებას და განათლებას მიიღებ. ეს დიდებული სიახლეა! უნდა წახვიდე."

მაის ხედვა არ შეცვლილა. კვლავ წაიკითხა ებრაელთა 13:12-15, მუხლები, რომელიც ღმერთმა გამოიყენა მის ვიეტნამში მოსაწოდებლად. მისი ვნება "ჭიშკარს გარეთ მყოფთათვის" მის სამშობლოში, არ შესუსტებულა.

"მინდა რომ ვიეტნამში ვიმუშაო," უთხრა მშობლებს. "ღმერთმა მომიწოდა ჩემს ხალხთან."

"განა, ეს შენმიერი ღმერთის დახმარება არ იქნება?" ჰკითხა მამამისმა. "გიჟი იქნები თუ არ წახვალ!"

მაინც არჩია რომ დარჩენილიყო. ამერიკაში წასვლის ნაცვლად, ინტენსიურ კურსს დაესწრო საიგონში. მნიშვნელობა არ ჰქონდა სად მიიღებდა წვრთნას სახარების შესასწავლად; მისი ერთადერთი მიზანი იყო მსახურებოდა ღმერთს და დაენახა, რომ მისი თანამემამულეები შეძენილ იქნენ ღვთისათვის. მისიონერებმა შესთავაზეს საიგონის ხარჯებში დახმარება, მაგრამ მადლიერად უარი განაცხადა. იცოდა რომ ღმერთი დაფარავდა მის ხარჯებს, თუ ეს კურსი მისი ნება იყო.

ექვსი თვის განმავლობაში სამხრეთ ვიეტნამის სახლში ცხოვრობდა, რათა ქვეყნის გარეუბნებში ემოგზაურა მსახურებისათვის. მისი ჩრდილოური აქცენტი შესამჩნევი გახდებოდა, ქუჩაში რომ გასულიყო ვერ რისკავდა. რომ შეკითხოდნენ სამხრეთში ყოფნის ნებართვის დოკუმენტების ჩვენებას, ასეთი რამ არ გააჩნდა. ასე რომ, ექვსი თვის

განმავლობაში ცდილობდა თვალს მიფარვოდა, ხანდახან ფანჯრიდან გაჩერებოდა და ერთი სული ჰქონდა გარეთ გასვლისა და ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში ჩაბმის, მაგრამ შინ რჩებოდა.

დღეები გრძლად ეჩვენებოდა, კურსი კი დატვირთული, ყველაფერი საიდუმლოდ უნდა გაკეთებულიყო. მრავალი საათის განმავლობაში ლოცულობდნენ და გალობდნენ, წერილს სწავლობდნენ, ხუცესობისათვის ამზადებდნენ.

ტომებისათვის წუხილი

კურსზე ისწავლებოდა ვიეტნამის ტომების ხალხების შესახებ ინფორმაცია. მაის ბავშვობაში ჩაგონებული ჰქონდა, რომ ვიეტნამის ეთნიკური უმცირესობა ბოროტი და უცნაური ხალხი იყო, რომლებიც ტომობრივ რიტუალებს და ჰოკუს-ფოკუს ცრუ რწმენას მისდევდნენ. იმ ქრისტიანებთან შეხვედრის შედეგად, რომლებსაც იცნობდა და ამ ტომებში მუშაობდნენ, ღმერთმა გულში ჩაუდო ვნება მათი ქრისტესთან მისაყვანად.

ვიეტნამს ორმოცდაათზე მეტი ეთნიკური ჯგუფი ჰყავს, რომლებიც სასტიკად იდევნებიან.

კულტურული ჰემოგენიზაციის მიზნით, მთავრობა კრძალავს მცირე ენებზე რაიმე ნაბეჭდი ლიტერატურის გამოცემას: მხოლოდ ვიეტნამურ ენაზე უნდა იქნეს ბეჭდვა წარმოებული. ეს ხალხები დამცირებული და მასხარად აგდებულია, ქრისტიანობის მიღებამდეც კი.

ამ ხალხთან საურთიერთობოდ, კურსიდან თექვსმეტი იქნებოდა ამორჩეული, რომლებიც რვა მოტოციკლეტზე შესხდებოდნენ–ცენტრალური ნაწილის გარეუბნებში სამუშაოდ. მგზავრობა საშინელი იყო. მშრალ ამინდში, ფტვერი ისეთი სქელი, შეუძლებელი იყო ხუთი ფუტის მოშორებით რაიმეს დანახვა. წვიმიან ამინდში, გზა როგორც სველ მინაზე გადაფარებული ნაჭერი. პოლიციასთან თავის არიდების მიზნით, ჯგუფი უმეტესად ღამით მგზავრობდა, როდესაც უბედური შემთხვევები გარდაუვალი ხდებოდა. ერთხელ მოტოციკლეტმა ძაღლს დაარტყა, მაი და მისი მგზავრი სახელურს ზემოთ გადაფრინდნენ. მაი სახით დაეცა და როგორც კი მიხვდა რა

მოხდა, უკვე სისხლი მოდიოდა სახიდან, მხრებიდან, მუხლებიდან და თავიდან, გამხდარი ყვითელი ძაღლი მკვდარი იყო.

ჭრილობები ღირსების ნიშნად იქცა ახალგაზრდა ლიდერებს შორის და ჯგუფი ხუმრობდა მათი "ტვიფრების" შესახებ. ჭრილობაზე მარილს დააყრიდნენ ინფექციის საწინააღმდეგოდ და გზას გააგრძელებდნენ.

"კარგად იქნები," უთხრა ერთმა ქალმა მაის, როცა ჭრილობებს უწმენდდა შემთხვევის შემდეგ. "გახსოვს რა თქვა ხუცესმა? თუ ჭრილობა არა გაქვს, მზად არა ხარ ვიეტნამში საქმის გასაკეთებლად. ეხლა კი მართლა მზად ხარ!"

ქრისტეში ახალი ქმნილება

ექვსი თვის სწავლების შემდეგ ჩრდილოეთში დაბრუნდა. ეკლესიის დაარსებისა და ხემძღვანელების გაზრდისათვის მუშაობდა, მშობლები აგრძელებდნენ ზეწოლას, მუშაობის შეწყვეტის მიზნით.

ბოლოს, გაღიზიანებულმა მამამ მთელს ოჯახთან და სანათესაოსთან შეხვედრა მოაწყო.

"რა ვუყოთ მაის?" იკითხა მან, მისი თხოვნის გამომხატველი თვალები ოთახში აქეთ-იქით იხედებოდა. "ამ, უცხოურ ცრუ რწმენას აგრძელებს. ვეცადეთ დავლაპარაკებოდით, რათა დაგვერწმუნებინა და ოჯახის რწმენას დაბრუნებოდა. მაგრამ არ აკეთებს. გავაგრძელოთ მის პრობლემებთან ბრძოლა თუ სახლიდან გავაგდოთ?"

მაის გული გაუტყდა მამამისის მოსმენიას, ნათესავებს შეხედა, ხალხი რომელსაც იცნობდა და მთელი ცხოვრება უყვარდა. მათი საუბრისას ის ლოცულობდა მათთვის და იმისათვის, რომ ღმერთს მათ შეკითხვეზე პასუხის გაცემის სიბრძნე მიეცა.

მრავალი კითხვა იქნა დასმული.

თითოეულ მათგანს დიდი მოთმინებითა და სიყვარულით პასუხობდა. ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, ყველამ იცოდა რომ გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა. მაი წინ წარსდგა და კიდევ ერთხელ გააკეთა თხოვნა, პირდაპირ მამამისს მისჩერებოდა თვალებში. კიდევ ერთხელ ილოცა სწრაფად

სწორი სიტყვებისათვის, “მამიკო”, დაიწყო მან, “მე იესოს ვერ ვუარყოფ. მაგრამ არც შენ უარგყოფ. შეიძლება შენ ღმერთი უარყო მაგრამ, ესეც რომ გააკეთო ის მაინც ღმერთი იქნება. შეიძლება მე უარმყო, მაგრამ მაინც შენი შვილი ვიქნები. გარეთაც რომ გამაგდო და არ მაღიარო, მე მაინც გაღიარებ. შენ ყოველთვის მამაჩემი იქნები. და ყოველთვის მეყვარები”.

კენჭი უყარეს და მაი კვლავ იქნა ოჯახის წევრად მიჩნეული და კიდევ ემსახურებოდა ღმერთს. იმ დღეს, მოგვიანებით მამამისმა გვერძე გაიხმო. “თუ, ადგილი გჭირდება რომ დაიძინო,” უთხრა მან შვილს, ცდილობდა ემოცია დაეფარა, “ყოველთვის კეთილი იყოს შენი აქ მობრძანება.”

მაიმ მადლობა გადაუხადა ღმერთს მისი მიღებისათვის და აგრძელებდა გულმოდგინე ლოცვას, რათა ოჯახის წევრებსაც მიეღოთ იესო.

მისიონერული ჯგუფი, რომელთანაც მაი მუშაობდა, კვლავ სთავაზობს ტრეინინგს. იგი რამდენჯერმე წავიდა საიგონში, უფრო მეტს სწავლობდა ბიბლიის საიდუმლო სკოლაში. ყოველი კურსი მოიცავდა გრძელ მგზავრობას, მოტოციკლით თუ ფეხით. მთავრობის ნებართვა არ ჰქონდა მგზავრობისათვის, არც არანაირი სიტყვიერი ახსნა-განმარტება საიგონში სტუმრობისათვის. მატარებლით მგზავრობა აძლევდა დიდი ხნით ლოცვისა და ფიქრის საშუალებას და მისი ფიქრები ხშირად მიდიოდა მამასთან. არაფრის გაკეთება არ შეეძლო, გარდა მისი დახსნისათვის ლოცვისა, რასაც დიდი სიამოვნებით აკეთებდა.

ერთი მოგზაურობის დროს, მაის სახლში სასწრაფოდ დაბრუნების სიტყვა მოუვიდა. “მამაშენი ძალიან ცუდად არის,” უთხრეს მას. იგი საავადმყოფოში იყო.

დიაგნოზი ისეთი აღმოჩნდა, რომელიც ყველა ენაზე შიშსა და გულისტკივილს ატარებს: კიბო. მაი დაუყოვნებლივ მამის საწოლისაკენ გაემართა და მთელ დროს მის მოვლა-პატრონობას უთმობდა.

ზოგიერთი თანამშრომელი ესტუმრა მაის მამას და არ შეეძლო არ აღენიშნა მათ მიერ გამოჩენილი მზრუნველობის შესახებ. მიხვდა, რომ თანდათან უფრო ნაკლებს დარდობდა მისი ქალიშვილის უცნაური რელიგიის შესახებ და უფრო მეტად თავის სულზე სწუხდა. როდესაც ხუცესი, რომელიც მაის

ასწავლიდა კურსებზე, ავადმყოფის სანახავად მოვიდა, დიალოგი გამართა მასთან, სხვა მორწმუნეები კი გარეთ შეკრებილიყვნენ და დიალოგის სწორად წარმართვისათვის ლოცულობდნენ. როდესაც ხუცესმა ოთახი დატოვა, მაის მამა ახალი ქმნილება იყო ქრისტეში. მაშინვე ქალიშვილს დაუძახა, ჭეშმარიტ ქრისტიანს, რომელსაც კი პირველად იცნობდა.

ორივენი ცრემლმორეულნი გადაეხვივნენ ერთმანეთს, მამამ თავისი გადაწყვეტილება გაანდო, გაჰყოლოდა ქრისტეს მანამდე, ვიდრე ამ დედამიწაზე იცოცხლებდა. "ეხლა კი ვხედავ რომ სახელმწიფო ებრძვის ეკლესიას," თქვა მან.

"მანამდე, მე ამას ვერ ვხედავდი. იმის ნებაც კი მივეცი რომ საკუთარი ქალიშვილი შეევიწროვებინათ. "მის ხმას არ შეეძლო იმ წუხილის გამოხატვა, რასაც ის განიცდიდა. მაი მამას გადაეხვია და უთხრა, რომ მისი დევნა ღვთის ნების გეგმაში შედიოდა, გზა, რომლითაც აძლიერბდა და სცდიდა მის რწმენას.

უდიდესი რისკის გაწევა
დაფანტული ცხვრის მოსაძებნად...

მამის გარდაცვალებას გლოვობდა მაი, მაგრამ იმას ზეიმობდა რომ ერთ დღეს ზეცაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. და ქრისტიანულ სამუშაოს განახლებული ემოციით დაუბრუნდა. **1996** წელს, მისიონერულმა ჯგუფმა, რომელთანაც ის თანამშრომლობდა, მოაწყო სამ დღიანი სწავლების კურსი, ქრისტიანი ლიდერებისათვის. როცა მაი შეხვედრის მომზადებისთვის ლოცულობდა, უფალი დაელაპარაკა მას სიზმარში, ზუსტად ისე როგორც ვიეტნამში უკან დაბრუნებაზე დაელაპარაკა.

სიზმარში მაი ტყის სიღრმეში იდგა. "სად ვარ?" იკითხა მან.

"ეს არის თემის ტერიტორია. მეტი საქმე მაქვს შენთვის აქ." "როდის წავალ?" იკითხა მან. "და შეიძლება ვინმე წამოვიდეს ჩემთან ერთად, ამ საქმის გასაკეთებლად?"

ღმერთმა მის კითხვას დაპირებით უპასუხა: "კაცს გამოვგზავნი, მებრძოლს, შენთან ერთად წამოვა."

მრავალი ადამიანის სახემ გაიელვა მის გონებაში, საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი, ფერად ტანსაცმელში. თითოეული

მათგანი განსხვავებულ ტომს წარმოადგენდა, რომელსაც მაი ემსახურებოდა.

სიზმრისა და განსაკუთრებული წვრთნის შემდეგ, მაიმ დაიწყო რეგულარული მუშაობა, სხვადასხვა ტომებთან. მოტოციკლით გადაკვეთა ვიეტნამი, არალეგალურად ქადაგებდა და გადასცემდა ხსნის სიტყვას. პოლიციამ მრავალ ადგილას გახსნა შესამოწმებელი პუნქტები. უბრალო მაბმუკის ბოძი აღნიშნავდა საზღვარს, სადაც პოლიცა მგზავრებს აჩერებდა და დოკუმენტებს სთხოვდა. თუ ყველაფერი რიგში არ იქნებოდა პიროვნებას დააპატიმრებდნენ, ან აიძულებდნენ ქრთამის გადახდას.

მგზავრობის ნებართვის არ ქონის გამო, მაი საზღვარს თავს არიდებდა, გზიდან გადაუხვევდა და ხშირ ტყეში იკვალავდა გზას. მან იცოდა რომ მთავრობას შეეტყო მისი ქრისტიანული საქმიანობის შესახებ და იძებნებოდა. რისკი უდიდესი იყო: შემოწმების პუნქტს თავის არიდების გამო ესვრიდნენ. ხანდახან მაის იჭერდნენ, მხოლოდ ერთი ღამით. ხანდახან სულ ჩამოართმევდნენ ბიბლიებს რომლებიც გადაჰქონდა. ხანდახან ღმერთი სასწაულად მალავდა ბიბლიებს პოლიციის თვალთახედვიდან. მაის ჩუმად უხაროდა, როგორც კი ჩანთას უკან გადასცემდნენ მოტოციკლეტზე დასადებად.

ახალგაზრდა მისიონერმა დაინახა სწრაფად გაზრდილი ეკლესიები ამ ტომებში და კურთხეული იყო მათი დევნის წინააღმდეგ გამოხატული სიმამაცით. ტომები არიან როგორც გაფანტული ცხვარი. არავის შეუძლია მათი დაცვა გარდა ღმერთისა.

მაი უსმენდა ამ ხალხის დევნის შესახებ ამბებს და ცდილობდა მათ გამხნევებას. ერთი მოხუცი კაცი ჰაერში დაკიდეს და მანამდე ურტყეს ვიდრე თოკი არ გაწყდა. მიწაზე სისხლში მოთხვრილი დაეცა. პოლიციამ აიძულა ჰმონგის ქრისტიანები სხვა მხარეში გადასულიყვნენ, ცდილობედნენ რა იზოლაციაში ჰყოლოდათ საკუთარი ხალხისაგან. ქრისტიანებისაგან პოლიციის თავის არიდება ხანდახან მათ მიერ ყველაფრის დატოვებას და უღრან ტყეში წასვლას ნიშნავდა.

მაი და სხვა ქრისტიანები დაპატიჟებულნი იყვნენ სხვა სოფელში, ტომის ერთ წევრთან, სახლში, რომელიც საშინელი ინფექციისაგან იტანჯებოდა. როცა მაი ქოხში შევიდა, იგი გულის რევისაგან თავის შეკავებას ცდილობდა, სუნი ისეთი

ცული იყო. ოჯახმა ჰკითხა, ექიმი ხომ არ იყო ან რაიმე წამალი ხომ არ მოუტანია. "ჩვენ ექიმები არა ვართ," უთხრა მათ მაიმ, "და არა გვაქვს არანაირი წამალი. მაგრამ ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო ექიმს ვიცნობთ, ის ვისაც ძალუძს შენი განკურნება."

მათ ავადმყოფისათვის ილოცეს. ერთი თვის შემდეგ როცა იგი იმ სოფელში დაბრუნდა, კაცი თითქმის განკურნებული დახვდა. მომდევნო თვეს კი სრულიად ჯანმრთელი იყო. კაცს ერთი სული ჰქონდა როდის დაელაპარაკებოდა მაის. "მინდა რომ ჩემთან მოხვიდე," თქვა მან. "ჩემს ხალხთან წაგიყვან. მაგრამ აქედან ძალიან შორია, ჯუნგლებში. ადვილად და სწრაფად ვერ მოხდება ეს საქმე. ოცდაათი დღით უნდა წამოხვიდე."

მაიმ ილოცა კაცის შემოთავაზებაზე და ღმერთისაგან მიიღო დამოწმება. დასთანხმდა მასთან ერთად წასულიყო მის მშობლიურ სოფელში, ჩრდილო ვიეტნამიდან მოშორებულ რეგიონში. იმ სოფლის მცხოვრებლებიც ძალიან ღარიბები იყვნენ და თითოეულ მათგანს მხოლოდ ერთი ხელი ჩასაცმელი ჰქონდა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ეცვათ. ზოგიერთი ქრისტიანები გაოცებულნი იყვნენ ცხოვრების სტილის სიმარტივითა და სოფლის სიმყრალით. დანარჩენებს ტომის ტრადიციისათვის ზურგი შეექციათ, რამაც დიდი ხელის შეშლა გამოიწვია გარეშეთათვის. მიუხედავად ამისა, კაცი რომელიც ამ სოფელში გაიზარდა, მისი წარდგენით მაი გულთბილად იქნა სოფელში მიღებული. მალე ეკლესია დაარსდა და ზრდა დაიწყო. კაცი გამუდმებით ემადლიერებოდა მაის მის სოფელში ქრისტეს მოტანისათვის.

"როდესაც ისინი ჩვენში ხედავენ ქრისტეს," ახსნა მოგვიანებით, "ადვილად იღებენ ქრისტეს."

მაი განსაკუთრებულ სიყვარულს გრძნობდა ჰმონგის ტომის მიმართ და გეგმავდა დამატებით ერთ თვიან სტუმრობებს მსახურებისათვის. მგზავრობა საეჭვო იყო, მთელი ღამე ხალხით სავსე მატარებლით, მომდევნო სრული დღე ავტობუსით, დანარჩენი კი ფეხით უნდა გაევლო. მთაში კვალი ციცაბოა და წვიმის დროს ძალიან მოღალატური. ერთი მცდარი ნაბიჯი და მაის შესაძლოა საკუთარი თავი საკმაოდ დაბლა, მდინარეში ეპოვა. ხანდახან, იძულებული იყო ხელებით და მუხლისთავებით ეცოცა, ფრჩხილებითა და ფეხის თითებით ჩაბღაუჭებული.

პოლიციამ უარი თქვა ამ შორეულ ადგილებში ქრისტიანული შეხვედრების დევნაზე; გზა ძალიან შეუბრალებელი იყო. ერთ სოფელში კი მივიდნენ და სასტიკად სცემეს ორმოცდაათი ქრისტიანი ოჯახი და აიძულეს ქვეყნის სხვა მხარეში გადასახლებულიყვნენ.

მაიმ ჰმონგთან სახარების გაზიარების შემდეგ, კიდევ ერთხელ დაინახა ღვთის სიტყვის გარდამქმნელი ძალა. მრავალი სვამდა ალკოჰოლს, მრავალი ისეთ ცრურწმენასაც კი მისდევდა, რომ ცხოველის სისხლს სვამდა. ქრისტეს მიღების შემდეგ ძველ საქმეებს თავი მიანებეს და მზად იყვნენ ქრისტეს გულისათვის დევნაც კი აეტანათ. მათ სჯეროდათ რომ ქრისტე დაბრუნდებოდა მალე, და უნდოდათ რომ მზად ყოფილიყვნენ.

მაიმ იგრძნო მათი სურვილი და ჰმონგის ქრისტიანების ლიდერებად წვრთანას შეუდგა. მრავალი ადამიანი ორი დღის განმავლობაში ფეხით მიდიოდა კურსების ადგილამდე. ზოგიერთ სოფლებში ბიბლიები არ იყო; სხვა სოფლებში კი ქრისტიანები თავს მადლიერად გრძნობდნენ როცა ორმოცი-ორმოცდა-ხუთი ოჯახი ბიბლიას ერთმანეთს უზიარებდა. ზოგიერთმა ოჯახმა ყველაფერი გაყიდა და ჰანოიში წავიდა ბიბლიის მოსაძებნად. მაგრამ, იქაც კი ვერ შოულობდნენ ბიბლიას ჰმონგის ენაზე. ყოველი ვიზიტისას მაის ჰმონგური ბიბლიები მოჰქონდა, თავის მისიონერ მეგობრებთან კონტაქტის შედეგად. ყოველთვის, როცა კი სიხარულის ცრემლს ხედავდა ჰმონგის ქრისტიანების თვალებზე, რადგან პირველად ეჭირათ ხელში ღვთის სიტყვა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გრძელი მგზავრობები მაის ძალას აცლიდა. ჯერ კიდევ იტანჯებოდა ემოციური ავადმყოფობისაგან, ზუსტად ისე, როგორც ჰონ კონგში მიმავალ ნავზე. ხანდახან, როცა გულის რევისაგან იტანჯებიდა, ფიქრობდა, რატომ არ განკურნავდა ღმერთი ამ დაავადებისაგან თუკი მისი ამ მსახურებაში ყოფნა სურდა. ცდილობდა ახლოს დამჯდარიყო მატარებლის ტვალეტთან, რადგან იცოდა რომ ცუდად გახდებოდა.

უთვალავი საათი გაუტარებია მოტოციკლეტზე ბიბლიების წონასწორად დაწყობაში, რათა არ ჩამოცვენილიყო ტალახიან გზაზე. მრავალ მილს გადიოდა ფეხით ბიბლიებით ზურგზე

აკიდებული. ტანსაცმილის შიგნით აქსოვდა ქრისტიანებთან საკონტაქტო მისამართებს, პოლიციას რომ დაეჭირა ვერ მიეგნო.

განსხვავებული თავისუფლება

უმეტეს შემხვევაში მისი მგზავრობა პრობლემის გარეშე მთავრდებოდა, მაგრამ მაი უცხო არ იყო პოლიციისათვის. ათჯერ მაინც იყო დაჭერილი, როგორც წესი, რამოდენიმე საათიდან თხუთმეტიოდე დღემდე იყო წინასწარი დაკავების საკანში გაჩერებული და მალევე გათავისუფლებული. ყოველ დაჭერაზე ბიბლიებს ართმევდნენ, უფრო მეტი ქრისტიანი რჩებოდა ბიბლიის გარეშე. ხშირად ახსენდებოდა მისი ძმის სიტყვები ჰონ კონგის ბანაკიდან წამოსვლისას. თვითონ მან არ იცოდა როგორ გამართლდებოდა მისი სიტყვები, რამხელა ტანჯვას გადაიტანდა უკან დაბრუნებული და.

“თქვენ არალეგალურად ქადაგებთ!” უთხრა მას პოლიციამ. “ვიეტნამის კონსტიტუცია რელიგიის თავისუფლებას ჰპირდება, მხოლოდ მთავრობის მიერ ნებადართულ ადგილას და ნებადართულ დროს.” ერთხელ პოლიცამ აღიარების წერილი მისცა ხელმოსაწერად, სადაც ნათქვამი იყო რომ იგი არალეგალურად ქადაგებდა.

“ეს ცნობა ვადაგასულია,” მაიმ დააწერა ფურცელს უსიტყვოსდ.

პოლიციის კომანდირი წინ გადმოდგა, ფიქრობდა, რომ ქრისტიანი მოტეხა და ხელი მოაწერინა. როდესაც ნაწერი წაიკითხა, ფურცელი ნაკუწებად აქცია. “ფიქრობ რომ ჩვენ სულელები ვართ?” უყვიროდა მაის.

მომდევნო დაკავების შემდეგ, პოლიცა ცდილობდა იძულებით მოეწერებინა ხელი, არალეგალურად ბიბლიების ბეჭდვისა და აკრძალულ შრიფტზე ლიტერატურის ბეჭდვის გამო.

“ღმერთი მაძლევს ამ უფლებას,” უთხრა მათ მაიმ. “თქვენ თქვით რომ რელიგიის თავისუფლება გვაქვს, ასე რომ შემიძლია ვირწმუნო რაც მჯერა, რა რელიგიაც იქნება. როცა ბიბლიით დავდივარ, ეს არის ჩემი რწმენა. როცა ამ ხალხს ველაპარაკები

ქრისტიან მასწავლებლებს კურსებზე, ისინი უკვე მორწმუნეები არიან, ასე რომ ეს ქადაგება არ არის. უბრალოდ ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს რწმენას."

"თავისუფლება არის," უთხრა პოლიციამ, "მაგრამ ვიეტნამში თავისუფლებას ჩარჩოებში ვაქცევთ. ჩვენ ვწყვეტთ, ვინ არის თავისუფალი და ვინ არა."

პოლიცა მაის სთხოვს დაწეროს თავისი საქმიანობის ახსნა-განმარტება და აღნიშნოს, რომ ამას მეორედ აღარ გაიმეორებს და ხელი მოაწეროს. მაი დასთანხმდა და დამოწმების წერა დაიწყო. დაწერა როგორ გაიზარდა წინაპართა თაყვანისცემაში. როგორ შეხვდა ღმერთს ჰონ კონგის ლტოლვილთა ბანაკში და დაბრუნდა ვიეტნამში, როგორ შეიცვალა ცხოვრება. მთლიანად დაწერა დამოწმება.

მაგრამ როცა დადგა დრო დაპირების დაწერისა, რომ ამას აღარასოდეს გააკეთებდა, მან სხვა სიტყვა დაწერა: "ბიბლია არის წიგნი, რომლის დაბეჭდვაც მთავრობისაგან ნება დართულია (ლიმიტით) და გავრცელებული. ბიბლია ამბობს, რომ ღმერთს უნდა ვემსახუროთ, სახლში უნდა ვიკითხოთ, სახარება უნდა გავუზიაროთ სხვებს. იმას გავაკეთებ რასაც ბიბლია ამბობს,"

პოლიცამ წაიკითხა მისი "აღსარება" შემდეგ კი სასწაულებრივად გაათავისუფლეს...

ყოველთვის, როცა კი მაი საქმეზე მიდიოდა, რამოდენიმე საათს მგზავრობისათვის ლოცვაში ატარებდა. ერთ დილას, როდესაც მომდევნო მგზავრობისათვის ლოცულობდა, გრძნობდა რომ რაღაც პრობლემა იქნებოდა. თანამშრომელებს გაუზიარა წინასწარგრძნობის შესახებ, მაგრამ არწმუნებდა რომ ღმერთის ნება იყო ციხეში იქნებოდა თუ გარეთ. თანამშრომელი, რომელიც მასთან ერთად უნდა წასულიყო ატირდა, როცა მაიმ თავისი გრძნობა გაუზიარა. "ღმერთმა იცის ამის შესახებ," ამხნევებდა მაი მას. "მან დაუშვა ეს, რათა ჩემთან ერთად წამოსულიყავი და ერთმანეთი გაგვემხნევებინა. ნუ სწუხარ. მე ვარ ვინც შეხვედრის ორგანიზება გასწია. შენ ვალდებული არა ხარ პასუხი გასცე. მე ავიღებ ბრალდებას."

ორი ქალი და ერთი მისიონერი მამკაცი, მანქანით წავიდნენ, მათთან ერთად მძღოლიც. ჯგუფს პრობლემა შეემთხვა, ისე

როგორც ღმერთმა მაის უჩვენა. პოლიციამ დააპატიმრა ისინი; განყოფილებაში ორი კაცი ერთ ოთახში შეიყვანეს და ქალები მეორეში. ქალების ოთახში ტვალეტის ორმო იყო და იქაურობა ყარდა; ბუზები ეხვივნენ ოთახში ყველაფერს. ბიბლიები და ყველა სხვა ლიტერატურა ჩამორთმეულ იქნა.

ერთი კვირის შემდეგ მაი ლან ფაურტიინის ციხეში გადაიყვანეს. საკანში რამოდენიმე ჩინელი ქალბატონი დახვდა. ჩინეთიდან გამოქცეულან და მალაიზიაში გადასვლას აპირებდნენ, როდესაც პოლიცამ ვიეტნამის საზღვარზე დაიჭირა. ქალს ინგლისურის გაპრაქტიკება უნდოდა და მაიმ რაც იცოდა მთელი ცოდნა გამოიყენა. ჯგუფი ერთ ჯამ ბრინჯს იყოფდა სადილად. ჯგუფის ყოველი წევრი სათითაოდ, საკუთარი კოვზით იღებდა ერთი ჯამიდან ბრინჯს. მაი და მისი მეგობარი საკანში ყოფნის უმეტეს დროს ლოცვაში ატარებდნენ, საკანში მათთან მყოფებზეც კი ლოცულობდნენ.

ყოველ დილას, რვა საათზე დაცვას მიჰყავდა მაი დასაკითხად. სამი საათის განმავლობაში უწყობდნენ დაკითხვას. მას "პოლიტიკური პატიმრის" იარლიყი მიაკრეს, დაკითხვები იყო ინტენსიური.

"რატომ გძულს მთავრობა?" ჰკითხა ერთმა ოფიცერმა.

"არ მძულს მთავრობა," უპასუხა მან, ყოველთვის ცდილობდა შეენარჩუნებინდა სიმშვიდე და თავაზიანი ტონი. "მე იესოს მიმდევარი ვარ და მან გვითხრა რომ პატივი ვცეთ სახელმწიფო ლიდერებს. მე მათთვის ვლოცულობ".

"მათთვის ლოცულობ?" თქვა პოლიციელმა დამცინავად. "საიდან არის ეს ბიბლია? უცხოელ ჯაშუშებს ხვდებოდი არა? თქვი სიმართლე!"

"ბიბლიები ჰანოიში და ჰო ჩჰი მიჰნში მივიღე," უპასუხა მან. "და არც ერთ ჯაშუშს არ ვიცნობ".

"შენ არა მარტო იცნობ მათ," თქვა ოფიცერმა და ხმას აუწია, "არამედ მათთან მუშაობ! უცხოელებთან შენი ქვეყნის წინააღმდეგ!"

"მე მიყვარს ჩემი ქვეყანა," დაიჟინა მაიმ. "სწორედაც რომ ამიტომ ჩამოვედი უკან ვიეტნამში, რადგან მიყვარს ჩემი ხალხი."

"ვის აბარებ ანგარიშებს? ვინ არიან დანარჩენი ლიდერები, ვისთან ერთადაც მუშაობ?"

მაიმ უარი თქვა სხვა ქირსტიანების დასახელებაზე. “თუ სხვების შესახებ გინდათ იცოდეთ,” უპასუხა მაიმ, “წადით და თქვენ თვითონ ჰკითხეთ.” ღმერთს მადლობდა რომ ტანსაცმლის შიგნით ამოქარგულ სახელებს ვერ მიაგნეს.

ასე გრძლედებოდა კითხვები მანამ, სანამ მაი საკანში არ დაბრუნდებოდა. შუადღისით კიდევ ერთხელ ბრუნდებოდა დაკითხვების ოთახში მომდევნო სამი საათი. ერთი და იგივე გრძელდებოდა ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღე ახალი პოლიციელი მოდიოდა დასაკითხად. ზოგიერთები მკაცრ ტაქტიკას მიმართავდნენ, უყვიროდნენ და მაგიდაზე მუშტებს ურტყამდნენ. სხვები რბილად ეპყრობოდნენ, ეუბნებოდნენ, რომ მათ უკვე იცოდნენ ქრისტიანული შეხვედრების შესახებ, მხოლოდ სიმართლის აღიარება იყო საჭირო.

მეათე დღეს უთხრეს, რომ შეეგროვებინა თავისი ბარგი, რადგან ახალ საკანში გადაჰყავდათ, ამის ნაცვლად მათ შეიყვანეს ოთახში, სადაც ხელი მოაწერინეს გათავისუფლების ფურცელს. გაახსენდა ბოლო დრო, როდესაც წასვლაზე მოაწერა ხელი. დიდი დრო ჩანდა მას შემდეგ, რაც ჰონ კონგიდან წამოვიდა. როდესაც პოლიციამ მისი სურათი აიღო, რომ გათავისუფლების საბუთებზე დაემაგრებინა, მაი იცინოდა. მას დანაშაული არ ჩაუდენია. მისი ციხეში გატარებული დრო ღვთის ერთგულებას ადასტურებდა მის და მსახურების მიმართ “ჭიშკარს მიღმა” მყოფთათვის.

თავისუფალი ვარ, გაიფიქრა, როგორც კი ციხე დატოვა, ჭეშმარიტად თავისუფალი. მამამისის საუბრები გაახსენდა დასავლეთში წასვლასა და თავისუფლების მიღებაზე. *მაგრამ მე სხვაგვარი თავისუფლება ვიპოვე. არა ისეთი, როგორსაც მამაჩემი ფიქრობდა, არამედ უკეთესი!*

ეპილოგი

მიუხედავად იმისა, რომ მისი მსახურება ყვაოდა, მაი კომპანიონს ნატრობდა. იგი ღმერთს მისადმი დაპირებას ახსენებდა, რომ გამოუგზავნიდა მებრძოლს, რომელიც მის გვერდით ივლიდა და იბრძოლებდა მის ცხოვრებაში. სხვა მორწმუნეები ლოცულობდნენ

მასთან ერთად ამ "მებრძოლის" მისთვის გამოჩენისათვის-და ღემრთმაც გამოაჩინა.

ნამი იყო ქრისტიანი თანამშრომელი და ყოფილი კომუნისტი პოლიციელი. ღმერთმა აღძრა მისი გული მაის სიყვარულისათვის, მაგრამ მრავალი თვის განმავლობაში არ ეუბნებოდა. ამის ნაცვლად ლოცულობდა, რომ ღმერთი გაუმჟღავნებდა მაის ამ განცდას ზუსტ დროს. მალე ღმერთმა ცხადი გახადა მაისათვის და ეკლესიის ლიდერებისათვისაც რომ ეს ორი ერთმანეთისათვის იყვნენ განზრახულნი. დაქორწინდნენ და გააგრძელეს მსახურება, ერთად დადიოდნენ სოფლებში და ქადაგებდნენ და ამზადებდნენ ქრისტიან ლიდერებს.

ნამის მამა იყო კომუნისტურ მთავრობაში მაღალი თანამდებობის პირი, საჭიროც კი არ იყო თქმა რომ არ გაეხარდა ვაჟიშვილის მიერ ცოლის არჩევანი. თავდაპირველად მაის არც კი ელაპარაკებოდა, იგივე ოთახშიც კი არ ჩედრებოდა. როდესაც მაიმ და მისმა მეუღლემ ქრისტიანები ოჯახში დაპატიჟეს, მამამთილი კარებში დადგა და სტუმრები გამოყარა. მაიმ და ნამმა კედელი შემოავლეს თავიანთ სახლს, რომ მამამთილს არ დაენახა ქრისტიანი სტუმრების სახლში ყოფნა.

მაის პირველი ბავშვი მოშორდა ტყეში სიარულისას, მსახურების დროს. ექიმები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ამის შემდეგ ბავშვს ვეღარ გააჩენდა, მაგრამ ახალდაქორწინებულები ღმერთს დაჟინებით სთხოვდნენ ბავშვს. მაი კვლავ დაფეხმძიმდა, მაგრამ ფეხმძიმობა ძალიან რთული აღმოჩნდა. ექიმებმა ურჩიეს რომ აბორტი გაეკეთებინა, მაგრამ მაიმ უარი განაცხადა. როდესაც მშობიარობის დრო მოვიდა, არანაირი პროგრესი არ იყო. ექიმებმა ნამს არჩევანის გაკეთება შესთავაზეს, ან ბავშვი უნდა გადაერჩინა და ან ცოლი. ორივეს გადარჩენას არ მოელოდნენ. წყვილმა ილოცა. ღმერთს ბავშვის გადარჩენას სთხოვდნენ.

ღმერთმა ორივენი დაიხსნა. მაიმ ჯანმრთელი გოგონა გააჩინა და მალე დედის ჯანმრთელობაც უწინდელ კალაპოტში ჩადგა.

ბავშვის დაბადების გამო, მაის მსახურების ფოკუსი შეიცვალა, რადგან ნაკლებადაა შესაძლებელი ბავშვთან ერთად ვიეტნამის შორეულ სოფლებში მგზავრობა. ამის ნაცვლად იგი აქტიურად მუშაობს ადგილობრივ ეკლესიაში და წვრთნის ჩამოსულ მორწმუნეებს საეკლესიო ხელმძღანელობისათვის.

ნამი აგრძელებს წყვილებთან მუშაობას, უღრანი ტყის სოფლებში დადის თვეში ერთხელ მაინც.

ღმერთმა ჩაუდო მაის ობლებთან და ქუჩის ბავშვებთან მუშაობის სურვილი. ამ საქმიანობის საფუძვლებს ამზადებს და იმედი აქვს, რომ მისი გოგონა იმუშავებს მის გვერდით და ეტყვის "ჭიშკარს გარეთ" მყოფ ბავშვებს იმ ღმერთის შესახებ, რომელსაც ასე ძალიან უყვარს ისინი, ვინც განაგდებს ბოროტს, და რომ არის ერთადერთი ღმერთი... რომელსაც ძალუძს ჩვენი გათავისუფლება.

შენიშვნები

ადელ:
იმედი უბედურების გულში

1. ფილიპელთა 4:13
2. ჯიჰადი არაბულად არის "წმინდა ომი."
3. "ღმერთი დიდებულია! ღმერთი დიდებულია!"

პურნიმა:
ბავშვის დაპატიმრება,
სულის გათავისუფლება

1. მათე 10:28.
2. მათე 5:10

აიდა:
ხმა უხმოთათვის

1. ეს არალეგალური ჟურნალი გამოცემულ იქნა საბჭოთა კავშირის დროინდელი მიწისქვეშა ბაპტისტური ეკლესიის მიერ. კომუნისტები ნებას რთავდნენ ერთ "აღიარებული" ჟურნალის დაბეჭდვას; რომელიც საბჭოეთისადმი სიმპათიით გამსჭვალულ სტატიებს შეიცავდა. იატაკქვეშა მორწმუნეებს სურდათ რეალური ამბების გავრცელება, რასაც ეკლესია რისკავდა დაპატიმრების საფრთხის ქვეშ, ბეჭდავდა და ავრცელებდა საკუთარ გამოცემას.

2. იხილეთ ფილიპელთა 3:10.
3. მეტი ინფორმაციისათვის აიდასა და მისი სასამართლოს შესახებ, იხილეთ მაიკლ ბაურდეაუქსი, აიდა სკრიპნიკოვას დანაშაულებრივი სამხილი (ინგლისი: რელიგიისა და კომუნიზმის შესწავლის ცენტრი, 1972; (ამერიკული გამოცემა: ელგინი, 111.; დევიდ კუკის ბეჭდვითი კომპანია, 1973).

საბინა:
ქრისტეს სიყვარულის მოწმე

1. "ხუცესი!ხუცესი!"
2. დაბადება 19:17 (კინგ ჯეიმსის ვერსია).
3. მათე 16:25 (კინგ ჯეიმსის ვერსია).

ლინგ:
წამების სკოლაში

1. ლუკა 10:2-3
2. იხილეთ მათე 25:1-13

გლედის:
მაშველი თოკი მიტევებისათვის

1. ფსალმუნი 37:4
2. იხილეთ ლუკა 23:34და რომალეთა 8:28.
3. იხილეთ ებრაელთა 13:5.
4. რომალეთა 12:14-18.
5. რომაელთა 8:28.

შინაარსი

წინასიტყვაობა 4

სამადლობელი 6

რწმენითა და გამბედაობით ანთებული გულები 8

ადელ: იმედი უბედურების გულში. 11

პურნიმა: ბავშვის დაპატიმრება, სულის გათავისუფლება. . . 48

აიდა: ხმა უხმოთათვის 77

საბინა: ქრისტეს სიყვარულის მოწმე 107

ტარა: სირბილით ცხოვრება. 154

ლინგ: წამების სკოლაში. 186

გლედის: მაშველი თოკი მიტევებისათვის 223

მაი: უკან ვიეტნამში... სახარების ქადაგება 248

შენიშვნები 281